N44 (543) 4/XI-10/XI-2010 ფასი 1 ლარი

# გზა

**ქართული პროზის საგანძური**

**ტომი №36**
**ლევან სანიკიძე**
ნაწილი I

შეგიძლიათ შეიძინოთ „გზის“ ამ ნომერთან ერთად!
წიგნი და „გზა“ ერთად 4 ლარი ღირს

შემდეგი ტომი
**ლევან სანიკიძე**
ნაწილი II



## ანრი ჯოხაძე ხალხის „დაშოკვას“ აპირებს

## ნინო არაზაშვილის სასიყვარულო თავგადასავალი

## თათული ბართაიამ ავსტრალიელებს თავბრუ დაახვია

## ვინ გაუკეთა მომღერალს ძვირად ღირებული საჩუქარი

## SOS! ავტოავარიების საგანგაშო სტატისტიკა და შემზარავი ფაქტები



„მძღოლების დაუდევრობის შედეგად შვილი დავკარგე“

## რატომ დასცინოდნენ ხელჯოხიან გოგონას



„სიარული არ შემეძლო, თორემ გონება მიჭრიდა“...



## ექსტრიმის მოყვარული მოზარდის გატაცება

## დავით საგანელიძის სიდედრის აღიარება



„მათი გრძნობა ჩემზე ძლიერი აღმოჩნდა“...

ISSN 1987 - 5029

## რომანოვთა განძეულის საიდუმლო საქმე

# წიგნი

## რომელიც უნდა წაიკითხო სანამ ცოცხალი ხარ!




## წიგნი I
## ონორე დე ბალზაკი
## „შაგრენის ტყავი"

მაგარ გარეკანში,
შემოსაკრავი სუპერით

მხოლოდ „კვირის პალიტრის"
მკითხველისთვის წიგნის
სპეციალური ფასი - 7 ლარი

8-დან - 15 ნოემბრამდე!










პრეზენტაცია გაიმართება 8 ნოემბერს, 17 საათზე, „თბილისი ცენტრალში", „ბიბლუსის" წიგნის მაღაზიის წინ, ჰოლში (ვაგზლის მოედ. №2) დასწრება თავისუფალია!

„კვირის პალიტრის" ხელმომწერთა საყურადღებოდ! წიგნის შეძენის მსურველები დაუკავშირდით „ელვა.ჯი"-ს ტელ: 38 26 73; 38 26 74 კურიერი ყოველ წიგნს ადგილზე მოგართმევთ.


ტერაფლუ®
ავადმყოფობის დრო არ არის!
ტერაფლუს სხვადასხვა ფორმა გრიპისა და გაციების ყველა სიმპტომის სამკურნალოდ
ТераФлю
ЛАР
ПРИ БОЛИ В ГОРЛЕ
16 Таблеток
Ангина
Фарингит
Ларингит
Спрей
ЭКСТРА
от ГРИППА и ПРОСТУДЫ
10 пакетиков
პრეპარატის გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს
NOVARTIS
ნოვარტისი, შვეიცარია
გ. ტაბიძის ქ. №18;
ტელ.: 98 27 30;
98 27 50
გრიპისა და გაციების დროს

**microlife** SWISS DESIGN
A partner for people. For life.

**NEB 50**

კომპაქტური და სანდო ინჰალატორი სრული აღჭურვილობით:

- გამოიყენება ინჰალაციური თერაპიისთვის ასთმის, ქრონიკული ბრონქიტის და სხვა რესპირატორული დაავადებებისას.
- ახდენს წამლის მექანიკური გზით მიწოდებას ფილტვების ყველაზე მიუწვდომელ ადგილებში.
- ადვილია მოსახმარად და გასაწმენდად.
- აღჭურვილია: ბავშვის და ზრდასრული ადამიანის სახის ნიღბებით და პირის ღრუში ჩასადები მილით (კაპი;) სათადარიგო ფილტრებით;
- აქვს სანდო „პორშინული“ ტუმბო.
- კომპაქტური დიზაინი
- აპარატი მოთავსებულია შენახვისთვის და აგრეთვე ტრანსპორტირებისთვის მოსახერხებელ ხელჩანთაში.
- მწარმოებელი ,,მიკროლაიფი“ შვეიცარია.



ინჰალატორი (ნებულაიზერი)
NEBULISER

## სისხლის წნევის საზომი აპარატების ფართო არჩევანი:

მექანიკური, ნახევრად ავტომატური და სრულიად ავტომატური მოდელები ერთმანეთისგან განსხვავებული თანამედროვე სრულფასოვანი დიზაინით; აღიარებული მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ და შემოწმებული ბრიტანეთის ჰიპერტონიის ასოციაციის მიერ. (B.H.S.) მწარმოებელი ,,მიკროლაიფი" შვეიცარია.

**BP A100 Plus**



ავტომატური წნევის აპარატი
BLOOD PRESSURE MONITOR

## ციფრული თერმომეტრი

**MT 1931**

გამოიყენება სხეულის ტემპერატური გასაზომად. ზომავს ცელსიუსით; კორპუსი დრეკადია, მოოქროვილი, ანტიალერგიული დაბოლოებით; თერმომეტრს აქვს წინა გაზომვის მეხსიერება; გაზომის დასრულებისას იძლევა ხმოვან სიგნალს (გაზომვის პოზიციის მიხედვით). მწარმოებელი ,,მიკროლაიფი" შვეიცარია.



მოოქროვილი თერმომეტრი
GOLD TIP THERMOMETER

შპს „მირკო“ - გთავაზობთ მრავალფეროვან ევროპული ხარისხის (შვეიცარია, გერმანია) სისხლის წნევის და სისხლში გლუკოზის დონის მზომ აპარატებს, საინჰალაციო ნებულაიზერს, სხეულის ტემპერატურეს მზომ თერმომეტრებს საგარანტიო მომსახურებით.

mirco მირკო
www.mirco.ge

მის: პეკინის 15
ტელ: 37 98 73; 10 50 11



# როდენი – წონაში დასაკლები უნიკალური საშუალება!

## მისი დროული მიღება თავიდან აგაცილებთ წონაში მატებასაც

**როდენი**

- ეკოლოგიურად სუფთა, ბუნებრივი პროდუქტი
- ხელს უშლის ნახშირწყლების ცხიმებში გადასვლას
- ხელს უწყობს ცხიმების ბოლომდე დაწვას
- აქვეითებს მადას ენერგიის მომატების ფონზე
- ნორმამდე დაჰყავს სისხლის ჰორმონი ლეპტინი და ქოლესტერინი
- ორგანიზმიდან გამოაქვს ზედმეტი სითხე და შლაკები
- არეგულირებს საჭმლის მომნელებელ სისტემას





მოგვაკითხეთ მისამართზე:
თბილისი, რუსთაველის გამზ. №28
ან მიმართეთ „ნეოფარმის“ და
„ჯი პი სის“ სააფთიაქო ქსელს,
როგორც თბილისში, ასევე
ქუთაისსა და ბათუმში.
დაგვიკავშირდით ტელ. ნომრებზე
99 00 14; 895308405;
893 668318; 897117867;
e-mail - promoita@mail.ru
nikosaniltd@mail.ge

მიღების წინ გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს

№44 (543)
4 – 10 ნოემბერი. 2010 წ.
ფასი 1 ლარი

## ქვეყანა



### ვისაც გჯერათ, გაიარეთ!

ჰოდა, ვისაც გჯერათ და ვინც „გაგატარეთ“, იმათ მინდა ვკითხო: იცით თუ არა, რომ არაფერიც არ არის გასაკეთებელი და უბრალოდ, ორმაგი სტანდარტის პოლიტიკაა შესაცვლელი?!

7

## სახე



### ნაადრევად გათხოვილი რუსა ჩაჩუას გეგმები

„წინათ ტელევიზიასთან და საერთოდ, ჟურნალისტიკასთან არანაირი შეხება არ მქონია. ახლა მყავს არაჩვეულებრივი პედაგოგი — მანანა მეფარიშვილი, რომელმაც სწორად მეტყველების თვალსაზრისით, „ფეხზე დამაყენა“.

18


■ **მინიატიურები** 5
„პე, პე, პე, კარი გამიღე...“
■ **ჭრელი მსოფლიო** 6
■ **ერიჰა!** 7
■ **პრობლემა** 10
■ **SOS!** 11
■ **ოჯახი** 16
■ **პროექტი** 18
■ **ახალი სახე** 20
გასაიდუმლოებული სასიყვარულო ურთიერთობა და ნაადრევად გათხოვილი რუსა ჩაჩუას გეგმები
■ **სცენის მიღმა** 22
ქართველი, რომელსაც პლაჩიდო დომინგო „მოწაფედ დაუდგა“
■ **ფსიქოპორტრეტი** 24
როგორ იშორებს შეყვარებული ნინო არაბაშვილი თაყვანისმცემლებს
■ **წყვილი** 26
მეგობრობით დაწყებული სიყვარულის ამბავი
■ **პროფესია** 28
სცენის გამნათებელი და ფერებით გამძაფრებული ემოცია
■ **ტკივილი** 29
რატომ დასცინოდნენ ხელჯოხიან გოგონას თანატოლები
■ **თავგანწირვა** 31
ეკრანზე გაცოცხლებული უკანასკნელი ბრძოლა
■ **ბედის ბორბალი** 34
პორტრეტები მოხუცებულთა თავშესაფრიდან
■ **ჰობი** 36
„ჩემი მოტოს გარეშე ცხოვრება ვერ წარმომიდგენია“
■ **ანტიდეპრესანტი** 38
■ **ავტო** 38


## ცხოვრება

### პორტრეტები მოხუცებულთა თავშესაფრიდან



„განცხადებას მოხუცი, მისი შვილი ან მეზობელი წერს, შემდეგ სოციალური მუშაკები სწავლობენ, კატეგორიას ადგენენ, ეს საკითხი საბჭოზე გააქვთ და საბჭო ამტკიცებს, ჩაირიცხოს თუ არა მოხუცი პანსიონატში“.

26

## მზე ვნილები

### „ანამ ცხოვრება საკუთარი ხელით დაიმახინჯა“



„ჰო, ეგ ძალიან ცუდია და ვწუხვარ, რომ შენი და ასე შეცდა, მაგრამ იმხელა კაცს ტვინი სად ჰქონდა? სულ გაგიჟდა ეს ხალხი, რა! გირჩევ, მათ უთხრა, რომ ამ ამბის დამალვას აზრი არა აქვს! “

76

■ ისტორიის ლაბირინთები 40

რომანოვთა განძეულის საიდუმლო საქმე
■ ოსტატი 43

ხე, რომელიც რაღაცას ნიშნავს
■ ეს სამყაროა 44
■ საკითხავი ქალებისათვის 46
■ ტაძარი 48

ზეციური ნივთის არჩეული სამყოფელი...
■ ქართული სპორტის ლეგენდები 50

პირველი „ქართული“ მატჩი მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულისათვის
■ ჯანმრთელობა 52
■ რაკურსი 54

მოდელის არშემდგარი კარიერა
■ ემიგრანტი 57

ვის დაახვია თავბრუ თათული ბართაიამ
■ თინეიჯერული პონტები 59

„ჯეოსტარის“ კასტინგზე დაწუნებული მომღერლის წარმატება
■ წვეთი პოეზია 62
■ სახსოვარი 63
■ პროზა 64

რაჟდენ პირველმოწამე
■ ფანტასტიკური დეტექტივი 66

რუსუდან ბერიძე. ინტერვიუ მიცვალებულთან (გაგრძელება)
■ რომანი 70

სვეტა კვარაცხელია. რომანტიკა თუ დანაშაული?! (გაგრძელება)
■ მინირომანი 74

ბედნიერების იმიტაცია
■ გზავნილები 76

მოვლენა, რომელმაც მთელი ჩემი ცხოვრება შეცვალა
■ ყველა ერთისათვის 80

„ანამ საკუთარი ხელით ცხოვრება დაიმახინჯა“
■ მობილი-ზაცია 82
■ მოზაიკა 88
■ საზრდო 90
■ ერუდიტი 92

„მდიდარი ბიბლიოთეკის პატრონი ვარ“
■ გასართობი 94
■ ასტროლოგია 96
■ სკანვორდი 97
■ საფირმო კროსვორდი 98



საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება

ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.

მთავარი რედაქტორი: **ზურაბ აბაშიძე**
მთ. რედაქტორის მოადგილეები: **ლალი ფაცია, ლიკა ქაჯაია**
პასუხისმგებელი რედაქტორი: **მარი ჯაფარიძე**
მენეჯერი: **მათე კბილაძე**

დიზაინი: **ნანა გიგოლაშვილი**
კომპიუტერული უზრუნველყოფა: **ირმა ლიპარტელიანი, რეზო თხილიშვილი**
მისამართი: თბილისი, იოსებიძის ქ. #49
ტელ: 38-84-44, ფაქსი: 38-08-63. email: gza.fantazia@gmail.com
რეკლამა „გზაში“: 37-78-07; 38-78-70.


## სამყარო



# „ჩემი მოტოს გარეშე ცხოვრება ვერ წარმომიდგენია“

„ხანდახან რბოლებშიც ვმონაწილეობ, ხშირად გამიმარჯვია კიდეც... არის რბოლები, სადაც „რვიანებში“ უნდა გაიარო სწრაფად“.

36

## ადამიანი



# მოდელის არშემდგარი კარიერა

„მე და დათომ ერთმანეთი ინსტიტუტში გავიცანით და მას შემდეგ ერთად ვართ. საკმაოდ მყარი ოჯახი შევქმენით, ჩვენს ურთიერთობას ბზარი არ გასჩენია“.

54

## ბიბლუსი



# ალექსანდრე (ჩოფიკაშვილი) ყაზბეგი

ქართველი მწერალი აღიზარდა სტეფანწმინდაში, ხევის მმართველის მიხეილ ჩოფიკაშვილისა და ელისაბედ თარხნიშვილის ოჯახში. მშობლებმა ის თბილისში ჯერ ჰაკეს, შემდეგ კანონიჩის პანსიონში მიაბარეს.

62

## ტაიმ-აუტი



# „მდიდარი ბიბლიოთეკის პატრონი ვარ“

— რამდენი ფეხი აქვს რვაფეხას?
— რამდენი აქვს? რვა ხომ არა?..
— ზუსტად უნდა მითხრათ.
— დავთვლი. (პაუზის შემდეგ) 7.
— საინტერესოა, როგორ დაითვალეთ?
— ვიზუალურად წარმოვიდგინე. რა, ასე არ არის?
— მაშინ შვიდფეხა ერქმეოდა.
— აბა, 8 ფეხი აქვს? არ ვიცოდი.

88

# „პე, პე, პე, კარი გამიღე...“



**შესავლის ნაცვლად** ჩვენმა მზვერავებმა რუსული აგენტურული ქსელი გაშიფრეს (ვინმე ენვერის მეთაურობით) და მისი 18 თუ 20 წევრი „გასკვანჩეს“! ძალიანაც კარგი, მაგარი ხალისობა გველის კვირის ბოლოს — კინოკომპანია „ვანო ფიქჩერსი“ და სადისტრიბუციო კომპანია „რუსთავი 2 ენტერტეინმენტ“ წარმოგიდგენთ: „ენვერი — ანუ ქართული სპეცსამსახურების ანკესზე წამოგებული რუსული დაზვერვა“!

სავარაუდოდ, პარასკევს იქნება ეს ფილმი ნაჩვენები — 5 ნოემბერი ხომ რუსეთში „მზვერავის დღედ“ აღინიშნება და ბარემ ვისარგებლებ შემთხვევით და საქართველოში მცხოვრებ რუსეთის ყველა აგენტს, მათთან ერთად, სხვა მეზობელი ქვეყნების ჯაშუშებსა და საერთოდ, ყველა დანარჩენ ძაღლის გაგდებულს მივულოცავ პროფესიულ დღესასწაულს და ვუსურვებ, რომ ამ ფილმში თუ არა, მის გაგრძელებაში მთავარი როლი „ეთამაშოს“!..

„მზვერავის დღე“ იქით იყოს და, ახლა, ამას რომ ვწერ, სამშაბათს, თურმე „გულის საერთაშორისო დღე“ აღინიშნება მსოფლიოში და მეც, ახალ ამბებს რომ გადავხედე, გადავწყვიტე, გულწასასვლელი, გულმოსასვლელი და, მით უმეტეს, გულგასახეთქი ამბები არ მოვყვე და მხოლოდ გულმხურვალე, გულიანი და გულანთებული ადამიანები გავიხსენო...



ყველაზე „გულმხურვალე“, ალბათ, ბათუმში გახსნილი ახალი ქანდაკებაა — ე.წ. სიყვარულის ძეგლი. გაგიკვირდებათ და, ამათი გაკეთებული ძლივს მართლა გულით მომეწონა რაღაც, მაგრამ რად გინდა? მიშამ, — ამ სკულპტურას „ალი და ნინო“ უნდა დავარქვათ, ყურბან-საიდის ცნობილი წიგნის მიხედვით, ქართველი და აზერბაიჯანელი ხალხების მეგობრობის ნიშნადო! ბ-ნო პრეზიდენტო, შენი გულის ამბავი ვიცი, ყველგან გულითადი მეგობრობა გინდა, რომ დანერგო, მაგრამ ერთი აქეთ გულისყურით მომისმინე: მე პირადად, სულაც არ მინდა, რომ ქართველი და აზერბაიჯანელი ხალხების მეგობრობის ნიშნად დადგმულ ძეგლში, საქართველო ცოლი იყოს და აზერბაიჯანი — ქმარი. და კიდევ — მაგ წიგნში არა ცალკეული ადგილები, არამედ მთელი გვერდები გრიგოლ რობაქიძისგან რომ არის გადაწერილი, კარგა ხანია, დამტკიცდა და (ახლა უკვე მის მრჩეველ თანაშემწეებს მივმართავ) ბოლოს და ბოლოს, ამ კაცს არ სცალია წიგნების საკითხავად და „ორთაჭალის ტურფის“ არ იყოს, რამდენჯერ უნდა ჩააგდოთ უხერხულ მდგომარეობაში?!



ჰო, კარგი, დავწყნარდეთ — გულის დღეა მაინც... ჰოდა, გულწრფელად გეუბნებით, ისეთი რამ ამოვიკითხე ახალ ამბებში, რომ გულმა ვერ გამიძლო, თქვენთვისაც არ გამეზიარებინა: ისრაელში დააკავეს 12 (თორმეტი) წლის(!) სექსუალური მანიაკი, რომლის ძალადობის მსხვერპლიც 65-დან(!) 90(!!!) წლამდე ქალბატონები იყვნენ!!! მოიცათ, ეს ჯერ ყველაფერი როდია: როგორც სააგენტოები იუწყებიან, ეს ბავშვი (ჰმ, ბავშვი!..) ქალბატონებს ინტიმურ ადგილებზე (90 წლისას) ჰკიდებდა ხელს და თან თავის გენიტალიებს უჩვენებდა! უფრო საინტერესო ახლა იწყება (გულიანად უნდა გაცინოთ): „მსხვერპლთაგან“ ბევრმა სერიოზული დაზიანებები მიიღო, ერთი კი საავადმყოფოში მოხვდა ხელის მოტეხილობითო!!! ჰა, როგორია?! ე.ი. ეს ლაწირაკი „რაღაცას“ უჩვენებდა (რა ექნებოდა 12 წლის ბავშვს ისეთი?..), იმას კიდევ — ხელი მოსტყდა(?!); არკვიე ახლა, რა მოხდა სინამდვილეში... დაბოლოს, მთავარი: დამნაშავეს 10 დღე შინ ჯდომა მიუსაჯეს, ოღონდ ბებიამისი სხვაგან გადაიყვანეს! და სულ, სულ ბოლოს, სულ, სულ უმთავრესი: ყველა გაოცებულიაო, რადგან ეს ბიჭი წესიერ ოჯახში იზრდება, კარგად სწავლობს და პრეზიდენტობაზე ოცნებობსო!!! წარმოიდგინეთ, რა ძეგლო და შადრევანომანია ატყდება ისრაელში ასე, 20-25 წლის შემდეგ, ამ ბიჭმა რომ თავისი საპრეზიდენტო ოცნება აისრულოს...

ბარემ, რადგან ძეგლებზე ვსაუბრობთ, გულმხურვალე კომუნისტებიც ვახსენოთ: გაგიკვირდებათ და, ქუთაისში სტალინის ძეგლი ყოფილა დარჩენილი და ზუსტად იმ ღამეს, როდესაც ბათუმში „ალი და ნინო“ დადგეს, ქუთაისში „სტალინი“ გაქრა!!!

ასეა, დრონი მეფობენ და არა — მეფენი...

თბილისშიც ასეა, დრონი მეფობენ და არა ყვითელი ავტობუსები: უგულავამ, — შემეშალა, ტრამვაი კარგი ყოფილაო, იქ ასფალტის დაგება, იქ რელსების ყიდვა, იქ ცოტა გრანტი, იქ ისა, ესა... რა ვქნა, ძმაო, უნდა გავმრავლდეთ ქართველები და ცოლი კიდევ ხომ უნდა ვამშობიარო ავსტრიაშიო...

**P.S.** ეეჰ, ჩვენ აქ რაზე ვლაპარაკობთ და ამერიკაში კიდევ, რა კარგი საარჩევნო კამპანია მიმდინარეობს (კონგრესის არჩევნებს ვგულისხმობ): სარა პეილინი როა, იმ ისრაელელი ბიჭივით, პრეზიდენტობა რომ უნდოდა (ახლაც უნდა), მაგის გამოსვლა ვნახე ტელევიზორში! აი ქალი, ნამდვილი, გულ(მკერდიანი)ი ქალი, ეგ უნდა იყოს „გულის საერთასორისო დღის“ ლოგო! გუშინწინ ვნახე და იმის მერე რომ ამეკვიატა, ბავშვობაში საბავშვო ბაღის „სპექტაკლიდან“ („მგელი და ციკნები“) ამოტივტივებული ლექსი, დღემდე ვერ დავაღწიე თავი:

„პე, პე, პე, კარი გამიღე!
პირით ბალახი მომაქვს,
ძუძუებით — რძე!!!“

მე ერთ-ერთი ციკანი ვიყავი და კარს ვუღებდი...

ყოველ შემთხვევაში, ამერიკის საპრეზიდენტო არჩევნები უფრო ადრეა, ვიდრე ჩვენი, ამიტომ უკვე ვიცი, საქართველოს პოლიტელიტა რომელ კანდიდატს დაუჭერს მხარს!..

*პროვოკატორი*

ავტორს შეგიძლიათ, დაუკავშირდეთ ელფოსტით:
provokatori67@gmail.com

# რუსეთი ამერიკას აფრთხილებს?!




„ამერიკისა და რუსეთის „თაფლობის თვე“ დასასრულს უახლოვდება. რუსეთის პრეზიდენტი ირანში, ბუშერის ატომური ელექტროსადგურის გახსნაში მონაწილეობის მისაღებად ჩადის“, — წერს ირანული გაზეთი „ჯავანი“. გამოცემის ინფორმაციით, კრემლში უკვე იციან, რომ აშშ-ის კონგრესში, შუალედურ არჩევნებში დემოკრატიული პარტიის დამარცხება და „რესპუბლიკელების“ გამარჯვება გარდაუვალია. ასეთ შემთხვევაში კი კონგრესი ხელს შეუშლის რუსეთ-ამერიკას შორის გაფორმებული ყველა იმ ხელშეკრულების შესრულებას, რომელიც მოსკოვისთვის მნიშვნელოვანია. „რესპუბლიკური პარტია ყოველთვის იმ პროექტებს უჭერს მხარს, რომელთა საშუალებითაც ამერიკა კავკასიაში, შუა აზიასა და აღმოსავლეთ ევროპაში საკუთარ გავლენას აძლიერებს. იმედია, ირანისკენ რუსეთის შემოტრიალება ამერიკელებისთვის კარგი გაფრთხილება იქნება“, — წერს გაზეთი და აღნიშნავს, რომ ამ ეტაპზე არავითარი შედეგი არ მოჰყვება რუსეთსა და ნატოს შორის მიმდინარე მოლაპარაკებებს, რომელიც მოსკოვის ანტისარაკეტო თავდაცვის სისტემაში მონაწილეობას ეხება. ■

# რუსეთი და იაპონია საზიფათო ზღვრის მიჯნაზე...



ოფიციალურმა ტოკიომ ელჩი რუსეთში, მასახარუ კონო გამოიწვია. იაპონიის ხელისუფლებამ ასეთი გადაწყვეტილება იმის გამო მიიღო, რომ რუსეთის პრეზიდენტმა, დმიტრი მედვედევმა სამხრეთ კურილიის კუნძულები მოინახულა. საგარეო საქმეთა მინისტრმა, სეიჯი მაეჰარამ ტოკიოში რუსეთის ელჩი, მიხეილ ბელი დაიბარა და საპროტესტო ნოტა გადასცა. იაპონელი მინისტრის ქმედებით აღშფოთებულმა მისმა რუსმა კოლეგამ, სერგეი ლავროვმა განაცხადა: „ეს ჩვენი მიწაა, რუსეთის პრეზიდენტმა რუსეთის მიწა, რუსეთის ტერიტორია და რუსეთის რეგიონი მოინახულა“... შეგახსენებთ — პრეზიდენტმა მედვედევმა ჯერ კიდევ 27 სექტემბერს განაცხადა, რომ უახლოეს მომავალში კურილიის კუნძულებზე ჩასვლას გეგმავდა. მედვედევის თქმით, იაპონიის პრემიერმა მაშინვე საგანგებო განცხადება გააკეთა და რუსეთის პრეზიდენტს ამ ვიზიტის განხორციელებისაგან თავის შეკავება ურჩია. ■

# ჯორჯ ბუშმა თავის მემუარებში საიდუმლო გაამხილა



„შეგიძლია გაიხსენო ბოლო დღე, როდესაც არ დამთვრალხარ?“ — ამ ფრაზით იწყება ამერიკის 43-ე პრეზიდენტის, ჯორჯ ბუში-უმცროსის მემუარების წიგნი — „საპასუხისმგებლო მომენტები“. მემუარები ვაშინგტონში, წიგნის მაღაზიებში 9 ნოემბრიდან გაიყიდება. ბუში გულახდილად წერს იმის შესახებ, რომ საკმაოდ დიდხანს იყო დამოკიდებული ალკოჰოლზე და ამ პრობლემის დაძლევაში რწმენა დაეხმარა.

მემუარებში სულ 14 თავია, რომელიც მისი ორი საპრეზიდენტო ვადის უმნიშვნელოვანეს მოვლენებს ასახავს. ერთ-ერთ თავში — „ცეცხლიანი დღე“ ჯორჯ ბუში აღწერს, თუ რა სიტუაცია შეიქმნა თეთრ სახლში 2001 წლის 11 სექტემბერს — ყველაზე მასშტაბური ტერორისტული აქტის დღეს. წიგნში ასევე აღწერილია კურიოზები, რომლებიც ბუშს მისი პრეზიდენტობისას გადახდენია. ■

# ქართულმა მხარემ მალაიზიას ნოტა გაუგზავნა

საქართველოს ხელისუფლებამ ოფიციალურ კუალალუმპურს, მალაიზიაში დაკავებული ქართველების გამო სპეციალური ნოტა გაუგზავნა. ნოტა უკრაინაში მალაიზიის საელჩოს წარმომადგენლებს, ამავე ქვეყანაში საქართველოს ელჩმა, გრიგოლ ქათამაძემ გადასცა. როგორც ქათამაძემ ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნა, ნოტაში ქართული მხარე მალაიზიელ კოლეგებს დაპატიმრებული ქართველების შესახებ დეტალური ინფორმაციის მიწოდებას სთხოვს. ■



# მთვარეზე ვერცხლი და ალკოჰოლი აღმოაჩინეს

მეცნიერებმა დაადგინეს, რომ მთვარის ნაცრისფერი შეფერილობა ამ პლანეტაზე ვერცხლის არსებობითაა განპირობებული. მკვლევრებმა ძვირად ღირებულ მეტალს მთვარის ერთ-ერთი კრატერის, — კაბეუსის აფეთქებისას მიაგნეს. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მთვარის ნიადაგში ქიმიურ ნივთიერებებს — მეთანს, ამიაკს და ალკოჰოლსაც მიაკვლიეს. როგორც გაირკვა, თითოეული ნივთიერების წილი 100 გ გაყინულ წყალში 1,55 გ-ს წარმოადგენს. ■

*გამოყენებულია ინტერნეტპორტალ ambebi.ge-ს მასალები*

*რუბრიკა მოამზადა*
***ხათუნა ბახტურიძემ***

# ვისაც გჯერათ, გაიარეთ!

ლუკა დოლიძე

26 ოქტომბერს, პარლამენტის საშემოდგომო სესიის დაწყებამდე ხუთიოდე წუთით ადრე, პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე „მოულოდნელად მიიჭრა“ საბრიფინგო ტრიბუნასთან და შეკრებილთ „ახარა“: „საყოველთაოდ არის აღიარებული, რომ ძალიან მნიშვნელოვანია, საზოგადოებას ჰქონდეს ინფორმაცია, თუ ვინ არის მედიასაშუალების მფლობელი; რა ინტერესებს ემსახურება ესა თუ ის ადამიანი თუ ჯგუფი და როგორ ხდება მედიასაშუალების დაფინანსება... ეს არის ხელისუფლების ინიციატივა დემოკრატიული რეფორმების პაკეტიდან და კიდევ ერთი ნაბიჯი საქართველოში მედიის დამოუკიდებლობის ხარისხის გასაუმჯობესებლად“. პრეზიდენტის პრესსპიკერმა მანანა მანჯგალაძემაც არ დაახანა და საზოგადოებას სააკაშვილის „დანაბარები“ ამცნო: ეს ინიციატივა ჩემ მიერ გაეროს ტრიბუნიდან 2008 წელს გაკეთებულ განცხადებას შეესაბამება, რომელიც საქართველოში დემოკრატიული რეფორმების ახალ ტალღას შეეხებოდაო.



მე პირადად, დიდად არ მჯერა ამ ინიციატივისა და დავით ბაქრაძის განცხადების გულწრფელობისა. ვისაც სჯერა, კი, ბატონო, „გაგატარებთ“, მაგრამ სანამ ტაშს შემოსცხებთ ინიციატივის „ავტორთა“ სადიდებლად, არ დაგავიწყდეთ, რომ ახლა 2010 წლის ბოლოა და თუ 2008-ში სააკაშვილის მიერ გაეროში გამოცხადებული „დემოკრატიის მეორე ტალღა“ ახლაღა „მოასკდა“ ქართულ ნაპირს, მაშინ ვინძლო ამ ინიციატივის ცხოვრებაში დანერგვასაც იმდენი დრო დასჭირდეს, რომ ტელევიზიები აღარც იარსებებს და უფრო მაღალტექნოლოგიური საინფორმაციო საშუალებები დამკვიდრდება...

სიტყვა „ავტორები“ კი ამ ინიციატივასთან დაკავშირებით, შეგნებულად ჩავსვი ბრჭყალებში, რადგან არავინ იცის (თუმცა ყველამ იცის), ეს ამბავი მართლაც ხელისუფლების კეთილი ნებაა თუ მედიათავისუფლების ყოველწლიურ რეიტინგში დაკავებული, სამარცხვინო 99-ე ადგილისა და საერთაშორისო ორგანიზაციების (მათ შორის, რაც მთავარია, დონორი ორგანიზაციების) არაერთი მოთხოვნისა — მედიამფლობელების რეალურ ვინაობაზე „საიდუმლოს“ გრიფის მოხსნის შესახებ.

ჰოდა, ვისაც გჯერათ და ვინც „გაგატარეთ“, იმათ მინდა ვკითხო: იცით თუ არა, რომ არაფერიც არ არის გასაკეთებელი და უბრალოდ, ორმაგი სტანდარტის პოლიტიკაა შესაცვლელი?! იცით თუ არა, რომ კანონით, ისედაც შეიძლება ყველაფრის დადგენა და დარეგულირება?! მაგალითი გნებავთ? კი, ბატონო: 2007 წლის 7 ნოემბერს „იმედში“ სპეცრაზმი შეიჭრა, იქაურობა მილეწ-მოლეწა და... თუმცა ეს სხვა თემაა. ერთი სიტყვით, 7 ნოემბერს მაუწყებლობა შეწყდა, 12 დეკემბერს აღდგა, მაგრამ 29-ში ისევ შეწყდა, ოღონდ უკვე ჟურნალისტების „პროტესტის“ გამო — პატარკაციშვილი სარედაქციო საქმეებში ერევაო! თუმცა ხელისუფლებამ იმაზეც იფიქრა, რომ მხოლოდ ჟურნალისტების პროტესტი „ვერ გაქაჩავდა“, ბოლოს და ბოლოს, ტელევიზიის მფლობელი დაითხოვდა „მეამბოხეებს“ და თავის „მავნებლურ საქმიანობას“ გააგრძელებდა, ამიტომ სრულიად კანონიერი (მიაქციეთ ყურადღება — ამ სიტყვას ბრჭყალების გარეშე ვწერ) გზით გადაწყვიტეს პრობლემა: დაადგინეს, რომ „ტელე-იმედის“ 100%-ის მფლობელი არის ჯგუფი „ი-მედი“, ამ „ი-მედის“ 65% ეკუთვნის „ჯეიემ-ჯი-კონსალტინგ გრუპს“, ამის 15% კი — „არკადი პატარკაციშვილის დამოუკიდებელ საქველმოქმედო ფონდს“, ხოლო არკადი პატარკაციშვილი „ცუდი კაცია“, პრეზიდენტობა უნდოდა, ამიტომ 2008 წლის იანვარში მარეგულირებელმა კომისიამ „იმედს“ ლიცენზია შეუჩერა. ჰო, კიდევ — 2.500-ლარიანი(!)




# ერიჰა!

ჯარიმა აქვთ გადაუხდელიო!..

ხედავთ, ბატონებო? „თუ გული გულობს, ქადა ორივე ხელით იჭმებაო“ — ნათქვამია. უნდოდათ და 3-4 ორგანიზაციის „გავლით“ მივიდნენ პატარკაციშვილამდე და მიუხედავად იმისა, რომ 65%-ის 15% რეალურად, „ტელე-იმედის“ აქციების 10%-ს ნიშნავდა, გასაკეთებელი მაინც გააკეთეს. აქეთ რა ხდება — „ნაციონალურ“ „რუსთავ-მზე-იმედებზე“? ბაქრაძეს ახლა გახსენებია, რომ მათი მფლობელების ვინაობა ყველამ უნდა

„რუსთავი 2“-ის თავგადასავალი გავიხსენოთ



იცოდეს და ფინანსური ინფორმაციაც საჯარო უნდა გახდეს!

მაგისთვის აწუხებთ, ბ-ნო დავით, ამდენ ხალხს? ჩვენ „გაგახსენებთ“ ყველაფერს, თუკი რამ „დაგავიწყდათ“:

შორს რომ არ წავიდეთ, ისევ „იმედით“ დავიწყოთ: პატარკაციშვილის გარდაცვალებიდან ცოტა ხანშივე აღმოჩნდა, რომ განსვენებული ვერ იტანდა ვერც აქაურ და ვერც რუსეთში მყოფ თავის ცოლ-შვილს და მთელი ქონება დეიდაშვილისთვის — ახალგაზრდობაში სოსოია კაკალაშვილისთვის, ამჟამად — ჯოზეფ ქეისთვის უანდერძია(?!). მერე, ცხადია (კაკალაშვილს კი არა, საკუთარ მინისტრებს არ ენდობა ხელისუფლება) ქეი-კაკალაშვილმა „საკუთარი ნებით“ მიჰყიდა „იმედის“ 90% ცნობილი არაბული კომპანის RAKEEN-ის შვილობილ RAAK Georgian Hollding-ს. ამ 10%+90%-ით შეიქმნა Georgian Media Production Group, რომელიც „ტელე-იმედის“ 100%-ის მფლობელი გახდა და ყველაფერი „გაპრავდა“! ტაში! მაგრამ, როგორც ხუტა უფროსი იტყოდა: „ცუცა, სდექ!“ ბრიტანული „ნეიშენალისთვის“ მიცემულ ინტერვიუში, 2010 წლის დასაწყისში, „რაკიინის“ აღმასრულებელმა დირექტორმა ჰატერ მესედმა განაცხადა, არავითარი ტელევიზიის წილი საქართველოში არ მიყიდია, გიჟი კი არა ვარ: საქართველო პატარა ქვეყანაა და იქ ტელებიზნესი წამგებიანიაო! უბრალოდ, მე ჩემი სახელწოდება, როგორც ბრენდი, იქ არ დამირეგისტრირებია და ვიღაცამ ეს სახელი დაირქვაო!.. რა გამოდის ახლა, ბ-ნო დავით ბაქრაძევ?! ხელისუფლება გვატყუებდა?! „იმედის“ ოფისში იმ თეთრპერანგიანი და „ფატიანი“ კაცების მიყვანაც „ბლეფი“ იყო?! საერთოდ, არაბები იყვნენ ეგ კაცები თუ ქართველი მსახიობები?!

„იმედზე“ საუბარი მისი დირექტორით დავამთავროთ — ვინმეს „კარიერული კიბის“ ასეთი „კონსტრუქცია“ თუ გინახავთ: ეკონომიკის მინისტრი-კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის თავმჯდომარე-კერძო ტელეკომპანიის დირექტორი?! წინ მიიწევს ბიჭი, რას ერჩი?! არველაძის მიერ „ზემოთ“ შეთანხმებულ „მოდელირებულ ქრონიკაზე“ აღარაფერს ვიტყვი...

კარგი, ეს ამბები ბაქრაძემ არ იცოდა, ახლა „რუსთავი 2“-ის თავგადასავალი გავიხსენოთ: ძალიან შორს წავიდეთ და იმით დავიწყოთ, 2001 წლის ოქტომბერში, შევარდნაძის პოლიცია ტელევიზიაში რომ შევარდა; ვითომ საგადასახადო პრობლემების გამო, რეალურად კი თავისუფალი სიტყვის ასალაგმავად მისულ სპეცრაზმს არც „რუსთავი 2“ შეეპუა, ჩვენც — მათი კოლეგები მხარში ამოვუდექით, ხალხმაც ხმა აიმაღლა და საბოლოოდ, ეს ტელევიზია რომ „რევოლუციის ტრიბუნად“ იქცა, სწორედ ცხრა წლის წინანდელმა ამბებმა განაპირობა. მაშინ ეროსი კიწმარიშვილი იყო ამ არხის ერთპიროვნული მფლობელი და რევოლუციის „რუხ კარდინალადაც“ იმიტომ შერაცხეს. მერე, „მიშა ენდ კომპანიამ“ თამაშგარეთ რომ დატოვა, ეგ სხვა თემაა და ამაზე სხვა დროს ვილაპარაკოთ...

ჩვენც — მათი კოლეგები მხარში ამოვუდექით, ხალხმაც ხმა აიმაღლა



რა მოხდა რევოლუციის შემდეგ? ერთ თვეში დაიხურა „ღამის კურიერი“ და შემდეგ ყველა ტოქშოუ ყველა სხვა არხზე. კიწმარიშვილმა 2004 წლის ბოლოს „მოულოდნელად აღმოაჩინა“, რომ ეს ბიზნესი აღარ აინტერესებდა და „რუსთავი 2“ ბიზნესმენ ქიბარ ხალვაშს მიჰყიდა, რომელმაც, კიწმარიშვილისგან განსხვავებით, „აღმოაჩინა“, რომ შამპუნებისა და სარეცხი საპნის გარდა, სწორედაც ტელებიზნესი „იტაცებდა“. ხალვაში ახლაა „ძებნილი და კრიმინალი“, თორემ მაშინ იგი სააკაშვილთან ასოცირდებოდა („ჩერეზ ოქრუაშვილი“) და სამართლიანადაც. ოთხი წლის შემდეგ, როდესაც საბოლოოდ „გაებუტა“ „ნაციონალურ მოძრაობას“, კიწმარიშვილმა, როგორც იქნა, თქვა, — ძალით გამაყიდვინესო.

აი, რა ვქნა, ვერ ვითმენ, რომ არ ვუთხრა: უარესის ღირსი ხარ!

2006 წლის იანვარში ხალვაშის „რუსთავი 2“ ბეჟუაშვილის (ბეჟუაშვილების) „მზესთან“ გაერთიანდა. ვისაც გჯერათ, რომ ამ „ნებაყოფლობით“ გაერთიანებაში ბეჟუაშვილი არ უფროსობდა, კი, ბატონო, მიბრძანდით. მე კი ეკა ხოფერიასი უფრო მჯერა, რომელმაც იმავე წლის ივლისში პირდაპირ ეთერში განაცხადა, აქ მუშაობა შეუძლებელიაო და „რუსთავი 2“ დატოვა! მიზეზი ყველას მოგეხსენებათ. რაღაც ვერ ვიხსენებ, რომ მაშინ ან ბ-ნ დავით ბაქრაძეს, ან ბ-ნ გოკა გაბაშვილს (რომელმაც ისე მხურვალედ ისაუბრა პარლამენტის სხდომაზე, თითქოს აქამდე არ სმენოდა ამ პრობლემის შესახებ) რამე ეთქვათ... სამაგიეროდ, ერთ თვეში, გენერალური დირექტორი ნიკა ტაბატაძე და საინფორმაციო სამსახურის უფროსი თამარ რუხაძე გაათავისუფლეს და ყველამ იცის, რისთვის — არველაძესთან კონფლიქტის გამო. სწორედ არველაძის მეგობარი კობა დავარაშვილი გახდა ამის შემდეგ დირექტორი — უბრძანეს ხალვაშს და მანაც დანიშნა. ამ ამბებს კომპანიის 6 ჟურნალისტის წასვლა და დავარაშვილის საკუთრებაში მყოფი სარეკლამო კომპანიის რეკლამების „მოსვლა“ მოჰყვა.

სწორედ იმ წლის ბოლოს დაიწყო დღევანდელი სტატიის თემისთვის საინტერესო ამბები: ნოემბერში ხალვაშმა (ცხადია, „საკუთარი სურვილით“) „რუსთავი 2“ კომპანია „ჯეოტრანსს“ მიჰყიდა, რომელიც 2008-ში ორად გაიყო (ან — ქონება გაიყო ორმა სუბიექტმა): საქართველოს ინდუსტრიულ ჯგუფად და „ჯეომედიად“ (მარშალის კუნძულებზე რეგისტრირებული ოფშორული კომპანია). 2008 წელსვე, ახალ დირექტორს,

ირაკლი ჩიქოვანს ისე „მოსწონებია“ ტელემაგნატობა (არადა, საყოველთაო აღიარებით, ეს ბიზნესი წამგებიანია), რომ ორივე მფლობელისაგან 15-15% „შეუსყიდია“. უფრო საინტერესო კი ის არის, რომ ეს ინფორმაცია დახურული იყო, სანამ „გაბრაზებულმა“ კიწმარიშვილმა არ გამოამზეურა, მერე ვეღარ უარყვეს. სხვათა შორის, კიწმარიშვილმა ისიც დაამატა, — მარშალის კუნძულებზე დარეგისტრირებული „ჯეომედია“, ე.წ. „ოფშორი წარმომდგენზე“ პრინციპით იმართება ანუ იმის საკუთრებაა, ვინც შესაბამის აქციებს წარმოადგენს; ეს აქციები კი საკუთარი თვალით მაქვს ნანახი სააკაშვილის კაბინეტში, სეიფში რომ ინახავდაო(!!!)

რაო, ახლა თქვენ არ გჯერათ, ბ-ნო დავით? რა ვქნა, ახლა მე მჯერა და „გამატარეთ“!

როდესაც ბ-ნ ჩიქოვანს ჰკითხეს ამ ჩახლართული ურთიერთობების თაობაზე, მან მშვიდად უპასუხა, — არა მგონია, საჭირო იყოს ამ თემაზე საუბარიო...

ეს მაშინ... ახლა კი თურმე საჭიროც გამხდარა და პარლამენტის სამსჯელოც...

ეს თემა რომ საზოგადო განხილვის საგანი არ უნდა ყოფილიყო, ეს მარეგულირებელი კომისიის სამართლებრივი დეპარტამენტის უფროსმა, კახი ყურაშვილმაც განაცხადა ერთ-ერთი ჟურნალისთვის მიცემულ ინტერვიუში ამ წლის დასაწყისში, არგუმენტებითაც „გაამყარა“ თავისი მოსაზრება: ოფშორულ კომპანიებს მესაკუთრის უფლებებს ხომ არ შევუზღუდავთ, ეს მათი უფლებების დარღვევა იქნებაო (საინტერესოა, ბაქრაძეს თუ ეტყვის ამას ახლა?); კანონი ისედაც უზღუდავს გარკვეულ კატეგორიებს რაღაც უფლებებს და ეს კანონი მუშაობსო (ალბათ, პატარკაციშვილისთვის, როგორც პარტიის თავმჯდომარისთვის ლიცენზიის შეჩერება იგულისხმა), ოღონდ ის აღარ უთქვამს, ბეჟუაშვილებს რატომ შეუძლიათ ტელევიზიების პატრონობა, ან სააკაშვილს რაღაც აქციების „სეიფში ჩაკეტვა“, ან ზუგდიდის გამგებელს ტელეკომპანია „ოდიშის“ ფლობა?!

რაც მთავარია, მართლა რომ დავიჯერო, ბაქრაძესა და სააკაშვილს კეთილი განზრახვა აქვთ და სულაც აკრძალავენ ოფშორული კომპანიებისთვის ტელეკომპანიების მიყიდვას, ამის „წამალიც“ გვასწავლა ბატონმა ყურაშვილმა: ოფშორული კომპანია დააფუძნებს თავის შვილობილ კომპანიას საქართველოში, ის კიდევ — შვილობილს, მერე — „შვილიშვილს“, „შვილთაშვილს“ და ა.შ.; ის ბოლო „შთამომავალი“ აიღებს ლიცენზიას და, ბოდიში გამოთქმისთვის — „უყარე კაკალი...“ ხოლო თუკი რეალური მფლობელის ვინაობა გვაინტერესებს, კიდევ უარესად იქნება საქმე: ოფშორული კომპანიებიც საერთოდ უნდა აიკრძალოს საქართველოში (რაც თავისთავად აბსურდია, ისეთ ხალხს აქვს ბიზნესი მათი წყალობით), და, კიდევ უფრო წარმოუდგენელი — ტელეკომპანიების აქციების გაყიდვაც უნდა აიკრძალოს საერთაშორისო ბაზარზე (ცხადია, ყველა უცხოელ მყიდველს ჩვენი მაკონტროლებლები ვერ გააკონტროლებენ)...

დასკვნის სახით, იმის თქმა შეიძლება, რომ ბაქრაძის ინიციატივა „ჭიქაში ატეხილი ქარიშხალი“ და „თვალებში ნაცრის შეყრაა“ და მეტი არაფერი და ორ მიზანს ემსახურება: უცხოელ პარტნიორთა წინაშე საქმის მკეთებლებად თავის მოჩვენებასა და საკუთარი ხალხის წინაშე თავის მოწონებას „კიდევ ერთი დემოკრატიული ინიციატივით“.

არადა, როგორც უკვე ვთქვით, პოლიტიკური ნების არსებობის შემთხვევაში, დღეს მოქმედი კანონითაც შეიძლება რეალური მფლობელების გამოვლენაც და აუცილებლობის შემთხვევაში, ლიცენზიის ჩამორთმევაც, როგორც ეს პატარკაციშვილისა და „იმედის“ შემთხვევაში მოხდა.

*P.S. ისე, ვინ უნდა გაუუქმოს ტელეკომპანიას ლიცენზია? იმ მარეგულირებელმა კომისიამ, რომლის ერთი თავმჯდომარე (არველაძე) მერე „იმედის“ დირექტორი გახდა? თუ ამჟამინდელი თავმჯდომარე და „რუსთავი 2“-ის ყოფილი დირექტორი ჩიქოვანი გააკეთებს ამას, სულაც ბინ ლადენი რომ აღმოჩნდეს მისი საიდუმლო მფლობელი?..*

*იქნებ, იმაზე გეფიქრათ, ბ-ნო კანონმდებლებო, რომ ტელევიზიების ხელმძღვანელობაში ნამყოფ პირებს სახელმწიფო მარეგულირებელ ორგანოებში მუშაობა აკრძალვოდათ? ეს ისე, „წავიოცნებე“, ცხადია; თქვენ ამას არ გააკეთებთ...*

■



# საგანგებოდ გაწვალებული მაყურებელი და წიგნად გამოშვებული ფილმების ამბავი

ხათუნა ბახტურიძე



„გაუმართლებელი გადაწყვეტილება, მრავალი თვალსაზრისით“ — ასე შეაფასა ენათმეცნიერმა ლევან ღვინჯილიამ ტელეარხებზე ინგლისური ფილმების ქართული ტიტრებით ჩვენების ფაქტი. ამ ამბით არც რიგითი მაყურებლის ნაწილია აღფრთოვანებული. უკვე რამდენიმე კვირაა, მეზობლები, ნათესავები თუ უბრალოდ ნაცნობები გამუდმებით მეკითხებიან, თუ რა მიზანს ემსახურება ქართულ არხებზე ინგლისური ფილმების ჩვენება. მართალია, ამ საკითხზე საუბარი „რუსთავი 2“, „იმედისა“ და საზოგადოებრივი არხის წარმომადგენლებმა არ ისურვეს, მაგრამ რაღაც მაინც გავარკვიე. ე.ი. საქართველოს პარლამენტს ჯერ კიდევ შარშან მიუღია კანონი, რომლის მიხედვითაც, ლიცენზიების მფლობელი მაუწყებლები ვალდებული არიან, სამაუწყებლო ბადეში დასავლური წარმოების ფილმების 30% ქართულენოვანი სუბტიტრებით გაუშვან ეთერში. ხელისუფალთა ერთი ნაწილის აზრით, ამგვარი მეთოდით ტელევიზია მოსახლეობას ინგლისური ენის სწავლაში ეხმარება. მართლაც შესაძლებელია თუ არა ამ მეთოდით უცხო ენის შესწავლა — ამის გარკვევას ენათმეცნიერ ლევან ღვინჯილიასთან საუბრისას შევეცადე; რეჟისორ ნიკო წულაძეს კი იმის შესახებ ვკითხე, თუ რამდენად შესაძლებელია, ადამიანმა სუბტიტრების კითხვის პარალელურად, სიუჟეტის აღქმაც მოახერხოს? ამ საკითხთან დაკავშირებით თავიანთი აზრი აგრეთვე გამოთქვეს: ოფთალმოლოგმა მალხაზ ჩიქოვანმა და ფსიქოლოგმა რამაზ საყვარელიძემ.

ვიდრე პროფესიონალებს მივცემთ სიტყვას, რიგით მაყურებელთა შეხედულებებს გაგაცნობთ. სხვათა შორის, ერთმა ჩემმა მეგობარმა, რომელიც სულ ახლახან იმერეთის ერთ-ერთი სოფლიდან დაბრუნდა, მითხრა: „სოფელში მშობლების მოსანახულებლად ვიყავი ჩასული, ჩემმა მეზობლებმა და ნათესავებმა მთხოვეს, — თბილისში ცხოვრობ, ჟურნალ-გაზეთებისა და ტელევიზიების მესვეურებთან გაქვს საქმე და იქნებ ჩვენი ხმა კომპეტენტურ პირებს მიაწვდინოო: ეს ადამიანები ყანაში მუშაობით დაღლილები საღამოობით შინ რომ ბრუნდებოდნენ, ფილმების ყურებით იქცევდნენ თავს. ბევრი მათგანი ამბობს, რომ ერთდროულად ტიტრების კითხვასა და გამოსახულების ყურებას ვერ ახერხებს და იხვეწება, დღეგამოშვებით მაინც გაუშვან ქართულ ენაზე გახმოვანებული ფილმები. გარდა ამისა, ჩემი მეგობრები, რომლებიც ჯარში მსახურობენ, ადრე, ტელევიზორთან მოხვდებოდნენ თუ არა, მაშინვე „საქართველოს“ რთავდნენ (ბავშვობიდანვე უყვარდათ მძაფრსიუჟეტიანი ფილმები). ახლა, ვისაც კი ინტერნეტზე ხელი მიუწვდება, რუსულ ფილმებს უყურებს, ვისაც არა, წვება და იძინებს. არავისთვისაა საიდუმლო, რომ ჩვენმა ჯარისკაცებმა ინგლისური არ იციან და საღამოს, სამსახურიდან შინ დაბრუნებულებს ფილმების საშუალებით უცხო ენის სწავლის არც ხალისი აქვთ და არც სურვილი“.

ლოგიკურია, რომ ფიზიკური შრომით დაღლილი, ერთდროულად ეკრანზე ტიტრების სწრაფად კითხვასა და კადრში მიმდინარე მოქმედებების აღქმას ვერ ახერხებდეს. ამიტომ გადავწყვიტე, იმ ადამიანებს გავსაუბრებოდი, რომლებიც ინტელექტუალური შრომით არიან დაკავებულნი და ტექსტის სწრაფად კითხვაშიც განაფულნი გახლავან.

**ნატა ენუქიძე,** *ფილოლოგი:*

— საღამოს ტელევიზორს საერთოდ აღარ ვუყურებ, იმიტომ, რომ ამ სუბტიტრებიანი ფილმების გამო ნერვები მეშლება. გვეუბნებიან, ამ მეთოდით ინგლისურს ისწავლითო. ბოდიში, მაგრამ სოფელში, ეფროსინემ რა ქნას, რომლის ერთადერთი გასართობი — ტელევიზორია? რატომ აიძულებენ 80 წლის მოხუცს, რომ ინგლისური ისწავლოს?! თუ ხელისუფლება ახალგაზრდებზე ფიქრობს, სკოლებში გააძლიეროს უცხო ენის სწავლება. ტელევიზორში ფილმი იმისთვის გადის, რომ ადამიანმა ისიამოვნოს და დაისვენოს.

**ლალი ცნობილაძე,** *ადვოკატი:*

— ინგლისურ ფილმებს ქართული სუბტიტრებით არ ვუყურებ, იმიტომ, რომ ვერ ვასწრებ ერთდროულად ტექსტის წაკითხვასა და სიუჟეტის ყურებას. ყოველდღე მიწევს ტექსტის კითხვა, ამ საქმეში ნამდვილად განაფული ვარ, მაგრამ კეისარი არა ვარ, რომ ერთდროულად რამდენიმე საქმეს გავართვა თავი.

**გეგა მარსაგიშვილი,** *მხატვარი:*

— ტყუილად ატეხეთ ეს აჟიოტაჟი, არაფერი შავდება, ფილმები ინგლისურად რომ გადის. ახლა 29 წლის ვარ; 17 წლის ასაკში უკეთ ვიცოდი ინგლისური, ვიდრე ახლა ვიცი. ინგლისურენოვანი ფილმების ჩვენება უფრო ადრე რომ დაეწყოთ, ენა არ დამავიწყდებოდა.

**ეკა ლომიძე,** *ჟურნალისტი:*

— მხედველობა და ყურადღება ერთდროულად მეძაბება, რაც ფილმის აღქმაში ხელს მიშლის. ამ რამდენიმე დღის წინ იტალიურ სპექტაკლს ვუყურე. მიუხედავად იმისა, რომ იტალიური ენა საერთოდ არ ვიცი, ჟესტებითა და მიმიკით ყველაფერი გავიგე. იმიტომ, რომ მაღალმხატვრული ნაწარმოები იყო. ასევე დიდი სიამოვნებით ვუყურებ ორიგინალში კინოშედევრებს, მაგრამ არა იმ ფილმებს, რომლებსაც არანაირი მხატვრული ღირებულება არ გააჩნია.

**ნუცა აფციაური,** *სტუდენტი:*

— ძალიან კარგია, ინგლისურენოვანი ფილმების ორიგინალში ყურების საშუალება რომ გვეძლევა. ჯერ ერთი, ამით ენის ცოდნას გავიღრმავებთ, მერე კიდევ, ევროპაში ეს აპრობირებული მეთოდია და გარდა ამისა, ქართული თარგმანი დედანს ხშირად არ ემთხვევა. ასე რომ, ქართველი თარჯიმნების არაპროფესიონალურ ნაჯახირევს, ისევ ტიტრები სჯობია.

**ბექა კოზახიძე,** *ეკონომისტი:*

— ინგლისურენოვან ფილმებს ვუყურებ, რადგან ეს ენა ვიცი და ტიტრებზე დახედვა იშვიათად მიწევს. ისე, მირჩევნია, რომ საქართველოში, ქართულ ტელეარხებზე, ქართულად გახმოვანებულ ფილმს ვუყურო. იქნებ ვინმემ კონკრეტულად განგვიმარტოს, რატომ არის სავალდებულო ჩემს ქვეყანაში, ინგლისურად ვუყურო ფილმებს? ეს მეთოდი ევროპაში რომ არის აპრობირებული, ეგ არგუმენტად არ გამოდგება. არც ის არის არგუმენტი, ვითომ ინგლისურის სწავლაში ეხმარება ადამიანს. უცხო ენის შესწავლას ხელს უწყობს წიგნის კითხვა: საბჭოთა კავშირის დროს ტელევიზორს ყველა უყურებდა, მაგრამ რუსულს ის სწავლობდა, ვინც წიგნს კითხულობდა, ვინც არ კითხულობდა, ტყუილად უყურებდა ტელევიზორს. კინო ხელოვნების დარგია, ფილმის ჩვენების მიზანი ენის სწავლა კი არა, ფილმის დედააზრის მაყურებლამდე მიტანაა. ვინც ენა იცის და უბრალოდ გაღრმავება უნდა, ის ინტერნეტშიც მშვენივრად უყურებს ინგლისურენოვან ფილმებს. ისე, ხომ შეიძლება, ვინმე ფრანგულს ან გერმანულს სწავლობდეს და სულ არ აპირებდეს ინგლისურის სწავლას?!. ახლა რაც

გაგრძელება იხ. გვ. 14



# ავარია — შემზარავი ფაქტები და საგანგაშო სტატისტიკა

**ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ცნობით, ყოველწლიურად, 100 ათასი გარდაცვლილიდან 16,8% ავტოსაგზაო შემთხვევას ეწირება. ამ სავალალო სტატისტიკაში თავისი „წვლილი“ ჩვენს ქვეყანასაც შეაქვს: ავტოკატასტროფების რაოდენობით, საქართველო პირველ ადგილზეა სამხრეთ კავკასიაში. ქვეყანაში, სადაც მოსახლეობა 4 მილიონსაც ვერ აღწევს, ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად, დღე-ღამის განმავლობაში სხეულის მძიმე დაზიანებების ერთი ფაქტი მაინც ფიქსირდება, ხოლო 18 საათში ერთხელ, ადამიანის სიცოცხლე ეწირება... ეს შემაშფოთებელი ინფორმაცია ცოტა ხნის წინ, ქართულმა არასამთავრობო ორგანიზაციამ — „უსაფრთხო მგზავრობის ასოციაციამ“ გაავრცელა. მსხვერპლის რაოდენობის მაჩვენებელი ბევრად მცირეა ჩვენს მეზობელ აზერბაიჯანსა და სომხეთში.**



*ლალი პაპასკირი*

არასამთავრობო ორგანიზაციის — „პარტნიორობა გზების უსაფრთხოებისათვის“ — ოფიციალური მონაცემებით, ბოლო წლებში ქვეყანაში მსუბუქი ავტომობილების რაოდენობის გაორმაგების მიზეზი, ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება გახდა. რეგისტრირებული მსუბუქი მანქანების რაოდენობა 2004 წელს 256153-ს შეადგენდა, ხოლო 2009 წლისთვის — 685980-მდე გაიზარდა. აქვე აღსანიშნავია, რომ საგზაო კანონმდებლობა გამუდმებით იცვლება და მოძრაობის წესების დარღვევებისთვის დაწესებული ჯარიმების თანხები ორმაგდება...

ნიშანდობლივია, რომ დამრღვევებს შორის, მძღოლებთან ერთად, ფეხით მოსიარულეებიც არიან. ისინი არად დაგიდევენ საფრთხეს, ყურადღებას არ აქცევენ შუქნიშანს, არ სარგებლობენ მიწისქვეშა გადასასვლელებითა და გადასასვლელი ხიდებით... სავალალო შედეგის მომტანია გაუმართავი ავტომობილი, სამარშრუტო ტაქსი თუ ავტობუსი, რაც ასევე ხშირად იქცევა შეჯახების მიზეზად. თუმცაღა გზებზე ჩვენ მთავარ „მტრებად“ მაინც, გადაჭარბებული სისწრაფე და სიმთვრალე



## რეგისტრირებული მსუბუქი მანქანების რაოდენობა 2004 წელს 256153-ს შეადგენდა, ხოლო 2009 წლისთვის — 685980-მდე გაიზარდა

გვევლინება. სტატისტიკის მიხედვით, სწორედ ეს არის უმძიმესი ავარიების გამომწვევი მიზეზი. იმ ადგილებში, სადაც პატრულირება არ ხდება, მძღოლები სპირტიანი სასმლის დალევას თითქმის არ ერიდებიან, რაც შემდგომ სავალალო შედეგით სრულდება....

2010 წლის ივნისში ხევსურეთში მომხდარმა ტრაგედიამ მთელი საქართველო შეძრა. მანქანას ნასვამი მძღოლი მართავდა, ცუდ გზაზე საჭე ვერ დაიმორჩილა და დიდი სიჩქარით მიმავალი, მდინარეში გადავარდა. ჯიპში მჯდომი 11 მგზავრიდან 7 დაიღუპა, მათ შორის — მძღოლი, მინდია არაბული თავის ცოლ-შვილთან ერთად, და პოეტისა და მომღერლის, გელა დაიაურის მეუღლე, თეონა ქუმსიაშვილი, ორივე შვილთან, დასა და დისშვილთან ერთად...

დაგვეთანხმებით, ბოლო დროს განსაკუთრებით გაიზარდა გზებსა და ავტომაგისტრალებზე მომხდარი ავარიების რიცხვი. ჩვენი რესპონდენტებიც მათი ოჯახებისა და ნათესავებისთვის ტრაგიკულად დასრულებული შემთხვევების შესახებ მოგვითხრობენ.

**ნატო ნაცვლიშვილი:**

— 2007 წლის 3 მაისს, თბილისში, ფეიქრების ქუჩაზე, ჩემი დეიდაშვილი, ბესო ზაქრაძე და მისი ბიძაშვილი, ზაურ ზაქრაძე სამსახურიდან ბრუნდებოდნენ, როცა საპირისპირო მიმართულებით მომავალი „ბეემვე“ დაეჯახა. ძიების შედეგად გაირკვა, რომ ნასვამი მძღოლი მანქანას დიდი სიჩქარით მართავდა, საჭე ვერ დაიმორჩილა, სავალი გზიდან გადასულა, ბორდიურზე ავარდნილა და ორივე ბიჭი გაუტანია... დარტყმის შედეგად, ორივე ადგილზევე დაიღუპა. ზაური იქვე დაგდებული იპოვეს, ჩემი დეიდაშვილი კი მანქანამ 14 მეტრის მანძილზე „ათრია“... გარდაცვლილს ცალი ფეხი მოწყვეტილი ჰქონდა... ბესო 27 წლის იყო, ოჯახი არ ჰქონდა; ზაურს კი ცოლი და ორი მცირეწლოვანი შვილი დარჩა. „ბეემვეს“ მძღოლი დააპატიმრეს და 7 წელი მიუსაჯეს, რის გამოც გაოგნებული დავრჩით. დამნაშავისთვის სამუდამო პატიმრობაც რომ მიესაჯათ, ეს გარდაცვლილებს ველარ გაგვიცოცხლებდა, მაგრამ როცა ადამიანი თავისი დაუდევრობის გამო ასეთ მძიმე დანაშაულს სჩადის, პასუხიც უნდა აგოს და შესაბამისადაც დაისაჯოს.

**გულნარა წიწიბაძე:**

— იმ დღეს ჩემს შვილს „ბოლო ზარი“ ჰქონდა. მეგობრის მანქანით მცხეთიდან მოდიოდნენ და საპირისპირო მიმართულებით მოძრავ ჯიპს შეასკდნენ... მანქანაში მჯდომი 5 ახალგაზრდიდან ერთი გარდაიცვალა — ქალა-ფუძის მოტეხილობა ჰქონდა, დანარჩენები გადარჩნენ, მაგრამ სხეულის მძიმე დაზიანებები მიიღეს. ჩემს შვილს ხერხემალი დაუზიანდა და ინვალიდის ეტლს სამუდამოდ მიეჯაჭვა... ბოლო დროს ძალიან დაითრგუნა, ხშირად მეკითხება, — შენ რომ აღარ მეყოლები, დედა, რა მეშველებაო?!.

*მძღოლების თქმით, ზაფხულობით ავტოავარიების რაოდენობა მატულობს, რასაც ისინი „სეზონურ სენს“ უწოდებენ. ამ დროს გამოუცდელი მძღოლები, ე.წ. „ხიშნიკები“ მიკროავტობუსებს ქირაობენ და სხვადასხვა რაიონში რამდენიმე დღის განმავლობაში გადაბმულად მუშაობენ. სახელმწიფოს მათი კონტროლის მექანიზმი ჯერჯერობით არ გააჩნია.*

*2006 წლის ზაფხულში თბილისი-სენაკის ავტომაგისტრალზე დიდი სიჩქარით მიმავალი მიკროავტობუსი ბოძს შეასკდა და ამოტრიალდა; 11 მგზავრი ადგილზევე დაიღუპა. გარდაცვლილთა შორის, ერთი კვირის შეუღლებული წყვილი იყო. ახალგაზრდები დასავლეთ საქართველოდან ლილოს ბაზრობაზე ტანსაცმლის შესაძენად მოდიოდნენ. გარდაცვლილი გოგონას დედის თქმით, საქმის ძიების შემდეგ გაირკვა, რომ მიკროავტობუსის მძღოლი ნარკოტიკების ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა.*

**ნანა კილასონია:**

— მაშინ ჩემი ქალიშვილი 19 წლის იყო. მასა და ჩემს სიძეს 3 წელი უყვარდათ ერთმანეთი. ირაკლი ჯარში მსახურობდა, ერაყში იყო წასული; იქიდან როგორც კი ჩამოვიდა, მაშინვე გაიპარნენ. წინააღმდეგი ვიყავი: ჩემი გოგონა მეორე კურსის სტუდენტი იყო და, ჯერ რა ეჩქარება-მეთქი?! — ვამბობდი... სიძე დედისერთა იყო, ობლობაში გაზარდა დედამისმა: მამა აფხაზეთში, ომის დროს დაიღუპა — სოხუმის დაბომბვაში მოყვა თურმე; ამ დროს ცოლი მეორე შვილზე იყო ფეხმძიმედ... როცა ყველა გზა ჩაიკეტა, იძულებული გახდა, კოდორის ხეობიდან გადმოსულიყო. მაშინ ირაკლი 1 წლისა 3 თვის იყო... 10-დღიანი მტანჯველი და დაუსრულებელი მგზავრობის შედეგად, დედამისს მუცელი მოეშალა და კინაღამ გადაჰყვა. სასწრაფოდ ოპერაცია გაუკეთეს და ძლივს გადაარჩინეს... ძალიან არ უნდოდა, მისი შვილი სამხედრო მოსამსახურე გამხდარიყო, მაგრამ ირაკლიმ არავის დაუჯერა თურმე... მასა და ჩემს შვილს ძალიან უყვარდათ ერთმანეთი და მეც აღარ გავჯიქებულვარ... ახალშეუღლებული წყვილი მე თვითონ მივაცილე მიკროავტობუსამდე. შინაგანად, რაღაცნაირად აფორიაქებული ვიყავი, მაგრამ იმ ლამის ნახევარ მსოფლიომოვლილ ბიჭს ვერ ვაკადრე, არ წახვიდეთ-მეთქი, შემეშინდა, არ იფიქროს, — მგონი, ეს ქალი შვილს არ მანდობსო... ერთი სიტყვით, მომერიდა და არაფერი ვთქვი, თუმცა მძღოლის სახე ძალიან არ მომეწონა — მეტისმეტად დაღლილი, მოთენთილი ჩანდა. ვკითხე კიდეც, — გადაღლილი ხართ-მეთქი? ღიმილით მიპასუხა, — დილას ჩამოვედი, ქალბატონო, ორი საათი მეძინა და იმიტომ მაქვს ასეთი სახე; არა უშავს, ახლა ცხელ ყავას დავლევ და აზრზეც მოვალო... მერე ტელევიზორში, საინფორმაციო გამოშვებაში ვნახე ამოტ-





რიალებული და დალეწილი მიკროავტობუსი და გულში გამკრა. მობილურს მივვარდი, მაგრამ არც ერთი არ მპასუხობდა. მაშინვე მივხვდი, რაც მჭირდა... ერთი შვილის შემცვლელი მეორე ვერასდროს იქნება, მაგრამ მე კიდევ ორი შვილი მყავს და ჩემს ცხოვრებას როგორღაც გავათრევ, იმ ქალის საცოდაობამ კი ბოლო მომიღო... როგორც შემდეგ გვითხრეს, მძღოლი ნარკოტიკების ზემოქმედების ქვეშ ყოფილა და საჭესთან ჩაეძინაო... ყველამ იცის, რომ სასწავლო წლის დასაწყისში უამრავი ადამიანი, ვისაც კი მართვის მოწმობა აქვს და მანქანა ჰყავს, მაგრამ შორ გზებზე მანქანის ტარების გამოცდილება არა აქვს, მგზავრებს შეკრებს და სხვადასხვა მიმართულებით დაჰყავს... ამ დროს, როცა ბევრი მგზავრია, დასწრებაზე არიან და დღე და ღამე შეუსვენებლად მუშაობენ, რათა კლიენტები არ დაკარგონ. მესმის, რომ ხალხს უჭირს, მაგრამ იმ უბედურმა ჩვენც დაგვღუპა და თავიც დაიღუპა — 12 წლით პატიმრობა მიუსაჯეს...

*ახალი კანონმდებლობის თანახმად, ყველა დარღვევისთვის დაწესებული საჯარიმო თანხა გაიზარდა და რამდენიმე სიახლის დანერგვაც იგეგმება: მაგალითად, დეკემბრიდან, როგორც ქალაქის ქუჩებზე, ასევე ავტომაგისტრალებზე, აუცილებელი იქნება ღვედების გამოყენება, წინააღმდეგ შემთხვევაში, მძღოლი 40 ლარით დაჯარიმდება. ხელისუფლების წარმომადგენლები იმედოვნებენ, რომ ამ სიახლის წყალობით, ავტოავარიის შემთხვევაში, მძღოლი და მგზავრები უფრო მეტად იქნებიან დაცულნი. არგუმენტად მათ მედისონის (აშშ) უნივერსიტეტის კვლევის შედეგები მოჰყავთ: ამერიკელთა მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, საავტომობილო ავარიებში მიღებული დაზიანებების ნახევარზე მეტი 64 კმ/სთ სიჩქარით მოძრაობისას ხდება; აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ ღვედს ყველა მძღოლი შეიკრავს, ყოველწლიურად 5500 ადამიანი გადაურჩება დაღუპვას, 132000 კი — სხეულის მძიმე დაზიანებას. აშშ-ში შედგენილი სტატისტიკური მონაცემებით, ავტოავარიაში ყოველწლიურად, დაახლოებით 35 ათასი ადამიანი იღუპება; მათგან 50%, ღვედის გამოყენების შემთხვევაში გადარჩებოდა...*

*რამდენად ეფექტიანი აღმოჩნდება ამ სიახლის შემოღება, დრო გვიჩვენებს. მანამდე კი პროფესიონალიზმის ნაკლებობის, მანქანის მთვრალ მდგომარეობაში მართვის, გაუმართავი ავტომობილით გადაადგილების, დაუდევრობისა და სხვა უამრავი მიზეზის გამო მომხდარი ავტოკატასტროფების სტატისტიკას გაგაცნობთ:*

**მიმდინარე წლის იანვარ-აგვისტოს მონაცემებით ავტოსაგზაო შემთხვევათა რიცხვმა 7 ათასს გადააჭარბა და შედეგად, 10 ათასი ადამიანი დაზარალდა**

*2003 წელს საქართველოში სულ 2113 ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა, 2585 ადამიანი დაშავდა; 2004-ში — 2936 ავარია, 4069 ადამიანი; 2005-ში — 3870 შემთხვევა, 5546 ადამიანი, 2006-ში — 4795 ავარია, 7084 ადამიანი, 2007-ში — 4946 ავარია, 7349 ადამიანი, 2008-ში — 6015 ავარია, 9063 ადამიანი დაშავდა. 2009 წელს ავტოსაგზაო შემთხვევათა რიცხვი 6015-მდე გაიზარდა, ხოლო დაშავებულთა რაოდენობა — 9063-მდე. მიმდინარე წლის იანვარ-აგვისტოს მონაცემებით ავტოსაგზაო შემთხვევათა რიცხვმა 7 ათასს გადააჭარბა და შედეგად, 10 ათასი ადამიანი დაზარალდა. დაბოლოს, ყველაზე მძიმე მაჩვენებელი: ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, სხვადასხვა მიზეზით მომხდარ ავტოკატასტროფებს ამ წლების განმავლობაში 4418 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა...*

■



დასაწყისი იხ. გვ. 10

შეეხება, არაპროფესიონალურ თარგმანს: დიქტორი გაახმოვანებს არასწორად გადათარგმნილ წინადადებას თუ სუბტიტრების საშუალებით შეიყვანენ მაყურებელს შეცდომაში, რა მნიშვნელობა აქვს?!

**დათო გულიაშვილი,** *არქიტექტორი:*

— მე მგონია, რომ საკითხისადმი ამგვარი მიდგომა გარკვეულწილად აკნინებს საქართველოს სახელმწიფო ენის როლს. ჩემი აზრით, სახელმწიფომაც და მასმედიამაც საკუთარი რესურსები უფრო მეტად უნდა მოახმაროს ქართული ენის პოპულარიზაციას ქვეყნის მასშტაბით: მარნეულში ვცხოვრობ და მერწმუნეთ — ჩემ გარშემო საკმაოდ ბევრმა ადამიანმა ქართული ენა საერთოდ არ იცის.

**გურამ გოგრიჭიანი,** *ისტორიკოსი:*

— ფილმის ორიგინალში ყურება ჯობია, თუ ის ენა იცი, რა ენაზეც ფილმია გადაღებული. მაგალითად, მე რუსული ფილმების




ნახვა რუსულად მირჩევნია. სხვათა შორის, ესპანურიც ვიცი. აი, ინგლისური კი არ ვიცი; მინდა თუ არა, მაინც უნდა ვისწავლო?.. თუ არ ვისწავლი, უნდა ვიჯდე და „კინო ვიკითხო“?! ბარემ წიგნად გამოვუშვათ ფილმები და ეგ იქნება!.. მაგას ისევ ქართულად ცუდად ნათარგმნი მირჩევნია.

**რამაზ საყვარელიძე,** *ფსიქოლოგი:*

— მშობლიურ ენაზე თარგმნილი ტიტრებით უცხოენოვანი ფილმის ყურება ადამიანის გაღიზიანებას იწვევს. ამის მიზეზი კი ის გახლავთ, რომ ყურადღების გადანაწილება ანუ ერთდროულად, ტიტრების კითხვა და ეკრანზე მომხდარი მოქმედების აღქმა ადამიანურ შესაძლებლობებს აღემატება. ტიტრებიანი ფილმის ჩვენება მსოფლიო პრაქტიკიდან უკვე ამოღებულია, იმიტომ, რომ მაყურებელს ორჯერ უწევს ასეთი ფილმის ნახვა: ერთხელ — ტიტრები უნდა წაიკითხოს, მეორედ კი — გამოსახულებას მიადევნოს თვალი. არის კიდევ ერთი ნიუანსი: როდესაც ეკრანს დიდასოებიანი სუბტიტრები ადევს, გარკვეულწილად მაინც იზოგება ადამიანის ნერვები, მაგრამ ისეთი მომცრო ტიტრები, როგორისაც დღეს გვთავაზობენ, გაღიზიანებას იწვევს. სუბტიტრებით ინფორმაციის მიღება ნამდვილად არაკომფორტულია. ეს თანდათან, აუცილებლად გამოიწვევს აუდიტორიის დაკარგვას.

**მალხაზ ჩიქოვანი,** *ოფთალმოლოგი:*

— სუბტიტრების კითხვის დროს თვალი იღლება და დროთა განმავლობაში, მხედველობასთან დაკავშირებულ პრობლემებს წარმოშობს. ასეთი ფილმების სისტემატურ ყურებას მსოფლიოში არც ერთი თვალის ექიმი არ გირჩევთ.

**ნიკო წულაძე,** *რეჟისორი:*

— ხშირად, ტექსტზე მეტად მნიშვნელოვანია იმის აღქმა, თუ რა ხდება კადრში. იმისათვის, რომ მაყურებელმა „საწყალი“ რეჟისორისა და შემოქმედებითი ჯგუფის ნაწვალებ-ნაჯახირევის 20% მაინც აღიქვას, ფილმს კინოთეატრში, ბნელ დარბაზში, სიჩუმეში უნდა უყუროს. ფილმში, ხმისა და გამოსახულების გარდა, მილიონი ისეთი ნიუანსია, რომლებიც სიუჟეტის აღქმაში გეხმარება. ნამდვილი რეჟისორი ცდილობს, ფერით, მუსიკით, სიჩუმითაც კი რაღაც განწყობილება შექმნას. ძალიან ბევრი რამეა დამოკიდებული მსახიობის ხმის ინტონაციაზეც. როცა ფილმს დიქტორი ახმოვანებს, ხასიათი და ინტონაცია იცვლება და რეჟისორის წვალებაც წყალში იყრება. ნამდვილად ჯობს, რომ კარგი ფილმი ორიგინალში ნახო. მე შემოქმედებაზე ვსაუბრობ და არა — მასკულტურაზე. ისეთ ფილმებს, რომლებსაც ხელოვნებასთან არანაირი კავშირი არა აქვს და შინაარსის 80% ტექსტით გადმოიცემა, 20% კი — გამოსახულებით, მე „რადიოს“ ვეძახი. აი, რადიოს ადამიანმა ნამდვილად უნდა უსმინოს; ასეთ შემთხვევაში, ტიტრები საჭირო კი არა, ხელისშემშლელიცაა. ჩემი ფილმის — „სინანულის სანაპიროს“ ნაწილს სუბტიტრები ადევს, ნაწილი კი გახმოვანებულია. როგორც კი ფილმში დიქტორის ხმა ირთვება, განწყობილებაც მაშინვე იკარგება. მის ხმაში არც სამშობლოდან გადახვეწილი ადამიანის ემოცია იგრძნობა, არც სითბო და არც ნოსტალგია. დიქტორი ცდილობს, დროზე გადათარგმნოს და მოგაწოდოს ინფორმაცია. სხვათა შორის, ადრე ჩვენთან ძალიან კარგი დუბლაჟის სკოლა იყო. მსახიობები პროფესიულ დონეზე სწავლობდნენ, თუ როგორი ინტონაციით უნდა გაეხმოვანებინათ ესა თუ ის ტექსტი. ახლა ასეთი რამ, სამწუხაროდ, აღარ არსებობს. მე თუ მკითხავთ, ორივე საჭიროა — სუბტიტრებიც და გახმოვანებაც. კონკრეტული ფილმის შემთხვევაში, სპეციალისტებმა და კომპეტენტურმა პირებმა უნდა გადაწყვიტონ, რომელ ფილმს დაადონ ტიტრები და რომელი ფილმი გაახმოვანონ.

**ლევან ღვინჯილია,** *ენათმეცნიერი:*

— სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში არცთუ იშვიათად, გადაწყვეტილებებს ყოველგვარი განსჯის გარეშე იღებენ. ვიდრე პარლამენტი უცხოენოვანი ფილმების ქართული ტიტრებით ჩვენებასთან დაკავშირებით კანონს მიიღებდა, არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტმა (ეს ის ინსტიტუტია, სადაც არა მხოლოდ შეისწავლებოდა ქართული და მთის იბერიული ენები, არამედ მზადდებოდა ქართული ენის სალიტერატურო ნორმები; ინსტიტუტში ამჟამადაც არის შესაბამისი განყოფილება, მაგრამ თავის დროზე, ეს ხელისუფლების სისტემაში არსებული, საქართველოს სახელმწიფო ენის მუდმივი სახელმწიფო კომისიის საბაზო დაწესებულება იყო; ეს კომისია უკვე გააუქმეს და ამ დაწესებულებას საბაზო დაწესებულების ფუნქცია აღარ აქვს) ამ საკითხთან დაკავშირებით, კატეგორიულად საწინააღმდეგო დასკვნა დაწერა. პარლამენტმა ამას ანგარიში არ გაუწია და ჩემ მიერ ნახსენები კანონპროექტი კანონად აქცია. არ ვიცი, ამის მიღმა რა დგას, მაგრამ ფაქტია, რომ ყოვლად გაუმართლებელი გადაწყვეტილებაა. მავანი ამბობს, რომ ყური გაიხედნება და ინგლისურის მოსმენას შეეჩვევა. ვინც ინგლისურს ისედაც სწავლობს, მათ ეს მეთოდი გარკვეულწილად, მართლაც წაადგებათ, მაგრამ ინგლისურის არმცოდნე მაყურებელს სუბტიტრებიანი ფილმები, საგანმანათლებლო ღონისძიებების გატარების გარეშე ენის შესწავლაში ვერ დაეხმარება. გარდა ამისა, ფილმი ეკრანზე იმისთვის კი არ გადის, რომ ინგლისური გვასწავლოს, არამედ იმისთვის, რომ ეს ნაწარმოები გავიცნოთ. ე.ი. ყურის გახედვნის საკითხი აქ არ დგას. სამწუხაროდ, არავის დაუზუსტებია, არის თუ არა შესაძლებელი, ერთდროულად ტიტრის კითხვაც და ფილმისთვის თვალყურის დევნებაც, მაგრამ თითოეული ჩვენგანი თუ საკუთარი გამოცდილებიდან გამომდინარე გამოვიტანთ დასკვნას, დავრწმუნდებით, რომ ეს შეუძლებელია. არა მგონია, ქართული ტექსტის წაკითხვა სხვაზე ნაკლებად შემეძლოს, კითხვა ნამდვილად ვიცი, მაგრამ ამ ფილმებს არ ვუყურებ, რადგან რამდენჯერაც ვცადე, იმდენჯერ ისეთი შეგრძნება გამიჩნდა, თითქოს ვიღაც საგანგებოდ მაწვალებს. ძალიან მაწუხებს ის ფაქტი, რომ პარლამენტის მიერ მიღებული კანონი რატომღაც, ბრაზილიურ სერიალებზე არ ვრცელდება. ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ ფილმის ყურების მოსურნეთა უმრავლესობა, ისინიც კი, ვინც ადრე სხვებზე ქილიკობდნენ, ახლა თავად გახდნენ სერიალების მაყურებლები. ყველამ კარგად ვიცით, სადავო არავისთვის არის ის ფაქტი, რომ სერიალები ადამიანის გამოთაყვანებას უწყობს ხელს. კი, მაგრამ რის პროპაგანდას ეწევა ხელისუფლება, ცხოვრების რა წესი შემოდის ჩვენს ქვეყანაში და საით მიჰყავთ ჩვენი მოქალაქეების ცნობიერება? კარგი იქნება, თუ საზოგადოება ამ საკითხზე სერიოზულად დაფიქრდება. იმისათვის, რომ მაყურებელი სერიალებს უფრო მეტად მიეჯაჭვოს, მათი დემონსტრირება სუბტიტრებით არ ჩაითვალა მიზანშეწონილად, ეს ფაქტი ჩემთვის ნათელს ხდის სუბტიტრების მომხრეთა ვერაგულ ჩანაფიქრს, რისი გამოაშკარავებაც მხოლოდ დროის საკითხია. ■


„კვირის პალიტრის" კოლექცია
„დიდი მხატვრები"
წიგნების სერია რჩეულ ფერმწერებზე - შედევრები და ისტორიები
წიგნი XIII
რემბრანდტი
15-დან – 22 ნოემბრამდე
მხოლოდ „კვირის პალიტრის" მკითხველისთვის სპეციალური ფასი 15 ლარი!
I, II, III, IV, V, VI, VII, VIII, IX, X, XI და XII ტომი.
ყურადღება: წიგნის მაღაზიებში გაყიდვაშია!
„კვირის პალიტრის" ხელმომწერთა საყურადღებოდ! წიგნის შეძენის მსურველები
დაუკავშირდით „ელვა.ჯი"-ს ტელ: 38-26-73/38-26-74 კურიერი სერიის ყოველ ტომს ადგილზე მოგართმევთ

# სიძე-სიდედრობით დაწყებული მეგობრობა



**ერთი წლის წინ, ცნობილი პოლიტიკოსი, ფრაქცია „ახალი მემარჯვენეების“ ერთ-ერთი ლიდერი, დავით საგანელიძე დაქორწინდა. მისი მეუღლე, სოფო ფარცხვალაძე გახლავთ. საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ წყვილმა ერთმანეთი ერთ-ერთ აფთიაქში გაიცნო, სადაც სოფო ფარმაცევტად მუშაობდა. მათ მალევე გადაწყვიტეს დაოჯახება და ახლა უკვე პატარა ბიჭიც ჰყავთ.**

**შარშან მათ შესახებ არაერთი ჭორი გავრცელდა: ბევრი ირწმუნებოდა, რომ წყვილი გაიყარა. მაგრამ მალევე გაირკვა, რომ ამ ჭორს სინამდვილესთან არაფერი ჰქონდა საერთო. მაშინ ისიც შევიტყვე, რომ თურმე დათოს ახალგაზრდა და მომხიბვლელი სიდედრი ჰყოლია. ქალბატონ მარიკა სანოძეს დავუკავშირდი და ინტერვიუსთვის შინ ვეწვიე.**

*ნათია ჟივიძე*

— **როდის გახდა დათო საგანელიძე მამა?**

— ჩვენი პატარა 5 ოქტომბერს დაიბადა. 3 კილოსა და 900 გრამს იწონიდა. ძალიან უცნაურია, რომ ბავშვი „მარჯვენა ხელით გაჩნდა“ (დაბადებისას, მარჯვენაზე მოდიოდა დატვირთვა). სოფოს მეანი ზურა დარახველიძე მოსალოცად რომ გამოვიდა, პირველი ის გვითხრა, — პატარა „მემარჯვენე“ დაიბადაო. დათო მთელი დღის მანძილზე არანორმალურად ნერვიულობდა და ეს ამბავი რომ გაიგო, ძალიან გაუხარდა. პირველ რიგში, ის იყო სასიხარულო, რომ სოფოცა და პატარა ნოდიკოც საუცხოოდ გრძნობდნენ თავს.

— **როგორც ვიცი, ამჟამად პატარა ნოდიკო თქვენთან ცხოვრობს.**

— სოფო და ნოდიკო ჯერჯერობით ჩემთან არიან, როგორც ეს ტრადიციის მიხედვით ხდება. გვინდა, მეორმოცე დღეს მოვნათლოთ — მანამდე ჩემთან იქნებიან, მერე კი თავიანთ სახლში გადავლენ. ვერ წარმოიდგენ, თუ რა წყნარი და საყვარელი ბავშვია! მისი ერთადერთი პრობლემა — დროულად გამოცვლა და ჭამაა, სხვა შემთხვევაში არ ტირის. ბავშვი საოცრად ჰგავს მამამისს. ხშირად გამიგონია, — ბიჭი დედას ემსგავსებაო; ჩვენს შემთხვევაში საქმე სხვაგვარადაა, რადგან ნოდიკო — „პატარა დათოა“. იმედი მაქვს, რომ მომავალშიც მამამისივით სასახელო ვაჟკაცი გაიზრდება.



— **ასეთ ახალგაზრდა ასაკში ბებიობას როგორ შეეგუეთ?**

— იდეალურად. ფსიქოლოგიურად ვიყავი მომზადებული. ვიდრე ნოდიკო დაიბადებოდა, სულ საბავშვო მაღაზიებში დავდიოდი და ყველა მათგანი „ავითვისე“. საერთოდ, არანორმალურად მიყვარს ბავშვები. ქუჩაში გამვლელ ნებისმიერ ბავშვს შემიძლია მოვეფერო. რატომღაც, ყველას „ბებოთი“ მივმართავ. ჩემი მეგობრის, ნანა მელქაძის შვილი ნოდიკოზე 19 დღით უფროსია. ის ჩემი მომავალი ნათლული და ნოდიკოს ძუძუმტეა. ნანამ თავისი შვილი ჩვენთან მოიყვანა სტუმრად და მასაც სულ „ბებოს“ ძახილით ვეფერებოდი. არადა, მე და ნანა თითქმის ტოლები ვართ და იმ ბავშვს ბებიად ნამდვილად არ ვეკუთვნი, მაგრამ ეტყობა, ჩემში იმდენად იჯდა ეს „ბებო“, რომ ყველას ასე მივმართავ...

— **„ნოდარი“ ვის პატივსაცემად დაარქვით?**

— დათოს მამის, რომელიც სამწუხაროდ, ვერ მოესწრო ამ დიდ ბედნიერებას.

— **დათო და სოფო ბავშვის სახელზე წინასწარ იყვნენ შეთანხმებულები?**

— ორივეს სურვილი ასეთი იყო. კარგად მახსოვს, ბავშვის სქესი ხარება დღეს, 7 აპრილს შევიტყვეთ. მაშინვე უთხრა სოფომ დათოს, — პატარა ნოდარი დაიბადებაო, — და ასეც მოხდა.

— **როცა დათოსა და სოფოს სიყვარულის ამბავი შეიტყვეთ, რა რეაქცია გქონდათ?**

— მათი სიყვარული საკმაოდ მოკლე პერიოდში დაგვირგვინდა — ისე, რომ გაფიქრების, დაფიქრების და გააზრების საშუალება ჩემმა სიძემ არ მომცა. როცა მათი ამბავი გავიგე, ყველაფერი უკვე მყარად ჰქონდათ გადაწყვეტილი. როგორც უნდა გავგიჟებულიყავი, მაინც ვერ მოვერეოდი. ჩემზე გაცილებით ძლიერი აღმოჩნდა მათი გრძნობა. დღევანდელი გადასახედიდან შემიძლია ვთქვა, რომ ისინი ნამდვილად ბედნიერები არიან.

— **როგორ გიგიმხილათ სოფომ თავისი სიყვარულის ამბავი?**

— მაშინ თბილისში არ ვიყავი, გონიოში ვისვენებდი. ყველამ იცის, რომ მათ ერთმანეთი აბსოლუტურად შემთხვევით, აფთიაქში გაიცნეს. როცა სოფო მორიგე იყო,



მთელი ღამე ფხიზლად ყოფნა უწევდა და ხშირად მირეკავდა. იცოდა, რომ იმ ღამეს ვერც მე დავიძინებდი. ერთ-ერთი სატელეფონო საუბრის დროს მითხრა, — დათო იყო შემოსული, „მემარჯვენეებიდან“, მისი გვარი არ მახსოვს; შენ იცი ყველას სახელი და გვარი და აბა, ჩამოთვალეო. მეც ჯერ გამყრელიძის გვარი მომადგა ენაზე... მითხრა, — ეგ არაო. მერე „საგანელიძე“ ვთქვი და, — კი, ეგ იყოო... სხვათა შორის, ძალიან კარგი კაციაო, — დასძინა და მეც ვუთხარი, — ნამდვილად, არაჩვეულებრივი ადამიანიამეთქი. არ ვიცი, რატომ, მაგრამ ალბათ გულმა მიგრძნო — ძალიან ავფორიაქდი და მეორე დღესვე დავბრუნდი თბილისში... მერე დათომ სოფო ვახშამზე დაპატიჟა და ასე, ნელ-ნელა გაღვივდა მათ შორის გრძნობა. სხვათა შორის, ახლა დათო ამბობს ხოლმე, რომ თავიდანვე სოფოს თავმდაბლობა და ზრდილობა მოეწონა.

— **მანამდე დათოს პირადად არ იცნობდით?**

— არა, როგორც ყველა, მეც მხოლოდ მის პოლიტიკურ კარიერას ვიცნობდი.

— **აბა, სოფოს რატომ უთხარით თავიდანვე, კარგი ადამიანიაო?..**

— ბევრჯერ მსმენია მის შესახებ, მაგრამ არასდროს, ცუდი არაფერი გამიგონია; მისი მაძაგებელი ადამიანი არასდროს შემხვედრია და აქედან გამომდინარე ვხვდებოდი, რომ კარგი ადამიანი იქნებოდა.

— **დათო როგორ მოგმართავთ?**

— „ქალბატონობით“ და „ბატონობით“ ერთმანეთს არ მივმართავთ, მე მარიკა ვარ, ის კი — დათო.

— **თქვენ და დათო თითქმის თანატოლები ხართ. მეგობრობთ?**

— რა თქმა უნდა! სიძე-სიდედრის ურთიერთობა ნამდვილად არ გვაქვს. მის გვერდით მყოფი ადამიანი თავს ცუდად ვერ იგრძნობს — არა აქვს მნიშვნელობა, სიდედრი იქნება ეს თუ ვინმე უცხო ადამიანი, დათოსთან თავს დაძაბულად ვერავინ გრძნობს. სხვათა შორის, ამბობს, — ჩემნაირი სიდედრი არავის ჰყოლიაო (*იცინის*).

— **მათი ოჯახის დანგრევის შესახებ ინფორმაცია დაქორწინებიდან საკმაოდ მალე გავრცელდა. თავად დათომ და სოფომ როგორ მიიღეს ეს ჭორი?**

— თვითონ ამ ჭორს სიცილით შეხვდნენ. ღმერთის წყალობით, სოფოსა და დათოს არაჩვეულებრივი ურთიერთობა აქვთ.



— **მაინც როგორი ცოლ-ქმარი არიან?**

— ძალიან ლამაზი და კარგი. დათო თითქოს „დაპატარავდა“ ასაკით და სოფო თითქოს გაიზარდა. როგორი გასაკვირიც უნდა იყოს, სოფო თითქოს ოჯახის შესაქმნელად მზად იყო. მის წარმოდგენაში როგორი ოჯახიც უნდოდა, რომ ჰქონოდა, ზუსტად ისეთი აქვს. სხვათა შორის, ვიდრე დათოს გაიცნობდა, სულ ამბობდა, რომ უნდა ჰყოლოდა ასაკით მასზე უფროსი ქმარი, რომელიც მისი საყრდენი იქნებოდა. მართლაც, დათო მისთვის ყველაფერია.

— **სოფო პოლიტიკაში კარგად ერკვევა?**

— არა, ნაკლებად.

— **როცა ვინმე დათოს აკრიტიკებს, ამ დროს თქვენს ოჯახში რა ხდება?**

— ჩვენ არ ვაკრიტიკებთ ხოლმე და თან, იშვიათად მსმენია კრიტიკა დათოს მისამართით.

— **ისე, კამათობთ ხოლმე?**

— არა, რას ამბობ?! არც მე და არც დათო არ ვართ ჩხუბის მოყვარული ადამიანები, თანაც — რა გვაქვს საკამათო?!

— **სოფო მუშაობას განაგრძობს?**

— რა თქმა უნდა. არა მხოლოდ მუშაობას, არამედ სწავლასაც განაგრძობს, რაშიც დათო აუცილებლად შეუწყობს ხელს.

— **ახლა სოფო თვითონ უვლის ბავშვს თუ ძიძა გყავთ?**

— არა, მე ვეხმარები, თუმცა ბავშვთან ძირითადად, მაინც სოფოა, რადგან დღისით მე ვმუშაობ. ისე კი ოჯახში იმდენი ქალი ვართ, რომ ამ ეტაპზე დამხმარე არ გვჭირდება, მაგრამ თავიანთ სახლში რომ გადავლენ, ალბათ დასჭირდებათ.

— **ბავშვს რომ წაიყვანენ, ალბათ გაგიჭირდებათ უმისობა...**

— ეს ჩემთვის ყველაზე მტკივნეული საკითხია. ორი დღით დათოსთან წავიდნენ სოფო და ნოდარიკო და წუხელ 4 საათზე გამეღვიძა, რადგან ამ დროს ბავშვს ოთახში უნდა მივაკითხო. ლოგინიდან რომ ავდექი, ჩემმა მეორე ქალიშვილმა, თამუნამ მითხრა, — სად მიდიხარ, ხომ არ დაგავიწყდა, ბავშვი სახლში რომ არ არისო?! ალბათ ყოველდღე ვივლი მათთან სტუმრად...

■





# სახე

## საკუთარი შემოქმედების პროდიუსერი ფანტასტიკური მიუზიკლის გადაღებას აპირებს

### „კინოთეატრებში ამ ფილმზე დასასწრებ ბილეთებს ვერ იშოვი!..“

**ცოტა ხნის წინ გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მომღერალი ანრი ჯოხაძე ფილმს იღებს. ბევრს ეგონა, ეს ცნობა მცდარი ფორმით იყო გადმოცემული და საუბარი ახალ კლიპზე იყო, მაგრამ სანდო წყაროებმა დაგვიდასტურეს, რომ ნამდვილად ფილმზეა ლაპარაკი: მომღერალი მიუზიკლის — „როცა ბებიას პაემანზე მიეჩქარება“ — პროდიუსერად მოგევლინება.**

**როცა ანრის დავუკავშირდი და ამ საკითხთან დაკავშირებით ინტერვიუ ვთხოვე, უარი მითხრა, — გადაღებები ჯერ არ დაწყებულა და ამ საკითხზე წინასწარ საუბარი არ ღირსო, — მაგრამ მოგვიანებით მაინც დავითანხმე და ერთმანეთს ერთ-ერთ კინოთეატრში შევხვდით.**



*ნათია ჟივიძე*

**— ანრი, უამრავი მითქმა-მოთქმა გამოიწვია მომავალმა ფილმმა, რომლის პროდიუსერადაც მოგვევლინები. რატომ გადაწყვიტე, კინოში გეცადა ბედი? ხომ არ გგონია, ეს სფერო საქართველოში მომგებიანია?**

— გარდა იმისა, რომ კინო ნამდვილად მომგებიანია, თუ ხარისხიან პროდუქტს შექმნი და ფილმში პროფესიონალ მსახიობებს დააკავებ და არა — დილეტანტებს, როგორც დღევანდელ რეალობაში ხშირად ხდება, ვფიქრობ, რომ ფილმი არნახულ წარმატებას მოიტანს. მით უმეტეს, თუ ეს სანახაობა მიუზიკლის ჟანრში იქნება გადაღებული.

**— აქამდე ფილმის პროდიუსერობის გამოცდილება გქონია?**

— მთელი ჩემი შემოქმედების პროდიუსერი ყოველთვის მე თვითონ ვიყავი. მნიშვნელობა არა აქვს, ფილმის პროდიუსერი ვარ, თუ — კლიპის: პროდიუსერი არის ადამიანი, რომელიც პროდუქტს ქმნის. ზოგიერთებს პროდიუსერი იმ ადამიანებში ერევათ, რომლებიც მსახიობებს ურეკავენ და გადაღების დროსა და ადგილს აცნობენ; მას „ადმინისტრატორი“ ჰქვია, ხოლო პროდიუსერი მთელი ფილმის შექმნის პროცესს წარმართავს, ის წყვეტს, თუ რა სეგმენტზე უნდა იყოს გათვლილი სურათი. პირველი დარტყმა ყოველთვის პროდიუსერზე მოდის, რადგან ის თუ არ აკონტროლებს პროდუქტს, ეს პროდუქტი უეჭველად წამგებიანი აღმოჩნდება. „ოსკარის“ დაჯილდოების ცერემონიაზე არ დაჰკვირვებიხართ? როცა „წლის საუკეთესო ფილმი“ ცხადდება, აჯილდოებენ პროდიუსერს და არა — რეჟისორს, რადგან ფილმი არის პროდიუსერის, ხოლო „საუკეთესო რეჟისორი“ საერთოდ, ცალკე ნომინაციაა.

**— ვინ არის ამ მიუზიკლის სცენარის ავტორი?**

— როგორც უნდა გაგიკვირდეს, სცენარის ავტორი თავად გახლავარ.

**— ფილმს საკმაოდ დამაინტრიგებელი სახელწოდება აქვს — „როცა ბებიას პაემანზე მიეჩქარება“. ყველა დეტალს რომ არ გაგვიმხელ, გასაგებია, მაგრამ ნაწილობრივ მაინც ხომ არ გაგვანდობ მის შინაარსს?**

— ერთი ჩვეულებრივი თბილისური ამბავია გადმოცემული. ფილმი ცოტა ნოსტალგიურიც იქნება, რადგან მასში ძველი თაობის კორიფეები მიიღებენ მონაწილეობას.

**— როგორც ჩემთვის ცნობილია, მთავარ როლს ლეილა აბაშიძე ასრულებს...**

— მართალია. ბებიის როლს ქალბატონი ლეილა შეასრულებს, რომელთანაც სასცენარო ნიუანსების გამო სულ ჩხუბი მაქვს.

**— რატომ? კოცნის სცენა ხომ არ ექნება?**

— არა, რას ამბობ?! სახელწოდებაა დამაინტრიგებელი, თორემ ფილმში მსგავსი არაფერი ხდება. აბსოლუტურად სხვანაირ პაემანზეა ლაპარაკი და ამას მხოლოდ ფილმის ნახვის შემდეგ მიხვდებით. მასში ცოტა კომედიური ელემენტებიც იქნება, თუმცა მაყურებელში მაინც სევდასა და ნოსტალგიას გამოიწვევს.

**— ლეილა აბაშიძეს არაერთი როლი შეუსრულებია, სადაც სიმღერა უწევდა და მას ყოველთვის რომელიმე მომღერალი ქალი ახმოვანებდა. ახლა ვინ იმღერებს ქალბატონი ლეილას ნაცვლად?**

— ქალბატონ ნანი ბრეგვაძეს შევხვდი და უკვე შევთანხმდით, რომ ქალბატონ ლეილას ის გაახმოვანებს.

**— ეჭვი მაქვს, რომ მიუზიკლის მუსიკის ავტორი დედაშენი, რუსუდან ჩხაიძე იქნება. შენს მელოდიებსაც ხომ არ მოვისმენთ ახალ ფილმში?**

— ეჭვს დაგიდასტურებ — მიუზიკლში შესული ყველა კომპოზიციის ავტორი, დედაჩემია. ჩემი მუსიკა კი ამ პროექტში არ აჟღერდება, რადგან — როგორ შეიძლება, ასეთ ნიჭიერ ქალს შევეცილო?!. მართლა, იმდენად ძლიერი მუსიკა დაწერა, სულ რომ ჩავარდეს ფილმი, ისეთი

მუსიკა დარჩება ისტორიაში, რომ მხოლოდ ამისთვის ღირს ამ პროექტის განხორციელება.

— **ქალბატონმა რუსუდანმა არაერთხელ აღნიშნა, რომ რამდენიმე მუსიკალური ნაწარმოები აქვს დაწერილი, რომელიც სამზეოზე ჯერჯერობით არ გამოუტანია; რომელიმე მათგანს ამ ფილმში ხომ არ გამოიყენებს?**

— როგორ არა?! რამდენიმე მუსიკალური თემა ნამდვილად გამოვიყენეთ „თაროზე შემოდებული" კომპოზიციებიდან. ისინი არც ერთხელ არ აჟღერებულა და საზოგადოებისთვის აბსოლუტურად ახალია. ახალი მუსიკაც შექმნა. სხვათა შორის, ორიოდე დღის წინ, ხორუმის სტილში, დაწერა გუნდური სიმღერა, რომელიც ამ ფილმის ღერძი იქნება. მისთვის ტექსტიც უკვე დავწერე და საერთო ჯამში, იმდენად მაგარი გამოვიდა, რომ ტაში დავუკარი დედაჩემს.

— **მოკლედ, შენ და დედაშენი სულ ხოტბას ასხამთ ერთმანეთს...**

— ხოტბას მე ყველას ვასხამ, ვინც ძალიან ნიჭიერია... დედაჩემი იცი, როგორია?.. არასოდეს აწუხებდა პოპულარობისა და საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოხვედრის ამბიცია. ის ყოველთვის იყო ოჯახს გადაყოლილი ქალი და გადამკვდარი დედა. მე ვალდებულიც კი ვარ, ის შეუდარებელი მუსიკა, რომელიც რუსუდან ჩხაიძემ შექმნა, სამზეოზე გამოვიტანო.

— **წეღან ქართველ კორიფეებზე ვსაუბრობდით. გარდა ლეილა აბაშიძისა, კიდევ რომელი ცნობილი მსახიობი მიიღებს მონაწილეობას მიუზიკლში?**

— გურანდა გაბუნია, მზია არაბული, ბერტა ხაფავა, ციალა გურგენიძე, ჯემალ ღაღანიძე. ამჟამად მოლაპარაკება მიმდინარეობს ზინაიდა კვერენჩხილაძესთან და გურამ საღარაძესთან.

— **ადვილად დაგთანხმდნენ ფილმში მონაწილეობაზე?**

— არც ისე. ჩვენი კინოს ისტორიაში ლეგენდები გვყავს და მათ რომ არ ვიყენებთ, ეს დანაშაულია. რადაც უნდა დამიჯდეს ამ ადამიანების ერთ „თაიგულად" შეკვრა ამ ფილმში, დამიჯერეთ, ყველაფერს გავაკეთებ. ჩვენი თაობის დანაშაულია, რომ ისინი ეკრანზე აღარ ჩნდებიან. ვერასოდეს ვამჯობინებ ლეილა აბაშიძის ერთ გამოხედვას რომელიმე ახალგაზრდა გოგოს უნიჭო „გამოვარდნას" ეკრანზე. ეს ადამიანები ჯერ კიდევ იმყოფებიან ისეთ ფორმაში, რომ შეუძლიათ, მაგალითი მისცენ ახალგაზრდა თაობას. ჩვენს მიუზიკლში ბევრი ახალგაზრდა მსახიობიც ითამაშებს, მაგრამ მიმაჩნია, რომ პირველ რიგში, ძველ სახეებს უნდა ვცეთ პატივი.

— **როგორც ვიცი, ერთ-ერთ როლს თავადაც ითამაშებ; იმღერებ კიდეც?**

— მე მთხრობელი ვარ, გარკვეულ მომენტებში გამოვჩნდები და ამბებს მოვყვები. ჩემი სიმღერაც აუცილებლად შევა ამ პროექტში. რაც შეეხება დანარჩენ მსახიობებს, უმეტეს მათგანს მომღერალი გაახმოვანებს. ქალბატონი მზია არაბული თავადვე იმღერებს. ასევე იქნება ჯემალ ღაღანიძის შემთხვევაშიც...

— **როდისთვის იგეგმება გადაღებების დაწყება?**

— ამ პროექტზე საუბარი საკმაოდ ადვილია, თუმცა მისი განხორციელებაა რთული. საერთოდ არ მსურდა ამ თემაზე ლაპარაკი, მაგრამ ჟურნალისტებმა მაიძულეთ. იმდენად დიდი პროექტია, ორთვიანი წინასწარი მომზადება მაინც გვჭირდება იქამდე მისასვლელად, რომ „მატორ!" დაიძახო. გარდა იმისა, რომ ეს ფილმი უნდა იყოს, ცალკე თემაა სიმღერები, რომლებზეც ფაქტობრივად, კლიპები უნდა გაკეთდეს. აქედან გამომდინარე, საკმაოდ შრომატევადი სამუშაო გვაქვს.

— **რეჟისორი ვინ იქნება?**

— ამ საკითხში, რასაკვირველია, ჩამოყალიბებული ვარ, მაგრამ დასახელებისგან ჯერჯერობით თავს შევიკავებ. ისედაც საკმარისზე მეტი ინფორმაცია გამჟღავნდა ამ პროექტთან დაკავშირებით.

— **ბევრ კორიფეს შენს ერთ-ერთ ბოლო კლიპში (სიმღერაზე — „თბილისის უბნები") მოუყარე თავი. სწორედ ამ კლიპის გადაღებისას ხომ არ გაგჩენია იდეა, ამდენი ცნობილი სახე კიდევ ერთხელ შეგეკრიბა?**



— ეს იდეა ყოველთვის მქონდა. სხვათა შორის, ამ კლიპში ეკრანზე უკანასკნელად გამოჩნდა ქალბატონი დოდო ჭიჭინაძე. მას მერე სულ ვფიქრობდი, რომ მიუზიკლი უდნა გამეკეთებინა, მაგრამ აქამდე ვერ მოხერხდა. საბედნიეროდ, ახლა ჩემს სურვილებს ფრთებს შევასხამ.

— **ამხელა პროექტის გაკეთებას საკმაოდ დიდი ფინანსები სჭირდება. საიდან გაქვს ამდენი ფული?**

— ამჟამად, საჭირო თანხის მხოლოდ ნაწილი მაქვს. დიდ კომპანიებთან ვაწარმოებ მოლაპარაკებებს და ვნახოთ, რას გადაწყვეტენ. ბევრი უნდა ვიბრძოლო, რომ დიდი დაფინანსება მივიღო იმისთვის, რათა ფანტასტიკური მასალა მოვიპოვო.

— **დარწმუნებული ხარ, რომ ახალი ფილმი ნამდვილად ფანტასტიკური გამოვა?**

— რაც აქამდე გამიკეთებია, თუნდაც უბრალო კლიპები, დიდი წარმატება მოუტანია. როცა რაღაცას ვაკეთებ, ყოველთვის მეტი მინდა; აქედან გამომდინარე, ვასკვნი, რომ ეს პროექტი ნამდვილად, შოუს მომგვრელი იქნება. დამიჯერე — პირველი თვის განმავლობაში თბილისის კინოთეატრებში ამ ფილმზე დასასწრებ ბილეთებს ვერ იშოვი!..

— **და ეს ამბავი თბილისის კინოთეატრებში როდის მოხდება?..**

— მომავალი წლის შემოდგომის დასაწყისში. გადაღებები დაიწყება ზამთარში და ალბათ გაზაფხულამდე გაგრძელდება, რადგან ძალიან მინდა, ის პერიოდი გადავიღო, როცა თბილისში ხეები აყვავდება. აყვავებული თბილისი მინდა.

— **აქედანვე ხომ არ გეგმავ, ეს ფილმი საზღვარგარეთის რომელიმე ფესტივალზე წარადგინო?**

— იმის სურვილი ყოველთვის უნდა გქონდეს, რომ შენი ნაწარმი საზღვარგარეთ გაიტანო. ამ პროექტში იმის მარცვალი ნამდვილად დევს, რომ რომელიმე პრესტიჟულ ფესტივალზე მოხვდეს და არა ვიღაცის „კაბინეტის ფესტივალზე". ფილმში ზოგადსაკაცობრიო თემებს შევეხებით, რომელიც ყველა ქვეყანაში კარგად ესმით...

— **ფილმის თემა მგონი, ამოვწურეთ. ახლა ის მითხარი, შენს შემოქმედებაში კიდევ თუ არის რაიმე სიახლე?**

— როგორ არა?! ახლა ვმუშაობთ ახალ კლიპზე, რომელსაც გადავიღებთ სიმღერაზე — „როცა წავალ". კლიპი იქნება ფილმის ხარისხის; მისი რეჟისორი — ანი მაღლაკელიძე გახლავთ. ეს კლიპი კინოთეატრ „რუსთაველის" დირექტორმა, დათო ბეჟიტაშვილმა მაჩუქა. დამერწმუნეთ, საკმაოდ ძვირად ღირებული საჩუქარია.

— **რით დაიმსახურე ეს ძვირფასი საჩუქარი?**

— მხოლოდ მეგობრობით... სხვათა შორის, დათო ერთ-ერთი წამყვანი ფიგურა იქნება მიუზიკლში...

— **ახალი კლიპის პრემიერა ალბათ, ტელეგადაცემა „პროფილში" შედგება.**

— არა, „ნანუკას შოუს" აქვს კლიპის ექსკლუზივი.

— **რატომ უღალატე მაია ასათიანს?**

— არ მიღალატია, უბრალოდ, თემები გადავანაწილე...

— **ანრი, „ნანუკას შოუში" პირობა დადე, რომ წლეულს დაქორწინდებოდი. მერე ეს სიტყვები ჩვენს ერთ-ერთ ინტერვიუშიც დამიდასტურე და მითხარი, — მაცადე ცოტა ხანი, დეკემბრამდე ვადა მაქვსო... ერთ თვეში დადგება უკვე დეკემბერი და რას გვეტყვი ამ საკითხის შესახებ?**

— ვერაფერს გეტყვი. დეკემბერი ხომ ჯერ არ დამდგარა და მაცადე... ■

# გასაიდუმლოებული სასიყვარულო ურთიერთობა და ნაადრევად გათხოვილი რუსა ჩაჩუას გეგმები

**მშვენიერი რუსა ჩაჩუა ახალი ტელეშოუს — „ბრავოს“ ერთ-ერთი წამყვანი გახლავთ. კამერის წინ ისე ღელავს, რომ ახლობლებსაც ანერვიულებს... წყნარმა, გაუბედავმა (როგორც თავად აღნიშნა) გოგონამ „ბრავოს“ წამყვანისათვის გამოცხადებულ კასტინგზე ბედი სცადა, შედეგად კი, ვანიკო თარხნიშვილთან ერთად, ყოველ ოთხშაბათს ტელეშოუს უძღვება. დედის წარმატებით გახარებული რუსას ვაჟი ამაყად დადის, პოლონელი დიდი ბებიის სეხნია — ნადია (რუსას ქალიშვილი) კი ჯერჯერობით, „ბავშვური რეჟიმით“ ცხოვრობს...**



ეთო ყორღანაშვილი

**რუსა ჩაჩუა:**

— „ბრავომდე“ სარეკლამო რგოლებში ვმონაწილეობდი, სხვადასხვა ბრენდის ბილბორდებისათვის მიღებდნენ, ჩვენებებზეც გავდიოდი, ოღონდ ხშირად არა.

— **რა პროფესიის ხარ?**

— სამხატვრო აკადემია მაქვს დამთავრებული, ტანსაცმლის მოდელირების განხრით. ჩემი საქმიანობა სხვებისათვის ტანსაცმლის შექმნაა, მაგრამ პირიქით ხდებოდა. სადიპლომო ნამუშევარი მოვამზადე, მაგრამ როგორც კი სამხატვრო აკადემია დავამთავრე, მობილური კავშირის ერთ-ერთი კომპანიის ოფისში მუშაობა დავიწყე. იქ 3 წელი გავატარე. ხალხთან ურთიერთობა მიწევდა; ეს არასოდეს მიჭირს — საერთო ენის გამონახვა ყველასთან შემიძლია.

— **„ბრავოში“ როგორ მოხვდი?**

— კასტინგის შედეგად. წინათ ტელევიზიასთან და საერთოდ, ჟურნალისტიკასთან არანაირი შეხება არ მქონია. ახლა მყავს არაჩვეულებრივი პედაგოგი — მანანა მეფარიშვილი, რომელმაც სწორად მეტყველების თვალსაზრისით, „ფეხზე დამაყენა“.

— **ამჟამინდელი საქმიანობა შენთვის რთულია?**

— კი, მაგრამ ძალიან მომწონს. მსურს დავიხვეწო, შოუს წაყვანისას აღარ ვინერვიულო... რასაც მოინდომებ, იმას თურმე აუცილებლად მიაღწევ!.. პროექტი მომწონს, რადგან განსხვავებულია: ჟიურის წევრები, მონაწილეები, „ლობისტები“ გვყავს ანუ — ძალიან „ფერადი“, მხიარული, მუსიკალური პროექტია.

— **„ლობისტის“ ამპლუაში თავად რომ იყო, მაყურებელს რას შესთავაზებდი?**

— მივხვდი — იმდენად აზარტული ვარ, რომ ალბათ ვიცეკვებდი, ვიდირიჟორებდი კიდეც!.. მომდევნო შოუებში ნახავთ, რომ ადამიანის ნიჭი — უსაზღვროა.

— **ცეკვაში ან მუსიკაში რაიმე გამოცდილება გაქვს?**

— კონსერვატორიაში ვსწავლობდი, ფორტეპიანოზე ვუკრავ. ორი და მყავს, რომლებიც კარგად მღერიან და, ოჯახურ გარემოში, შეიძლება, რაღაც დავუკრა.

— **კონსერვატორიაში სწავლა დაასრულე?**

— არა. სწავლა შევწყვიტე და ამას ახლა ძალიან ვნანობ.

— **რუსა, ვიცი, რომ გათხოვილი ხარ.**

— კი. 2 შვილი მყავს: 9 წლის თაზო და წლინახევრის ნადია.

— **საპირისპირო სქესის წარმომადგენლებით პირველად როდის დაინტერესდი?**

— ბავშვური ვიყავი, ბიჭებით არ ვინტერესდებოდი. ძალიან პატარა — 17 წლის ასაკში გავთხოვდი. მანამდე შეყვარებული არ მყოლია.

— **ბევრი თაყვანისმცემელი გყავდა?**

— კი. ყვავილებს, საჩუქრებს ხშირად მიძღვნიდნენ. მშობლები მკაცრად მზრდიდნენ, რადგან ჩემი ორივე და ადრეულ ასაკში გათხოვდა. ამიტომ საჩუქრების დამალვა, ყვავილების სკოლაში დატოვება მიწევდა. თუ საჩუქარი ძალიან მომწონდა, რაღაცას ვიგონებდი, რომ შინ მიმეტანა. უმეტესად კი საჩუქრების გაჩუქება მიწევდა, რადგან ოჯახში ეშინოდათ, მეც პატარა არ გავთხოვილიყავი. ისე მოხდა, რომ მაინც ადრე გავთხოვდი.

— **შენი მომავალი მეუღლე როგორ გაიცანი?**

— მეზობელთან სტუმრობისას გავიცანი. მაშინ სამხატვრო აკადემიაში მისაღები გამოცდების ჩასაბარებლად ვემზადებოდი.

— **თქვენი ურთიერთობა როგორ აეწყო?**

— ჩემ მიმართ ყურადღებას იჩენდა, საჩუქრებს მიძღვნიდა...

— **შენი გული იოლად მოიგო?**

— პრინციპში — კი.

— **გაცნობიდან რამდენ ხანში შექმენით ოჯახი?**

— 1 თვეში.

— **მშობლებმა თქვენი ურთიერთობის შესახებ არ იცოდნენ?**

— არა, გავიპარეთ.

— **შეყვარებულობის პერიოდში ურთიერთობის გასაიდუმლოებას როგორ ახერხებდით?**

— კაფეში, კინოში არ დავდიოდით, ერთმანეთს 2 წუთით თუ შევხვდებოდით, მაგალითად — სკოლასთან.

— **...მაგრამ ეს ისეთი სერიოზული გადაწყვეტილების მისაღებად საკმარისი აღმოჩნდა, როგორიც ოჯახის შექმნაა, არა?.. ამ ამბავს შენი ოჯახის წევრები როგორ შეხვდნენ?**

— თავდაპირველად — ძალიან რთუ-





ლად, მერე კი შეეგუვნენ, როგორც ყველა მშობელი.

**— პატარა გოგონამ ოჯახურ ცხოვრებას იოლად აუღო ალღო?**

— კი. გარეთ სიარულს, გართობას მიჩვეული არ ვიყავი. ჩემს შვილთან, ოჯახთან დროს გატარება უფრო მსიამოვნებდა. თან, მაშინ ვსწავლობდი... ყველაფერს ერთად ვაკეთებდი.

**— პირველი შვილი რა ასაკში შეგეძინა?**

— 18 წლის ვიყავი, თაზო რომ გაჩნდა. საოცარი ბიჭია — ძალიან ჭკვიანი, წესიერი. რთულია, საკუთარ შვილზე საუბარი, მაგრამ ვინც მას იცნობს, ყველა აღნიშნავს, რომ მშვიდი და გაწონასწორებულია. რაც წამოიზარდა, კაცურ ხასიათს კი ამჟღავნებს, მაგრამ მასთან ურთიერთობა არ მიჭირს — დამჯერია... ფეხბურთზე, რაგბიზე დადის. ნიჭიერი ბიჭია. კარგად მეცადინეობს — ამასთან დაკავშირებით, პრობლემა არა გვაქვს.

**— შეიძლება ითქვას, რომ დედა-შვილი მეგობრობთ?**

— კი, მაგრამ მამასთან უფრო მეგობრობს — მას ყველაფერს უყვება.

**— ამის გამო ხომ არ ეჭვიანობ?**

— არა, პირიქით — კარგია, რომ ბიჭს მამასთან ასეთი ურთიერთობა აქვს.

**— შენი გოგონა როგორია?**

— უსაყვარლესია! ჩამოყალიბებული გოგონაა: პომადაც უნდა, შარფიც, ჩანთაც (*იცინის*)... ჯერ წლინახევრისაა და უკვე იპრანჭება, ცეკვავს...

**— შენც პრანჭია იყავი ბავშვობაში?**

— სახლში ჩემი ხმა არ ისმოდა — ძალიან წყნარი, მშვიდი ვიყავი. ეს თვისებები დღემდე შემომრჩა.

**— გოგონა გარეგნულად გგავს?**

— კი, გარეგნულად ორივე შვილი მგავს, ხასიათით კი — თაზო. ნადინკა უფრო გაბედულია.

**— შვილებთან ურთიერთობას საკმარის დროს უთმობ?**

— რაც ტელევიზიაში ვმუშაობ — ველარ. ამას ძალიან განვიცდი. კინოში, ზოოპარკში მათი წაყვანა ძალიან მსიამოვნებს. სულ ვცდილობ, მათთან ერთად გავატარო დრო. ამიტომ მეგობრები აღარ მელაპარაკებიან, — ჩვენთვის აღარ გცალიაო. ჰოდა, ხშირად ვეშაყირები, — ოთხშაბათს ტელევიზორი ჩართეთ და მნახავთ-მეთქი.

**— შენს შვილებს როგორი რეაქცია აქვთ, როცა დედიკოს ეკრანზე ხედავენ?**

— პატარას გადაცემა არ უნახავს, რადგან საღამოს 9 საათზე უკვე სძინავს — „დისციპლინაში" გვყავს; უფროსი შვილი კი კმაყოფილია — ამაყად დადის. „ბრავო" ძალიან მოსწონს და მეხვეწება, რომ გადაცემის ჩაწერაზე წავიყვანო... შოუს ეთერში გასვლის შემდეგ, ჩემს ახლობლებს შორის „განხილვა" მიმდინარეობს ხოლმე. მათ იციან, რომ „ბრავოს" წაყვანისას ძალიან ვნერვიულობ. ამიტომ ახლობლები, ოჯახის წევრები ჩემ ნაცვლადაც ნერვიულობენ (*იცინის*). ყველანი მგულშემატკივრობენ.

**— შოუს ჩანაწერებს უყურებ?**

— რასაკვირველია. რომ ვუყურებ, უკეთ ვამჩნევ ჩემს შეცდომებს, რათა გამოვასწორო.

**— კრიტიკას როგორ აღიქვამ?**

— ახლობლებს სულ ვეუბნები, — მირჩევნია, პირდაპირ მითხრათ, რა არ მოგწონთ, რომ გამოვასწორო-მეთქი. კრიტიკა არ მაღიზიანებს.



**— სატელევიზიო სფეროსთან დაკავშირებით, სერიოზული გეგმები გაქვს?**

— ჩემს საქმეს სერიოზულად ვუყურებ. მიმაჩნია, რომ აუცილებლად „გავიზრდები" და დავიხვეწები — ეს ჩემი მიზანია!

**— შენი მშობლების, დედმამიშვილების შესახებ რას გვეტყვი?**

— 2 ულამაზესი და მყავს; ჩვენ შორის დიდი ასაკობრივი სხვაობაა. ისეთი ურთიერთობა გვაქვს, დები ერთმანეთს ხშირად ვურეკავთ და ერთმანეთის ამბავს ვკითხულობთ. ძალიან „შეკრულები" ვართ — ტყუპივით.

**— თავის დროზე, მათთვისაც არ გითქვამს, რომ გათხოვებას აპირებდი?**

— არა. ახლა მათ არაფერს ვუმალავ, მაგრამ მაშინ პატარა ვიყავი და მეშინოდა, ჩემთვის შეყვარებულთან ურთიერთობა არ დაემალათ.

**— მაინც, რამხელა ასაკობრივი სხვაობაა თქვენ შორის?**

— უფროსი და 40 წლისაა. მას 3 შვილი ჰყავს: 21 წლის ბიჭი, რომელთან ერთადაც გავიზარდე (მე და ჩემი დისშვილი ერთმანეთს ძალიან ვგავართ); 17 წლის ბიჭი და 3 წლის გოგონა. შუათანა დას კი — 17 და 2 წლის გოგონები. ულამაზესი პოლონელი ბებია — ნადია მყავდა. ის საქართველოში ბაბუამ (რომელიც მშენებელი იყო) ჩამოიყვანა. მას მერე აქ ცხოვრობდა. არაჩვეულებრივი ხასიათი ჰქონდა — მშვიდი, წყნარი. გარეთ რომ გადიოდა, მისი სილამაზის გამო, ქუჩაში მოძრაობა ჩერდებოდა!.. სულ მინდოდა, გოგონა მყოლოდა, რომელიც მას დაემსგავსებოდა და ნადიას დავარქმევდი. ჩემი პატარა ნადინკა ბებიას მართლაც ჰგავს.

**— რუსა, თავისუფალ დროს როგორ ატარებ ხოლმე?**

— დღის პირველ ნახევარს — შვილებთან, საღამოს — მეგობრებთან. დისკოთეკები არ მიყვარს — ასეთ ადგილებში დიდხანს ვერ ვჩერდები.

**— ყურადღების ცენტრში ყოფნა არ გიყვარს?**

— ყურადღების ცენტრში ყოფნა ალბათ ყველას უყვარს, მაგრამ ცოტა მერიდება... პოპულარობას ნელ-ნელა, ფსიქოლოგიურად ვეჩვევი.

**— პროფესიით დიზაინერი ხარ, თან — მოდელი. მოკლედ, შენთვის სამოდელო სფერო უცხო არ არის. ამიტომ გკითხავ: საქართველოს მოდის კვირეულს თვალყურს ადევნებ?**

— რა თქმა უნდა. მსურს, რომ ასეთი ჩვენება ხშირად გაიმართოს და მათში ბევრი დიზაინერი მონაწილეობდეს. თანდათან დავიხვეწებით და საქართველოში ევროპული კულტურა შემოვა. მით უმეტეს — ქართველები ნიჭიერები არიან.

**— ქართველი დიზაინერების სამოსს ხშირად იყენებ?**

— კი, ვიყენებ. თუ ტანსაცმელი მომწონს, მნიშვნელობა არა აქვს, ვისი შექმნილია. მთავარია, ტანზე კარგად მოვირგო — მასში თავს კომფორტულად უნდა ვგრძნობდე. ■

# ქართველი, რომელსაც პლაჩიდო დომინგო „მოწაფედ დაუდგა“

**ერთ-ერთ ფესტივალზე შეხვედრისას პლაჩიდო დომინგომ ნინო და თამარ სანიკიძეები ვაშინგტონის ოპერის ახალგაზრდა არტისტთა დახელოვნების სტუდიაში საკონცერტმაისტერო განხრით მიიწვია... როდესაც ლოს-ანჯელესის ოპერის თეატრთან ასეთივე სტუდია გაიხსნა, სახელ-განთქმული მომღერლის მიწვევით, ნინო სანიკიძე ლოს-ანჯელესის ახალგაზრდა არტისტთა სტუდიის მუსიკალური ხელმძღვანელი გახდა...**

**დებმა სანიკიძეებმა თბილისის ნიჭიერთა ათწლედი დაამთავრეს, შემდეგ — თბილისის კონსერვატორია, მერილენდის უნივერსიტეტი, სადაც ორი წლის წინ ორივემ მაგისტრის ხარისხი დაიცვა. რამდენიმე თვის წინ დებს მუსიკის დოქტორის ხარისხი მიენიჭათ...**



*მანანა გაბრიჭიძე*

**— ქალბატონო ნინო, ცოტა ხნის წინ პლაჩიდო დომინგომ ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა, რომ მსოფლიოში გახმაურებული სატელევიზიო სპექტაკლის — „რიგოლეტოს“ დადგმამდე თქვენ ერთად იმუშავეთ...**

— დიახ, ლოს-ანჯელესში გვქონდა ძალიან მნიშვნელოვანი მსოფლიო პრემიერა — მექსიკელ-ამერიკელი კომპოზიტორის, დანიელ კატანის ოპერა „ფოსტალიონი“ — ამავე სახელწოდების, ცნობილი იტალიური ფილმის მოტივებზე. ყველა მსოფლიო პრემიერა მნიშვნელოვანია, მაგრამ ამ ოპერას განსაკუთრებულად დიდი წარმატება ხვდა წილად და სრულიად დამსახურებულად. არაჩვეულებრივი მუსიკა და ლიბრეტო აქვს და მთავარ როლს — ცნობილ ჩილელ პოეტს, პაბლო ნერუდას პლაჩიდო დომინგო ასრულებს. ამ სპექტაკლის გასტროლები უკვე დაგეგმილია ვენასა და პარიზში... ხშირად, როცა საოპერო თეატრი კომპოზიტორს ნაწარმოების შექმნას უკვეთს, ამ ნაწარმოების „კითხვა“ ტარდება. რამდენიმე წლის წინ მე მოვამზადე და ვიდირიჟორე ამ ოპერის „კითხვა“ და ის მართლაც, ჩემი ცხოვრების ნაწილად იქცა. ცხადია, მას შემდეგ ოპერა დაიხვეწა და ბევრი ნომერი შეემატა. ამჟამად უკვე რეალურ სპექტაკლზე ვიმუშავე, როგორც პიანისტმა და სუფლიორმა. მაესტრო დომინგოსა და სხვა მომღერლების მომზადების პასუხისმგებლობა მე მქონდა დაკისრებული.



ქეთი ქემოკლიძესა და მარიამ ქაცარავასთან ერთად

**— ვიცი, რომ პლაჩიდო დომინგომ სათანამშრომლოდ ჯერ კიდევ წლების წინ მიგიწვიათ...**

— ვაშინგტონის ოპერაში არსებობს ახალგაზრდა არტისტების სტუდია (ლა სკალას აკადემიის ეკვივალენტი), სადაც ახალგაზრდა მომღერლები და პიანისტები იმაღლებენ კვალიფიკაციას. 2003-2005 წლებში ამ სტუდიის წევრი ვიყავი; სწორედ იქ გავიცანი მაესტრო დომინგო... მას სურდა, რომ ასეთივე პროგრამა ლოს-ანჯელესში განეხორციელებინა და, როგორც პროგრამის მუსიკალური ხელმძღვანელი, ისე მიმიწვია. ლოს-ანჯელესის ოპერა მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო თეატრია და ჩემთვის ძალზე მნიშვნელოვანი იყო ის ფაქტი, რომ ვიმუშავებდი, როგორც პროფესიონალ მომღერლებთან და დირიჟორებთან, ასევე ნიჭიერ ახალგაზრდებთან. ლოს-ანჯელესის პროგრამა ახლა 5 წლისაა და ჩვენს კურსდამთავრებულებს უკვე ბევრი წარმატება დაუგროვდათ.

**— როგორია პლაჩიდო დომინგო პირადი კონტაქტისას? ცნობილია, რომ საქართველოში ჩამოსვლას აპირებს; თუ გისაუბრიათ ჩვენს ქვეყანაში მისი მომავალი სტუმრობის თაობაზე?**

— მაესტრო დომინგო არაჩვეულებრივი ადამიანია. მიუხედავად ლეგენდარული ვარსკვლავის სტატუსისა, ძალიან თბილია. საოცრად დატვირთული ცხოვრება აქვს, რადგან ერთ ადგილას მღერის, მეორეგან — დირიჟორობს, ორი თეატრის გენერალური დირექტორია, მაგრამ არასოდეს ავიწყდება, ყველა ნაცნობის ბავშვი და ახლობელი მოიკითხოს. ყოველწლიურად მართავს წვეულებას თეატრის თანამშრომლებისთვის, რათა გამოხატოს მათ მიმართ მადლიერება გაწეული შრომისთვის. ჩემთან მუშაობისას იმდენად უბრალო და უპრეტენზიოა, თითქოს ამ დონის მომღერალი კი არა, გაკვეთილზე მოსული სტუდენტი იყოს: არასოდეს იგვიანებს, ყველა შენიშვნას ყურადღებით ისმენს და ჩემს აზრს ითვალისწინებს. ასევე იქცევა რეპეტიციებზეც. რაც შეეხება საქართველოში ვიზიტს, დიდი სიხარულით ელოდება. უდიდეს პატივს სცემს ქართულ ხელოვნებას. მას არაერთხელ უმღერია ქართველ საოპერო მომღერლებთან ერთად, რომლებსაც ძალიან აფასებს. მეც ძალიან გახარებული



ვაშინგტონის ოპერაში არსებობს ახალგაზრდა არტისტების სტუდია



პლაჩიდო დომინგოსთან ერთად

ვარ, რომ თუნდაც რამდენიმე დღით ჩამოვა ჩემს ლამაზ სამშობლოში.

**— ცნობილია, რომ დომინგოს ოჯახიც თავდაუზოგავად ემსახურება ხელოვნებას...**

— დიახ, პლაჩიდო დომინგოს მეუღლე, ქალბატონი მარტა ადრე ცნობილი მომღერალი იყო, ახლა საოპერო რეჟისორია და მის სპექტაკლებს ყოველთვის დიდი წარმატება სდევს. ძალიან მომთხოვნი და პრინციპული რეჟისორია... 3 შვილი ჰყავთ, ერთი-ერთი მათგანი — კომპოზიტორია. მართლაც, ძალიან კარგი და „შეკრული“ ოჯახია, — ყოველთვის ერთმანეთს უდგანან მხარში.

**— პლაჩიდო დომინგოს მიერ დაარსებულ კონკურსზე — „ოპერალია“ თქვენ და თქვენი და თამარი მიწვეული იყავით, როგორც კონცერტმაისტერები...**

— „ოპერალია“ მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი საოპერო კონკურსია. მას სულ სამი ოფიციალური პიანისტი ჰყავს... ეს მართლაც, ძალიან პრესტიჟული სამსახურია. „ოპერალია“ ყოველ წელს ტარდება. წელს მილანში, ლა სკალას თეატრში ჩატარდა. ჩვენთვის განსაკუთრებულად სასიხარულო იყო, რომ დედა ჩამოვიდა მილანში და ამ ლეგენდარული თეატრის სცენიდან ჩვენი შესრულება მოისმინა...

**— ახლა თამარი სად მოღვაწეობს?**

— თამარი ამჟამად სან-ფრანცისკოს ოპერაშია. მუშაობს ოპერებზე, სადაც მთავარ როლებს პლაჩიდო დომინგო ასრულებს. თამარი ასევე ბევრ კონცერტში მონაწილეობს, გამოჩენილ მომღერლებთან ერთად.

**— რამდენად ხშირად ხვდებით ქართველებს?**

— სამწუხაროდ, არც ისე ხშირად. ყველანი ძალიან დაკავებული ვართ და ამის გამო შეხვედრას იშვიათად ვახერხებთ. ვაშინგტონში ყოფნისას გავიცანი და დავუმეგობრდი გამოჩენილ ქართველ მომღერალს, ქალბატონ მედეა ნამორაძეს. ლოს-ანჯელესში საკმაოდ დიდი ქართული სათვისტომოა. სამწუხაროდ, ყველას არ ვიცნობ, მაგრამ ოპერის თეატრში შემთხვევით გავიცანი ნათია თურმანიძე, რომელმაც სხვა ქართველები გამაცნო. ახლახან ქალბატონმა ნანა ბოხუამ თავად მომძებნა ოპერაში და იმედია, მალე დავმეგობრდებით. ლოს-ანჯელესში ცხოვრობს ჩემი თანაკურსელი, პიანისტი თამარ შენგელია. სამწუხაროდ, მე და თამარი დროის უკმარისობის გამო მხოლოდ სატელეფონო ურთიერთობით ვკმაყოფილდებით.

**— კონკურს „ოპერალიას“ ქართველი მონაწილეები ჰყავს: ქეთი ქემოკლიძე და წარმოშობით ქართველი მარიამ ქაცარავა, რომელიც სამწუხაროდ, საქართველოს სახელით არსად გამოდის; ის მარია ალექსანდრესის სახელით მოევლინა მსოფლიო საოპერო სცენას... თუ შეხვედრიხართ ამ მომღერლებს?**

— ქეთი ქემოკლიძე გავიცანი და დავმეგობრდით კიდეც. არაჩვეულებრივი ადამიანი და მომღერალია, დიდი სიამოვნებაა მასთან მუშაობა. მარია ქაცარავა-ალექსანდრესი ჩვენი სტუდიის წევრი იყო. მას ქართველი მამა ჰყავს, მექსიკურ ორკესტრში მევიოლინეა. მარიაც ძალიან ნიჭიერია. ორივეს კარგი კარიერა აქვს და კიდევ უფრო დიდ წარმატებებს ვუსურვებ.

**— მაყვალა ქასრაშვილთან ერთადაც გიმუშავიათ — შოსტაკოვიჩის ოპერაზე „ცხვირი“, რომელიც მხატვრულად გოგი ალექსი-მესხიშვილმა გააფორმა. როგორ იხსენებთ ამ ორ დიდ ხელოვანთან შეხვედრას?**

— ჯერ კიდევ ვაშინგტონში ვიმყოფებოდი, როცა პრესტიჟული — ბარდის ფესტივალიდან მიწვევა მივიღე. მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე აღიარებული რეჟისორის — ფრანჩესკა ზამბელოს რეკომენდაციით მიმიწვიეს. ძალიან გამიხარდა, რადგან ფრანჩესკას რეკომენდაცია ძალიან ბევრს ნიშნავს... მერე გავიგე, რომ ქალბატონი მაყვალაც იქნებოდა ამ ფესტივალზე. მას პირადად არ ვიცნობდი, ამიტომ, მართალი გითხრათ, სულ არ მოველოდი, ასეთი ცნობილი ხელოვანი ამდენად თბილი და უშუალო თუ იქნებოდა... გარდა „ცხვირისა“, იმავე წელს, შოსტაკოვიჩის ოპერეტაც დავდგით, სადაც სრულად გამოვლინდა ქალბატონი მაყვალას ტალანტი. კოსტიუმებზე, ცნობილი ქართველი მხატვარი, გოგი ალექსი-მესხიშვილი და მისი ქალიშვილი ქეთუთა მუშაობდნენ. ასე რომ, პატარა ქართული ჯგუფი შევქმენით. ყოველთვის დიდი სიამოვნებით ვიხსენებ იმ ზაფხულს.

**— დედათქვენს — დავით ევგენიძის, ვაკო შიუკაშვილის, დები ბერაიების, ანა გოგავასა და სხვათა პედაგოგს, ქალბატონ დოდო ცინცაძეს საქართველოში „ლაურეატების მჭედელს“ უწოდებენ...**

— ნამდვილად, შესაფერისი სახელია. მაგრამ ასევე მინდა, ყურადღება გავამახვილო იმ სითბოსა და სიყვარულზე, რომელსაც დედა თითოეული მოსწავლის მიმართ იჩენს. ბავშვები დედასთან 5 წლის ასაკში მოჰყავთ; მის ხელში იზრდებიან, როგორც პროფესიონალურად, ასევე — სულიერად და ზრდასრულ ადამიანებად ყალიბდებიან. მათ ისეთივე ახლო ურთიერთობა აქვთ დედასთან, როგორიც მოწაფეობის დროს ჰქონდათ. დაბადების დღეს, დედას ტელეფონი არ ჩერდება, ზარები მსოფლიოს ყველა კუთხიდანაა, სადაც კი მისი „გამოჭედილი“, საყვარელი მოწაფეები ცხოვრობენ. მათ არასოდეს ავიწყდებათ დოდო მასწავლებელი. ეს სიყვარული და ერთგულება უდიდესი შრომისა და თავდადების შედეგია. რა თქმა უნდა, ძალიან მეამაყება, რომ მისი შვილი ვარ.

**— ბოლოს მითხარით, რა აზრის ხართ ქართულ ვოკალურ სკოლაზე?**

— ძალიან მაღალი აზრის ვარ. საქართველო, ისევე, როგორც იტალია და ესპანეთი, ძალიან მდიდარია ბუნებრივად ლამაზი და ძლიერი ხმებით. ქართველი მომღერლების უდიდესი წარმატებები მსოფლიოს სცენებზე სრულიად დამსახურებული და საამაყოა. ლოს-ანჯელესში ერთ კვირაში ვიწყებთ „რიგოლეტოს“ რეპეტიციებს, სადაც მთავარ პარტიას გიორგი გაგნიძე შეასრულებს. გაზაფხულზე აქ ნინო მაჩაიძე იმღერებს, სპექტაკლში — „თურქი იტალიაში“. „მეტროპოლიტენ ოპერაში“ ამ სეზონზე ოთხი ქართველი მღერის. ევროპაშიც ძალიან ბევრი ქართველი მომღერალი მოღვაწეობს და ჩემზე ბედნიერი და ამაყი არავინაა, როცა მათი წარმატებების შესახებ ვიგებ... თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ყველა საზღვარგარეთაა — უამრავი ნიჭიერი მომღერალი საქართველოშიც მოღვაწეობს. ■

ჩვენს კურსდამთავრებულებს უკვე ბევრი წარმატება დაუგროვდათ



# როგორ იშორებს შეყვარებული ნინო არაზაშვილი თაყვანისმცემლებს

## „მაქვს ყველა ხელსაწყო, რაც მიწის დასამუშავებლადაა საჭირო“

**„მთელი ცხოვრება ვოცნებობდი, მქონოდა ოჯახი, სადაც ყველაფერი ძალიან ჩვეულებრივად იქნებოდა ანუ ქალი იფუსფუსებდა სამზარეულოში და სამსახურიდან დაბრუნებულ, დაღლილ მეუღლეს დაელოდებოდა. სამწუხაროდ, ჩემთან ყოველთვის ყველაფერი პირიქით იყო“, — ამბობს დედა ტერეზად წოდებული ჟურნალისტი, ნინო არაზაშვილი, რომელიც დღესდღეობით კვლავ შეყვარებულია და ოჯახის შექმნაზე ფიქრობს, მაგრამ პირადი ურთიერთობებისთვის ცოტა დრო რჩება.**



*ნინო მჭედლიშვილი*

**— შენი ფსიქოლოგიური პორტრეტის დასახატად რომელ სიტყვებს გამოიყენებ?**

— ერთგულება და მზრუნველობა.

**— როგორც ვიცი, ზრუნავ ყველაზე — თანამშრომლებზე, უბრალო ნაცნობებზე, ოჯახის წევრებზე და ამიტომაც გეძახიან დედა ტერეზას. როდის მიხვდი, რომ ეს სახელი შენთვის ზედგამოჭრილი იყო?**

— ჩემი წინაპრები პროვიზორები იყვნენ, საქართველოში აფთიაქებს ხსნიდნენ და ცხადია, ოჯახში მუდმივად ლაპარაკობდნენ წამლებზე. ბაბუაჩემი სააფთიაქო სამმართველოს ბაზის მმართველი იყო. სახლში ყველანაირი დეფიციტური წამალი გვქონდა. ჰოდა, დახმარების სათხოვნელად ხალხი ღამის 4-5 საათზეც მოდიოდა ხოლმე. მე ბებიასთან და ბაბუასთან ვიზრდებოდი, ღამეც მათთან ვრჩებოდი და როცა ისინი ადამიანებს ეხმარებოდნენ, ეს ჩემთვის საუკეთესო მაგალითი იყო. ჩანთაში ყოველთვის მაქვს წამლები, რომლებსაც მე არ ვსვამ, მაგრამ შესაძლოა ვინმეს დასჭირდეს; სამსახურში მაქვს სპეციალური ტუმბო, სადაც „აფთიაქია“ მოწყობილი და ოთახში რომც არ ვიყო, ნებისმიერ თანამშრომელს აქვს უფლება, იქიდან საჭირო პრეპარატი აიღოს.

**— ყველაფერთან ერთად, აფთიაქარიც ყოფილხარ. საინტერესოა, შენი გულწრფელობის გამო არასდროს გინანია?**

— არასდროს! მიმაჩნია, რომ ურთიერთობისას გულწრფელობა ყველაზე მნიშვნელოვანი რამაა. სხვათა შორის, სწორედ ამ თვისებას ვუმადლი იმას, რომ ჩემზე ჭორი არ ვრცელდება. როცა ჟურნალისტს ინტერვიუს ვაძლევ, მაქსიმალურად ვყვები ყველაფერს, რისი მოყოლაც შეიძლება და რაც საინტერესო იქნება მკითხველისთვის. ყოველთვის ჯობია, შენ გაშალო კარტი, ვიდრე სხვამ გაგიშალოს. ჩვენ, ჟურნალისტებმა ხომ ყველაზე უკეთ ვიცით, რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს პირველწყაროს, ინფორმაციის სიმართლის თვალსაზრისით.

**— როცა ამა თუ იმ სიტუაციაში თავი დამნაშავედ მიგაჩნია, თავის დახრა, ბოდიშის მოხდა შეგიძლია?**

— როგორ არ შემიძლია და ეს არაერთხელ გამიკეთებია. ვერ ვიტან ადამიანებს, რომლებიც ასეთ დროს ამბობენ, — შენი ბოდიში არაფერში მჭირდებაო.

**— ასეთი შემთხვევა გქონია?**

— კი.

**— ახლა არ მითხრა, რომ ეს სიტყვები მამაკაცისგან მოგისმენია.**

— სწორედაც რომ მამაკაცისგან მომისმენია... თუ ვგრძნობ, რომ დამნაშავე ვარ, ბოდიშის მოხდა არ მიჭირს. ყოფილა ისეთი შემთხვევაც, როცა მართალი ვიყავი, მაგრამ ვგრძნობდი, რომ იმ სიტუაციაში ჯობდა, უკან დამეხია ანუ დამნაშავისთვისაც მომიხდია ბოდიში.

**— თავმდაბალი ხარ?**

— მგონი, ასეა. ჩემთვის ბევრს უთქვამს, რომ ეს თავმდაბლობა დამღუპავს.

**— რამდენად რთულია არჩევანის გაკეთება პირად ცხოვრებასა და კარიერას შორის?**

— ასეთი არჩევანის წინაშე ბევრჯერ დამაყენეს და გადაწყვეტილების მიღება ყოველთვის გამიჭირდა... როცა მარტო ხარ, შეგიძლია გრძნობებს ბოლომდე აჰყვე, მაგრამ როცა გყავს ორი შვილი, ვალდებული ხარ, თავი მოთოკო და სამუშაოს არ შეეშვა, რათა ბავშვებს სათანადო განათლება მისცე, საჭმელი და ჩასაცმელი არ მოაკლო.

**— როგორც ვიცი, ოთხ ადგილას მუშაობ...**

— დიახ. „რუსთავი 2“-ის დილის გადაცემის წამყვანი და მთავარი რედაქტორი გახლავართ, „რადიო ქალაქში“ მაქვს საავტორო გადაცემა — „ერთი ერთზე ნინო არაზაშვილთან ერთად“, ვკითხულობ ლექციებს საქართველოს უნივერსიტეტში და საერთაშორისო უნივერსიტეტ „ლიტერაში“.

**— როგორი მძღოლი ხარ?**

— ძალიან საშიში. სულ მეჩქარება, მუდმივად ვეძებ ადგილს, სადაც შეიძლება გავძვრე. ჰოდა, თუ უკან ნაცნობი მომყვება, უცილებლად მირეკავს და მეკითხება, — რას შვრები, თავს რატომ იკლავო? ვერ ვიტან





საცობებს და რა ვქნა?!.

**— შენი აზრით, რადგანაც ქალი-მძღოლი ხარ, მამაკაცებმა გზა უნდა დაგითმონ?**

— არა, ასე არ ვფიქრობ. მეტიც, ხშირად მათ თავად ვუთმობ გზას. შეიძლება ქალები გაცილებით ცუდად ვმართავთ საჭეს, მაგრამ ნაკლებად ვარღვევთ წესებს. როცა წესს თავად ვარღვევ და ამ დანაშაულის დაფარვაში სხვა მძღოლი მეხმარება, გზას მითმობს, ეს ძალიან მსიამოვნებს. ჰოდა, ამიტომაც ვცდილობ, კაც-მძღოლებს თავადაც „ვუჯიგრო“. მათ ხელით ვანიშნებ ხოლმე, — მიდი, მიდი, მალე-თქო და ისინიც სიგნალებით მიხდიან მადლობას, ზოგჯერ კი ეს ფრაზაც არ ავიწყდებათ, — „ჯიგარი ხარ“. სხვათა შორის, მამაკაცს უკვირს, როცა ქალი უთმობს გზას.

**— თუ შეამჩნევ, რომ საყვარელი მამაკაცი შენს მობილურში იქექება, როგორ მოიქცევი?**

— რეაქცია არ მექნება. როცა მამაკაცთან ხარ, მისგან დამალული არაფერი უნდა გქონდეს. შეიძლება, ეს შემოწმება მესიამოვნოს კიდეც, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მეც იმავეს გავაკეთებ. არასდროს არავის მობილურში არ „ჩავმძვრალვარ“ და არც ერთი ოჯახის წევრის ჯიბეში არ ჩამიყვია ხელი. მაშინაც კი, როცა სარეცხს ვრეცხავ, ყველას ვაფრთხილებ, ჯიბეები შეამოწმონ, წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლოა, ფულიც კი გავრეცხო.

**— ეჭვიანი ხარ? საყვარელი მამაკაცი არასდროს შეგიმოწმებია?**

— თუ მეტყვის, რომ სახლშია, მისი მჯერა და არ ვეჭვიანობ. ამ მხრივ მართლა დებილი ვარ ანუ თუ მიყვარს, ბრმად ვენდობი. სხვათა შორის, როცა რადიოში დავიწყე მუშაობა, ძალიან ბევრი ასეთი შინაარსის „ესემესი“ მომდიოდა: „მე თქვენ გელოდებით ყოველ სამშაბათს, ძალიან მომწონს თქვენი ხმის ტემბრი. ცუდია, შვებულებაში რომ გადიხართ. მომენატრებით“. ზოგჯერ, როცა ძალიან მაწუხებდნენ, ტელეფონს ჩემს ძმას ან მეგობარს ვაძლევდი, რათა მათ მიეხედათ აბეზარი ადამიანისთვის.

**— დავუშვათ, ერთი კვირით მივლინებაში მიდიხარ, თანაც — ისეთ ადგილას, სადაც მაღაზია არ არის. რას წაიღებ?**

— როცა მივლინებით სადმე მივდივარ, ძირითადად, პირადი ჰიგიენის ნივთებით მაქვს ჩანთა გამოტენილი.

**— ზარმაცი ხარ?**

— ვერ ვიტყვი, რომ ზარმაცი ვარ. სახლის საქმეებზე ჭკუა მეკეტება. რამდენიმე წლის წინ საგურამოში პატარა ქოხი ვიყიდე, სულ ორი ოთახია. წელს შევძელი და ეს ქოხი საცხოვრებელს დავამსგავსე. ხალხი აგარაკზე რომ მიდის, ტელევიზორს უყურებს, წიგნს კითხულობს, ისვენებს, მე კი მუშაობით ისე ვიღლები, საწოლამდე ძლივს მივდივარ.

**— რას აკეთებ ხოლმე?**

— მიწას ვამუშავებ, მოსავალს ვკრეფ. სხვათა შორის, ბოსტანი მაქვს, სადაც წელს შესანიშნავი მოსავალი მქონდა. მერწმუნე, მთელი ზაფხულის განმავლობაში პომიდორი არ მიყიდია. მაქვს ყველა ხელსაწყო, რაც მიწის დასამუშავებლადაა საჭირო... მე და ჩემს შვილებს აგარაკზე ყოფნა ძალიან გვიყვარს.

**— როგორი დედაა ნინო არაზაშვილი?**

— ოჯახის წევრებისგან ხშირად ვიღებ შენიშვნას იმის გამო, რომ შვილებს ბევრის უფლებას ვაძლევ. დღეს, როცა არსებობს მობილური ტელეფონი და ბავშვს ნებისმიერ დროს შეუძლია დაგირეკოს, გითხრას სადაა, რას აკეთებს და როდის მოვა, რატომ არ უნდა მისცე თავისუფლება?! ჩემი შვილი 12 წლის ბიჭია და როცა მის თანატოლებს არ ზღუდავენ, მე რატომ უნდა შევზღუდო ის?! საერთოდ, ბავშვი დამოუკიდებლობას უნდა შეეჩვიოს. შია? — დაჯდეს და ჭამოს. ეძინება? — დაიძინოს. რაც უნდა, ის ჩაიცვას...

**— სამსახურშიც ასეთი ლოიალური ხარ?**

— არ არსებობს, ვინმეს სადმე წასვლა უნდოდეს და არ გავუშვა. ვიღაცას ბავშვი ჰყავს მოსანათლი, ვიღაც მეჯვარე უნდა იყოს, ვიღაცას პაემანზე აგვიანდება და აბა, როგორ უნდა ვუთხრა უარი?! ერთადერთი, რაც მაბრაზებს, უპასუხისმგებლობაა.

**— შეყვარებული ნინო როგორია?**

— უფრო მობილიზებული, რადგან დრო უნდა ეყოს კიდევ ერთი ადამიანისთვის, ამ დროის გამონახვა კი ძალიან ძნელია. ტელეფონი რომ არ არსებობდეს, ალბათ, ჩემი პირადი ცხოვრება არ შედგებოდა. შეყვარებული კიდევ უფრო სენტიმენტალური ვხდები, ვტირი რომანტიკული ფილმის სევდიან ფინალზეც კი, ვავლებ პარალელებს ჩემსა და ფილმის გმირს შორის.

**— შენი ოცნებები ფერადია თუ რეალური?**

— ძალიან რეალურია. ის ადამიანი, ვისზეც შეყვარებული ვარ, ხშირად მეუბნება: მინდა გამოვიცნო, რაზე ოცნებობ ან ბავშვობაში რაზე გიოცნებიაო. მერწმუნე, ჩემს ფერად ოცნებებს ვერაფრით ვიხსენებ. ერთადერთი იმაზე ვოცნებობდი, მქონოდა ოჯახი, სადაც ყველაფერი ძალიან ჩვეულებრივად იქნებოდა ანუ ქალი იფუსფუსებდა სამზარეულოში და სამსახურიდან დაბრუნებულ, დაღლილ მეუღლეს დაელოდებოდა. სამწუხაროდ, ჩემთან ყოველთვის ყველაფერი პირიქით იყო — შინ ყოველთვის გვიან მივდიოდი და სახლში ქმარი მელოდებოდა. მოკლედ, იდეალური ოჯახის შექმნაზე ვოცნებობდი, დღეს ყველაზე მეტად ეს მაკლია.



**— შეიძლება, შენი და შენი რჩეულის სასიყვარულო ურთიერთობა ამ ოცნების ასრულებით დამთავრდეს?**

— რა თქმა უნდა, ეს შესაძლებელია. ბოლოს და ბოლოს, მე ხომ ამ ოცნებისკენ მივილტვი...

**— ბალიშზე თავის დადებისთანავე გეძინება?**

— ბალიშის დანახვაც კმარა, თავის დადება რა საჭიროა (*იცინის*)?! თუმცა, მანამდე საყვარელი ადამიანის მიერ მოწერილი მესიჯების კითხვას ვასწრებ, შემდეგ კი ტკბილად ვიძინებ.

■

# მეგობრობით დაწყებული სიყვარულის ამბავი

## „ოცნება ზურამ ამისრულა...“

**მათი სიყვარულის ამბავი მეგობრობით დაიწყო. ინტერესთა თანხვედრის, საერთო შეხედულებებისა და პიროვნული თვისებების მსგავსების გამო, ერთმანეთს მალე დაუახლოვდნენ, მერე შეხვედრებს მოუხშირეს და ერთ დღესაც მიხვდნენ, რომ მათ ურთიერთობას მეგობრობა აღარ ერქვა... „რონდოს“ წევრმა ნათია ჟორჟოლიანმა და სამების ტაძრის მგალობელთა გუნდის წევრმა ზურა წკრიალაშვილმა 31 ოქტომბერს იქორწინეს და ჯვარი საგურამოში, წმინდა ილია მართლის სახელობის ტაძარში დაიწერეს. ბედნიერ წყვილს ქორწინებამდე რამდენიმე დღით ადრე შევხვდი.**

*თამუნა კვინიკაძე*



— ჩვენი ჟურნალის სახელით გილოცავთ ქორწინებას და ბედნიერებას გისურვებთ!

**ზურა:**

— დიდი მადლობა.

**ნათია:**

— „გზა“ ჟურნალებიდან გამორჩეულად მიყვარს.

**— თქვენი სიყვარულის ამბავი როგორ დაიწყო?**

— ერთმანეთს პირველად საპატრიარქოში შევხვდით. უწმინდესს დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან ჰქონდა შეხვედრა, საღამოზე „რონდო“ და „ბასიანი“ ვიყავით მიწვეულები. ვიდრე ჩვენი გამოსვლა დაიწყებოდა, „რონდოს“ გოგონები მისაღებში ვისხედით, ვლაპარაკობდით. ცოტა ხანში ერთი მაღალი, სიმპათიური ბიჭი მოგვიახლოვდა და...

**ზურა:**

— (*იცინის*) მაშინაც ასე ფიქრობდი?

**ნათია:**

— რა თქმა უნდა! ზურა გაგვეცნო, გამოგველაპარაკა, მერე სიმღერებიც შევასრულეთ და საღამოს დასასრულს პატრიარქთან ერთად, სამახსოვრო ფოტო გადავიღეთ. უწმინდესის მარჯვნივ „რონდოს“ წევრები დავდექით, მარცხნივ — „ბასიანი“. რატომღაც ზურამ თავისიანები მიატოვა და ჩვენ მხარეს დადგა.

**ზურა:**

— მაშინ ეს გაუაზრებლად გავაკეთე.

**ნათია:**

— შეიძლება ითქვას, რომ ერთმანეთი მეორე დღესვე დაგვავიწყდა, მაგრამ იმავე წლის ზაფხულში ერთმანეთს სრულიად შემთხვევით, „არტგენზე“ შევხვდით. იქ მეგობარ გიორგი მექვაბიშვილთან ერთად მივედი, ისიც „ბასიანის“ წევრია.

**ზურა:**

— ახლა უკვე ჩვენი მეჯვარეა. ფაქტობრივად, მე და ნათიამ ერთმანეთი იმ დღეს გავიცანით, მერე სხვა მეგობრებიც შემოგვიერთდნენ. აღმოჩნდა, რომ ორივეს ძალიან გვიყვარს ოპერა — ეს ის ადგილი იყო, სადაც ყველაზე ხშირად დავდიოდით, მაგრამ მერე რემონტი დაიწყო და დაგვიკეტეს (*იცინის*).

**ნათია:**

— მაშინ მეგობრები ვიყავით და ვერც ვიფიქრებდით, თუ ჩვენი ურთიერთობა სხვანაირად განვითარდებოდა. სულ წელიწად-ნახევარი ვმეგობრობდით, ბოლო თვეებში კი მივხვდით, რომ ჩვენს თავს რაღაც ხდებოდა — სულ ერთად ვიყავით, შეხვედრებს მოვუხშირეთ.

**ზურა:**

— მოკლედ, მეგობრობის სტატუსს თანდათან დავემშვიდობეთ. ჩვენი საერთო მეგობრებიც მოწადინებულები იყვნენ, რომ ჩემი და ნათიას ურთიერთობა დაოჯახებით დასრულებულიყო.

**ნათია:**

— თავიდან, როცა ამ თემაზე რაღაცებს გადაკვრით გვეუბნებოდნენ, ვუარობდი, — რას ამბობთ, ჩვენ მხოლოდ მეგობრები ვართ-მეთქი.

**— და გულში სხვაგვარად ფიქრობდი?**

— (*იცინის*) ბოლოს ყველას დუმილით ვპასუხობდით.

**— ზურა სიყვარულში როგორ გამოგიტყდა?**

**ზურა:**

— ძალიან უბრალოდ.

**ნათია:**

— ერთ მშვენიერ საღამოს გულწრფელად ვაღიარეთ ის, რასაც ერთმანეთის მიმართ ვგრძნობდით, ჩვენს ურთიერთობას სახელი დავარქვით.

**— ზურა რომანტიკული ადამიანია?**

— ძალიან. თავიდან მასში ამ რომანტიზმს დიდად ვერ ვგრძნობდი. იყო პერიოდი, როცა ძალიან ყურადღებიანი გახლდათ, მაგრამ უეცრად პრაგმატული ხდებოდა და ამაზე ვბრაზდებოდი.

**— ერთმანეთის პიროვნული თვისებებიდან ყველაზე მეტად, რით მოიხიბლეთ?**

**ზურა:**

— პირველ რიგში, შევთანხმდეთ იმაზე, რომ ნათია ძალიან ლამაზია.

— **არ გეკამათები.**

— ამასთანავე ნიჭიერი მუსიკოსია, რაც ჩემი მომავალი ცხოვრებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. კომუნიკაბელური, თბილი და მეგობრული ადამიანია; რაც უნდა ცუდ ხასიათზე ვიყო, რომ შევხედავ და გამიღიმებს, განწყობილება მეცვლება.

— **ჯერ არ გაუბრაზებიხარ?**

— არა.

**ნათია:**

— ზოგჯერ დიდხანს ვალოდინებ ხოლმე.

**ზურა:**

— ეგ არ მაბრაზებს.

**ნათია:**

— ზურა დადებითი მუხტის მატარებელი ადამიანია.

— **ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს არასდროს კამათობთ, ერთმანეთს არ ებუტებით.**

**ზურა:**

— ამისთვის დროც არ გვაქვს. თანაც — ჩვენი შეხედულებები ერთმანეთს ემთხვევა, საერთო სულიერი ღირებულებები გვაქვს.

— **თქვენი ურთიერთობიდან ყველაზე რომანტიკული დღე გაიხსენეთ.**

**ნათია:**

— იმდენი რომანტიკული დღე გვქონდა, რომელი ერთი გავიხსენო, არ ვიცი... ზაფხულში დასასვენებლად ბათუმში ვიყავით. ყოველ საღამოს მზის ჩასვლას ვუყურებდით, ჩვენი მეგობარი კი სურათებს გვიღებდა.

**ზურა:**

— როცა მე და ნათია ერთად ვმღეროდით, ჩვენ გარშემო ხალხი 10 წუთში იკრიბებოდა. მოკლედ, პატარა კონცერტებს ვმართავდით, ხალხი კი ტაშს გვიკრავდა, რაც ორივეს ძალიან გვსიამოვნებს.

— **ერთმანეთს როგორ მიმართავთ?**

**ზურა:**

— მე ნათუს ვეძახი, ზოგჯერ — ნათუნას.

**ნათია:**

— ზურა მეგობრებმა მეტსახელით გამაცნეს. გვარიდან გამომდინარე, მას ყველა წკრიალას ეძახდა და დიდი ხნის მანძილზე მისი ნამდვილი სახელი არც კი ვიცოდი. ახლა წკრის, ხანაც წკრიპუნას ვეძახი.

— **მშობლები თქვენს ურთიერთობას როგორ შეხვდნენ?**

**ზურა:**

— ო! საინტერესო თემას შეეხე (*იცინის*). ნათია, სხვა მეგობრებთან ერთად, ხშირად მსტუმრობდა. მაშინ შეყვარებულები არ ვიყავით, დედაჩემს კი სარძლოდ მოსწონდა. რადგან ამ თემაზე მე არ ველაპარაკებოდი, ჩემს ძმაკაცებს გამოიჭერდა ხოლმე და ეკითხებოდა, — რა ხდება, ხომ არაფერი იცით? რა კარგი გოგოა, ზურა რაღას ელოდებაო? მოკლედ, დედა და მეგობრები ორი მხრიდან მიტევდნენ.

**ნათია:**

— მსგავსი „თავდამსხმები" ჩემი მისამართითაც ხშირად იყო. ერთხელ, რომელიღაც ტელეარხზე ერთ-ერთი კონცერტის ჩანაწერს უჩვენებდნენ. მამამ იცოდა, რომ ზურა ჩემი მეგობარი იყო და ჩოხაში გამოწყობილი განსაკუთრებით მოეწონა (მამაჩემი ტრადიციების მოყვარული ადამიანია), შემდეგ კი რამდენჯერმე გამიმეორა: ძალიან კარგი ბიჭიაო! მოკლედ, ზურა მამაჩემის მოწონებული სასიძოა. მოგვიანებით, როცა ჩვენი ურთიერთობის შესახებ გაიგო, ძალიან გაუხარდა. ყველა მშობელს უხარია, როცა მისი შვილის გვერდით ღირსეული ადამიანი დგას.

— **ზურა, შენი საქმიანობის შესახებ მიამბე.**

— პროფესიით მუსიკოსი გახლავართ. სამების ტაძრის მგალობელთა გუნდის წევრი ვარ, პარალელურად კი სასულიერო აკადემიაში ტრადიციული გალობისა და ხალხური სიმღერის ფაკულტეტზე ლექციებს ვკითხულობ. ანსამბლ „ბასიანის" წევრი რომ ვარ, უკვე იცით. ჩვენ არაერთი ჩანაწერი, დისკი გვაქვს გამოცემული, გასტროლებზეც ხშირად დავდივართ. ბოლოს ნიუ-იორკში, კლასიკური მუსიკის ფესტივალზე ვიყავით მიწვეულები. ეს ფესტივალი 30 წელია, არსებობს და კლასიკურ მუსიკას უწევს პროპაგანდას. წლევანდელი თემა „ბახი და მრავალხმიანობა" გახლდათ. ამ ფესტივალში მონაწილეობა არა მხოლოდ „ბასიანისთვის", არამედ მთელი ქართული მუსიკალური სამყაროსთვის იყო მნიშვნელოვანი. ჩვენმა ანსამბლმა დიდი მოწონება დაიმსახურა.

— **იმედია, მომავალშიც არაერთი წარმატებული გამოსვლა გექნებათ...**

— არა მგონია, ქართველებს იმაზე მეტი განძი და სიმდიდრე გაგვაჩნდეს, ვიდრე ქართული ხალხური სიმღერა და საეკლესიო გალობაა.

— **როგორც ვიცი, თქვენ პატრიარქმაც დაგლოცათ.**

— დიახ. ჩვენ ასეთი ტრადიცია ჩამოვაყალიბეთ: როცა მგალობელთა გუნდის წევრებიდან რომელიმე ქორწინდება, ქორწილის დღეს წყვილი პატრიარქთან მიდის და მათ უწმინდესი ლოცავს; ჩვენც ასე ვაპირებდით, მაგრამ გავიგეთ, რომ ჩვენი ქორწინების დღეს უწმინდესი საქართველოში არ იქნებოდა, ამიტომ ვთხოვეთ, ქორწინებამდე დაველოცეთ. ეს ჩვენთვის ძალიან ბევრს ნიშნავს, დიდი მადლია.

**ნათია:**

— ჯვრისწერამდე ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების ეკლესიაში დავიწინდეთ, ყველა საფეხური ტრადიციების სრული დაცვით გავიარეთ.

— **ზურა, „რონდოს" გოგონებს უკვე დაუმეგობრდი?**

— რა თქმა უნდა!

**ნათია:**

— ერთ დღეს რეპეტიციაზე მიმიყვანა და მითხრა, მანქანაში დაგელოდებიო. მე ლიზისთან (რეპეტიციები ჩვენი პროდიუსერის — ლიზის სახლში გვაქვს ხოლმე) ავიყვანე. იმ დღეს ელენეს ცოტა დააგვიანდა და მის ნაცვლად, ზურა ვამღერეთ (*იცინის*). რაც მთავარია, ერთმანეთში „რონდოს" სიძეებსაც კარგი დამოკიდებულება აქვთ. ჩვენ ერთი ოჯახი ვართ.

— **წინასაქორწინო სამზადისში აქტიურად ხართ ჩართულები, არა?**

— თითქმის ყველა დეტალს ჩვენ ვათანხმებთ. კაბის მოდელი ინტერნეტით შევარჩიე და აქ ვაკერინებ.

**ზურა:**

— მკერავთან რომ მიმყავს, მანქანას 100 მეტრის მოშორებით მაჩერებინებს, — აქ იყავი, ერთი ნაბიჯიც არ გადმოდგაო; არც თაიგულს მაჩვენებს.

**ნათია:**

— ეს ყველაფერი სიურპრიზი იქნება.

**ზურა:**

— ჰოდა, ჩოხას მეც იმიტომ არ გაჩვენებ.

**ნათია:**

— ქორწილის შემდეგ პრაღაში მივემგზავრებით. ამ ქალაქის დათვალიერება ძალიან მინდოდა და ეს ოცნება ზურამ ამისრულა.

■



იმდენი რომანტიკული დღე გვქონდა, რომელი ერთი გავიხსენო, არ ვიცი...

# თეთრი სიყვარული, ლურჯი ღამე, მწვანე სიცივე ანუ სცენის გამნათებელი და ფერებით გამძაფრებული ემოცია

**ალბათ დამეთანხმებით, რომ ამა თუ იმ სპექტაკლის წარმატება მხოლოდ კარგ რეჟისურაზე და მსახიობის თამაშზე არ არის დამოკიდებული. ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს დეკორაციას, მუსიკალურ გაფორმებას, სცენის განათებას და ა.შ. „სხვადასხვა ფერის სინათლე ამა თუ იმ ემოციას ამძაფრებს, განათება სცენაზე ინტიმს ქმნის", — ამბობს ჩემი რესპონდენტი სერგო კაზარიანი, რომელიც თეატრში მაყურებლის ზურგს უკან ზის და ბევრისთვის შეუმჩნევლად მუშაობს. სხვათა შორის, კინომსახიობთა თეატრში ბოლო 30 წლის მანძილზე დადგმული ყველა სპექტაკლი მისი განათებულია.**



*ეთო ყორღანაშვილი*

— უკვე 40 წელია, ამ საქმეს ვემსახურები: ჯერ „თოჯინების", ხოლო 10 წლის შემდეგ „კინომსახიობთა თეატრში" დავიწყე მუშაობა. სხვათა შორის, თვითნასწავლი ვარ. ვფიქრობ, რთული პროფესია ავირჩიე, რადგან სცენის გამნათებელი ერთდროულად, რეჟისორიც უნდა იყოს, მხატვარიც და მსახიობიც. მან ფერების აღქმა მხატვარივით უნდა შეძლოს, როლში მსახიობივით უნდა შევიდეს და განიცადოს. მერწმუნეთ, ამ ყველაფრის გარეშე ჩემი პროფესიის ადამიანი კარნახის მონა იქნება, განათება მაყურებელზე შთაბეჭდილებას ვერ მოახდენს.

**— თეატრში როგორ მოხვდით?**

— ბავშვობაში მსახიობობა მინდოდა და დრამატულ წრეზე დავდიოდი, მაგრამ ბოლოს სცენის გამნათებელი გამოვედი. „თოჯინების თეატრში" გივი სარჩიმელიამ მიმიყვანა, სადაც პირველად სპექტაკლ „მზის სხივზე" ვიმუშავე; მერე მიშა თუმანიშვილმა მომცა უფლება, კინომსახიობთა თეატრის სპექტაკლებიც გამენათებინა.

**— და როგორც ვიცი, თქვენ მის მიერ დადგმული არაერთი სპექტაკლი გაანათეთ...**

— დიახ. მასთან მუშაობა საინტერესო იყო. როცა მსახიობებთან რეპეტიციებს დაიწყებდა, პარალელურად ჩემთანაც მუშაობდა. ჩვენ მხატვართან ერთად ვმსჯელობდით, თუ სად, რა და როგორ უნდა განათებულიყო. მიშა სულ მეუბნებოდა: მსახიობის სახე და მიმიკა კარგად უნდა ჩანდესო. ჩემი აზრით, ზედმეტი შუქი სცენას ინტიმურობას უკარგავს.

**— ხშირად კამათობდით?**

— იშვიათად. გოგი მესხიშვილი ამბობდა, — თუ სერგომ არ გაანათა, ჩემს ნამუშევარს ვერავინ დაინახავს. ეს ადამიანი ან დამაქცევს, ან ამაშენებსო. ერთხელ მიშამ მითხრა: იცოდე, მსახიობი სცენაზე „შიშველი" დგას და ისე გაანათე, რომ ამ სიშიშვლის გამო მაყურებლის წინაშე თავი უხერხულად არ იგრძნოსო.

**— მასთან მეგობრობდით?**

— სიტყვა „მეგობრობა" ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავს. მიშასთან ძალიან კარგი ურთიერთობა მქონდა და მის ოჯახთან დღემდე ვახლობლობ. სამუშაო ოთახში მიშას სურათი მაქვს, სანთელს ვუნთებ ხოლმე. მიხარია, რომ თეატრში წლების წინ დანერგილი ტრადიცია დღემდე გრძელდება: ყოველი სპექტაკლის წინ, სცენაზე გასვლამდე, მთელი შემოქმედებითი ჯგუფი იკრიბება და სანთლებს ანთებენ. იმედი მაქვს, ტრადიციას მომავალი თაობაც გააგრძელებს.



**მიშას თავისი მსახიობები ძალიან უყვარდა, ისინიც გიჟდებოდნენ რეჟისორზე**

**— როგორც მითხრეს, სპექტაკლის დროს მიშა თუმანიშვილი თქვენს სამუშაო ოთახში შემოდიოდა და მსახიობებს იქიდან ადევნებდა თვალს.**

— მართალია. ჩემს ოთახში ერთი სავარძელი იდგა, რომელშიც მოკალათდებოდა ხოლმე და სპექტაკლს თვალს ადევნებდა. თუმანიშვილი მეუბნებოდა: — სერგო, იცოდე, ამ სკამს შენ გაჩუქებო, მაგრამ თეატრში რემონტი რომ დაიწყო, მისი გამოტანა ვერ მოვასწარი... მიშა არა მხოლოდ პრემიერის დღეებში ნერვიულობდა. „ჩქარა, განათება", „მეტი ემოცია მჭირდება", „რეპლიკა გვიანდება" და ა.შ. წამოიძახებდა ხოლმე, მერე კი განმარტოვდებოდა და სცენისკენ აღარ იხედებოდა, თითქოს იბუტებოდა. მიშას თავისი მსახიობები ძალიან უყვარდა, ისინიც გიჟდებოდნენ რეჟისორზე. მოკლედ, თეატრში ოჯახური გარემო იყო და ეს განსაკუთრებით, გასტროლებზე ყოფნისას იგრძნობოდა.

**— სცენას რამდენი პროჟექტორით ანათებთ?**

— განათების აპარატურას 120 ღილაკი აქვს ანუ სცენაზე ამდენივე პროჟექტორი ინთება და ქრება. მათ პროგრამის მიხედვით ვაკონტროლებ.

**— და ყველაფერი წამებშია გათვლილი, არა?**

— რა თქმა უნდა! განათების ფერსაც დიდი მნიშვნელობა აქვს.

**— მითხარით, რომელი ემოცია რომელი ფერით ნათდება?**

— სიკვდილის სცენა წითელი ფერით ნათდება, ღამე — ლურჯით, სიცივე — მწვანით...

**— თუ სასიყვარულო სცენაა?**

— თეთრი ან ოდნავ ყვითელი ფერით. სულ 200 ფერს ვიყენებთ. მიშა

თუმანიშვილს „თბილი“ ფერები არ უყვარდა, მას სიტყვა „თეატრიც“ არ მოსწონდა დიდად და აქაურობას სახელოსნოს ეძახდა.

— **როგორც ვიცი, ლევან წულაძისა და დავით დოიაშვილის სადიპლომო სპექტაკლებიც თქვენ გაანათეთ.**

— მიშა სტუდენტებს ხშირად მიგზავნიდა, — აჩვენე, როგორ მუშაობ და თუ დაგჭირდება, დაასაქმე, პროჟექტორები გააწმენდინეო. ჭოლა ჩემთან სტუდენტობის დროსაც დადიოდა. მისი სადიპლომო სპექტაკლი „დედა“ იყო. რაც შეეხება დოის, მან „ცხოვრება იდიოტისა“ დადგა, რომელშიც გიორგი ნაკაშიძე, ეკა ჩხეიძე, ზურა გეწაძე მონაწილეობდნენ.

— **მაშინ როგორ მუშაობდით, როცა ქალაქში სინათლე არ იყო?**

— მახსოვს, საახალწლოდ გიორგი სიხარულიძის „შობას“ ვამზადებდით, როცა რაღაც აფეთქდა და ქალაქი ჩაბნელდა. რა უნდა გვექნა? 13 დღე-ღამის განმავლობაში თეატრიდან არ გავსულვართ, სინათლე 1 საათითაც თუ მოვიდოდა, რეპეტიციას ვიწყებდით, წუთსაც არ ვკარგავდით. სხვათა შორის, ამასაც თავისი ხიბლი ჰქონდა. მერწმუნეთ, სპექტაკლზე აუცილებლად აისახება ის ურთიერთობა, რომელიც მსახიობებს ერთმანეთის მიმართ სცენის მიღმა აქვთ.

— **სხვა თეატრების სცენის გამნათებლებთან თუ გაქვთ ურთიერთობა?**

— რა თქმა უნდა! ჩვენ ერთმანეთს ხშირად ვეხმარებით და ვცდილობთ, ტექნიკური პრობლემები ერთად დავძლიოთ.

— **მოსწავლეები თუ გყავთ? ამ საქმით ახალგაზრდები რამდენად არიან დაინტერესებულნი?**

— ვინც მოდის, ვასწავლი, მაგრამ ინტერესი ნაკლებად აქვთ, რადგან ეს ნაკლებადშემოსავლიან პროფესიად მიიჩნევა. მე არაერთი ქვეყნიდან მომივიდა მიწვევა, ლონდონიდან სომხური დიასპორის წარმომადგენლებიც დამიკავშირდნენ, მაგრამ ყველას უარს ვეუბნები.

— **რატომ?**

— ეს ქალაქი ძალიან მიყვარს, თბილისის გარეშე ვერ გავძლებ, — მერწმუნეთ, ეს სიტყვები გულიდან მოდის.

— **თბილისს „სინათლის ქალაქ“ უწოდეს. ღამის თბილისი თუ მოგწონთ?**

— ავლაბარში ვცხოვრობ და როცა განათებულ ნარიყალას ვუყურებ, თვალს და გულს სიამოვნებს, მაგრამ მთაწმინდის ანძას სხვაგვარი განათება უფრო მოუხდებოდა. საერთო ჯამში, ქართველებს საწუწუნო არაფერი გვაქვს. თბილისი უკეთესობისკენ იცვლება და ეს ძალიან მახარებს. ■

# რატომ დასცინოდნენ ხელჯოხიან გოგონას თანატოლები

## „სიარული არ შემიძლია, თორემ გონება მიჭრის...“

**ბევრჯერ დავფიქრებულვარ იმ ადამიანთა ცხოვრებაზე, რომლებსაც დამოუკიდებლად სიარული, საჭმლის ჭამა არ შეუძლიათ, სამყაროს აღქმის უნარი არა აქვთ და ფიქრებში მათ ტყავშიც არაერთხელ შევმძვრალვარ. თუმცა, იქ ყველაფერი ისეთი ბნელი მეჩვენებოდა, რომ სასწრაფოდ, რეალურ სამყაროში დაბრუნებას ვცდილობდი. საშინელებაა, როცა პატარა ხარ და თანატოლებთან ერთად სირბილი არ შეგიძლია, როცა ქუჩაში გასულს თვალს გაყოლებენ, თან — დანანებით ამბობენ: ვაი, შე საცოდავოო და ეს ყველაფერი შენც გესმის. ასაკის მატებასთან ერთად, უნარშეზღუდულ ადამიანს დარდი მეტად აწვება გულზე, რადგანაც გამოჯანმრთელების იმედს თანდათან კარგავს, მაგრამ ჩემი დღევანდელი რესპონდენტი ოპტიმისტი ქალბატონია და მიუხედავად იმისა, რომ 40 წელს გადააბიჯა, იმედი აქვს, — კეთილი ადამიანების დახმარებით, სიარულს ყავარჯნების გარეშეც შევძლებო...**

*ლიკა ქაჯაია*

**ლია ქიმერიძე:**

— ბავშვობიდან ინვალიდი ვარ, ცერებრალური დამბლით დაავადებული. დამოუკიდებლად სიარული მიჭირს, გადაადგილებას მხოლოდ 2 ხელჯოხის საშუალებით ვახერხებ.

— **როგორც ვიცი, მიუხედავად იმისა, რომ დამოუკიდებლად გადაადგილება არ შეგეძლოთ, სკოლაში სწავლობდით...**

— დიახ, 169-ე საშუალო სკოლა დავამთავრე... 3 წლის ვიყავი, როცა მშობლებმა სამკურნალოდ ყირიმში წამიყვანეს. მკურნალობის ერთი კურსის გავლის შემდეგ ჩემი მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა, ტკივილები ისე ძალიან აღარ მაწუხებდა... 14 წლის ასაკამდე ყირიმის სარეაბილიტაციო ცენტრში ყოველ წელს დავდიოდი, მაგრამ მერე ჩემს მშობლებს ამის შესაძლებლობა აღარ ჰქონდათ.



**მეგობრები ძალიან მეხმარებოდნენ, ცდილობდნენ, მათგან გარიყულად არ მეგრძნო თავი**

— **ყირიმში მკურნალობამ რაიმე შედეგი თუ გამოიღო, გარდა იმისა, რომ ტკივილები მოგეხსნათ?**

— როგორ არა! ჯერ 2 ხელჯოხით გავიარე, შემდეგ ერთითაც შევძელი გადაადგილება... თავდაპირველად, დედას სკოლაში ხელში აყვანილი დავყავდი, მერე კი ამას დამოუკიდებლადაც ვახერხებდი — ცხადია, ყავარჯნების დახმარებით. თუმცა, მშობელი ყოველთვის თან მახლდა, რათა ჩემთვის ვინმეს გული არ ეტკინა და თუ გამიჭირდებოდა, დამხმარებოდა. მოკლედ, სკოლა ჯახირით დავამთავრე.

— **ნუთუ ქუჩაში ვინმე თქვენს განაწყენებას ცდილობდა?**

— თანატოლებისგან განსხვავებით, ყოველთვის დაკომპლექსებული, დათრგუნვილი ვიყავი. ვცდილობდი, სახლიდან გარეთ არ გავსულიყავი ან თუ გავიდოდი, მეგობრებსაც კი ვარიდებდი თავს. ამ ყველაფერს ცხადია, თავისი მიზეზი ჰქონდა: გარდა იმისა, რომ ჩემი დაავადების გამო თავს ისედაც უხერხულად ვგრძნობდი, ქუჩაში, თანატოლებისგანაც არაერთხელ მიგრძნია დამცინავი მზერა ან სულაც, უფროსი თაობის ადამიანებისგანაც ხშირად მსმენია ჩემი მისამართით ნათქვამი: „ვაი, შენს დედას, უბედურს“, „რა ცოდვა ხარ, რა გეშველება“, „ვაი, შე საცოდავო“ — ეს სიტყვები ძალიან მთრგუნავდა, მაკომპლექსებდა. სხვათა შორის,

ტრანსპორტში არაერთხელ გავულანძღივარ უფროსი თაობის წარმომადგენელს იმიტომ, რომ ახალგაზრდამ ადგილი არ დავუთმე. ეტყობა, ჩემს ხელჯოხს ვერ ამჩნევდნენ...

**— კლასელებთან როგორი ურთიერთობა გქონდა?**

— სწორედ კლასელების სიყვარულის გამო მივდიოდი ხოლმე სკოლაში, თორემ ქუჩაში გასვლაზე საერთოდ, უარს ვიტყოდი. მეგობრები ძალიან მეხმარებოდნენ, ცდილობდნენ, მათგან გარიყულად არ მეგრძნო თავი; პედაგოგებიც მხარში მედგნენ, ყველანაირად და ყველაფერში მიწყობდნენ ხელს. მიუხედავად ამისა, ზოგჯერ ამ ადამიანებსაც გავურბოდი, მაგრამ ხშირად, ეს არ გამომდიოდა, მეგობრები ამის უფლებას არ მაძლევდნენ. მახსოვს, სკოლის ბანკეტზე წასვლას ვაპროტესტებდი, მაგრამ მაინც წამიყვანეს.

**— ბანკეტზე წასვლა რა მიზეზით არ გინდოდათ?**

— არ მინდოდა, ჩემი იქ ყოფნით მეგობრებისთვის ხასიათი გამეფუჭებინა, მათთვის გასართობად გამოყოფილი დრო წამერთმია... ბანკეტზე მისულს, ჩემი უსუსურობის გამო, ტირილი მომინდა. თავდაპირველად ვცდილობდი, ნერვები მომეთოკა, ჩემი ემოცია დამეფარა, მხიარული ადამიანის ნიღაბი მომერგო, მაგრამ ბოლოს თავი მაინც ვერ შევიკავე და ატირებული შინ წამოვედი... ბანკეტზე ყველანი ცეკვავდნენ, მხიარულობდნენ, მე კი ამ ყველაფრის შეგრძნება არ შემეძლო. ჰოდა, თავი დაახლოებით ისე ვიგრძენი, როგორც მაშინ, როცა პატარა გახლდით და ფანჯრიდან შევცქეროდი თანატოლებს, რომლებიც ეზოს მხიარული წივილ-კივილით იკლებდნენ...



მშობელი ყოველთვის თან მახლდა, რათა ჩემთვის ვინმეს გული არ ეტკინა

**— სკოლის დამთავრების შემდეგ როგორ წარიმართა თქვენი ცხოვრება?**

— მინდოდა, რუსული ენის სპეციალისტი გავმხდარიყავი და სკოლაში პედაგოგად მემუშავა, მაგრამ როდესაც უნივერსიტეტში საბუთები მივიტანე, მითხრეს: ინვალიდი ხარ, ძლივს დადიხარ და პედაგოგად ვერ იმუშავებ, ან ბავშვები დაგცინებ, ან წაგაქცევენო. ამ სიტყვებმა გული ძალიან მატკინა და არ მახსოვს, უნივერსიტეტის შენობიდან როგორ გამოვედი. ნერვიულობის ნიადაგზე, დერეფანში რამდენჯერმე წავიქეცი, სიცოცხლე აღარ მინდოდა... სამწუხაროდ, არსებობს ადამიანთა ისეთი კატეგორია, რომლებიც ინვალიდ ადამიანს აღიქვამენ როგორც გონებაშეზღუდულს, მაგრამ მადლობა ღმერთს, ისეთებიც არსებობენ, რომლებიც სულიერ თანადგომას, სითბოს არ იშურებენ ჩემნაირების მიმართ და ცდილობენ, იმედიც კი გაგვიღვივონ... რაღაც პერიოდის შემდეგ მეგობრების, ახლობლების, მეზობლების დაჟინებული თხოვნით გადავწყვიტე, ბედი კიდევ ერთხელ მეცადა, სწავლა გამეგრძელებინა და საზოგადოებისთვის დამემტკიცებინა, რომ მეც ჩვეულებრივი ადამიანი ვარ, უბრალოდ, სხვებისგან განსხვავებით, სიარული მიჭირს. ამის შემდეგ სწავლა კავშირგაბმულობის ტექნიკუმში განვაგრძე, მოგვიანებით კი უნივერსიტეტშიც ჩავაბარე, ისტორიულზე...

**— გარდა პედაგოგობისა, ბავშვობაში კიდევ რაზე ოცნებობდით?**

— მთელი ცხოვრება იმაზე ოცნებაში გავატარე, რომ ერთხელაც დამოუკიდებლად, ყავარჯნის გარეშე გავივლიდი, სხვისი დასაცინი არ ვიქნებოდი. პრინციპში, სხვაზე რაზე უნდა მეოცნება?! გარდა ამისა, რადიოჟურნალისტობაც მსურდა. გავიარე კიდეც ტელერადიოჟურნალისტიკის კურსები. მინდოდა, მქონოდა საავტორო გადაცემა, სადაც უნარშეზღუდული ადამიანების პრობლემებზე ვილაპარაკებდი, მაგრამ ჩემთვის ყველა კარი დაკეტილი აღმოჩნდა... მერწმუნეთ, მიუხედავად იმისა, რომ უკვე ზრდასრული ადამიანი ვარ, არ ვიცი, რა არის ბავშვობა, ახალგაზრდობა. მინდა, თქვენი ჟურნალის საშუალებით მადლობა გადავუხადო ყველა იმ ადამიანს, ვინც ჩემ მიმართ ცხოვრებაში ერთხელ მაინც, თბილი სიტყვა გაიმეტა. ეს სიცოცხლის სტიმულს მაძლევდა!

**— ახლა ისევ ორი ყავარჯნით გადაადგილდებით ანუ თქვენი მდგომარეობა დამძიმდა, არა?**

— რამდენიმე წელია, არ მიმკურნალია. ახლა ორი ჯოხით ძლივს დავდივარ და თანაც, საშინელი



**ფანჯრიდან შევცქეროდი თანატოლებს, რომლებიც ეზოს მხიარული წივილ-კივილით იკლებდნენ...**

ტკივილები მაწუხებს. მალე შესაძლოა, გავლა საერთოდ ვერ შევძლო და ლოგინს მივეჯაჭვო, ამას კი ვეღარ გადავიტან, ეს მაშინებს და ამიტომაც გავბედე, თქვენთვის დახმარება მეთხოვა... ამას წინათ ხელისუფლების წარმომადგენლებმა ინვალიდთა დასაქმების პროგრამაზე დაიწყეს ლაპარაკი. სხვებთან ერთად, მეც გავიარე კომპიუტერის კურსები, მაგრამ... საჯარო რეესტრში ვიღაცები დაასაქმეს, ჩემი ადგილი კი არც იქ აღმოჩნდა. იმედი მაქვს, რომ როცა „გზის“ ფურცლებზე ჩემს გასაჭირს წაიკითხავენ, ვინმე მაინც გამოიჩენს კეთილ ნებას და სამუშაოს შემომთავაზებს, რათა საკუთარი სახსრებით მაინც შევძლო მკურნალობის თუნდაც, ერთი კურსის გავლა. ამის შემდეგ მართალია, საბოლოოდ არ გამოვჯანმრთელდები და ხელჯოხის გარეშე ვერ გავივლი, მაგრამ ტკივილები საგრძნობლად შემიმსუბუქდება.

**— და რა თანხაა საჭირო საიმისოდ, რომ ყირიმის სარეაბილიტაციო ცენტრში მკურნალობის ერთი კურსი გაიაროთ?**

— ეს მკურნალობა საშუალოდ, 2.400 დოლარი ჯდება, ამ თანხის შეგროვებას კი ჩემი ოჯახი ვერაფრით შეძლებს. დედ-მამა პენსიონერია და მათ ახლა თავად სჭირდებათ დახმარება, მოვლა-პატრონობა, რაც ჩემს ძალებს აღემატება... და-ძმაც მყავს, მაგრამ ისინიც უმუშევრები არიან და საკუთარი ოჯახების რჩენას ძლივს ახერხებენ...

*P.S. თუ ქალბატონი ლიას დახმარების სურვილი გაგიჩნდებათ, დაგვიკავშირდით ტელეფონის ნომერზე: 8(58) 25.60.81 ან დაურეკეთ თავად ლიას: 51.78.28. ასევე, შეგიძლიათ გადარიცხოთ თანხა „პროკრედიტ ბანკში“, მის სახელზე გახსნილ ანგარიშზე: GE 74 pc 0443600100003185, ბანკის კოდი: MIB GGE 22220101922.*

# ეკრანზე გაცოცხლებული უკანასკნელი ბრძოლა

## „ვითარცა ცხრა ძმა ხერხეულიძე, ცაში სული ძგერს ჩვიდმეტი ძმისა...“

**შარშან „გზის“ ფურცლებზე, 2008 წლის აგვისტოს ომის გმირების — 17 ქართველი ჯარისკაცის უკანასკნელი ბრძოლის შესახებ მოგითხრობდით. გავიდა ხანი და ისიც გაუწყეთ, რომ „შინდისელთა“ საოცარი თავგანწირვის შესახებ ფილმის გადაღება იყო დაწყებული — ამის თაობაზე ახალგაზრდა მსახიობმა, ედმონდ მინაშვილმა „გზისთვის“ მოცემულ ექსკლუზიურ ინტერვიუში მოუთხრო ჩვენს მკითხველს. და აი, სურათზე მუშაობა დასრულდა. ედმონდი კვლავ გვეწვია რედაქციაში და გვაცნობა, რომ პრემიერა 11 ნოემბერს კინოთეატრ „რუსთაველში“ გაიმართება.**

*ხათუნა ბახტურიძე*



ეზოში 17 აკვანი დავდგით და ჩვილები ჩავაწვინეთ... ამით იმის თქმა გვინდა, რომ საქართველოში გმირები კიდევაც გაიზრდებიან

— ფილმი, რომელიც უწმინდესისა და უნეტარესის, ილია მეორეს ლოცვა-კურთხევით გადავიღეთ, მხატვრულ-დოკუმენტურია და 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპულ ყველა ქართველს ეძღვნება. პირველ რიგში მინდა ვახსენო ალექსანდრე ონიანის უმაგალითო თავგანწირვის, მეგობრების, სამშობლოს სიყვარულისა და საოცარი მამაცობის მაგალითი: მტრის ალყაში მოქცეული, წამითაც არ დაბნეულა, ბოლომდე იბრძოლა, ერთი ტყვიაც არ დარჩენია ავტომატის მჭიდში; სრულიად საღსალამათი იყო და გაქცევის საშუალება ჰქონდა, მაგრამ დაჭრილი თანამებრძოლი რომან ზოიძე (რომელიც მისი ნათლულიც იყო) არ მიატოვა, მასთან ერთად, უკანასკნელი ხელყუმბარით აიფეთქა თავი. ეს ამბავი ოთარ კალმახელიძემ გვიამბო — ჯარისკაცმა, რომელიც ამ ბიჭების გვერდით იბრძოდა. ძალიან მძიმედ იყო დაჭრილი, ერთიანად დაცხრილული გახლდათ. ბრძოლის ველიდან ადგილობრივმა მოსახლემ, ბადრი ხუციშვილმა, მეტსახელად ახმეტამ გამოიყვანა სამშვიდობოს და მედპერსონალს გადასცა. მერე, ხელისუფლების ინიციატივით, ისრაელში გაგზავნეს საოპერაციოდ და დღეს, ღვთის წყლობით, კარგად არის. თავიდან ჩვენთან საუბარზე უარი თქვა, მაგრამ მერე დავიყოლიეთ. როგორც ოთარმა გვიამბო, შეტაკება სოფელ შინდისში 11 აგვისტოს დღის ოთხიდან ხუთ საათამდე მომხდარა. ამ დროს ომი უკვე დამთავრებული იყო. ქართველ ჯარისკაცებს მიღებული ჰქონდათ ინფორმაცია, რომ ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე, რუსები გასასვლელად, კორიდორს უკეთებდნენ. ქვეითი ბრიგადა სრული შემადგენლობით, ბაზაზე ბრუნდებოდა. გზად რუსი ჯარისკაცები შეხვდნენ, ერთმანეთს ხელის აწევითაც კი მიესალმნენ. ქართველები როგორც კი სოფელ შინდისს მიუახლოვდნენ, ოკუპანტებმა ცეცხლი გაუხსნეს და წინ მიმავალი მანქანა ააფეთქეს. ქართველები მოულოდნელობისგან დაიბნენ და მანქანებიდან გადმოხტნენ. რამდენიმე კაცი მტრის პირისპირ აღმოჩნდა, მაგრამ გაქცევა არც კი უცდიათ, უთანასწორო ბრძოლაში უყოყმანოდ ჩაებნენ. როდესაც ჩვენს ბიჭებს ტყვიები გაუთავდათ, რუსებმა მხოლოდ მაშინ მოახერხეს მათი წინააღმდეგობის დაძლევა. უვნებელი მხოლოდ ალექსანდრე ონიანი გადარჩა. ოთარისგან 10 თუ 15 მეტრში, მუხლებზე დაჩოქილ ონიანს გულში ჰყავდა ჩაკრული დაჭრილი რომანი. როდესაც მტერი მოახლოვდა, რომანმა უთხრა, — წადი, მე მაინც ველარაფერს მიშველი, თავი გადაირჩინეო, — მაგრამ ალექსანდრემ ნათლულს ხელი არ გაუშვა; ხმამაღლა დაიძახა, — ბიჭებო, მოძღვართან ვრეკავ, ზიარებას მოგვცემსო! მოძღვარს ვერ დაუკავშირდა და ისევ ბიჭებს მიმართა, — ვისაც ჩემი ხმა გესმით, ჩემთან ერთად, „მამაო ჩვენო“ თქვით, მერე კი მტერს ცოცხალი ნუ ჩაჰბარდებითო! ლოცვა დაასრულა თუ არა, „ერგედეს“ ხელყუმბარა აამოქმედა. ოთარს, სიკვდილის მოლოდინში, თვალები დაუხუჭავს, მაგრამ „ერგედეს“ აფეთქების ტალღა მას ვერ მისწვდენია; თვალები რომ გაუხელია, რუსული ტანკის ლულა დაუნახავს. მტრის ჯარისკაცები დახოცილებისა და დაჭრილების მიმართულებით საკონტროლო გასროლას ახორციელებდნენ. ავტომატის ჯერი მის ფეხებზეც გადაუტარებიათ, რის შედეგადაც, ოთარს გონება დაუკარგავს... ეს ერთი ამბავიც კი საკმარისია შთამბეჭდავი ფილმის გადასაღებად. ასევე მთელი ფილმის თემად გამოდგება მიშიკო დვალიშვილის ამბავი: როდესაც ის შინ მიასვენეს, მშობლებმა ჯიბეში ქაღალდის ნაგლეჯებზე დაწერილი მისი ლექსები იპოვეს. „ჩვენ ვაჟკაცურად ვიბრძოდით, სამარეს ვთხრიდით ძმების,/ არ დავივიწყეთ დიდგორი, მიტომ შეგვარქვეს მგლები.../ 10 აგვისტოს მიშიკოსთვის ბიძამისს დაურეკავს და უთქვამს, — რუსებს ჩვენ ვერ მოვერევით, დაყარე იარაღი და გამოიქეციო. კინაღამ გადარეულა: მაგას როგორ მეუბნებით?! ბიჭები როგორ დავტოვო ან ჩემი მიწა-წყლიდან რუსებს როგორ გამოვექცეო?!. მიშკა ჩემი მეზობელია, ერთად ვართ გაზრდილები. მის შესახებ ბევრი რამ ვიცი. ლექსებს წერდა, ხატავდა, საოცრად რომანტიკული ადამიანი იყო. ომის დაწყებამდე რამდენიმე კვირით ადრე მამამისს ნაწილში მოუნახულებია. გახარებული შეჰგებებია, — მამა, მღვდელმა გვაზიარა, აწი არაფრის მეშინიაო. მერე იქვე მდგარ ვეფხია ჯიშკარიანს მისალმებია და გახუმრებია, — ვეფხია, ხომ ხარ შავიო? — მერე რაო? — კითხვა შეუბრუნებია ჯიშკარიანს. მიშკას კი უთქვამს, — დრო მოვა და ორივე ერთ ფერზე დავდგებითო... მართლაც, რამდენიმე დღეში ორივე გმირულად დაიღუპა. მიშკა ყოველთვის ამაყობდა იმით, რომ ჯარისკაცი იყო, ამბობდა, — ეს ყველაზე ვაჟკაცური საქმეა, ქვეყანას სწორედ ახლა ვჭირდ-

ებითო. თავის ერთ-ერთ ლექსში იმასაც ამბობს, — ათ კაცზე ერთი ვიბრძოდით, მამაცურად დავიხოცეთო... თითქოს წინასწარ იცოდა, როგორ მოკვდებოდა... თითოეულ მათგანზე ცალცალკე ლაპარაკი შორს წაგვიყვანს. მათზე ინფორმაციის მოსაგროვებლად, 11 ათასამდე კილომეტრის გავლა მოგვიხდა, თითქმის მთელი საქართველო მოვიარეთ: ამ ბიჭებიდან ზოგი — აჭარელი იყო, ზოგი — სვანი, იმერელი, კახელი... თითოეულის ნათესავებსა და მეგობრებს ველაპარაკეთ. ყველა პატრიოტი, სულითა და ხორცით მებრძოლი გახლდათ. ფულის გამო ჯარში არც ერთი არ წასულა. ამბობდნენ, რომ სამშობლოსთვის თავგანწირვა მათი ვალი იყო. ალბათ ღმერთმა შეახვედრა ისინი ერთმანეთს... ფილმში ჩართული გვაქვს გაზეთ „კვირის პალიტრაში" გამოქვეყნებული, რუსი სამხედროს, საშა დროზდოვის ინტერვიუს ნაწილი, სადაც ის ჰყვება: „რაციით გადმოგვცეს, რომ ცხინვალთან ახლოს ჩვენს ჯგუფს ცეცხლი გაუხსნეს და დახმარება იყო საჭირო. სასწრაფოდ ჩავსხედით მანქანებში. გასასვლელთან რომ მივედით, ჩვენების საქმე ძალიან ცუდად იყო: ქართველები თავის აწევის საშუალებას არ აძლევდნენ, მიცვალებულიც ბევრი ჰყავდათ და დაჭრილიც. ესენი ვინ არიან, ეშმაკები, ქაჯები თუ ადამიანები? — ყვიროდა მეთაური. — უკვე საათია, ასეთ დღეში ვართო. ამის გახსენებაც არ მინდა. როგორც გავიგეთ, სულ რამდენიმე ქართველი გვებრძოდა, მათგან ცოცხალი არავინ დარჩა. ჩვენი მეთაური ქართველი ჯარისკაცების ცხედრებთან დიდხანს მდუმარედ იდგა, მერე ერთი ამოიოხრა, ხმამაღლა კი მხოლოდ ეს თქვა, — ასეთი ბიჭები რომ მყოლოდაო...



ადგილი, სადაც ალექსანდრე ონიანმა თავი აიფეთქა

სიტყვა აღარ დაასრულა (ალბათ ჩეჩნეთის ომი იგულისხმა), ისე ჩაჯდა მანქანაში". ფილმის ბოლო სცენა სოფელ მუქედში (ჩემი ბიძის სახლში), დიდ ეზოში გადავიღეთ, სადაც 150 წლის წინ აშენებული სახლი დგას; ეზოში 17 აკვანი დავდგით და ჩვილები ჩავაწვინეთ... ამით იმის თქმა გვინდა, რომ საქართველოში გმირები კიდევაც გაიზრდებიან. მსოფლიომ უნდა გაიგოს, რომ საქართველოს გმირები ჰყავდა, ჰყავს და მომავალშიც ეყოლება.

— **საბოლოოდ, ფილმს რა სათაური შეურჩიეთ?**

— „17 გმირი".

— **იდეის ავტორი რომ შენ ხარ, ვიცი; დანარჩენებზე რას იტყვი?**

— მარტო იდეის ავტორი კი არა, პროექტის ხელმძღვანელიც გახლავარ. რეჟისორი დათო ხუბუაა, კომპოზიტორი — ნიაზ დიასამიძე, ტექსტს ზურაბ ყიფშიძე კითხულობს. ჩვენთან ერთად უანგაროდ შრომობდნენ: ოპერატორი გიორგი ხელაშვილი, ფოტოგრაფი გიორგი ბარსეგიანი; კახა კუპატაძე, ნინო მიქიაშვილი და ოლიკო გვენეტაძე. პროდიუსერები — მე და ბექა სონღულაშვილი ვართ. ბატონმა ჯანსუღ ჩარკვიანმა დაგვიწერა ლექსი, რომელსაც ფილმის ერთ-ერთ ეპიზოდში თავადვე კითხულობს. პირველ სტროფს წაგიკითხავთ: „გმირთა სახელით მიწა სულ იძვრის,/ გმირი ბევრი გვყავს, ვერ ვიტყვით ძვირსა,/ ვითარცა ცხრა ძმა ხერხეულიძის, ცაში სული ძგერს ჩვიდმეტი ძმისა/".

— **ფილმზე მუშაობისას რა სირთულეები და დაბრკოლებები შეგექმნათ?**

— მინიმალური თანხების მოძიებასა და ფილმზე მუშაობის დაწყებას 7 თვე მოვანდომეთ. სხვათა შორის, თავდაპირველად, ჩვენს გმირებზე ფილმის გადაღების პროცესის გაშუქება ტელევიზიებს შევთავაზეთ, მაგრამ უარი გვითხრეს. ზოგმა არც მოგვისმინა, ყურმილიც კი დაგვიკიდეს, — არ გვაინტერესებსო.

— **სამაგიეროდ, მოგვიანებით, მაია ასათიანმა მიგიწვიათ თავის გადაცემაში და თემა, რომელიც ჟურნალ „გზას" უკვე ორჯერ ჰქონდა გაშუქებული, საკუთარ ექსკლუზივად გამოაცხადა...**

— დიახ, მიშიკო დვალიშვილის მშობლებთან ინტერვიუ პირველად, თქვენს ჟურნალში დაიბეჭდა და ამ პროექტის საინფორმაციო მხარდამჭერი „მედია პალიტრაა", მაგრამ სატელევიზიო ექსკლუზივი მაია ასათიანმა გააკეთა. ჩემი გადაწყვეტილებით, ფილმი არც ერთ ტელეარხზე არ გავა, მაგრამ მას ყველა მსურველი ნახავს.

— **ტელეარხებზე რატომ არ გავა, ან ამის გარეშე ფილმს ყველა მსურველი როგორ ნახავს?**

— იმიტომ არ გავა, რომ... ამაზე საუბარი მართებულად არ მიმაჩნია. პრეზენტაციის შემდეგ, ყველა ქალაქსა და სოფელში ჩავალთ, სადაც კი გადაღებები მიმდინარეობდა და ფილმს ადგილობრივ მოსახლეობას უფასოდ ან სიმბოლურ ფასად ვუჩვენებთ. შემოსავალს შინდისში, ამ ბიჭების დაღუპვის ადგილზე მშენებარე ეკლესიის ფონდში ჩავრიცხავთ. შესაძლებელია, ფილმი თბილისის კინოთეატრებშიც რამდენიმეჯერ ვუჩვენოთ. კომპაქტდისკების მეშვეობითაც გავავრცელებთ.

— **დისკი რა ეღირება?**

— უფასო იქნება. ამ საქმეს ფულის შოვნის მიზნით როდი ვაკეთებთ. უბრალოდ, არ მინდა, ამ ბიჭების გმირობა ხალხმა მიივიწყოს. ყველაფერს გავაკეთებ მათი სახელების უკვდავსაყოფად. კიდევ კარგი, ისეთი ადამიანები ამოგვიდგნენ მხარში, როგორებიც არიან: ჩვენი კონსულტანტები — რობერტ სტურუა, რეზო ჩხეიძე, გიგა ლორთქიფანიძე, გიორგი მარგველაშვილი, ჯანსუღ ჩარკვიანი, სოსო ჯაჭვლიანი... ყველაზე დიდი დახმარება საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა, ილია მეორემ გაგვიწია. საპატრიარქომ გორსა და შინდისში ილია მეორის ჩასვლის კადრები მოგვაწოდა. ჩვენ არ ვფიქრობთ, რომ ამ ფილმით მოვალეობა მოვიხადეთ, ამიტომ კიდევ რამდენიმე პროექტზე ვმუშაობთ. უკვე გადაწყვეტილია, რომ შინდისში, ზუსტად იმ ადგილზე,



იმ ადგილზე, სადაც ჩვენმა ბიჭებმა გმირულად იბრძოლეს, ტაძარი უნდა ავაგოთ



გმირებზე ინფორმაციის მოსაგროვებლად, თითოეულის ნათესავსა და მეგობარს ველაპარაკეთ...

სადაც ჩვენმა ბიჭებმა გმირულად იბრძოლეს, ტაძარი უნდა ავაგოთ. ფილმის პრეზენტაციის შემდეგ, 12 ნოემბერს, სამთავისისა და გორის მიტროპოლიტი, მეუფე ანდრეა ტაძრის საძირკველს აკურთხებს.

— **ტაძარი რომელი წმინდანის სახელობის იქნება?**

— თავდაპირველად გადავწყვიტეთ, რომ ტაძარი 300 არაგველის სახელობის ყოფილიყო, მაგრამ 7 ოქტომბერს, როდესაც მის უწმინდესობას შევხვდი, კალამი და ფურცელი მომაწოდა და მითხრა: „ყოველთა ქართველთა და ოვსთა ბრძოლის ველზე მომწყდართა სახელზე ააგეთ წმინდა გიორგის სახელობის ტაძარი“... წლის ბოლოსთვის, „შინდისელთა“ გმირობის ამსახველი წიგნის გამოშვებასაც ვგეგმავთ. ომის თემაზე მთელი ცხოვრება ვიმუშავებ. მრცხვენია, რომ ამ ომში ვერ მივიღე მონაწილეობა; ამ ფორმით მაინც ვეცდები ჩემი ვალის მოხდას...

— **მხატვრული ფილმის გადაღებაც ხომ არ გაქვს ჩაფიქრებული?**

— აუცილებლად გადავიღებ. მუშაობა უკვე დაწყებულია. შინდისის ამბის გარდა, აგვისტოს ომში მომხდარი თავგანწირვის სხვა მაგალითებიც შესახებაც ვიცი. აგვისტოს ომს ჯერ კიდევ ჰყავს უსახელო გმირები.

— **რა ფაქტები მოიძიე?**

— ამას მოგვიანებით, პირველად, ისევ შენ გეტყვი. ჯერ კიდევ მუშაობის პროცესში ვარ. ქუჩაში ჯარისკაცს რომ დავინახავ, ვაჩერებ და ვეკითხები, იბრძოლა თუ არა 2008 წლის აგვისტოში? თუ დამიდასტურა, მაშინვე ვთხოვ, მომიყვეს ყველაფერი, რისი მოყოლის უფლებაც აქვს. ჩემი კიდევ ერთი მიზანი — რუსულ ინტერნეტსაიტებზე გავცელებული ცრუინფორმაციის გამოაშკარავება და მხილებაა.

— **რა ინფორმაციას გულისხმობ?**

— პუტინმა „შინდისელებთან“ ნაბრძოლი რუსები გმირობის ორდენებით დააჯილდოვა. ნეტავ, რა გმირობაა — მძიმე ტექნიკით შეიარაღებულმა ასეულმა მხოლოდ ავტომატმომარჯვებულ რამდენიმე მებრძოლს გაუმკლავდეს?!. ინტერნეტის მეშვეობით გავრცელდა ინტერვიუ, რომელშიც რუსი ჯარისკაცი ამბობს: „ქართველებისთვის ჩასაფრება არ მოგვიწყვია, უბრალოდ, ტანკი გაგვიფუჭდა, ვაკეთებდით და უეცრად, ქართველების სამხედრო კოლონა დავინახეთ. ცეცხლი თავდაცვის მიზნით გავხსენით“. ეს ხომ სისულელეა! საშა დროზდოვის ინტერვიუზე რომ არაფერი ვთქვათ, ლოგიკურად ვიმსჯელოთ და დასკვნა ისე გამოვიტანოთ: ნეტავ, გაფუჭებული ტანკით როგორ დაჭყლიტეს ჩვენების პიკაპები?!. სოფლის მოსახლეობა იმასაც ამბობს, რომ რუსები ტანკებისა და სხვა საბრძოლო ტექნიკის შესანიღბავად, ხეებს ჭრიდნენ... ყველაფერი იმაზე მეტყველებს, რომ ოკუპანტებმა გამიზნულად მოაწყვეს ჩასაფრება და არანაირი ტანკის შესაკეთებლად არ გაჩერებულან... ჩვენი სიმართლის დასამტკიცებლად, ისევ ჩვენ, ქართველებმა უნდა ვიბრძოლოთ, ვისაც როგორ შეგვიძლია, ისე...

*P.S. ვისაც ტაძრის მშენებლობაში საკუთარი წვლილის შეტანა გსურთ, შეგიძლიათ დაგვიკავშირდით ტელეფონის ნომრებზე: 8(77)78.78.15 ან 8(99)23.89.49.*

■




# პორტრეტები მოხუცებულთა თავშესაფრიდან

## წერილი პირველი

## „ყველას თვალებში ვკითხულობ, — „დამეხმარე, მიპატრონე“...“

**ახალგაზრდა ქალმა ხანდაზმულთა პანსიონატში დედის მიღების თხოვნით, სოციალური მომსახურების სააგენტოს მიმართა. „ოჯახის შესასწავლად, მოხუცს სახლში მივაკითხე, — ჰყვება სააგენტოს თანამშრომელი. — და გავოგნდი: თბილი, მოწესრიგებული, ინტელიგენტი ქალბატონი დამხვდა. მივხვდი, შვილის განზრახვის შესახებ არაფერი იცოდა. პანსიონატში ცხოვრების შესახებ საუბარი რომ დავუწყე, მორიდებით მითხრა, — არა, შვილო, მგონი, მისამართი შეგეშალათ, პანსიონატში მე რა მინდა?! ქალიშვილი მყავს, ის ცალკე ცხოვრობს, მაგრამ ამ სიბერეში მიპატრონებსო... სათნო მოხუცს გულს ვერ ვატკენდი; განცხადების თაობაზე მისთვის არაფერი მითქვამს, სახლიდან ისე წამოვედი“...**

*თეა ხურცილავა*

*არ ვიცი, როგორ დასრულდება ეს გულისამაჩუყებელი ამბავი, მაგრამ ფაქტია — მსგავსი შემთხვევები ჩვენ ირგვლივ ხდება და ხშირად, არა მარტო უპატრონო, არამედ ფეხზე მყარად მდგარი ადამიანის ხანდაზმული მშობელიც ცხოვრების უკანასკნელ წლებს თავშესაფარში ატარებს.*

*როცა თემქაზე მდებარე ხანდაზმულთა პანსიონატში სტუმრობა გადავწყვიტე, არ მეგონა, თუ იქიდან დაბრუნებული, რედაქციაში არა ერთი წერილის, არამედ სტატიების მთელი ციკლის მასალით დატვირთული დავბრუნდებოდი. ამ სახლში თურმე ბევრი სახელოვანი, დამსახურებული ან უბრალოდ, საინტერესო ბედის მქონე ადამიანი ცხოვრობს ან უცხოვრია.*

*...ეზოში მოხუცები სკამზე ისხდნენ და საუბრობდნენ. შენობაში სრული სიჩუმე სუფევდა. ინვალიდის ეტლს მიჯაჭვულ მამაკაცს, მოხუცი გადაადგილებაში ეხმარებოდა. აქა-იქ, დერეფანში რამდენიმე ხანდაზმული ადამიანი შევნიშნე — ზოგს გაზეთი ეჭირა ხელში, ზოგს წიგნი. უმრავლესობა კი თავის პატარა, მყუდრო ოთახში ფუსფუსებდა.*

*მეგზურობა დირექტორმა, ქალბატონმა* ***ნინო დვალიშვილმა*** *გამიწია. ამ თანამდებობაზე სამი თვის წინ დაუნიშნავთ, მაგრამ ყველა მოხუცის ცხოვრება, ყველას ტკივილი უკვე ზეპირად იცის.*

**— ქალბატონო ნინო, თქვენს პანსიონატში მოხუცები როგორ ხვდებიან?**

— ხანდაზმულთა პანსიონატი თბილისსა და ქუთაისშია; არსებობს კერძო პანსიონატებიც. ადრე აქ ბენეფიციარის მიღება დირექტორს შეეძლო, მაგრამ ახლა ჩარიცხვა-ამორიცხვას სოციალური მომსახურების სააგენტო აწარმოებს. განცხადებას მოხუცი, მისი შვილი ან მეზობელი წერს, შემდეგ სოციალური მუშაკები სწავლობენ, კატეგორიას ადგენენ, ეს საკითხი საბჭოზე გააქვთ და საბჭო ამტკიცებს, ჩაირიცხოს თუ არა მოხუცი პანსიონატში. დღეს ჩვენს პანსიონატში 82 მოხუცია. სამწუხაროდ, რამდენიმე დღის წინ ერთი ქალბატონი გარდაიცვალა.



ნინო დვალიშვილი

**— რადგან ამ საკითხს შეეხეთ, იქნებ გვითხრათ, გარდაცვლილის დაკრძალვას ოჯახი კისრულობს თუ თქვენ?**

— როგორც წესი, ახლობლებს მაშინვე ვუკავშირდებით; თუ შესაძლებლობა არა აქვთ, დაკრძალვის ხარჯებს ჩვენ ვფარავთ. ამ შემთხვევაში, გარდაცვლილ ქალბატონს მეურვე არ ჰყავდა. დადებული გვაქვს ხელშეკრულება შპს „ჰერმესთან“, რომელიც გვემსახურება. სამწუხაროდ, ვისაც არავინ ჰყავს, მათ უპატრონოთა სასაფლაოზე ვასაფლავებთ. „ჩემმა“ მოხუცმა სიკვდილის წინ მითხრა: ბედნიერი ვარ, შენს ხელში რომ ვკვდები; ჯვარი გამიკეთე და წელიწადში ერთხელ ჩემს საფლავზე ამოდი. გეხვეწები, არ მიმატოვო, აღდგომას კვერცხი გადამიგორე ხოლმეო... მის ანდერძს აუცილებლად შევასრულებ. ისიც მითხრა, — თუ ოდესმე გაგიჭირდება, სანთელი ამინთე, ილოცე ჩემზე და იქიდან დაგეხმარებიო. ნუნუ დეიდა 78 წლის იყო.

**— შვილი არ ჰყავდა?**

— ქალბატონი ქუთაისელი იყო და აქ 18 წელი იცხოვრა. ქალიშვილი და შვილიშვილი დარჩა. ამ თემაზე საუბარი არ უყვარდა. არავინ იცის, დედა-შვილს რა კონფლიქტი მოუხდათ. ფაქტია, დედამ ქალიშვილი მოიძულა. ვერ მივაკვლიეთ შვილის მისამართს; იშვიათად, მაგრამ როცა ნუნუ დეიდა მისგან წერილს იღებდა, მისამართსაც ხევდა... მის პირად საქმეში ეწერა, რომ არავინ ჰყავდა. ერთი წერილი აღმოვაჩინეთ, შვილიშვილის გამოგზავნილი. დედა იტალიაშიაო, — სწერდა ბავშვი და თავის ავადმყოფობაზე უამბობდა: კუჭ-ნაწლავის პრობლემა მქონდა, სისხლდენით საავადმყოფოში ვიწექიო. ნუნუ დეიდა კუჭის კიბოთი გარდაიცვალა. ბოლო დღეებში გაუსაძლისი ტკივილები ჰქონდა. ორჯერ დავაწვინეთ საავადმყოფოში, ბოლოს კი გადაყვანაზე უარი თქვა, — მირჩევნია, აქ, ჩემს სახლში მოვკვდე, ვიდრე იქ გადამიყვანოთო... დამსახურებული ადამიანი იყო, მთელი ცხოვრება შრომაში გაატარა. საერთოდ, აქ ცხოვრობდნენ და ცხოვრობენ ღვაწლმოსილი ადამიანები: პედაგოგები, ექიმები, ჟურნალისტები, მსახიობები, პროფესორები...

**— მათ გარეთ გასვლის უფლება ხომ აქვთ?**

— დიახ. უბრალოდ, აღრიცხვა ხდება: მათ დარაჯი ეკითხება, სად მიდიან; თუ ახლობელთან ან სადმე დასასვენებლად უნდათ წასვლა, ამ შემთხვევაში, განცხადებას წერენ და შიდა ბრძანებით, პანსიონატიდან მათი დროებით ამორიცხვა ფორმდება. კოორდინატებსაც ვიტოვებთ.

**— მათი უმრავლესობა მარტოხელაა თუ შვილები ჰყავთ?**

— უმრავლესობას ოჯახები აქვს.

მარტო შვილს არ ვგულისხმობ — ძმისშვილები, დისშვილები ანუ მეურვეები. არიან ისეთები, რომელთა შვილები საზღვარგარეთ არიან. ერთი ქალბატონი ცხოვრობს, რომელსაც 4 თვეში ქალიშვილიც გარდაეცვალა, ვაჟიშვილიც, შვილიშვილიც და მარტო დარჩა, შორეული ნათესავის ანაბარა. ისეთებიც არიან, რომლებსაც სახლი აქვთ, მაგრამ საშუალება არ ჰქონდათ, თავი ერჩინათ. ერთ მოხუც კაცს ბინა დაკეტილი აქვს: მისი ვაჟიშვილი ესპანეთში ცხოვრობს; მამას ფულს უგზავნიდა, მაგრამ სამწუხაროდ, ავარიაში მოჰყვა და ინვალიდის ეტლს მიეჯაჭვა; ახლა თავად, უცხოელი ცოლის ხარჯზე ცხოვრობს და მოხუც მამას ვეღარ ეხმარება... რამდენიმე მოხუცი თაღლითობის მსხვერპლი გახდა — ბინა სხვის სახელზე გადააფორმა და ქუჩაში ამიტომ აღმოჩნდა... ღვაწლმოსილი ქალბატონი გვყავს — მთელი ცხოვრება შრომობდა, ჭერიც ჰქონდა, მაგრამ შვილები გარდაეცვალა და სიბერეში მარტო დარჩა. შორეულმა ნათესავმა ბინა თავის სახელზე გადააფორმებინა, დაჰპირდა, რომ მოუვლიდა; ცოტა ხანი აცხოვრა, მერე კი სახლიდან გამოაგდო. საბრალო, ხან მეგობრებთან იყო შეკედლებული, ხან — მეზობლებთან, ბოლოს აქ მოსვლა გადაწყვიტა. ასეთივე მდგომარეობაში აღმოჩნდა კიდევ ერთი ქალბატონი: თანასოფლელი მზრუნველობას დაჰპირდა, ბინა გააყიდვინა და უთხრა, — საცხოვრებლად ჩემთან გადმოდიო. მერე ამ ფულით, ხან ტელევიზორი აყიდვინა, ხან მაცივარი და სხვა საოჯახო ნივთი. ბუნებრივია, ეს საჩუქრები არსად ფიქსირდებოდა. ჰოდა, როცა ქალს ფული გაუთავდა, ბინიდან გამოაგდო; უთხრა, — შენ ჩემთან ქირით ცხოვრობდიო... სასამართლოში კი თქვა მოხუცმა სიმართლე, მაგრამ მტკიცებულება არ ჰქონდა. დღესაც ჩივის. მხოლოდ 2.000 დოლარი აქვს დაფიქსირებული, რომელიც „მარჩენალს“ შვილის სწავლის გადასახადისთვის ასესხა — მარტო ამის დამტკიცება მოახერხა და სასამართლოს გადაწყვეტილებით, იმ ოჯახს მოხუცისთვის ნაწილ-ნაწილ უწევს ამ თანხის გადახდა.

**— უფლებების დაცვაში პანსიონატის ბინადართ ვინ ეხმარება?**

— სააგენტოს კვალიფიციური იურისტები ეხმარებიან. ერთი ბენეფიციარი გვყავს, სახეიბრო ეტლს მიჯაჭვული. რაღაც გაუგებრობაში გაეხვია და პირობითი სასჯელი მიუსაჯეს, პრობაციონერი გახდა. კიევში, რეაბილიტაციის ცენტრში სამკურნალოდ გვინდოდა გაგვეგზავნა, მაგრამ პრობაციონერს საზღვრის გადაკვეთის უფლება არა აქვს. ამ საქმეში იურიდიული სამმართველო ჩაერთო, პირობითი მსჯავრი მოუხსნეს და მალე წავა სამკურნალოდ; შეიძლება, ფეხზე დადგეს.

**— მოხუცებს შვილები, ახლობლები თუ აკითხავენ?**

— ბევრს აკითხავენ. სურსათი და სხვადასხვა ნივთი მოაქვთ, მაგრამ მათ ხომ პირველ რიგში, ახლობლისგან სითბო და მზრუნველობა ესაჭიროებათ?! მერწმუნეთ — პანსიონატის თანამშრომლებისგან სითბო არ აკლიათ, ყველანაირად ვცდილობთ, ყოფა შევუმსუბუქოთ, სიყვარული არ მოვაკლოთ, მაგრამ შვილების, ოჯახის წევრების სითბოს არაფერი შეედრება.

**— რა აწუხებთ ყველაზე მეტად?**

— გული იმაზე წყდებათ, რომ შინიდან წამოსულები არიან და არა აქვთ საშუალება, შვილების გვერდით ტკბილი სიბერე გაატარონ. ხანდახან რომელიმეს ისეთი დადარდიანებულს ვნახავ, ვეკითხები, — რაზე ფიქრობთ-მეთქი? ძირითადად, მპასუხობენ, — ეჰ, შვილო, იმას ვფიქრობ, მე რომ სახლში ვყოფილიყავი, ჩემი შვილების გვერდით, ახლა როგორ ვიქნებოდიო... ნოსტალგია აქვთ და ეს ბუნებრივია.

**— თუ ყოფილა ისეთი შემთხვევა, როცა ოჯახმა მოხუცი შინ დააბრუნა?**

— ახალი დანიშნული ვარ, მაგრამ პირადი საქმიდან ვიცი ერთი შემთხვევა — მოხუცი სახლში, წალენჯიხაში დაბრუნდა. რამდენიმე მოხუცს დაბრუნების იმედი აქვს; ამბობენ, — ჩემი შვილი უსახლკაროდ დარჩა, ველოდები, ბინას რომ შეიძენს და დავბრუნდებიო. მოხარული ვიქნები, თუ ასე მოხდება. ყველაზე ხანდაზმული — 92 წლის ქალბატონი გვყავს, ყველაზე დიდი ხანია, აქ ცხოვრობს. ინტელიგენტი ქალია... ისე, საკმაოდ კარგი პირობები გვაქვს: ოთხჯერადი კვება, ყველა აუცილებელი ყოფითი მომსახურება; გვყავს ექთანი, ფსიქოლოგი, ფსიქიატრი, ნევროპათოლოგი; სანიტრები ცვლებში მუშაობენ, გვყავს სტილისტი, ადამიანი, რომელიც მოხუცებს დაბანისას ეხმარება... ყველა ბენეფიციარს იზოლირებული ოთახი აქვს, აბაზანა-ტუალეტით, ტელევიზორით. მათ საკვებსაც ადგილზე ვაწვდით. დიდი ინტერესით ეცნობიან პრესას; გვაქვს კარგი ბიბლიოთეკა, რომლითაც სარგებლობენ. როცა სურვილი აქვთ, თამაშობენ ნარდს, ჭადრაკს. სხვათა შორის, ნარდში შეჯიბრება ჩავატარეთ და გამარჯვებულებს სააგენტომ საჩუქრად, დიდი საჭადრაკო დაფა გადასცა; პროექტის ავტორი — ბატონი მურმან ხაჭაპურიძეც დავასაჩუქრეთ. სატრენაჟორო დარბაზიც გვაქვს, სადაც რიგი დგას. როცა სტუმრებს ველოდებით, მაშინ სტილისტთან, ქალბატონ მზიასთანაც რიგი დგება... სულ აქ ვარ, ვერ ვცილდები მოხუცებს. ყველას თვალებში ვკითხულობ, — „დამეხმარე, მიპატრონე“. ისინი კარგი ფსიქოლოგები არიან — როცა ხედავენ, რომ ინტერესით უსმენ, მთელ ცხოვრებას ჰყვებიან... კარგი ფსიქოლოგი გვყავს — ელენე არღვლიანი; ძალიან მორწმუნე ადამიანია. მისი მეუღლე მოძღვარია. სალოცავი ოთახი გვაქვს, სადაც ლოცულობენ, მამაო აღსარებას იბარებს. ქალბატონი ელენეს მეუღლე, მამა დავითიც ხშირად სტუმრობს მოხუცებს. ლოცვები ტარდება, ეზიარებიან... საპატრიარქო პანსიონატის ეზოში წმინდა მარკოზ ეფესოელის სახელობის ეკლესიას აშენებს. ჩვენს მოხუცებს სადაზღვევო კომპანია ემსახურება. როდესაც სჭირდებათ, სტაციონარში გადაგვყავს. სამწუხაროდ, უმრავლესობა ავადმყოფობს. რამდენიმეს ინსულტი აქვს გადატა-



**პანსიონატში ორი წელია, ცხოვრობს ჩვენი კოლეგა, 70 წლის მურმან ხაჭაპურიძე**

ნილი, მათ გადაადგილება უჭირთ. არიან მწოლიარეები და ჩვენი სანიტრები, ექთანები ემსახურებიან.

*პანსიონატში ორი წელია, ცხოვრობს ჩვენი კოლეგა, 70 წლის მურმან ხაჭაპურიძე. პროფესიონალურმა ინტერესმა სძლია და ვეტერანმა ჟურნალისტმა იქ მცხოვრებ ადამიანებზე უამრავი საინტერესო ინფორმაცია მოიძია, შემდეგ ერთ წიგნად აკინძა. აქ მოთხრობილია მოხუცებულთა ცხოვრების ამბები, მათი ტკივილიანი და სევდიანი წარსული, გაცემულია პასუხი კითხვაზე — თუ რამ აიძულა ისინი ცხოვრების ბოლო წლები პანსიონატში გაეტარებინათ. ერთი სიტყვით, ბატონი მურმანი ამ დიდი საერთო სახლისა და მის ბინადართა ნამდვილი მემატიანეა. სწორედ მის მონათხრობს შემოგთავაზებთ „გზის“ მომდევნო ნომერში, ამ ციკლის მეორე წერილში.* ■



# სამყარო

## „ჩემი მოტოს გარეშე ცხოვრება ვერ წარმომიდგენია“

**ცირა კოზეშავიძეს, იმავე ბილის, მოტოციკლები ბავშვობიდან მოსწონდა. 12 წლის იყო, როცა პატარა სკუტერი უყიდეს და მას შემდეგ უამრავი „მოტო“ გამოიცვალა. მის გატაცებას გარშემო მყოფები სკეპტიკურად უყურებდნენ და მიიჩნევდნენ, რომ მალე გადაუვლიდა, მაგრამ 19 წლის ბილის გადაადგილების ეს ექსტრემალური საშუალება დღემდე ძალიან უყვარს.**

*ელენე ბასილიძე*

— პატარა რომ ვიყავი, საბავშვო, სამბორბლიანი მოტოციკლი მყავდა. დღემდე მახსოვს, როცა პირველად ნამდვილი, დიდი „ბაიკი“ ვნახე... პირველ კლასში 68-ე სკოლაში მიმიყვანეს. ჩემი სკოლის გვერდით ამერიკის საელჩო იყო და მის წინ დიდი მოტოციკლი იდგა ხოლმე. პირველ სექტემბერს სკოლაში რომ მივედი, ორი BMW-ს ფირმის ლურჯი და რუხი მოტოციკლი დავინახე. გავშეშდი და საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში ვიყავი მათზე მიშტერებული. ალბათ სწორედ იმ დღემ



**მშობლებთან პრობლემა არასოდეს შემქმნია**

განაპირობა მოტოციკლებით ჩემი დაინტერესება. 10 წლის ასაკში მოტოციკლზე პირველად დავჯექი. აგარაკზე ვიყავი, როცა ჩემმა მეგობარმა ნება დამრთო, მისი მოტო მეტარებინა. დიდი, რუსული მოტოციკლი იყო და მიუხედავად იმისა, რომ არასოდეს ვმჯდარვარ და არც ტარება უსწავლებია ვინმეს, უპრობლემოდ გავატარე. 11 წლის ვიყავი, როცა პირველი „მოტო“ მიყიდეს და მას მერე ჩემს ხელში იმდენმა „მოტომ“ გაიარა, უკვე სათვალავი ამერია (*იღიმის*).

**— პირველად მოტოციკლზე რომ დაჯექი, არ შეგშინებია?**

— არა, რას ამბობ?! იმდენ ხანს ვეხვეწებოდი ჩემს მეგობარს, დამსვი-მეთქი... ტარება არ იცი და დაილეწებიო, მეუბნებოდა. არა, ვიცი-მეთქი, ვპასუხობდი... იმდენად მიყვარდა და მინდოდა მისი ტარება, დარწმუნებული ვიყავი, არ გამიჭირდებოდა. მართლაც, პირველივე ცდაზე გავატარე. მერე მეგობარს მივუბრუნდი და ვუთხარი: — აი, ხომ ხედავ, ტარება ვიცი-მეთქი. ძალიან მაგარი შეგრძნება იყო, ამას ვერაფერი შეედრება.

**— დღეს რა მოტოციკლი გყავს?**

— „იამაჰა იუპიერი“ უკვე ორწელიწად-ნახევარია, რაც მყავს და ისე მიყვარს, შეცვლა კიდევ დიდხანს არ ემუქრება. ადრე წითელი იყო, მერე იასამნისფრად და ვარდისფრად შევღებეთ და ძალიან ლამაზი გამოვიდა. ჩემი მოტოციკლი ძალიან მიყვარს და ბევრ ადამიანსაც მირჩევნია.



როცა გაფუჭებულია, სახლში ყველა მთხოვს, რაც შეიძლება მალე გააკეთეო... მას რომ რამე „უჭირს“, ცუდ ხასიათზე ვარ და არავისთან ლაპარაკი არ მსურს.

**— მშობლები შენს გატაცებას როგორ უყურებენ?**

— ამ თემასთან დაკავშირებით მშობლებთან პრობლემა არასოდეს შემქმნია. მახსოვს, აგარაკზე ყოფნისას მშობლებმა მკაცრად გამაფრთხილეს, მოტოციკლზე დამჯდარი არ დაგინახოთო, მაგრამ ისეთი საწყალი თვალებით ვუყურებდი მოტოციკლებს, ბოლოს უკვე თავად მითხრეს, მიდი და დაჯექიო... ოჯახის წევრებს გული რომ შევუწუხე მოტოებზე ლაპარაკით, მამაჩემმა დაბადების დღეზე მიყიდა. ჩემი მშობლები ჩემს სურვილებს პატივს სცემენ. უკვე მიხვდნენ, რომ მოტოციკლი ჩემთვის უბრალო გატაცება არაა. ადრე თავს იმშვიდებდნენ, 13 წლის გახდება და გაუვლისო... მერე, როცა ნახეს, რომ არ გამიარა, მიხვდნენ, რომ ძალიან მიყვარს და ჩემს საყვარელ ტრანსპორტსაც შეეგუვნენ.

**— რა რეაქცია აქვთ უცხო**

**ადამიანებს შენი დანახვისას?**

— თავიდან ყველას ეგონა, რომ ქართველი არ ვიყავი, მაგრამ ხშირად რომ მხედავდნენ ქუჩაში, მიხვდნენ, თბილისელი ვარ. უცხო ადამიანები ხშირად მოსულან და უთქვამთ, შენი მშობლები სახლში მშვიდად როგორ სხედანო?!. ჩემი მშობლებისთვისაც ხშირად უთქვამთ, ეს მოტოციკლი „მოსიარულე კუბოა“ და თქვენს შვილს მასზე დაჯდომის ნებას როგორ რთავთო? ისე კი, გარშემო მყოფებს ჩემი დანახვისას განსხვავებული რეაქციები აქვთ. შეიძლება, 80 წლის ბებომ მითხრას, ვაიმე, რა კარგი ხარ, შვილო, ნეტავ, შენნაირები ბევრნი იყვნენო და 18 წლის გოგომ გაიაროს და — ფუ, რა საშინელებააო! — თქვას... ამ ახალგაზრდებისაც მესმის, ბევრს არ შეუძლია ის გააკეთოს, რაც სურს და სხვისი თავისუფლება აღიზიანებს. ამას წინათ, შუქნიშანთან ვიყავი გაჩერებული, თმა აწეული მქონდა, ჩაფხუტიდან არ მიჩანდა და გვერდით მდგომი მანქანიდან გოგონები მეპრანჭებოდნენ (*იცინის*). სხვათა შორის, მსგავსი შემთხვევა ხშირად ყოფილა. მერე, რომ მიხვდებიან გოგო ვარ, მაგრად „უტყდებათ“. რაც „ბაიკი“ გადავღებე, იოლად „ვიშიფრები“ და გოგონებიც გაპრანჭვისგან თავს იკავებენ. ადრე უფრო ვაკვირდებოდი ადამიანების რეაქციას; ახლა უკვე მომბეზრდა. ერთხელ მოპედზე ჩაფხუტის გარეშე ვიჯექი. მაშინ 13 წლის ვიქნებოდი და ჯერ კიდევ ახალი ხილი იყო მოტოიანი გოგონა. გამვლელმა გოგო-ბიჭმა თვალი გამომაყოლა. როგორც ჩანს, წინ გახედვა დაავიწყდათ, ბიჭი ნაგვის ბუნკერს დაეჯახა და ლამის შიგნით ჩაყირავდა. მივედი, მოვიკითხე, ხომ კარგად ხართ და არაფერი დაგშავებიათ-მეთქი?

**— ყოველდღიურად, გადაადგილებისთვის მოტოციკლს იყენებ?**

— ამ ბოლო დროს, ყოველდღიურად ბევრი საქმის მოგვარება მიწევს და მანქანით გადაადგილებას ვარჩევ. მოტო არ გამომყავს, თუ ვიცი, რომ შეიძლება, დიდი ხნის განმავლობაში მომიწიოს გარეთ გაჩერებამ. ისე კი, თითქმის ყოველთვის, ჩემი მოტოთი დავდივარ. ზამთარში, თოვლშიც მივლია...

**— როგორც ვიცი, სწავლობ, ხომ?**

— კი, დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტში, ტურიზმის მენეჯმენტს ვსწავლობ — მესამე კურსზე ვარ. გარდა ამისა, რამდენიმე კვირის წინ მცირე მეწარმეც გავხდი: მე, ჩემმა შეყვარებულმა და მეგობარმა ბარი გავხსენით და ყველაფერი საკუთარი ხელით გავაკეთეთ... ჩემს შეყვარებულს მანქანები უყვარს, მე — მოტოები. ორივეს ექსტრემის სიყვარული გვაერთიანებს და დიდი ხანია, ისეთი ბარის გახსნა გვინდოდა, სადაც ავტო და მოტომოყვარულები განტვირთვას შეძლებდნენ. ამიტომაც, ავდექით და ბარი — სახელად „გარაჟი“ გავხსენით.

**— მოტოთი სეირნობისას მანქანებს ხშირად ეჯიბრები?**

— მანქანებთან შეჯიბრება არ მიყვარს. არ მყავს ისეთი მოტოციკლი, რომ მანქანას გადავუდგე და თან, არც მიზიდავს დასახლებულ ადგილზე რბოლა... ერთხელ, დიღომში, წითელმა „პასატმა“ აშკარად გამომიწვია... არ ვიცი, რატომ, მაგრამ მისთვის ჭკუის სწავლება გადავწყვიტე. თმა აკეცილი მქონდა, ვერ მიხვდა, გოგონა რომ ვიყავი. მოკლედ, ჩემი მოტო ისე ვატარე, მანქანის მძღოლი გადავრიე, — არ ელოდა, ასე თუ შემეძლებოდა მოტოს მართვა. მერე თმა ჩამოვიშალა და მიხვდა, რომ გოგონა ვიყავი. ხანდახან რბოლებშიც ვმონაწილეობ, ხშირად გამიმარჯვია კიდეც... არის რბოლები, სადაც „რვიანებში“ უნდა გაიარო სწრაფად. ასეთ შეჯიბრებაში სამჯერ პირველი და ორჯერ — მეორე ადგილი დავიკავე.

**— ბევრ ქართველ ბაიკერს იცნობ?**

— კი, საკმაოდ... ვისაც არ ვიცნობ, უბრალოდ ვესალმები. რამე თუ მჭირდება, მაშინვე ჩემს დასახმარებლად მორბიან. ჩემს ბარშიც მსტუმრობენ. ზამთარში, როცა გარეთ ეცივება და დიდი ხნით სეირნობას ვეღარ მოვახერხებთ, ჩემს ბარში შევიკრიბებით.

**— მოდი, შენს მეტსახელზეც მომიყევი. ბილი რატომ დაირქვი?**



— ცირიკო მქვია, ბავშვობაში ბილიკო-ცირიკოს მეძახდნენ და ბოლოს, ბილიკო-ბილიკოს ძახილში, მეტსახელად ბილი შემრჩა. საკმაოდ დიდი ხანია, რაც ამ მეტსახელით მომმართავენ.

**— პატრულთან როგორი ურთიერთობა გაქვს?**

— მართვის მოწმობა დღემდე არა მაქვს, მაგრამ მოძრაობის წესებს არასოდეს ვარღვევ. ამას წინათ პატრულმა იმის გასარკვევად გამაჩერა, გოგო ვარ თუ ბიჭი. რომ ვუთხარი, იცით, მართვის მოწმობა არა მაქვს-მეთქი, მითხრეს, მერე რა, რომ გოგო ხარ, მართვის მოწმობა მაინც უნდა გქონდესო. ხშირად იმის გასარკვევად მაჩერებენ, ქართველი ვარ თუ უცხოელი და როცა ქართულად დაველაპარაკები, ძალიან უკვირთ. ერთხელ, სახლამდეც მიმაცილეს... ჩემს მშობლებს უთხრეს, თქვენი შვილი მოტოთი დადიოდაო. ალბათ ეგონათ, რომ მათ ამის შესახებ არ იცოდნენ... ერთხელ (მაშინ ძალიან პატარა ვიყავი) პატრული მოტოციკლს მართმევდა და იმდენი ვეხვეწე, არ წამართვათ-მეთქი, ბოლოს თვითონ მითხრა, წადი, ოღონდ მოგვშორდი, შენი არაფერი გვინდაო. ასეა თუ ისე, მე და პატრულმა ურთიერთობა დავარეგულირეთ. იციან, რომ ჩემი მოტოს გარეშე ცხოვრება ვერ წარმომიდგენია... ■

**მართვის მოწმობა დღემდე არა მაქვს, მაგრამ მოძრაობის წესებს არასოდეს ვარღვევ**



# გზაში საკითხავი კოლაჟი

შემდგენელი თემურ ივანიძე

1. ნინო რამიშვილი ბაქოშია დაბადებული.

2. „გინდენბურგის“ კატასტროფის დროს 36 ადამიანი დაიღუპა.

3. კონგრესი ლათინური სიტყვაა და კრებას, შეხვედრას ნიშნავს.

4. რომაელები თაფლითა და სანელებლებით შეზავებულ ღვინოს სვამდნენ.

5. ინკების ქალაქი მაჩუ-პიქჩუ ზღვის დონიდან 2450 მეტრზეა აშენებული.



6. კორიდის არენაზე მოკლული ხარის ხორცი რესტორნებში დელიკატესად იყიდება.

7. ქალაქ ხიროსიმას სახელწოდების წარმოთქმისას, იაპონელები მახვილს „ო“-ზე აკეთებენ.

8. ამერიკაში პორნოინდუსტრიის შემოსავალი წელიწადში 4 მილიარდ დოლარს აღემატება.

9. სანდრო ჟორჟოლიანის მეუღლე, ირინა ორეხოვსკაია, მსახიობზე 24 წლით უმცროსი იყო.

10. მზის სისტემაში დედამიწა ერთადერთი პლანეტაა, რომელსაც ღმერთის სახელი არ ჰქვია.

11. „შენდევრი“ — ასე ეძახის საკუთარ მახვილგონივრულ გამონათქვამებს ვიქტორ შენდეროვიჩი.

12. „ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის“ თერთმეტტომეული 80 ათასიანი ტირაჟითაა გამოცემული.

13. მხატვარი ავთო ვარაზი, რომელსაც გიორგი შენგელაიას ფილმში — „ფიროსმანი“ — მთავარი როლი აქვს შესრულებული, 1977 წელს დიაბეტური კომით გარდაიცვალა.

14. ნინო სალუქვაძე 4 წლის მანძილზე კალათბურთს თამაშობდა და პირველი სიგელი სწორედ ამ სპორტში აქვს მიღებული. სასკოლო შეჯიბრებაში მოპოვებული გამარჯვების შემდეგ მისი ფოტო გაზეთ „ლელოში“ დაბეჭდეს.

15. მიტროფანე ლაღიძე ერთადერთი კაცი იყო, რომელიც საბჭოთა მთავრობამ, მისივე საკუთრებაში მყოფი საწარმოს დირექტორად საქართველოს გასაბჭოებამდე დანიშნა.

16. ფუგუ ერთ-ერთი, ყველაზე უფრო სწრაფად მოქმედი შხამის შემცველი თევზია მსოფლიოში. იაპონელი მზარეულები ორი წლის განმავლობაში სწავლობენ მის დამუშავებასა და მომზადებას, რის შემდეგაც სპეციალურ გამოცდას გადიან, მისგან უვნებელი კერძების მომზადებაში.



# „რენოს“ კონცეპტუალური სიახლე

სან-პაულუს მოტორშოუზე კომპანია „რენომ“ მოდელის, — Sandero Stepway, — კონცეპტუალური მოდიფიკაცია წარადგინა, რომლის პირველი ოფიციალური ფოტოებიც ორიოდე დღის წინ გავრცელდა. ბრაზილიური განყოფილების მიერ შემუშავებული დიზაინის მქონე სიახლეს ორფეროვანი ძარა, განსხვავებული წინა და უკანა ბამპერი, რადიატორის შეცვლილი ცხაური და ლურჯი, შუქდიოდებიანი შუქფარები აქვს. აგრეთვე ძარას სახურავზე, გვერდებსა და კაპოტზე მანქანას ყვავილები ახატია. წინასწარი მონაცემებით, კონცეპტ-ავტო „სანდეოს“ ან ახალი მოდიფიკაციის ინდივიდუალიზაციის პროგრამის წინამორბედია. პროტოტიპი 1,6-ლიტრიანი, 112 ცხძ-ის სიმძლავრის ძრავათია აღჭურვილი, რომელსაც ბიოსაწვავზე მუშაობა შეუძლია. Renault Sandero Stepway ჰეჩბეკ „სანდეროს“ არასაგზაო ვერსიაა. პირველად მანქანა 2008 წელს წარმოადგინეს, ხოლო 2009 წელს რუმინული ბრენდის, — Dacia (უკვე



12 წელია, რაც იგი ფრანგულ მწარმოებელს ეკუთვნის), — ქვეშ ამ მოდელის პრემიერა ფრანკფურტის მოტორშოუზე შედგა. მიმდინარე წლის შემოდგომიდან Renault Sandero Stepway-ს აწყობას მოსკოვში მდებარე „ავტოფრამოსში“ დაიწყებენ. ■

# კომპაქტური როდსტერი ABARTH-ისგან

კომპანია Abarth-მა უარყო ადრე გავრცელებული ინფორმაცია იმის



შესახებ, რომ საკუთარი მოდელის, კომპაქტური სპორტული როდსტერის წარმოებისას ექსტრემალური სპორტავტოს, — KTM X-Box, — პლატფორმას გამოიყენებს. ამ ავტომობილისთვის ახალ პლატფორმას შეიმუშავებენ. აღვნიშნავთ, რომ ადრე იტალიურმა ბრენდმა, Lotus Elise-ს შასის მოძველებული კონსტრუქცია უწოდა და მის გამოყენებაზე უარი განაცხადა. თავდაპირველად ვარაუდობდნენ, რომ ავსტრიული კომპანია Abarth-ის როდსტერისთვის კარბონის მონოკოკის ბაზაზე დაკომპლექტებულ შასის დაამზადებდნენ, ასევე ძრავას დააყენებდნენ და სალონსაც დაამონტაჟებდნენ. თუ რატომ არ ისურვა KTM-სთან თანამშრომლობა Abarth-მა, ამჟამად უცნობია. წინასწარი მონაცემებით, უკანა აძვრის როდსტერი „ფიატის“ MultiAir-ის ოჯახის 1,4-ლიტრიანი, 170 ცხძ-ის სიმძლავრის ძრავათი აღიჭურვება. მოტორი სიჩქარის გადაცემათა წინასელექტიური კოლოფით იმუშავებს. სავარაუდოდ, ევროპულ ბაზარზე სიახლე 2013 წლისთვის გამოჩნდება, ხოლო მისი ფასი დაახლოებით 30 ათასი ევრო იქნება. ■



# „დოჯის“ სედანი AVENGER

ცოტა ხნის წინ კომპანია „დოჯიმ“ განახლებული სედანის, — Avenger, — შესახებ ოფიციალური ინფორმაცია გაავრცელა. ინჟინრებმა სედანის ხმის იზოლაციის გაუმჯობესება შეძლეს, ასევე შეამცირეს ხმაური და ვიბრაცია. ამჟამად მანქანა ახალი საბურავებით აღიჭურვება, რომელთა სიგანეც წინამორბედ Avenger-ზე გამოყენებულ საბურავებთან შედარებით, გაიზარდა (215-დან 225 მმ-მდე). აშშ-ში სიახლე ორი ბენზინის ძრავათი გაიყიდება: 2,4-ლიტრიანი, 4-ცილინდრიანი აგრეგატით და „პენტასტარის“ ოჯახის, 3,6-ლიტრიანი „ექვსიანით“, რომელიც 283 ცხძ-ს ავითარებს.





ორივე მოტორი სიჩქარის გადაცემათა ავტომატური კოლოფით იმუშავებს. ავტომობილის აწყობა კონცერნ „კრაისლერის“ ამერიკულ წარმოებაში განხორციელდება, რომელიც ქალაქ სტერლინგ ჰაიტსში (მიჩიგანის შტატი) მდებარეობს. დილერების სალონებში მანქანა მიმდინარე წლის ბოლოსთვის გამოჩნდება, თუმცა მისი ფასის შესახებ ჯერჯერობით არაფერია ცნობილი. კომპანია „დოჯიმ“ ადრეც წარმოადგინა განახლებული მინივენი Journey და სედანი Charger, ასევე ახალი თაობის არასაგზაო Durango.



■

# „ფერარის“ პარკი აბუ-დაბიში

აბუ-დაბიში „ფერარი ვორლდის“ ატრაქციონის გახსნა ემირატ რას-ელ-ჰაიმის მმართველის, შეიხ საკრ ბინ მუჰამად ალ-კასიმის გარდაცვალების გამო გადაიდო. საზეიმო ცერემონია, რომელიც 27 ოქტომბერს უნდა ჩატარებულიყო, 4 ნოემბრისთვის გადაიტანეს. როგორც ადრე იუწყებოდნენ, კუნძულ იასზე განთავსებული თემატური პარკის ფართობი 250 ათასი კვმ-ა. მისი მშენებლობა 2007 წელს დაიწყო. ამ პროექტის ღირებულებამ 150 მილიონ დოლარს გადააჭარბა. სულ „ფერარი ვორლდში“ 20 სხვადასხვა ატრაქციონი იმუშავებს, მათ შორის — ამერიკული „ფორმულა როსაც“, რომლის ვაგონებიც სულ რაღაც 2 წამში 100 კმ/სთ სიჩქარეს განავითარებენ. ამასთან, ამ ატრაქციონის მაქსიმალური სიჩქარე 240 კმ/სთ-ია. ატრაქციონების გარდა, პარკში საგამოფენო პავილიონები, მაღაზიები და რესტორნებიც იქნება. უფროსი ასაკის კლიენტებისთვის განკუთვნილი ბილეთი 225 დირამი (62 დოლარი), ხოლო ბავშვთა — 165 დირამი (45 დოლარი) ეღირება. ■





# გზაში საკითხავი კოლაჟი

შემდგენელი თემურ ივანიძე

17. „როგორ შეიძლება ჩინელმა ხალხმა საკუთარ თავს დიდი ერი უწოდოს, როცა კოსმოსში კარტოფილიც ვერ გაუგზავნია?“ — წუხდა მაო ძე დუნი. P.S. პირველი ჩინელი ასტრონავტი იან ლივეი კოსმოსში 1999 წლის 19 ნოემბერს გაფრინდა, სადაც 21 საათი დაყო და დედამიწას თოთხმეტჯერ შემოუფრინა.

18. მოსკოვის სამთავროს აღზევების ჟამს, მეზობელი ქალაქებიდან დიდძალი ხარკი იკრიფებოდა. ეს ქალაქები ხარკის ამკრეფთა თავგასულობაზე საჩივლელად მოსკოვში ზოგჯერ ელჩებს გზავნიდნენ. მეფე დროდადრო სასტიკად სჯიდა წარგზავნილებს, რათა სხვები დაეშინებინა. ერთი ვერსიით, სწორედ აქედან წარმოდგა გამოთქმა — „მოსკოვს ცრემლების არ სჯერა“.

19. 1928 წელს ტორონტოში ორი პროტესტანტული საზოგადოება გაერთიანდა: ბონდის ქუჩაზე მდებარე კონგრეგაციონალისტურ ეკლესიას წმინდა ჯეიმსის მოედანზე მდებარე პრესვიტერიანული ეკლესია შეუერთდა. ახალმა ორგანიზაციამ წმინდა ჯეიმს ბონდის სახელობის, გაერთიანებული ეკლესიის სახელწოდება მიიღო. ეს სახელწოდება მხოლოდ 2005 წელს გააუქმეს.

20. „სკამის მცველი“ — ასე უწოდებდნენ შუა საუკუნეების ინგლისში თანამდებობის პირს, რომელიც მონარქს უკანალს უწმენდდა. ამ საპატიო თანამდებობას მხოლოდ მეფესთან დაახლოებული და განსაკუთრებული ნდობით აღჭურვილი დიდებული იკავებდა.

21. მეორე მსოფლიო ომის დროს, გაწვრთნილი ძაღლები დიდ სამსახურს უწევდნენ გამნაღმველებს. ერთმა მათგანმა, მეტსახელად ჯულბარსმა, ომის უკანასკნელ წელს, ევროპის გათავისუფლებული ქვეყნების ტერიტორიაზე მტრის 150 ჭურვი და 7468 ნაღმი აღმოაჩინა. ომის მიწურულს ჯულბარსი დაიჭრა, რის გამოც მოსკოვში გამართულ გამარჯვების აღლუმზე სამხედრო ძაღლების სკოლის წარმომადგენლებთან ერთად გამოსვლა ველარ შეძლო. სტალინის ბრძანებით, ეს ძაღლი ბელადის შინელზე დააწვინეს და ისე ჩაატარეს აღლუმზე.

22. 1941 წლის 13 ივლისს, წითელარმიელი დიმიტრი ოვჩარენკო, რომელსაც ოთხთვალათი საკუთარი ნაწილისათვის საბრძოლო აღჭურვილობა გადაჰქონდა, გზაში ფაშისტების ორმოცდაათკაციან რაზმს გადაეყარა. გერმანელებმა შაშხანა წაართვეს, გარს შემოეხვივნენ და მისი დაკითხვა დაიწყეს. უეცრად, ყველასთვის მოულოდნელად, ოვჩარენკომ ოთხთვალაზე დაყრილი თივიდან ნაჯახი გამოაძრო და მის წინ მდგომ ოფიცერს ერთი მოქნევით თავი წააცალა, შემდეგ დაბნეული მტრის რიგებში სამი ხელყუმბარა ისროლა და 21 ჯარისკაცი სიცოცხლეს გამოასალმა. ვინც გადარჩა, ყველამ გაქცევით უშველა თავს, გარდა ერთი ოფიცრისა, რომელსაც ოვჩარენკო გამოეკიდა, დაეწია და ნაჯახით თავი მოჰკვეთა.

რუბრიკა მოამზადა
ალექსი რეხვიაშვილმა

# რომანოვთა განძეულის საიდუმლო საქმე

მიხეილ ლაბაძე

1918 წლის 16 ივლისს, 23:30 სააათზე, ეკატერინბურგში, ვოზნესენსკის შესახვევში მდებარე, სამთო ინჟინერ იპატიევის ყოფილ სახლში, რომელიც იმხანად უკვე წითელი „ალმასკომის“ საკუთრება გახლდათ, კომისარ იაკობ იუროვსკის მეთაურობით, ჩეკისტთა რაზმმა რუსეთის უკანასკნელი იმპერატორი, ნიკოლოზ II, მისი ოჯახის წევრები, პირადი ექიმი, სერგეი ბოტკინი და სამი მსახური დახვრიტა. ამგვარად, რომანოვთა დინასტიამ არსებობა შეწყვიტა, ხოლო ჩეკამ ვლადიმირ ლენინის უშუალო კონტროლით, მათი საგვარეულო განძეულობის ხელში ჩასაგდებად, ინფორმაციების მოძიებას მიჰყო ხელი.

წითლებმა იცოდნენ, რომ 1917 წლის თებერვლის ბოლოს, როცა სანქტ-პეტერბურგში სიტუაცია უკიდურესად გართულდა, რომანოვთა დინასტიის განძეულობა, იმპერატორის ბრძანებით, მისმა ძმამ, დიდმა თავადმა, მიხაილ რომანოვმა გადამალა. შესაბამისად, სამალავის ადგილმდებარეობა მხოლოდ მან იცოდა. 1917 წლის აგვისტოში ნიკოლოზ II ოჯახის წევრებთან და მსახურებთან ერთად ბოლშევიკებმა შინაპატიმრობაში აიყვანეს, თუმცა ლენინის ბრძანებით, მიხაილ რომანოვისთვის ხელი არ უხლიათ. სურდათ, მისთვის ეთვალთვალათ, რათა როგორმე განძეულობის ადგილსამყოფელი დაედგინათ. მიუხედავად იმისა, რომ წითლები უაღრესად კონსპირაციულად მოქმედებდნენ, მიხაილ რომანოვმა მათი აგენტები რამდენჯერმე გაშიფრა. აქედან გამომდინარე, ბოლშევიკებმა ვერაფრის შეტყობა ვერ მოახერხეს. ის-ის იყო, ლენინს დიდი თავადის დაპატიმრების ბრძანება უნდა გაეცა, რომ სრულიად მოულოდნელი რამ მოხდა: 1918 წლის 13 ივნისს, გვიან ღამით, მიხაილ რომანოვი ქ. პერმის სასტუმრო „სამეფო ნომრებიდან“ კომისარმა გაბრიელ მიასნიკოვმა გაიტაცა და ქალაქის მახლობლად, ტყეში დახვრიტა.

გაბრიელ მიასნიკოვი პროფესიონალი რევოლუციონერი და ე.წ. „მოტივილიხელების დაჯგუფების“ ხელმძღვანელი იყო; წარმოშობით — სომეხი. მას მსოფლიო პროლეტარიატის ბელადობა სურდა და ჯერ ფარულად ექიშპებოდა ლენინს, 1921 წლიდან კი აშკარადაც დაუპირისპირდა. იმავე წელს ის „ჩეკამ“ ხსენებული მიზეზის გამო დააპატიმრა, ხოლო ლუბიანკას ჯურღმულში „წითელმა ეშმაკუნებმა“ მიასნიკოვს უკვე პირდაპირ, მიუკიბ-მოუკიბავად მოსთხოვეს, რომანოვთა დინასტიის გადამალული განძეულობის ზუსტი ადგილმდებარეობა დაესახელებინა. ლენინის მოქიშპეს წამება არც დასჭირვებია, ისე აღიარა ყველაფერი, რაც კი მისთვის ამ საკითხის შესახებ იყო ცნობილი: „განძეულის სამალავი კავკასიის მთებშია. მისი ადგილსამყოფელი იცის კაცმა, რომლის გვარია აიდებულოვი,“ — აცნობა მიასნიკოვმა „ჩეკისტებს“. რასაკვირველია, ამ უკანასკნელებმა მაშინვე დაადგინეს, რომ საუბარი იყო მეფის რუსეთის შეიარაღებული ძალების ლეგენდარული ქვედანაყოფის — „ველური დივიზიის“ ერთ-ერთ ოფიცერზე, ყარაჩაელ თავად ყუმიყო აიდებულოვზე, რომელიც 1917 წლამდე მიხაილ რომანოვის ადიუტანტი იყო, რევოლუციის შემდეგ კი ყარაჩაეთში წავიდა და იქ ადგილობრივი ხელისუფლების მაღალჩინოსანი გახდა.

საქმე ის იყო, რომ დიდმა თავადმა, მიხაილ რომანოვმა 1917 წლის თებერვალში სწორედ ყუმიყო აიდებულოვს გადასცა დასამალავად რომანოვთა განძეულობის უდიდესი ნაწილი — ფოლადის სამი ზანდუკი, რომელშიც მოთავსებული იყო დაახლოებით 18 ფუთამდე ოქროს მონეტა, ძვირფასეულობა, ბრილიანტებითა და ალმასებით შემკული ხატები და სხვა ნივთები. აიდებულოვმა „ველური დივიზიის“ ყარაჩაელ ჯარისკაცებთან ერთად, მიბარებული განძეული ჩრდილო კავკასიის მთებში — მარუხისა თუ ქლუხორის უღელტეხილის ახლოს მიწაში ჩაფლა, შემდეგ კი ყველა ჯარისკაცი დახოცა და ქედს გადმოლმა, საქართველოში გადმოვიდა. აღსანიშნავია ისიც, რომ მიწის ნაკვეთი, სადაც ეს ყველაფერი მოხდა, ყუმიყო აიდებულოვის ახლო ნათესავს — თავად ყრიმშამხალოვს ეკუთვნოდა. აიდებულოვმა მას ყურანზე ფიცი დაადებინა, რომ განძეულის საიდუმლოს არავის გაუმხელდა. ამ ამბიდან ერთი წლის შემდეგ ყარაჩაეთში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა; აიდებულოვმა თავი საქართველოს შეაფარა — ის ახალ სენაკში, თავად



ყარაჩაელი თავადი ყუმიყო აიდებულოვი (მარჯვნივ)

მუშნი დადიანის მამულში დასახლდა. თუმცა, 1921 წელს აქედან წასვლამ მოუწია და ბოლოს სტამბოლში დამკვიდრდა. რაც შეეხება ყრიმშამხალოვს, ის უკვე ხნიერი იყო და არც უფიქრია ყარაჩაის დატოვება — ბოლშევიკები მაინც არაფერს დამიშავებენო.

ყუმიყო აიდებულოვი, რომელიც თავგამოდებული მონარქისტი იყო, იმედოვნებდა, რომ რუსეთში მეფის ხელისუფლება მალე აღდგებოდა და რასაკვირველია, განძეულს კანონიერი მფლობელები მოიკითხავდნენ; თავადმა მხოლოდ 1921 წელს, სტამბოლში შეიტყო, რომ რომანოვთა დინასტიას მემკვიდრე ფაქტობრივად, აღარც კი ჰყავდა. იმავე წელს, ყუმიყო აიდებულოვმა გადაწყვიტა, რომ უპატრონოდ დარჩენილი განძეულობა როგორმე საზღვარგარეთ გაეტანა, მაგრამ ამის გაკეთება ძნელი იყო. სტამბოლში მან „ველური დივიზიის“ რამდენიმე ყოფილი მებრძოლი შემოიკრიბა და მათთან ერთად საბჭოთა რუსეთიდან გამოქცეულ ყოფილ „ჩეკისტს“, გაბრიელ მიასნიკოვის ერთ-ერთ ამფსონს — ივან კოპლავშიკოვს დაუკავშირდა, რომელიც პერმის ტყეში მიხაილ რომანოვის დახვრეტაში მონაწილეობდა, 1920 წელს კი საზღვარგარეთ გაიქცა, რათა აიდებულოვი მოეძებნა და განძეული ხელში ჩაეგდო. რაღა თქმა უნდა, კოპლავშიკოვი მიასნიკოვის დავალებით მოქმედებდა; ამასთან, წარმოდგენაც არ ჰქონდა, რომ „ჩეკა“ კვალდაკვალ მიჰყვებოდა. ის თავს თეთრ ემიგრანტად ასაღებდა, თუმცა ჩვეულებრივი კრიმინალი იყო.

ყოფილმა საბჭოთა ჩეკისტმა ყარაჩაელი თავადის გაცურება მართლაც ადვილად მოახერხა — მან ხომ დახვრეტამდე მიხაილ რომანოვს განძეულის თაობაზე ყველაფერი



განძეულობის მაძიებელთა ლაზი ლოცმანი რესიმ კოსტ-ოღლი



დიდი თავადი, „ველური დივიზიის“ მეთაური მიხაილ რომანოვი

ათქმევინა და შესაბამისად, ამასთან დაკავშირებით ისეთი რამეებიც კი შეიტყო, რაც მხოლოდ აიდებულოვსა და რომანოვს უნდა სცოდნოდათ. ამიტომაც ენდო მას იოლად კავკასიიდან ოსმალეთში გადმოხვეწილი თავადი. „საფრანგეთის ხელისუფლება თეთრ მოძრაობას აქტიურად უჭერს მხარს... კავკასიის სანაპიროზე უჩუმრად გადასვლაშიც ისინი დაგვეხმარებიან“, — არწმუნებდა კოპლავშიკოვი აიდებულოვს. ბოლოს, როგორც იქნა, მოილაპარაკეს. კოპლავშიკოვმა თავადს აღუთქვა, რომ ფრანგებს ტრაპიზონში კატერს გამოაგზავნინებდა, რითაც შემდეგ აფხაზეთში უჩუმრად გადავიდოდნენ. უნდა ითქვას, რომ საფრანგეთის ხელისუფლების გარკვეულ წრეებთან კავშირი მიასნიკოვს მართლაც ჰქონდა. ის სასწრაფოდ პარიზში წავიდა, მაგრამ „ჩეკამ“, რომელიც უკვე მის კვალს ადგა, გზა გადაუჭრა. აიდებულოვს თურქეთში საბჭოთა სავაჭრო წარმომადგენელი, ვინმე „ამხანაგი ზალკინი“ დაუკავშირდა. მისი პირით, თავადს „ჩეკამ“ განძეულობის ადგილსამყოფლის ჩვენების სანაცვლოდ, ყარაჩაეთში ძველი მამულების დაბრუნება და საკმაოდ სოლიდური, სამუდამო პენსია შესთავაზა. აიდებულოვიც დათანხმდა.

ის-ის იყო, „ჩეკაში“ გამარჯვება უნდა ეზეიმათ, რომ სრულიად მოულოდნელად, თურქეთის დაზვერვამ ზალკინს კომპრომატები ამოუქექა და სულ კინწისკვრით გააძევა ქვეყნიდან. საქმე ის იყო, რომ განძეულობის ამბავზე რაღაც-რაღაცები თვით ქემალ ათათურქსაც სმენოდა და ყუმიყო აიდებულოვს ოსმალეთში გადმოსვლის პირველივე წამებიდან, მისი დაზვერვა თვალყურს ადევნებდა. ამავდროულად, პარიზშიც მოხდა ერთი საინტერესო ამბავი: აიდებულოვთან მოლაპარაკების ჩაშლით დანაღვლიანებული კოპლავშიკოვი არყით უგონოდ გამოთვრა და განძეულობის შესახებ რაც კი იცოდა, ყველაფერი თავის თანამეინახესთან, ქართველ თავად, ჯოტო შერვაშიძესთან დაამღერა. ამ უკანასკნელმა ყური კი ცქვიტა, მაგრამ მაშინვე არაფერი შეიმჩნია. ქეიფი განაგრძო, სასმელ-საჭმელი შეირგო, ხოლო მეორე დღეს კი უმალვე სტამბოლისაკენ მიმავალ გემში ჩაჯდა. ჯოტო შერვაშიძე „ველურ დივიზიაში“ აიდებულოვთან ერთად მსახურობდა და მიხაილ რომანოვსაც ძალიან კარგად იცნობდა.

ჯოტო შერვაშიძე და ყუმიყო აიდებულოვი ერთმანეთს დაახლოებით 1924 წელს, სტამბოლში შეხვდნენ. ქართველმა თავადმა ყარაჩაელი დაარწმუნა, რომ არც „ჩეკა“ და არც მიასნიკოვი მოკავშირეებად არ გამოდგებოდნენ: „თურქულ დაზვერვას შესაძლოა ვენდოთ, მაგათ შეუძლიათ, ვინმე მილიონერიც კი გამონახონ, რომელიც კავკასიაში გადასასვლელად კარგად დაგვაფინანსებს“, — უთხრა მან აიდებულოვს. ამ უკანასკნელს რჩევა ჭკუაში დაუჯდა და თურქულ დაზვერვას მართლაც მოსთხოვა, ყარაჩაეთის მთებში საიდუმლო ექსპედიციის მოსაწყობად სპონსორი გამოენახათ. თურქები დათანხმდნენ და მალევე გამოძებნეს კიდევაც სტამბოლელი მილიონერი და მეცენატი, ვინმე არიფ-ბეი. მას აიდებულოვმა დასარწმუნებლად მიხაილ რომანოვის ხელით დაწერილი, განძეულის დაწვრილებითი ნუსხა და თავის მიერ შედგენილი რუკა უჩვენა. არიფ-ბეიმ კი მაშინვე გადასცა ავანსი — 100 ათასი თურქული ლირა, რაც იმ დროს სოლიდური თანხა იყო.

აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ თავად ჯოტო შერვაშიძეს, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობის მგზნებარე მომხრე იყო, რომანოვების განძეულთან დაკავშირებით პირადი ინტერესი ჰქონდა. სწორედ იმხანად, საქართველოში ბოლშევიკური უღლის გადასაგდებად აჯანყება მზადდებოდა და თავადიც იმედოვნებდა, რომ მას შემდეგ, რაც არიფ-ბეის ფინანსური დახმარებით განძის მაძიებლები კავკასიაში ჩავიდოდნენ და მთებში სამალავს მიაგნებდნენ, აიდებულოვსაც და თურქ მზვერავებსაც თავიდან მოიშორებდა და მთელი განძეულობა ქართველ პატრიოტებს დარჩებოდათ. აქედან გამომდინარე, ჯოტო შერვაშიძე ცდილობდა, „განძის საქმეში“ ოფიციალურად ჩაერთო იმხანად თურქეთის ტერიტორიაზე ბაზირებული „დამკომის“ ერთ-ერთი ფილიალი, რომლის ხელმძღვანელი თავადვე იყო. მალე, მან აიდებულოვი და თურქები დაარწმუნა, რომ „დამკომის“ გარეშე არაფერი გამოვიდოდა: „საქართველოში სიტუაცია ძალიანაა დაძაბული. იქ დღე-დღეზე შესაძლოა, აჯანყება დაიწყოს და ერთმანეთს ყველა ეჭვის თვალით უყურებს... რა თქმა უნდა, „ჩეკას“ ვერ შევეკვრებით. ამიტომაც „დამკომს“ უნდა შევეკრათ, თორემ არაფერი გამოგვივა“. შერვაშიძის ასეთი მსჯელობა დამაჯერებლად ჟღერდა. აიდებულოვიც და თურქებიც დაჰყაბულდნენ, რომ „დამკომს“ განძის 10% აეღო.



„ველური დივიზიის“ ყარაჩაელი მებრძოლები. წინა პლანზე, მარჯვნიდან მეორე — თავადი ყრიმშამხალოვი, 1914 წლის ფოტო

ამგვარად, ჯოტო შერვაშიძის ხალხმა 1924 წლისთვის, საქართველოს ტერიტორიაზე ყველაფერი მოაგვარა — გადაადგილების უსაფრთხო მარშრუტი დააზუსტა, მეგზურები და მასპინძლები გამოძებნა. ამ საქმეს თურქეთიდან შერვაშიძის მარჯვენა ხელი, ვინმე იასონ ჭანტურია ხელმძღვანელობდა, საქართველოში კი თანამედროვე ტერმინი რომ გამოვიყენოთ, განძის მაძიებლების მთავარი კოორდინატორი ყოფილი მენშევიკი, კოწია სალუქვაძე იყო. ერთი სიტყვით, ექსპედიციის მოწყობა თავისუფლად შეიძლებოდა და სხვათა შორის, განძის მაძიებლებს ფიციც ჰქონდათ დადებული, რომ საქმეს ბოლომდე მიიყვანდნენ. — შერვაშიძემ და ჭანტურიამ წმინდა გიორგის ხატზე დაიფიცეს, ხოლო აიდებულოვმა და არიფ-ბეიმ, ცხადია, ყურანზე; თუმცა, ექსპედიციის მოწყობა ველარ მოხერხდა, რადგანაც 1924 წლის სექტემბერში „ჩეკამ“ კოწია სალუქვაძე დააპატიმრა.

ჯოტო შერვაშიძე, ყუმიყო აიდებულოვი, არიფ-ბეი და ექსპედიციის რამდენიმე სხვა წევრი 1924 წლის ოქტომბერში სტამბოლიდან ქალაქ ზონგულდაღში გადავიდნენ, სადაც მონახეს აფხაზეთის სანაპიროს კარგად მცოდნე ლაზი ლოცმანები: ვინმე რესიმ კოსტ-ოღლი და იბრაიმ რეიზ-ოღლი. მანამდე კი, განძის მაძიებლებმა მოილაპარაკეს, რომ ორ ჯგუფად გაიყოფოდნენ — ერთი, ჯოტო შერვაშიძის მეთაურობით, სოფელ ეშერასთან გადავიდოდა ნაპირზე, მეორე კი, რომელსაც აიდაბულოვი უხელმძღვანელებდა, სოფელ ტამიშთან. ჯგუფები ერთმანეთს სოხუმში შეხვდებოდნენ და მთებისაკენ უკვე ერთად გააგრძელებდნენ გზას. შეხვედრის ადგილიც ზუსტად დათქვეს — ვინმე ანდრო კოკაიას სახლი სოხუმის გარეუბანში, ბესლეთის ხიდთან.

ამავდროულად, საქართველოში არსებული სიტუაციის გასაცნობად და „განძეულის ექსპროპრიაციის“ (რაშიც აიდებულოვისა და თურქების ლიკვიდირება

იგულისხმებოდა) ოპერაციის მოსამზადებლად, იასონ ჭანტურია ზონგულდაღიდან ჯერ ხოფაში ჩავიდა, იქიდან კი ბათუმში გადმოვიდა და, მაშინვე მოექცა „ჩეკას“ მეთვალყურეობის ქვეშ — საბჭოთა სპეცსამსახურები ზალკინის თურქეთიდან გამოძევების შემდეგ სულ ცოფებს ყრიდნენ და არაფერს ზოგავდნენ, ოღონდ კი განძეული ხელში ჩაეგდოთ. „ჩეკისტებს“ ინფორმატორები თვით აიდებულოვის ახლობელთა შორისაც ჰყავდათ და, ამიტომაც, ყველაფერი ზედმიწევნით იცოდნენ. ერთი თვის თვალთვალის შემდეგ, „ჩეკამ“ ჭანტურია თბილისში დააკავა. სანამ შეეძლო, ის საიდუმლოს გათქმისაგან თავს იკავებდა, თუმცა ბოლოს მაინც, რაც იცოდა, ყველაფერი აღიარა — ექსპედიციის მიზანი, გეგმები და წევრთა ვინაობაც კი. „ჩეკისტებმა“ იასონ ჭანტურიას უბრძანეს, თურქეთში დარჩენილი თანამოაზრეებისთვის მიეწოდებინა ყალბი ინფორმაციები, რათა ექსპედიციის მოწყობა არ გადაეფიქრებინათ.

მოულოდნელად, შემდგომი მოვლენები სულ სხვაგვარად განვითარდა — ერთ დილას ზონგულდაღში, არიფ-ბეის ვილაში, თურქულმა პოლიციამ ყუმიყო აიდებულოვის გვამი აღმოაჩინა; როგორც კრიმინალისტებმა დაადგინეს, ყარაჩაელი თავადი წვრილი ზონრით მოეხრჩოთ. რამდენიმე დღის შემდეგ, წინასწარი მოკვლევის მასალებზე დაყრდნობით, ეჭვმიტანილად ცნეს ქართველი თავადი ჯოტო შერვაშიძე, რომელიც თურქეთში უკვე აღარც იმყოფებოდა — გამოძიებამ გამოარკვია, რომ მკვლელობის დღეს მან რესიმ კოსტოღლისთან ერთად დატოვა ზონგულდაღი და სავაჭრო გემით აფხაზეთში წავიდა. მალევე, სოხუმში სხვისი პასპორტით ჩამოსული შერვაშიძე „ჩეკამ“ აიყვანა. ცხადია, ის მაშინვე გასაიდუმლოებულ საკანში მოათავსეს და დაკითხვისას პირველივე შეკითხვა განძეულის შესახებ დაუსვეს. პასუხად თავადმა განაცხადა, რომ მან არ იცოდა, სად იყო სამალავი: „აიდებულოვს სამალავის ადგილმდებარეობის რუკაც და განძეულის ნუსხაც სულ თან დაჰქონდა და არავის ანდობდა... აფხაზეთში იმიტომ ჩამოვედი, რომ იასონ ჭანტურიას წერილი მივიღე — ექსპედიცია სასწრაფოდ დაიწყეთო. აიდებულოვი თავისი ხალხით მეორე დღეს უნდა წამოსულიყო აფხაზეთის სანაპიროსკენ“ — თქვა დაკითხვაზე ჯოტო შერვაშიძემ. მან ყარაჩაელი თავადის მკვლელობის ამბავი „ჩეკისტებისგან“ გაიგო.



„მიასნიკოველთა“ ხუთეული; მარცხნიდან მარჯვნივ: აბრაამ მარკოვი, ივან კოპლავშიკოვი, გაბრიელ მიასნიკოვი, ვლადიმირ ივანჩენკო და ნაუმ ქუქგოვი. ფოტო გადაღებულია მიხაილ რომანოვის დახვრეტის შემდეგ

ამგვარად, განძეულის მოძიების საქმე ჩიხში შევიდა — „ჩეკა“ დარწმუნდა, რომ ჯოტო შერვაშიძემ არაფერი იცოდა, თუმცა იგი, ისევე როგორც იასონ ჭანტურია, რაღა თქმა უნდა, მაინც დახვრიტეს. რაც შეეხება გაბრიელ მიასნიკოვს, „ჩეკისტები“ მას სულ უთვალთვალებდნენ, მაგრამ ამაოდ — განძეულის თაობაზე მაინც ვერაფერი დაადგინეს. 1925 წლიდან საბჭოთა კავშირში სიტუაცია უკიდურესად დაიძაბა: ბოლშევიკთა შორის განხეთქილებამ იჩინა თავი. გაბრიელ მიასნიკოვი იოსებ სტალინის მოწინააღმდეგეთა ბანაკის ერთ-ერთ ლიდერად იქცა და მომავალ დიქტატორს ბევრი თავსატეხი გაუჩინა. სხვათა შორის, მიასნიკოვმა თვით ლენინის მეუღლის, ნადეჟდა კრუპსკაიას მიმხრობაც შეძლო და შიდაპარტიულ ბრძოლაში გარკვეული უპირატესობის მოპოვება მოახერხა. რომანოვთა განძეულის მოძიების საქმეც, მისი აშკარა თუ ფარული ძალისხმევითა და გავლენით, შეფერხდა; თუმცა იოსებ სტალინმა პოლიტბიუროში შერყეული პოზიციები მალევე აღიდგინა — 1926 წლის 1-ელი იანვრიდან ის გენერალურ მდივნად აირჩიეს და იმავე დღიდან, რომანოვთა განძეულის მოძიების საქმე კვლავ განახლდა. ამჯერად, საქმეში გაბრიელ მიასნიკოვის სახელი აშკარად გამოიკვეთა. სტალინი მიხვდა, რომ მიხაილ რომანოვის მკვლელობის მთავარი მიზეზი სწორედ განძეულის ხელში ჩაგდება იყო და მიასნიკოვიც ამისათვის ყველა ღონეს ხმარობდა. „ჩეკამ“ მალე ისიც დაადგინა, რომ ყარაჩაელი თავადი, ყუმიყო აიდებულოვი მიასნიკოვის ამფსონმა, ივან კოპლავშიკოვმა მოკლა. შესაბამისად, რუკა, რომელზეც განძეულის სამალავის ადგილმდებარეობა იყო აღნიშნული, უკვე მის ხელთ იყო. „ჩეკისტებმა“ მიასნიკოვის თვალთვალი გააძლიერეს, მაგრამ განძეულის მნიშვნელოვანი ნაწილი მაინც ხელიდან წაუვიდათ, რამაც სტალინი ძალზე გააცოფა, მაგრამ რაღას იზამდა?

1926 წლის გაზაფხულზე, საბჭოთა კავშირ-პოლონეთის საზღვარზე ერთი პენსნეიანი ებრაელი ინტელიგენტი, აბრაამ მარკოვი დააკავეს, რომელსაც ლენინის ოქროსჩარჩოიანი, უზარმაზარი სურათი საზღვარგარეთ გაჰქონდა. ცხადია, ის საბჭოთა საბაჟოზე დიდხანს შეაჩერეს: „სად მიგაქვთ ამდენი ოქრო?“ — ჰკითხეს მკაცრად. „დახედეთ სურათს!“ — იყო პასუხი. მესაზღვრეებმა ლენინის სურათს მაშინვე სამხედრო სალამი მისცეს და აბრაამ მარკოვი პოლონეთში გადავიდა. იქაურმა მესაზღვრეებმაც, როგორც წესი, შეაჩერეს: „ეს რა მოგაქვთ?! კომუნიზმის პროპაგანდა ჩვენთან ისჯება!“ — უთხრეს მკაცრად. „კეთილი ინებეთ და დახედეთ ჩარჩოს!“ — უპასუხა მარკოვმა ოდესური აქცენტით. პოლონელებმა ჩაიცინეს და ებრაელი გაატარეს. მარკოვმა, რომელსაც პენსნეც და ძველებური ყაიდის საათიც ბაჯაღლო ოქროსი ჰქონდა, მესაზღვრეებს ჯიბეში ჩუმად ჩაუცურა რამდენიმე მომცრო ბრილიანტი და საბაჟოს გამოცდენილმა, შვებით ამოისუნთქა. იქვე მახლობლად, გზატკეცილზე, მანქანა გამოჩნდა, რომელსაც ივან კოპლავშიკოვი მართავდა. აბრაამ მარკოვმა სურათი ამოიიღლიავა და მისკენ ჩქარი ნაბიჯით გაემართა. „რას იტყვი, ივან, კარგად გავაცურეთ კობა!“ — უთხრა მხიარულად კოპლავშიკოვს, როცა მანქანის უკანა სავარძელზე მოთავსდა და ჩარჩოდან ლენინის სურათი ამოგლიჯა. „კარგი ვქენი, როცა რუკა უჩინარი მელნით გადავხატე და ფოსტით გამოგიგზავნეთ!“ — გადაიხარხარა ივან კოპლავშიკოვმაც.

გაცოფებულმა სტალინმა საბჭოთა კავშირში დარჩენილი გაბრიელ მიასნიკოვი 1927 წელს კვლავაც დააპატიმრა, თუმცა ვერაფერი დაუმტკიცა და საბოლოოდ, ერევანში გაგზავნა. 1928 წლის 7 ნოემბერს, ერევნიდან ჯულფაში მატარებლით მიმავალი გაბრიელ მიასნიკოვი ვაგონიდან გადახტა, ფერდობზე ჩაგორდა, მდინარე მეღრი გადაცურა და სპარსეთის ტერიტორიაზე გადავიდა. იმავე წელს, სპარსეთიდან ის საფრანგეთში ჩავიდა, სადაც მეგობრები და რომანოვთა განძეულობა ელოდა. ■

# ხე, რომელიც რაღაცას ნიშნავს

**გასულ ზაფხულს შვებულების რამდენიმე დღე სტეფანწმინდაში გავატარე. ერთ-ერთ ოჯახში მოვხვდი, სადაც არაჩვეულებრივი ნაქარგები, ნაქსოვები და ხალხური რეწვის სხვა ნიმუშები იყო გამოფენილი. რომ ვიკითხე, ვისი გაკეთებულია-მეთქი, დიასახლისმა თავის ქალიშვილზე, ნატა ხაიკაშვილზე მიმითითა, რომელიც ინტერვიუზე ძლივს დავითანხმე.**

*ნათია ჟიჟიძე*



**— როდის მიხვდი, რომ ხელოვნებისკენ მიდრეკილება გქონდა და ქარგვა და ქსოვა შეგეძლო?**

— ალბათ ბავშვობაში. ზუსტად არც მახსოვს, რადგან ლამის მთელი ცხოვრებაა, ვქსოვ და ვქარგავ. დედაჩემის დედა არაჩვეულებრივად ქსოვდა, მამაჩემის დედა კი — ქარგავდა. შესაბამისად, ორივე ბებიის ნიჭი გამომყვა.

**— ის თუ გახსოვს, სულ პირველად რა გააკეთე?**

— თუ არ ვცდები, წინდები მოვქსოვე.

**— ბოლომდე თვითნასწავლ ხელოვნად დარჩი თუ რომელიმე სპეციფიკურ სასწავლებელში ცოდნა გაიღრმავე?**



— თავიდან ბებიები მასწავლიდნენ ყველაფერს, მე კი ვიდექი და თავაუღებლად ვქარგავდი და ვქსოვდი. მერე თოჯინების გაკეთებაც დავიწყე. როცა წამოვიზარდე, ყაზბეგის კულტურის სახლში დავიწყე მუშაობა. თან თბილისის ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტში, ხალხური რეწვისა და ხელოვნების ფაკულტეტზე ჩავაბარე. ამ ფაკულტეტზე სწავლის დროს გობელენზე ქსოვა, წყალი ქარგვა (რომლითაც ხატები იქარგება) შევისწავლე. ახლა სკოლაში ვმუშაობ და ბავშვებს ჩემს გამოცდილებას ვუზიარებ. სხვათა შორის, საკმაოდ ნიჭიერი ბავშვები არიან. უამრავ საინტერესო რაღაცას ქმნიან.

**— მითხარი, რომ წყალი ქარგვა ისწავლე. ალბათ ხატიც დაგიქარგავს...**

— მიუხედავად იმისა, რომ ამ საქმიანობის კურთხევა მაქვს, ხატი ჯერ არ მომიქარგავს. ვიდრე კურთხევას მომცემდნენ, მანამდე დავიწყე ერთი ხატის მოქარგვა და ვერ დავამთავრე. ასე მგონია, კურთხევის გარეშე რომ გავაკეთე, ამიტომაც ვერ შევძელი მისი დასრულება-მეთქი. ისე, ეკლესიისთვის ბევრ რამეს ვქარგავ. მაგალითად, ანალოგიაზე გადასაფარებელს, ფარდებს, რომლებიც აღსავლის კარში იკიდება. ყაზბეგის ეკლესიაში არის ჩემი მოქარგული ნივთები. ვცდილობ, რომ ჩემი ნაშრომი ეკლესიას შევწირო.

**— გერგეტის სამებისთვის არაფერი მოგიქარგავს?**

— აღსავლის ფარდა ჩემი მოქარგულია. სახარებასა და ლოცვებში ჩასადები სანიშნებიც მოვქარგე. ჩემი მოძღვარი, მამა ნიკოლოზი მეუბნება, რაც სჭირდებათ და ყველაფერს ვუკეთებ. მომწონს, ეკლესიისთვის რომ ვმუშაობ.

**— ამ ყველაფერს უსასყიდლოდ აკეთებ თუ გარკვეული ანაზღაურება გაქვს?**

— არა, რას ამბობ?! ამაზე საუბარიც კი არ მინდა. შევდივარ ეკლესიაში, ვლოცულობ, ღმერთს რაღაცას ვთხოვ და იქიდან ფული გამოვიტანო? გამორიცხულია. მეუფემაც მითხრა, რომ ნაქარგში ფულს გადამიხდიდნენ, მაგრამ უარი ვუთხარი.

**— პატრიარქს თუ აქვს შენი ნამუშევრები?**

— მისთვის ცხედანის ტილო მოვქარგე და გავუგზავნე, თუმცა არ იცის, რომ ეს მე გავაკეთე.

**— თექაზე არ მუშაობ?**

— კი, ვმუშაობ. ჩარჩოში ჩასმული მყინვარი და სამება რომ მაქვს, ის თექითაა მოთელილი. თექის ტანსაცმელს კი აღარ ვაკეთებ, რადგან დიდი ჯაფა სჭირდება, მძიმე სამუშაოა; გარდა ამისა, აღარც მაინტერესებს. ძალიან მინდა, რომ ხატვა ვისწავლო.

**— ძალიან უცნაურია, ამდენი რაღაც მოგიქარგავს და ხატვა კი არ იცი.**

— იმედი მაქვს, რომ მალე ვისწავლი. აი, ნახე, ეს ნატვრის ხე სპეციალურად ჩემი გამოფენისთვის გავაკეთე, სადაც ჩემი მოძღვარიც მოვიწვიე. მაშინ მითხრა, რა ამბავია ამდენი ნატვრის ხეო?! ერთი თექით მქონდა მოთელილი, ერთი — დაქარგული, თავის ფესვებიანად და ა.შ. მაშინ დავფიქრდი; მართლა რატომ ვაძლევდი ყველაფერს ნატვრის ხის ფორმას? მაგრამ ამ შეკითხვას პასუხი ვერ გავეცი. ახლაც, რამეს რომ ვაკეთებ, აუცილებლად ხემდე მივდივარ. როგორც ჩანს, ჩემთვის ხე რაღაცას ნიშნავს და მისი მნიშვნელობა ჯერ ვერ აღმოვაჩინე.



**— მუზა როგორ მოგდის, წინასწარ ფიქრობ, რა უნდა შექმნა?**

— არა. რაღაცის იდეა რომ გამიჩნდება, მასალა თუ მაქვს, მაშინვე ვიწყებ კეთებას. თუ არა და — გადამივლის და მომავალში სულ სხვა რაღაცას გავაკეთებ. უამრავი რამ მაქვს დაწყებული, რომლებიც ბოლომდე ვერ მივიყვანე. ახლა ისევ ცხედანის ტილო მოვქარგე მეუფე

იეგუდიელისთვის.

— **როგორ ვიცი, ჩვენი ქვეყნის პირველ ლედისაც აქვს შენი ნამუშევარი.**

— მართალია. თბილისში, მეთერთმეტე პავილიონში იყო ჩემი გამოფენა, სადაც ქალბატონი სანდრა ბრძანდებოდა. სამწუხაროდ, იმ დროს იქ არ ვიყავი. ამ ყველაფერს კი ჩემი მამიდაშვილი ხელმძღვანელობდა. ჩემი



გაკეთებული ერთი ქამარი ქალბატონ სანდრას სწორედ მან აჩუქა და მეორე — ჩვენი გუბერნატორის ცოლს. მერე გუბერნატორის ცოლი ჩვენთანაც იყო სტუმრად და ისეთივე ქამარი რომ ნახა, ძალიან გაუკვირდა. დედაჩემმა უთხრა, ესეც და თქვენ რომ გაქვთ, ისიც, ჩემი ქალიშვილის ნამუშევარიაო.

— **ძალიან ლამაზი თოჯინები გაგიკეთებია...**

— ესენი დაახლოებით ერთი წლის წინ გავაკეთე და ბევრი მათგანი გავაჩუქე. თოჯინების გაკეთებაც საკმაოდ შრომატევადი საქმეა, რადგან შივით ქსოვა რთული ხელსაქმეა.

— **არასოდეს მომწონებია ობობები ასე. რატომ გაგიჩნდა იდეა, რომ ობობა მოგექსოვა?**

— რა ვიცი, ყველა მიტოვებულ ადგილზე ხომ ობობა ქსელს აკეთებს. სადაც გინდა გაიხედო, ყველგან ობობაა. ამიტომ ამ იდეის გაჩენას დიდი ფანტაზია არ სჭირდებოდა.

— **დაბოლოს, სამომავლოდ რა გეგმები გაქვს?**

— მეუფის კურთხევით ხატი უნდა მოვქარგო, რომელიც აღდგომას უკვე დასრულებული უნდა მქონდეს, რათა ტაძარში დააბრძანონ. ■

*ეს სამყაროა*

# რატომ დამარხეს ზოგიერთი პირქვე



ძველად მიაჩნდათ, რომ ადამიანების პირქვე დამარხვა შემთხვევით ხდებოდა. ცოტა ხნის წინ არქეოლოგებმა შემთხვევითობა გამორიცხეს და დაამტკიცეს, რომ ასეთი ქმედებით ადამიანები მიცვალებულისადმი უპატივცემულობას ამჟღავნებდნენ და ამცირებდნენ მას. არქეოლოგთა ჯგუფმა პერუდან და ჩრდილოეთ კორეამდე 250 სამარხი გამოიკვლია. მათი ვერსიით, მიცვალებულის დამცირება უძველესი ტრადიციაა. ასე მხოლოდ იმ ადამიანებს მარხავდნენ, რომლებიც საზოგადოებაში მიღებულ ნორმებს არღვევდნენ. სამარხებში აღმოჩენილია ქალების, მამაკაცებისა და ბავშვების პირქვე დამარხული ძვლები. ზოგიერთს — სავარაუდოდ ყაჩაღებსა და ტყვეებს — ხელ-ფეხი ჰქონდა შეკრული. ზოგიერთი მჯდომარე იყო დამარხული და არქეოლოგების აზრით, ისინი კულტის მსახურები უნდა ყოფილიყვნენ.

პირქვე დამარხვის კიდევ ერთი ვერსია არსებობს, — რელიგიური და კულტურული კონფლიქტი. მაგალითად, წარმართი ვიკინგები ვერ ეგუებოდნენ ქრისტიანობამიღებულ ნათესავებს და მათ დამცირების მიზნით პირქვე მარხავდნენ.

გარდა ამისა, არქეოლოგები ამტკიცებენ, რომ პირქვე მარხავდნენ სხვადასხვა დანაშაულში მხილებულ სასულიერო პირებსა და ჯადოქრებად მიჩნეულ ქალებს. ■

# ბუნების საოცრება — ღმერთების ბურთები

XX საუკუნის 30-იან წლებში, კოსტა-რიკაში, ხილის კომპანიის თანამშრომლები ბანანის პლანტაციებისთვის ჯუნგლებს კაფავდნენ და უზარმაზარ



ქვის ბურთებს წააწყდნენ. ზოგიერთი 16 ტონას იწონიდა და დიამეტრით 3 მეტრი იყო. ზოგიც, ბავშვის სათამაშო ბურთის ზომის. ბურთები განსაზღვრული სქემითაა დაწყობილი. მათ გამოსაკვლევად მეცნიერები გაემგზავრნენ და ცოტა ხანში აღმოაჩინეს, რომ ქვის ბურთები კოსტა-რიკის გარდა სხვა ტერიტორიებზეც — მექსიკაში, ახალ ზელანდიაში, ეგვიპტეში, რუმინეთში, გერმანიაში, ბრაზილიასა და ციმბირში იყო მიმოფანტული.

გეოლოგების აზრით, ბურთები ვულკანური წარმოშობისაა, მაგრამ ეს ვერსია არ დასტურდება, რადგან ისინი ფორმის მისაღებად, გახეხილია. ცნობილმა შვეიცარიელმა მწერალმა და უფოლოგმა, ერიხ ფონ დენიკენმა სფეროებს „ბურთები, რომლითაც ღმერთები თამაშობდნენ" უწოდა.

სფეროებს თანამედროვე მეცნიერებიც იკვლევდნენ, მაგრამ კონკრეტულ დასკვნამდე ვერ მივიდნენ. ერთ-ერთი ვერსიით, მათ ტოპოგრაფიული ფუნქცია აქვთ. მათი განლაგების მიხედვით კოსმიური ხომალდები გადაადგილდებოდნენ. მეორე ვერსიით, ბურთები ფულია.

აღსანიშნავია, რომ კოსტა-რიკაში აღმოჩენილი ბურთები ჩრდილოეთ-ისკენაა მიმართული. ცნობილია, რომ მაიასტომელები ცნობილი ასტრონომები იყვნენ და შესაძლოა, ბურთებით პლანეტების გადაადგილება და ვარსკვლავური ცაა აღბეჭდილი. აღმოჩენა გამოცანად რჩება.



დღესდღეობით ბურთების დიდი ნაწილი მოსახლეობამ მიითვისა და მათ ეზოებისა და ბაღების გასალამაზებლად იყენებენ. ■

# ალორძინების ეპოქის კურტიზანები

ალექსანდრე დიუმას ეპოქაში ყველა ქალი კურტიზანობაზე ოცნებობდა. ისინი მხატვრების, დრამატურგებისა და კომპოზიტორების მუზები ხდებოდნენ. კურტიზანები რომ არა, ბალზაკი, ზოლა, ბოდლერი და სხვები თავიანთ ნაწარმოებებს ვერ დაწერდნენ. საინტერესოა, რომ ყველა კურტიზანი დაბალი სოციალური წრიდან იყო. ისინი „პროფესიის" წყალობით მდიდრდებოდნენ და სიცოცხლის ბოლოს ფუფუნებაში ცხოვრობდნენ. ზოგიერთი მათგანი სამეფო ოჯახის წევრზეც კი თხოვდებოდა. ცნობილ კურტიზან ქალებს შორის ერთ-ერთი ალფონსინა პლესია, რომელიც მამამ ჩვილობაში ბოშებს მიჰყიდა. პარიზში მას მარი დიუპლესით იცნობდნენ. ულამაზეს ქალს უამრავი საყვარელი ჰყავდა. ამბობდნენ, რომ მდიდრულ კაბებსა და სამკაულებზე წელიწადში 100 ათას ოქროს ფრანკს ხარჯავდა. იგი ჯერ ალექსანდრე დიუმა-შვილის საყვარელი, ხოლო შემდეგ ფერენც ლისტის მუზა გახდა. მოგვიანებით, ქალი გრაფ პერეგოს მისთხოვდა, მაგრამ 23 წლის ასაკში ჭლექით გარდაიცვალა. კურტიზანი ქალის ცხოვრებას დიუმა-შვილმა რომანი — „ქალი კამელიებით" მიუძღვნა, ხოლო მოგვიანებით, ამავე პიესაზე ოპერა „ტრავიატა" დაიდგა.

პარიზში ძირითადად უცხოელი კურტიზანები ცხოვრობდნენ. ერთ-ერთი იტალიელი ბარუჩი იყო, რომელიც მობეზრებულ ძვირფასეულობებს ტოსკანის ტაძრის ღვთისმშობლის ქანდაკებას სწირავდა. ინგლისელი კურტიზანი ქალის, კორა პერლის მეტსახელი „ჟღალი მთვარე" იყო. მის სიმდიდრეზე ლეგენდები დადიოდა. სხვა ძვირფასეულობებს შორის 50 ათას ფრანკად შეფასებული, ბრილიანტის თვლებით გაწყობილი აბრეშუმის ქოშები იყო. კორა სასურველი მამაკაცის მოსაპოვებლად ქალებს დუელშიც კი იწვევდა. ერთხელ კი ერთ-ერთ დიდგვაროვან მამაკაცს თავზე ხელჯოხი გადაამტვრია, რადგან მან კორას წინაშე შლაპა არ მოიხადა. უცხოელ კურტიზან ქალებს შორის ყველაზე მდიდარი ებრაელი, ტერეზა ლა პაივა იყო. სიღარიბეში გაზრდილი გოგონა მშობლებმა მკერავს მიათხოვეს, მაგრამ მას გამდიდრება სურდა და ათასგვარი ხრიკებით პორტუგალიელ მარკიზს მისთხოვდა. მოგვიანებით კი — პრუსიის გრაფს, რომლის წლიური რენტაც 3 მლნ ფრანკი იყო.

იტალიაში, ყველაზე მეტი კურტიზანი ქალი რომსა და ვენეციაში ცხოვრობდა. ვენეციაში 1542 წელს მიღებული კანონით, კურტიზანებად მიიჩნეოდა ყველა გასათხოვარი და გათხოვილი ქალი, რომლებსაც ორზე მეტი საყვარელი ჰყავდათ. თუმცა, არსებობდა მეძავების ორი კატეგორია: „პატიოსნები" და „მდაბიოები".

„პატიოსნებს" მდიდარი საყვარლი მფარველობდა. მდიდრულ ბინებში, იშვიათად — საკუთარ სასახლეებში ცხოვრობდნენ, კარგად ერკვეოდნენ ხელოვნებაში და საინტერესო მოსაუბრეები იყვნენ. ჰპატრონობდნენ მოხუც დედას, ძველ მეძავს. ხშირად, პატარა გოგონების მეურვეები ხდებოდნენ, საკუთარ გამოცდილებას უზიარებდნენ და გავლენიან ადამიანებს აცნობდნენ, რათა გოგონებს მათთვის სიბერეში ეპატრონათ. „მდაბიოები" ძირითადად ბორდელებში ან ე.წ. სამკურნალო დაწესებულებებში ცხოვრობდნენ, სადაც თითო ოთახი რაფაელსა და მიქელანჯელოსაც ჰქონდათ ნაქირავები. „მდაბიოები" სახელმწიფოს გადასახადსაც კი უხდიდნენ. ცნობილია, რომ ტიბრზე ხიდის რეკონსტრუქციისთვის რომის პაპმა პაოლო III-მ მეძავებს თითო ვერცხლის მონეტის გადახდა დაავალა. კურტიზანების გადასახადებით აღადგინეს ქალაქ პადოვას უნივერსიტეტი და ქალაქის არსენალი გაამდიდრეს.



„პატიოსანი" კურტიზანი ქალები დიდ დროს უთმობდნენ საკუთარი თავის მოვლას. ყოველთვის მდიდრულად ეცვათ, ძვირფასი ნაჭრებისგან შეკერილი კაბები პატიოსანი ქვებით, ოქროს სირმებითა და ნაქარგებით ჰქონდათ გაწყობილი. როცა კურტიზანისა და დიდგვაროვანი ქალბატონის ერთმანეთისგან გარჩევა შეუძლებელი გახდა, რომის პაპის, პიუს IV-ის ბრძანებით, კურტიზანებს ძვირფასი ნაჭრებისა და სამკაულების გამოყენება აუკრძალეს. ამან შედეგი არ გამოიღო და ახალი დებულების მიხედვით მეძავებს (კანონი ებრაელებსა და ჭლექით დაავადებულებზეც ვრცელდებოდა) ყვითელი ფერის ნიშნის (ბანტი, ბერეტი, პირბადე) ტარება დაავალეს.

იმ პერიოდში მხატვრები ქერათმიან მადონებსა და ანგელოზებს ხატავდნენ და კურტიზანებიც თმის გაღიავებას დიდ დროს უთმობდნენ — თეთრი ღვინის ნალექს ზეითუნის ზეთში ურევდნენ და მცხუნვარე მზის ქვეშ საათობით ისხდნენ.

ვენეციაში მეძავს ეკლესიაში შესვლა ეკრძალებოდა. სხვა ქალაქებში მას პატიოსანი ქალებისგან მოშორებით, განმარტოებით უნდა ელოცა.

„პატიოსნების" ბინებში შემოქმედი ადამიანები იკრიბებოდნენ. საუბრობდნენ ხელოვნებაზე, ცეკვავდნენ და ხშირად აზარტული თამაშებითაც ერთობოდნენ. კურტიზანები საყვარლებს, როგორც წესი, მდიდრული სადილებით უმასპინძლდებოდნენ.

XVI საუკუნეში კურტიზანების შევიწროება დაიწყეს. მეძავების შვილებს — 18 წლამდე გოგონებს — წმინდა კატერინას მონასტერში იძულებით გზავნიდნენ. შემდეგ გოგონებს ან ათხოვებდნენ, ან მონაზვნებად ტოვებდნენ. თავად მეძავებს ქალაქის ცენტრში ცხოვრება აუკრძალეს და გარეუბნებში გადაასახლეს. გარდა ამისა, მუსლიმანებთან, ებრაელებთან და ურწმუნოებთან ურთიერთობა აუკრძალეს.

საფრანგეთში კურტიზანების ეპოქა XIX საუკუნეში დასრულდა. საფრანგეთსა და პრუსიას შორის გაჩაღებული ომის დროს მრავალი კურტიზანი ფრანგ ჯარისკაცებს ეხმარებოდა. მშვენიერმა ბლანშ დანტინიმ საკუთარი სასახლე ჰოსპიტლად გადააკეთა, სადაც დაჭრილ მეომრებს მკურნალობდნენ. მადლიერი პაციენტები ქალს სურსათ-სანოვაგეს წლების განმავლობაში უგზავნიდნენ.

■

მოამზადა რუსუდან გელაშვილმა

# „აიძულეთ“ მამაკაცი, რომ შეგიყვაროთ



**ბევრი მიიჩნევს, რომ სხვა ადამიანის გრძნობებით მანიპულირება არ შეიძლება, ხოლო ქორწინება ზეცაში წყდება. იდეალურ სამყაროში ეს ასეც უნდა იყოს, მაგრამ სამწუხაროდ რეალური ცხოვრება შორსაა იდეალურისაგან. ხშირად ჩვენთვის ძვირფას ადამიანს წლობით უშედეგოდ ველოდებით, რადგან გვიყვარს და გვწამს მისი... სამაგიეროდ კი ვერაფერს ვიღებთ.**

**გთავაზობთ რამდენიმე რჩევას, თუ როგორ „უბიძგოთ“ წარმატებას, თქვენს მხარეს გადმოვიდეს:**

## იყავით გამუდმებით მის გვერდით... შემდეგ კი დაიკარგეთ

გავრცელებული მოსაზრების თანახმად, რაც უფრო დიდხანს იმყოფებით ამა თუ იმ ადამიანის გვერდით, მით მეტია ალბათობა, რომ მას თქვენ მიმართ სიმპათია გაუჩნდეს (იმ შემთხვევების გარდა, როცა თქვენი განწყობილება ამ ადამიანის მიმართ ნეგატიურია). ამიტომ არ უნდა იყოთ ქედმაღალი და უკარება. პირიქით, ეცადეთ, რაც შეიძლება მეტი დრო გაატაროთ თქვენი ინტერესის ობიექტთან და რაც შეიძლება ხშირად მოხვდეთ თვალში. შემდეგ კი, როცა მიხვდებით, რომ მას მოსწონხართ (უბრალოდ — მოსწონხართ), გახდით ოდნავ მიუწვდომელი. მნიშვნელოვანია, რომ არ გამოგეპაროთ ეს მომენტი. შემდგომში ეცადეთ, რაც შეიძლება ნაკლებად მოხვდეთ მისი თვალთახედვის არეში. მთელი არსი ისაა, რომ დაიკარგოთ იმ დროს, როცა იგი უკვე მიეჩვია თქვენს არსებობას. იგი შეიძლება მაშინვე ვერც კი მიხვდეს, თუ კონკრეტულად რა აკლია, მაგრამ აუცილებლად მოაკლდებით თქვენ! სურვილისამებრ, ამ ტაქტიკის გამოყენება რამდენჯერმე შეიძლება.

## ნუ ეცდებით, ასიამოვნოთ მას, დაე, თვითონ მოგანიჭოთ სიამოვნება

როცა ვინმეს სიკეთეს უკეთებთ, თავად ორმაგ სიამოვნებას იღებთ: ჯერ ერთი, კმაყოფილი ხართ საკუთარი თავის; მეორეც, კიდევ უფრო გესიმპათიურებათ ადამიანი, რომელსაც ასიამოვნეთ. ასევეა შეყვარებული ადამიანი — სურს, რაღაც სასიამოვნო გაუკეთოს გულის სწორს — იგი ხომ ძალიან კარგია და იმსახურებს ამას! თანდათანობით კი ის უფრო მეტად უყვარდება. ამიტომ, იმის მაგივრად, რომ მისი სურვილები შეასრულოთ, უმჯობესია, დროდადრო მან შეასრულოს თქვენი პატარ-პატარა მოთხოვნები. დაეხმარეთ, თავი რაინდად იგრძნოს.

## აიძულეთ, თვალებში გიყუროთ

ერთმა ჰარვარდელმა ფსიქოლოგმა სცადა, „გაეზომა“ სიყვარული მეცნიერული თვალსაზრისით. რაღაც დონეზე მას ეს გამოუვიდა, როცა დააზუსტა, თუ რამდენ ხანს უყურებენ შეყვარებული ადამიანები ერთმანეთს თვალებში. მან გაარკვია, რომ ღრმად შეყვარებული ადამიანები საუბრის დროს ერთმანეთს თვალებში, მთელი დროის 75%-ის განმავლობაში უყურებენ და უხალისოდ გადააქვთ მზერა, თუ საუბარში მესამე ადამიანი ჩაერთვება — მაშინ, როცა ჩვეულებრივ, თანამოსაუბრეები ერთმანეთს თვალებში მთელი დროის მხოლოდ 30-50%-ის განმავლობაში უყურებენ. ზოგიერთი ფსიქოლოგი ამ აღმოჩენას თავის პრაქტიკაში წარმატებით იყენებს — იმის დასადგენად, თუ რამდენად ღრმად არიან მიჯაჭვულნი ერთმანეთს პარტნიორები. ამის ცოდნა მასაც გამოადგება, ვისაც სურს, მამაკაცს თავი შეაყვაროს. რაც უფრო დიდხანს გიყურებთ ადამიანი, მით მალე აღნიშნავს მისი ტვინი: „შეყვარებული ვარ!“ — და იწყებს ფენილეტილამინის გამოყოფას (ჰორმონი — რომელიც სინთეზირდება თავის ტვინში სასიყვარულო გრძნობების დროს). სცადეთ ამ ხერხის გამოყენება პრაქტიკაში. შედეგით გაოგნებული დარჩებით.

## გაიღიმეთ!

ღიმილი — სიმპათიის გამოხატვის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტიანი და ამავე დროს, უბრალო ხერხია.

## დაუქნიეთ თავი თანხმობის ნიშნად

გირჩევთ, საუბრის დროს, თანხმობის ნიშნად, ხშირად გამოიყენოთ არავერბალური ჟესტები. წინააღმდეგ შემთხვევაში, თანამოსაუბრემ შეიძლება იფიქროს, რომ თქვენ განსხვავებული აზრის ხართ ან სულაც არ გაინტერესებთ ის, რაზეც იგი გესაუბრებათ.

## დაიხარეთ მისკენ

ასეთი ჟესტი არაორაზროვნად მიანიშნებს თქვენს სიმპათიაზე. შეიძლება, ოდნავ დაეყრდნოთ კიდეც მას, მაგრამ ზედმეტი არ მოგივიდეთ, შეიძლება უკურეაქცია გამოიწვიოთ.

## შეეხეთ თანამოსაუბრეს

გახსოვდეთ, რომ საქციელი უფრო მეტყველია, ვიდრე სიტყვები. ფიზიკური კონტაქტი ასევე მიუთითებს, რომ გახსნილი ხართ ემოციური ურთიერთობებისთვისაც. „დახურული“ პოზა კი (გულზე დაკრეფილი ხელები, ფეხზე გადადებული ფეხი) იმის სიგნალია, რომ თავს იცავთ, ფრთხილობთ ან საერთოდ არ გსურთ მასთან ურთიერთობა.





## ნუ მოარიდებთ მზერას

როგორც უკვე აღვნიშნეთ, შეყვარებულებს უხალისოდ გადააქვთ მზერა ერთმანეთისაგან, თუ საუბარში მესამე ადამიანი ჩაერთვება, ამიტომ ნუ იჩქარებთ, მოარიდოთ მზერა მამაკაცს, რომელიც მოგწონთ — მაშინაც კი, თუ თხრობა დაასრულა ან საუბარში მესამე პირი ჩაერთო. რა თქმა უნდა, მზერის გადატანა მაინც მოგიწევთ, მაგრამ არა მაშინვე. შეაჩერეთ მასზე მზერა თუნდაც 3-4 წამით, შემდეგ კი გაიხედეთ, მაგრამ ნელა და უხალისოდ. ხოლო როგორც კი მესამე პირი დაასრულებს საუბარს, კვლავ შეხედეთ თქვენთვის საინტერესო ობიექტს.

## ყურადღება მიაქციეთ თვალების გუგებს

ისევ და ისევ გამოკვლევების შედეგად დადგინდა, რომ თვალები ატარებს და გადასცემს უამრავ ინფორმაციას ადამიანის შესახებ. მეცნიერებმა ასეთი გამოკვლევა ჩაატარეს: მამაკაცებს აჩვენეს ორი ფოტოალბომი, რომლებიც პრაქტიკულად ერთმანეთის იდენტური იყო, მაგრამ მეორე კრებულში ქალებს თვალის გუგები ხელოვნურად ჰქონდათ გადიდებული. მამაკაცებს ბევრად მიმზიდველად მოეჩვენათ ქალები მეორე ალბომიდან.

ცხადია, შეუძლებელია, სპეციალურად აკონტროლოთ თვალის გუგების ზომა. მაგრამ შეგიძლიათ შეიქმნათ შესაბამისი ატმოსფერო საჭირო ეფექტის წარმოსაქმნელად. უკეთესია, თუ შუქი არ იქნება მკვეთრი. დაბალ სინათლეზე გუგები ფართოვდება. სწორედ ამიტომ მიიჩნევა ვახშამი სანთლების შუქზე ასე რომანტიკულად. გარდა ამისა, დაბალი განათება სახეს მეტ მიმზიდველობას ანიჭებს.

გუგები მაშინაც გვიფართოვდება, როცა რაიმე ჩვენთვის მოსაწონს ვუყურებთ ან რაიმე სასიამოვნოზე ვფიქრობთ — ანუ მაშინაც, როცა ჩვენთვის საინტერესო ადამიანს ვხედავთ. ეფექტის კიდევ უფრო გასაძლიერებლად, ეცადეთ, ამავე დროს რაიმე სასიამოვნოზე იფიქროთ. ■

# რას ამოიკითხავთ ტუჩებზე...



**თურმე ტუჩებს — მაშინაც კი, როდესაც ჩუმად ხართ — ბევრის თქმა შეუძლია თქვენი ხასიათის შესახებ. და მაინც, რაზე მეტყველებს ტუჩები?**

**მსხვილი ტუჩები** — სექსუალურობისა და მგრძნობიარობის მაჩვენებელია.

**თხელი ტუჩები** — საკუთარ თავში ჩაკეტილ, ნაკლებად კონტაქტურ ადამიანს აქვს. ის მტკივნეულად აღიქვამს გარშემო მყოფთა წარმატებებს. თუმცა, მიუხედავად ყველაფრისა, მეგობრები მისთვის ძალზე ძვირფასია და ყოველთვის მზად არის მათ დასახმარებლად.

**ოდნავ წინ წამოწეული ზედა ტუჩი** — მიზანდასახულ, თავდაჯერებულ, თავმოყვარე და ამბიციურ ადამიანზე მიგვანიშნებს. მან კარგად იცის საკუთარი თავის ფასი. ხშირად უგულებელყოფს სხვის აზრს.

**ოდნავ დიდი ქვედა ტუჩი** — უმეტესწილად, ეგოისტ, გაუწონასწორებელ და მერყევი ხასიათის ადამიანს აქვს. მასთან ურთიერთობა რთულია, ყოველთვის ცდილობს სხვებზე დომინირებას. ქორწინებაში უმეტესწილად ბედნიერი არ არის, რადგან მომთხოვნი ხასიათის გამო წონასწორობიდან გამოჰყავს როგორც საკუთარი თავი, ასევე მეორე ნახევარი.

**მკვეთრად მოხაზული კონტურის ტუჩების** პატრონი არაამბიციურ ადამიანთა რიგს მიეკუთვნება. მას მცირედიც აკმაყოფილებს; არ აგებს ოცნების კოშკებს და კონსერვატიულობით გამოირჩევა. აკლია თავდაჯერებულობა და ხშირად ვარდება დეპრესიაში. ■



## აჭარული ხაჭაპური



**მასალად საჭიროა:**

ფქვილი — 100 გ;
რძე — 50 გ (შეიძლება წყალიც);
საფუარი — 2 გ;
ყველი — 35 გ;
კვერცხი — 2 ცალი;
კარაქი — 20 გ;
ხაჭო — 40 გ.

**მომზადების წესი:**

ცომის მოსამზადებლად საჭიროა 2 ჩ/ჭ რძე ან წყალი გაათბოთ, გახსნათ მასში საფუარი, დაუმატოთ კვერცხი, ფქვილი და მოზილოთ.

შემდეგ მოამზადეთ ყველის გულსართი. ამისათვის აიღეთ ყველი, დაჭყლიტეთ, აურიეთ კვერცხი (შეიძლება ხაჭოც).

როცა ცომი კარგად ამოვა, მოჭერით დაახლოებით 200 გ, გააბრტყელეთ 2-3 სმ სისქემდე, მიეცით მოგრძო ფორმა, ჩადეთ ყველის შიგთავსი ისე, რომ ირგვლივ 3 სმ ცარიელი დარჩეს. შემდეგ გადააფარეთ ნაპირები ყველის შიგთავსს და მოათავსეთ თუნუქის ფურცელზე.

ნაპირებზე წაუსვით კვერცხი და შედგით აირღუმელში. როდესაც შეწითლდება, შუაგულში ჩაახალეთ მთლიანი კვერცხი და კიდევ გააჩერეთ ღუმელში 2-3 წთ. შემდეგ დაადეთ კარაქის ნაჭერი. ■

*რუბრიკა მოამზადა ეკა გუნთაიშვილმა*

# ზეციური ნებით არჩეული სამყოფელი, მიწაში დაფლული სიწმინდე და საძოვრებზე ნაპოვნი ღვთისმშობლის ხატი

**ამჯერად ღვთისმშობლის კიდევ რამდენიმე სასწაულმოქმედი ხატის ამბავს მოგითხრობთ:**

## ღვთისმშობლის ქართული ხატი

ხატი ამჟამად არხანგელსკის ეპარქიაში, კრასნოგორის მონასტერშია დაბრძანებული. ღვთისმშობლის ქართული ხატის შესახებ ასეთი ცნობა არსებობს: 1622 წელს, როდესაც შაჰ აბასმა საქართველო ააოხრა, სპარსელებმა თან უამრავი სიწმინდე წაიღეს. მათ შორის ღვთისმშობლის ქართული ხატიც იყო. სიწმინდე ერთ-ერთი რუსი ვაჭრის, გრიგოლ ლიტკინის წარმომადგენელმა, სტეფანე ლაზარევმა იყიდა, რომელიც ირანში იმყოფებოდა. გრიგოლ ლიტკინს ირანიდან წამოღებული სიწმინდის შესახებ სიზმრისეულ ჩვენებაში ეუწყა და ებრძანა, რომ ღვთისმშობლის ხატი არხანგელსკის ეპარქიაში, კრასნოგორის მამათა მონასტრისთვის შეეწირა. ლიტკინი მოწიწებით მიეგება ღვთისმშობლის ხატს და პატივით მიაბრძანა წითელ მთაზე, რომელიც შავ მთად იწოდებოდა (მთა, სადაც სავანეა დაარსებული, უღრანი ტყით არის გარშემორტყმული და ამის გამო შავ მთად მოიხსენიებოდა. შემდგომში მონასტერს სახელი შეეცვალა — წითელი მთის მონასტერი ეწოდა). ლიტკინმა ხატის შესამკობად დიდძალი შესაწირი გაიღო. სავანეში დაბრძანებული ღვთისმშობლის ქართული ხატი მრავალი სასწაულით განდიდდა.

1654 წელს მოსკოვში ჭირი მძვინვარებდა. აქ ღვთისმშობლის ხატი შემოაბრძანეს, სასწრაფოდ დაწერეს მისი ასლი და დიდმოწამე ნიკიტას ტაძარში დააბრძანეს, ორიგინალი კი კვლავ თავის ადგილზე დააბრუნეს. დიდმოწამე ნიკიტას ტაძარში დაბრძანებული ღვთისმშობლის ქართული ხატის წინაშე ლოცვით მრავალი სნეული განიკურნა. მალე ჭირიანობა საერთოდ შეწყდა. 1654 წელს, მეფის ბრძანებითა და რუსეთის პატრიარქის, ნიკიტას კურთხევით დადგინდა, რომ 22 აგვისტოს ღვთისმშობლის ქართული ხატის დღესასწაული აღსრულებულიყო.

ღვთისმშობლის ქართული ხატის ასლი ამჟამად მოსკოვში, წმინდა სამების ტაძარშია დაბრძანებული.

## ილინოისის ციცეროს ღვთისმშობლის ხატი

სიწმინდე ამერიკაში, ანტიოქიის წმინდა გიორგის სახელობის ტაძარში ინახება. იგი ტაძრისთვის ერთ-ერთ უცხოელს შეუწირავს. ხატის წარმომავლობა და ისიც, დედანია თუ ასლი, უცნობია. სასწაულმოქმედებით 1994 წელს განდიდდა, როდესაც ამავე წლის 22 აპრილს მირონდენა დაიწყო: საღამოს, მწუხრის ლოცვაზე



მოსულმა ტაძრის მოძღვარმა და მრევლმა ღვთისმშობლის ხატზე ჩამომდინარე მირონი შენიშნეს. შუაღამისას, როდესაც ამ მოვლენის სახილველად ტაძარში უამრავი ადამიანი შეიკრიბა, მირონმა ხატის ოთხივე კუთხიდან დაიწყო დენა. მირონდენა დღემდე გრძელდება, რომელსაც კურნების ძალა შესწევს.

## ყაზანის ღვთისმშობლის ხატი

1579 წელს ყაზანში ხანძარი გაჩნდა, რომელმაც ნახევარი ქალაქი გაანადგურა. ხანძარი წმინდა ნიკოლოზ სტუდიელის ეკლესიის მახლობლად გაჩნდა. იმ ადგილზე ერთი მეისრის სახლი იდგა, რომელიც სხვა შენობებთან ერთად დაიწვა. მეისრემ განიზრახა, ახალი სახლი აეგო. მის ათი წლის ქალიშვილს, მატრონას, სიზმრად ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი გამოეცხადა და უბრძანა, ქალაქის საერო და სასულიერო ხელისუფლებისთვის ეცნობებინა, რომ მისი ხატი მიწიდან ამოეღოთ და ნასახლარზე მიუთითა. გოგონამ ხილვის შესახებ დედას უთხრა, მაგრამ მას შვილის ნათქვამისთვის ყურადღება არ მიუქცევია. ხილვა კიდევ ორგზის განმეორდა. ამის შემდეგ დედა ატირებული გოგონას თხოვნას დაჰყვა და მასთან ერთად მთავარეპისკოპოს იერემიასთან მივიდა. გოგონამ მთავარეპისკოპოსს და ქალაქის ხელისუფლებას გამოცხადების შესახებ უამბო, თუმცა მისი არავის სჯეროდა. დედა-შვილი შინ დაბრუნდა. მეორე დღეს, 8 ივლისს, მატრონას დედა თვითონ შეუდგა შვილის მიერ მინიშნებულ ადგილზე მიწის გაჭრას. მას სხვებიც დაეხმარნენ, მაგრამ მიწაში ვერაფერი იპოვეს. გოგონა თვითონ შეუდგა საქმეს. მალე, იმ ადგილზე, სადაც მათი სახლის ღუმელი იდგა, მართლაც მიაგნო სიწმინდეს — გამოჩნდა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატი, რომელიც ალუბლისფერ სამოსში იყო გახვეული. ყოვლადწმინდა ქალწულის სახე ისეთი ნათელი და ცოცხალი ფერებით იყო გამოსახული, თითქოს ახლახან დაუწერიათო.

ხატის პოვნის შესახებ მთავარეპისკოპოსსა და ქალაქის ხელისუფლებას აცნობეს. სიწმინდის გამოჩინების ადგილზე აურაცხელი ხალხი შეიკრიბა. მთავარეპისკოპოსმა ხატის წინაშე პარაკლისი აღავლინა. ამის შემდეგ ხატი წმინდა ნიკოლოზ ტულელის სახელობის ტაძარში გადააბრძანეს, სადაც იმჟამად მომავალი პატრიარქი, მღვდელი გერმოგენი მსახურობდა. მოგვიანებით, სიწმინდე ხარების სახელობის ტაძარში გადააბრძანეს. მან გზაშივე მოიმოქმედა პირველი სასწაული — მასთან მიახლოებით თვალისჩინი დაუბრუნდა სამი წლის წინ დაბრმავებულ ვინმე იოსებს. ტაძარში დაბრძანების შემდეგ კი მეორე ბრმამ, ნიკიტამ მიიღო კურნება. როგორც შემდეგ გაირკვა, ყაზანში გამოჩინებული ხატი წმინდა ლუკა მახარებლის მიერ დაწერილი ღვთისმშობლის გამოსახულების ასლი იყო... რადგან ხატი ყაზანში გამოჩნდა, მას ყაზანის ღვთისმშობლის ხატი ეწოდა.

1579 წელსვე, მეფე იოანე IV-ის ბრძანებით, ხატის გამოჩინების ადგილზე ყაზანის ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძარი ააგეს, იქვე დაარსდა დედათა მონასტერიც და სასწაულმოქმედი ხატიც გადააბრძანეს. ამ სიწმინდის მიერ მოქცეული მატრონა მონაზვნად აღიკვეცა, შემდეგ მონასტრის წინამძღვარიც გახდა.

რამდენიმე წლის შემდეგ, სასწაულმოქმედი ხატი ოქროს პერანგით, სამეფო საგანძურის ძვირფასი ქვებითა და მარგალიტებით შემოსეს.

200 წლის შემდეგ, იმპერატრიცა ეკატერინე II-ის ბრძანებით, ყაზანის ღვთისმშობლის ხატის გამოჩინების ადგილზე ახალი ტაძარი აიგო. მანვე გაიღო ტაძრის ასაგები თანხაც. ძველი ტაძარი საფუძვლამდე დაარღვიეს და 1798 წელს, იმპერატორ პავლე პეტრეს ძისა და დიდი მთავრების, ალექსანდრეს და კონსტანტინეს თანდასწრებით ახალ ეკლესიას ჩაუყარეს საფუძველი, რომელიც 1808 წლის 30 მაისს დასრულდა და იკურთხა.

## ღვთისმშობლის ხატი — ცოდვილთა ხელისამპყრობელი

ხატზე ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი სარტყლითაა გამოსახული. მარცხენით იგი ღვთაებრივ ყრმას ეხვევა, რომელსაც ორივე ხელით მისი მტევანი უპყრია ისე, რომ მარჯვენა ხელში უჭირავს ცერა, ხოლო მარცხენაში — ღვთისმშობლის

მარჯვენა ხელი და არათითი. ხატზე გამოსახულ დედა ღვთისას და ღვთაებრივი ყრმის თავებს მარგალიტებითა და პატიოსანი თვლებით მოჭედილი გვირგვინები ამკობს. ხატის ოთხივე კუთხეში გამოსახულია გრაგნილები წარწერებით: „მე ვარ ცოდვილთა ხელისამპყრობელი ჩემი ძის წინაშე“; „მან მომცა მე უფლება, რომ ყოველთვის შევისმინო მათი“; „და ისინი ყოველთვის სიხარულს მომანიჭებენ“; „სიხარულს ყოველთვის ჩემი საშუალებით გამოითხოვენ“...

ცნობილი არ არის, როდის ან ვის მიერ შეიქმნა ღვთისმშობილს ამგვარი გამოსახულება; არც იმის შესახებ არსებობს ცნობები, პირველად სად გამოჩნდა ეს ხატი. ვარაუდობენ, რომ ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ამგვარად გამოხატვას საფუძვლად უდევს სიტყვები ღვთისმშობლის საფარვლის დაუჯდომლიდან: „გიხაროდენ, ხელისაპყრობითა შენითა ჩვენდა ღვთისა მიმართ მიმყვანებელო“.

ცოდვილთა ხელისამპყრობლად წოდებული ღვთისმშობლის ხატი სასწაულმოქმედებით პირველად ნიკოლევსკის ოდრინის მონასტერში განდიდდა. სიწმინდე დიდი ხნის მანძილზე ცნობილი არ იყო და შესაბამისად, სათანადო პატივსაც არ მიაგებდნენ. იგი სხვა ხატებთან ერთად მონასტრის კარიბჭესთან არსებულ, ძველ სამლოცველოში იყო მოთავსებული და მტვრით ისე დაიფარა, რომ მასზე წარწერების წაკითხვა შეუძლებელი გახდა. 1884 წელს, ოდრინის მონასტერში ერთი ქალბატონი მივიდა, თავის მცირეწლოვან ვაჟთან ერთად. ბავშვი საშინელი შეტევებისგან იტანჯებოდა და არანაირი სამედიცინო საშუალება არ შველოდა. მან მონასტრის წინამძღვარს სთხოვა, რომ მონასტრის კარიბჭის სამლოცველოში დაცული ღვთისმშობლის ცოდვილთა ხელისამპყრობელი ხატის წინაშე აღევლინათ პარაკლისი. ხატი იპოვეს, გაასუფთავეს და მის წინაშე პარაკლისი აღასრულეს. სნეული ბავშვი განიკურნა. ამის შემდეგ სიწმინდე დიდი პატივით გადააბრძანეს მონასტრის მთავარ ტაძარში და საპატიო ადგილზე დააბრძანეს. ხატი დღემდე აღასრულებს სასწაულებს.

1846 წელს, ოდრინის მონასტრიდან ღვთისმშობლის ხატის შესამოსლის შესამკობად მოსკოვში მღვდელმონაზონი გაგზავნეს. ბერი პოდპოლკოვნიკმა ბონჩესკულმა შინ მიიპატიჟა და უმასპინძლა. მადლიერების ნიშნად პოდპოლკოვნიკს ოდრინის მონასტრიდან ღვთისმშობლის ცოდვილთა ხელისამყრობლის ხატის ზუსტი ასლი გაუგზავნეს, რომელიც ასევე აურაცხელი სასწაულებით განდიდდა. ხატი უჩვეულო ნათელს გამოსცემს და მისგან ზეთოვანი სისველე მოედინება, რომელსაც კურნების ძალა შესწევს. ამჟამად ხატი მოსკოვის წმინდა ნიკოლოზის ტაძარშია დაბრძანებული. იგი პოდპოლკოვნიკმა ბონჩესკულმა ტაძარს 1848 წელს შესწირა.

## დიდუბის ღვთისმშობლის ხატი

დიდუბის ღვთისმშობლის ხატი თბილისის დიდუბის ტაძარშია დაბრძანებული. გადმოცემის თანახმად, დღევანდელი დიდუბის ტაძრის ადგილზე ძველად საძოვრები ყოფილა. ერთ კეთილმორწმუნე მწყემსს, რომელიც ამ მიდამოებში ფარას აძოვებდა, სიზმრისეულ ჩვენებაში ანგელოზი გამოეცხადა და აუწყა: დიდუბის მინდორში ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატია დაბრძანებული, მიდი, თაყვანი ეცი და სასწაულს გაჩვენებსო. დილით მწყემსმა ჩვენების შესახებ მშობლებსა და თანასოფლელებს უამბო. ყველამ ისურვა ხატის ხილვა, მათ შორის იყო ერთი ბრმა მოხუციც, რომელიც თან გაჰყვა მინიშნებული ადგილისკენ წასულ თანასოფლელებს.

მინდორში მართლაც იპოვეს ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატი. სიწმინდეს თაყვანი სცეს და მახლობლად მდებარე ტაძარში მისი გადაბრძანება მოისურვეს. ბრმა მოხუცს უარი უთხრეს ლიტანიობაში მონაწილეობაზე — მაინც ვერაფერს დაინახავო. მოხუცს სასოება არ დაუკარგავს, გულმხურვალედ ევედრა ლოცვით ყოვლადწმინდა ქალწულს: „ნათლის მომცემელისა ქრისტეს მშობელო ყოვლადუბიწოო დედოფალო, ნუ შეუარცხყოფ გულითადსა ამას ვედრებასა ჩემსა და მეოხ-მეყავ წინაშე ძისა შენისა და ღმრთისა ჩვენისა, რათა ნათლითა თვის-



ითა განმანათლოს მეცა, ცოდვითა დაბნელებული ესე, და ღირს-მყოს ხილვად და თაყვანისცემად დიდებულსა ხატსა შენსა!..“ მართლაც შეისმინა უფალმა მისი ვედრება და ღვთისმშობლის ხატის განსადიდებლად ბრმა მოხუცს თვალისჩინი დაუბრუნა. გახარებული მოხუცი ტაძრისკენ გაემართა. როდესაც იქ შეკრებილმა ხალხმა იგი თვალახელილი იხილა, განადიდეს წმინდა ქალწული.

მალე, იმ ადგილზე, სადაც ღვთისმშობლის ხატი იპოვეს, ნიში აღუმართავთ და ხატიც იქ დაუბრძანებიათ. მოგვიანებით ნიშის ადგილზე ეკლესიაც ააგეს, რომელმაც პლატონ იოსელიანის ცნობით, XIX საუკუნემდე მოაღწია, შემდეგ ძალზე დაზიანებულა. XIX საუკუნის 60-იან წლებში, დიდუბის ტაძრის წინამძღვრის, დეკანოზ ბესარიონ ზედგენიძის ინიციატივით დიდუბეში ახალი ტაძარი აუგიათ... ტაძარში დაბრძანებული ღვთისმშობლის დიდუბისად წოდებული სასწაულმოქმედი ხატი თვალ-მარგალიტით ყოფილა მოჭედილი, თუმცა სიწმინდე გაუძარცვავთ და ძვირფასეულობაც დაიკარგა... ღვთისმშობლის ხატი დღემდე დიდუბის ტაძარშია დაბრძანებული.

## ღვთისმშობლის ხატი – სუმელას ოდიგიტრია

სუმელის ღვთისმშობლის ხატი სუმელას მონასტერში ყოფილა დაბრძანებული, რომელიც მცირე აზიაში, ტრაპზონის მახლობლად, ალტინდერის ეროვნულ პარკში მდებარეობს. სწორედ სუმელას ოდიგიტრიად წოდებული, ლუკა მახარებლის მიერ დაწერილი ღვთისმშობლის ხატის სახელს უკავშირდება თავად მონასტრის დაარსება. თურქი გიდის, მაჰმედ ჰაკუსის ჩანაწერების სახით ჩვენამდე მონასტრის მოკლე ისტორიამ მოაღწია: ლუკა მახარებლის მიერ დაწერილმა დედაღვთისას ერთ-ერთმა ხატმა ადგილმდებარეობა სასწაულებრივად შეიცვალა და მაღალი მთის გამოქვაბულში დაესვენა. ხატი ბიზანტიიდან გაუჩინარდა. ბიზანტიელ ბერებს სოფრონიუსსა და ბარნაბას გამოცხადებით ეუწყათ ხატის ადგილსამყოფელი. სიწმინდის კვალს გამოყოლილი ბერები ათენიდან ტრაპზონამდე ჩამოვიდნენ, რომელიც იმ დროისათვის ქრისტიანული ქალაქი იყო. ხატი ერთ-ერთ კლდესთან იპოვეს დასვენებული. ბიზანტიელმა ბერებმა 385 წელს, ხატის პოვნის ადგილზე ტაძარი ააგეს და შიგ დააბრძანეს. იქვე დაარსდა მონასტერიც, სადაც თავდაპირველად სწორედ ეს ორი ბერი მოღვაწეობდა. 412 წელს, სხვადასხვა მონასტერში მოღვაწე ბერების დახმარებით, მონასტრის განახლება მოხერხდა, რომელსაც პირველად „შავი კლდის სიწმინდე“ ეწოდებოდა იქ დავანებული ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატის გავლენით, რომელიც სწორედ კლდეზე მისვენებული იპოვეს.

ადგილობრივ მკვიდრთ უჭირდათ მონასტრის სახელის ბერძნულ ენაზე წარმოთქმა, რაც ამგვარად გამოითქმოდა: „ანაგრჰია თოუ მელას“. ამიტომ „თ“ ბგერა „ს“-ით შეცვალეს და მიიღეს „ანაგია შუმელას“, რაც თურქულად „დედა მარიამის მონასტერს“ ნიშნავს. ამის შემდეგ მონასტერსაც სუმელას მონასტერი, იქ დაბრძანებულ ღვთისმშობლის ოდიგიტრიის ხატს კი სუმელას ოდიგიტრია ეწოდა...

ამჟამად ხატის ადგილმდებარეობა უცნობია. მხოლოდ მონსტრის გუმბათზეა შემორჩენილი სუმელას ღვთისმშობლის ფრესკა. არ მოქმედებს თავად სუმელას კლდეში ნაკვეთი მონასტერიც; დღეს იგი მუზეუმად არის ქცეული.

■

# პირველი „ქართული“ მატჩი მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულისათვის



**გოგი ფრანგიშვილი**

ქართველ კაცს მსოფლიოს ჩემპიონობით ვერ გააკვირვებ. მოყოლებული 1953 წლიდან, როდესაც გივი კარტოზიამ ქართველთაგან პირველმა მოიპოვა ეს ტიტული, მსოფლიოს, ევროპისა თუ ოლიმპიური თამაშების იმდენი ჩემპიონი გვყავს, მათი დათვლა გაგვიჭირდება. პირველად ჩემპიონის ვინაობა ნონასა და ნანას შორის გაირკვა. ნონას და ნანას რომ ვამბობთ, გულშემატკივრისთვის გასაგებია, რომ ნონა გაფრინდაშვილსა და ნანა ალექსანდრიაზე ვსაუბრობთ. ისინი იმ ეპოქაში იმდენად პოპულარულები იყვნენ, რომ მხოლოდ სახელებით მოიხსენიებდნენ. ახლა სიყვარულს არ იკითხავთ?! სწორედ ამ სიყვარულის გამო იყო, რომ ხალხმა არ იცოდა, ვისთვის ექომაგა, როდესაც ისინი მსოფლიოს საჭადრაკო გვირგვინისათვის იბრძოდნენ.

ის მატჩი 1975 წლის შემოდგომაზე ბიჭვინთასა და თბილისში გაიმართა და მიუხედავად იმისა, რომ მას შემდეგ 35 წელი გავიდა, დღესაც სიამოვნებით ვიხსენებთ, რომ მსოფლიოს ჩემპიონობის ბედი საქართველოში წყდებოდა. ნონა უკვე ოთხგზის ჩემპიონი იყო, ხოლო ნანასთვის — ეს პირველი რეალური შანსი გახლდათ. ბუნებრივია, ორივესთვის ფსიქოლოგიურად ძნელი მატჩი იყო. უხერხულ სიტუაციაში აღმოჩნდნენ ჟურნალისტებიც. ერთი მხრივ, ქართველი კაცის გამარჯვების სიმბოლო — ნონა გაფრინდაშვილი და მეორე მხრივ — ახალგაზრდა პრეტენდენტი — ნანა ალექსანდრია. კულისებში იმასაც ჩურჩულებდნენ, რა იქნება, ნონამ ერთი ციკლით მაინც დაუთმოს დედოფლის ტახტი და საქართველოს ორი ჩემპიონი ეყოლებაო... იმას კი არ ფიქრობდნენ, რომ გვირგვინოსნის ტახტი უბრძოლველად არავის დაუთმია.

**ნონა გაფრინდაშვილი:**

ეს ჩემთვისაც უთქვამთ. თანაც — ჩემს გულშემატკივრებს. მე ვპასუხობდი, კაცო, ზუგდიდის ჩემპიონობას არავინ დაგითმობს და მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული როგორ უნდა დავთმო-მეთქი?! გულშემატკივრებს ყოველთვის დიდ პატივს ვცემდი. ჩვენს თაობას სხვა დამოკიდებულება ჰქონდა ხალხისადმი. საოცრად ვუყვარდით და ჩვენც პატივს ვცემდით, მაგრამ აქ სულ სხვა სიტუაციაში აღმოვჩნდი: ნანა პოპულარული იყო, მასაც ბევრი ქომაგობდა. ამიტომ ჩემთვის ფსიქოლოგიურად რთული მატჩი იყო. ჩვენ მეტოქეები ვიყავით, მაგრამ ერთმანეთთან კეთილსინდისიერი ურთიერთობა გვქონდა. ერთადერთი, რაშიც ვერ შევთანხმდით, მატჩის ჩატარების ადგილი იყო: მე ბიჭვინთაში მინდოდა თამაში, ნანას კი — თბილისში. საბოლოოდ, მატჩი გაიყო. პირველი ნახევარი ბიჭვინთაში ჩატარდა, ხოლო მეორე — თბილისში. მოგვიანებით ნანა არც ნანობდა, რადგან შავი ზღვისპირეთში ძალიან კარგი პირობები გვქონდა.

**ნანა ალექსანდრია:**

ვფიქრობ, გულშემატკივართა სიმპათიები უფრო ჩემ მხარეს იყო და ამის გამო ნონას თბილისში თამაში არ უნდოდა. მას უნდოდა, მატჩი თბილისიდან იქ გადაეტანა, სადაც უფრო ნეიტრალური გულშემატკივრები იქნებოდნენ. მე ბიჭვინთა ჩემი ჯანმრთელობის გამო არ მინდოდა. ექიმები არ მირჩევდნენ ზღვაზე თამაშს. ამიტომ, მოლაპარაკებების დროს მხოლოდ ამ საკითხში ვერ ვთანხმდებოდით. მახსოვს, მამაჩემმა მითხრა, — სულაც რომ წააგო მატჩი, მაინც უნდა დათანხმდე, ნონა მსოფლიოს ჩემპიონია და ანგარიში უნდა გაუწიოო. ნონა ქართულ სპორტში განსაკუთრებული მოვლენა გახლდათ. მაშინ, საბჭოთა კავშირის დროს, სპორტული გამარჯვებებით ხდებოდა ქართული მუხტის გამომზეურება, ნონა კი ძირითადად რუსებთან დაპირისპირებისას იმარჯვებდა. აქედან გამომდინარე, მისდამი გულშემატკივრების დამოკიდებულება აბსოლუტურად განსხვავებული იყო და როდესაც ახალგაზრდა პრეტენდენტი შემოიჭრა და თაყვანისმცემლების წართმევა დაუწყო, ეს, რა თქმა უნდა, მტკივნეული იქნებოდა მისთვის. მიუხედავად ამისა, მატჩის დროს, შეიძლება ითქვას, ჩვენ ერთმანეთთან იდეალური ურთიერთობა გვქონდა. ის ტალღა, რომელიც შემდგომში შემოიჭრა ჭადრაკში, — ჩაკეტილი, დალურსმული ოთახები, კართან მილიციელი, რომ არავინ შევიდეს ან შენ არ გახვიდე, მეტოქეთა რაღაც გასაიდუმლოებული ბანაკები, — არაფერი ეს ჩვენი მატჩის დროს არ ყოფილა. აბსოლუტურად თავისუფლები ვიყავით, აივანზეც გავდიოდით და დასასვენებელი ოთახიც უკონტროლო იყო. ჩვენ შორის სრული ნდობა სუფევდა. ნონას ძმებსაც და მთელ ოჯახს ღირსეულად ეჭირათ თავი და გაფრინდაშვილების „კლანთან“ ურთიერთობა შემდგომშიც კარგად გაგრძელდა. დარბაზში მაყურებლებიც კორექტულად იქცეოდნენ და ჟურნალისტებიც ცდილობდნენ, ობიექტურები ყოფილიყვნენ, თუმცა მატჩის დროს პრესას არ ვკითხულობდი. მსოფლიოს ექსჩემპიონი, მიხეილ ბოტვინიკიც ამას გვირჩევდა. ნერვები ისედაც დაძაბული და დაჭიმული იყო და ზედმეტი გაღიზიანება არ იყო საჭირო.

ნონა გაფრინდაშვილსაც და ნანა ალექსანდრიასაც საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელის, ვახტანგ ქარსელაძის საჭადრაკო სკოლა ჰქონდათ გავლილი. საოცარი პიროვნება იყო, ბავშვებსა და ჭადრაკზე უსაზღვროდ შეყვარებული. პატარა ნონას თამაში პირველად 1953 წელს, ბათუმში, მოსწავლეთა პირველობაზე იხილა. გამოცდილმა პედაგოგმა ასზე მეტ ბავშვს შორის ზუგდიდელი გოგონა გამოარჩია და მაშინვე მისი თბილისში გადმოყვანა მოითხოვა. მოგვიანებით, წლების შემდეგ, მანვე იპოვა პატარა ნანა და იმ დღეზე ოცნებობ-

და, ეს ორი ქართველი გოგონა როდის ითამაშებდა მატჩს დედოფლის გვირგვინისათვის. სამწუხაროდ, თავად ვერ მოესწრო ამ ნების ასრულებას.

1975 წლის 20 ოქტომბერს ბიჭვინთაში საზეიმოდ გაიხსნა მსოფლიოს პირველობის მატჩი ნონა გაფრინდაშვილსა და ნანა ალექსანდრიას შორის, ხოლო მეორე დღეს პირველი პარტია შედგა. სტარტი იღბლიანი აღმოჩნდა ნონასათვის და 1:0 დაწინაურდა, მაგრამ მეორეში წარმატებას ნანამ მიაღწია და ანგარიში გათანაბრდა. შემდგომ მოვლენები ასე განვითარდა:

**ნანა:**

— ძალიან დასანანი იყო, ზედიზედ ორი მარცხი. მესამე პარტიაში შავი ფიგურებით ვთამაშობდი, საერთო ანგარიში 1:1 იყო და ყაიმი არ მინდოდა, მაგრამ თანაბარ პოზიციაში, აბსოლუტურად შემთხვევით, ერთსვლიან კომბინაციაზე წამოვეგე და წავაგე. კიდევ უფრო დრამატული აღმოჩნდა მეოთხე პარტია. ნონა პაიკის შეწირვით თამაშობდა და ის პაიკი შევინარჩუნე. პოზიციური უპირატესობაც მქონდა და მოსაფიქრებლად უფრო მეტი დროც. ნონა ფიქრობდა და ერთ მომენტში ჩვენი თვალები ერთმანეთს შეხვდა. ძალიან ცეცხლოვანი თვალები ჰქონდა. შევცდი და ნონამ მეოთხე პარტია გამარჯვებამდე მიიყვანა.

მატჩის პირველი ნახევარი ბიჭვინთაში გაფრინდაშვილის სასარგებლოდ — 5,5:2,5 დასრულდა. მიუხედავად იმისა, რომ ალექსანდრიამ ბოლო პარტია მოიგო, სხვაობა მაინც სოლიდური იყო. მცირე შესვენების შემდეგ მატჩი თბილისის ჭადრაკის სასახლეში განახლდა. დარბაზში ტევა არ იყო და ნეიტრალური გულშემატკივრების განწყობილებაზეც კი მოქმედებდა მეტოქეთა თითოეული სვლა. ყველაზე მეტად ალბათ მწვრთნელები ნერვიულობდნენ. ნონას სეკუნდანტები აივარ გიპსლისი და ანატოლი შმიდტი იყვნენ, ხოლო ნანასი — პირველი ქართველი დიდოსტატი ბუხუტი გურგენიძე.

**ნონა:**

— მიუხედავად იმისა, რომ მატჩის პირველი ნახევრის შემდეგ სამი ქულით დავწინაურდი, თითოეულ პარტიას დიდი ფსიქოლოგიური და ფიზიკური ძალები მიჰქონდა. აქედან გამომდინარე იყო ალბათ ის უხეში შეცდომები, რომლებიც ორივეს მოგვდიოდა. უფრო მეტად, რა თქმა უნდა — ნანას. თუმცა მე სხვა რამ მინდა აღვნიშნო: რატომღაც ბუხუტისა და ნანას სჯეროდათ, რომ მატჩის მოგება შეეძლოთ. ბუხუტი გურგენიძე ძალიან ერთგული ადამიანი იყო, კარგი ანალიტიკოსი, მაგრამ ვფიქრობ, ჩვენი შესაძლებლობები არასწორად შეაფასა. მაგალითად, მე კაროკინს (საჭადრაკო კომბინაციის სახელია) ვთამაშობდი, ნანას ზედმეტი პაიკი ჰქონდა, მაგრამ ისინი გვიან მიხვდნენ, რომ არასწორი ტაქტიკა აირჩიეს. ნანაც ზედმეტად ემოციური იყო და ნერვიულობდა. ჩემი აზრით, სწორედ ამან შეუშალა ხელი მოგვიანებით, მაია ჩიბურდანიძესთან მატჩშიც, როდესაც მათი ბრძოლა მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულისათვის ფრედ — 8:8 დასრულდა და დედოფლის გვირგვინი მაიამ შეინარჩუნა.



ნანა ალექსანდრიასთვის დედოფლის გვირგვინისათვის ბრძოლა მართლაც ძალიან რთული იყო. ნონა გაფრინდაშვილთან შეხვედრის უფლების მოსაპოვებლად მან გრძელი გზა განვლო. საზონათაშორისო ტურნირში კონოპლიოვასთან, ლევიტინასთან და ლიტინსკაიასთან ერთად, 2-5 ადგილები გაიყო. ამიტომ დამატებით მატჩტურნირის თამაში დასჭირდა, სადაც პირველობა მოიპოვა. ნახევარფინალში ლიტინსკაიას სძლია, ფინალში კილენინგრადელ ირინა ლევიტინას შეხვდა.

**ნანა:**

— ლევიტინასთან ფინალი მართლაც, ძალიან მომქანცველი იყო. ორი თვე გრძელდებოდა. 17 პარტია ვითამაშეთ — მაშინ, როდესაც მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულისთვის მატჩში 16 პარტიას თამაშობდნენ. ირინა ჩემსავით, 17 წლის ასაკში გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი. ერთ-ერთ პარტიაში, ალოხინის დაცვაში სიახლე გამოიყენა და მთელი 45 წუთი ვფიქრობდი. მახსოვს, გაზეთი „Советский спорт“ წერდა: Нана задумалась на целый тайм! პირველი ძირითადი თორმეტი პარტია ფრედ დასრულდა. დაინიშნა დამატებითი პარტიები, პირველ მოგებამდე. მახსოვს, მოსკოვში ჯერ საქართველოს კომპარტიის ცეკას მდივანი ჩამოვიდა, მერე — სპორტკომიტეტის მაღალჩინოსნები. შებოლილი სულგუნიც კი ჩამომიტანეს — ნანას უყვარსო... დამატებითი პარტიების წინ კი გიორგი ბედინეიშვილმა ფოთიდან ჩემი ნათლია ჩამომიყვანა, ნანას გაუხარდებაო... მეხუთე, დამატებით პარტიაში გავიმარჯვე. ეს გამარჯვება ჩემთვის იმითაც არის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი, რომ შევძელი ჩემი მწვრთნელის, ვახტანგ ქარსელაძის ოცნების ასრულება — მე და ნონა დედოფლის გვირგვინისათვის ვთამაშობდით! სამწუხაროდ, თავად ვერ მოესწრო ამ მატჩს. როდესაც შეატყო, რომ ცუდად იყო, ბუხუტი გურგენიძე დაიბარა და სთხოვა, ჩემთან ემუშავა. ბუხუტი ჯერ კიდევ თავად იყო მოქმედი მოჭადრაკე და მისთვის დიდი ტვირთი იყო ახალგაზრდა ოსტატთან მუშაობა. მაია ჩიბურდანიძეს რომ გაუჭირდა ელენა ახმილოვსკაიასთან მატჩში, სოფიაში გადაფრინდა... ნანა იოსელიანსაც ეხმარებოდა, თუმცა თავად მას არ უყვარდა სხვისი დახმარება. დარწმუნებული იყო, რომ ნონასთან მატჩს მე მოვიგებდი.



მატჩის თბილისური ნახევრის პირველივე პარტიაში ნანამ პოზიციური უპირატესობა მიიღო, თუმცა ბოლოს იგი მაინც რთულ პოზიციაში გადაიდო. დაუმთავრებელი დარჩა მომდევნო, მეათე პარტიაც. მეტოქეებს ორივე ერთ დღეს უნდა დაესრულებინათ. ალექსანდრიას ორივეში გამარჯვების იმედი ჰქონდა. მიზანს თუ მიაღწევდა, ანგარიშში სხვაობა მინიმუმამდე შემცირდებოდა. მეცხრე პარტია დამთავრებისას მოსაგებ პოზიცამდე რომ მიიყვანა, ნანა სწორედ მაშინ შეცდა და დანებდა. მეათე პარტია ნონამ თამაშის განუახლებლად დათმო და ანგარიში გახდა 6,5:3,5.

**ნანა:**

— პრაქტიკულად, მატჩი დამთავრდა. მე უკვე ნერვები აღარ მეყო და ნონამ გამარჯვება იზეიმა: 8,5:3,5. მე მაშინ იმ დონის მოჭადრაკე არ ვიყავი, რომ ნონასთვის სერიოზული წინააღმდეგობა გამეწია. სხვათა შორის, მაშინდელი წამყვანი დიდოსტატები პრესაშიც აღნიშნავდნენ, ნანას არ გაუმართლა, რადგან ნონას მისი პიკში ყოფნის დროს შეხვდაო. მიმაჩნია, რომ პიროვნულადაც იმდენად გამობრძმედილი არ ვიყავი, როგორც მოგვიანებით — 1981 წელს, მაია ჩიბურდანიძესთან მატჩის დროს. ნონა მაშინ თავისი გამოცდილებით მჯობნიდა, მისთვის ეს მეოთხე მატჩი იყო.

ნონასა და ნანას მატჩის შემდეგ ქართული ფინალი კიდევ ოთხჯერ შედგა და დედოფლის ტახტი თითქმის ოცი წელი იდგა საქართველოს დედაქალაქში. თუმცა შემდეგ ჩვენმა დიდოსტატებმა უკვე საჭადრაკო ოლიმპიადებში გააგრძელეს ტრიუმფალური გამარჯვებები. 1991 წლის შემდეგ დედოფლის გვირგვინი უკვე სხვა ქვეყნებში „მოგზაურობს“. სამწუხაროდ, ჯერჯერობით საქართველოში არ დაბრუნებულა. ■

რუბრიკას უძღვება ექიმი ნინო ჩარგეიშვილი

# როგორ ვუმკურნალოთ მცენარეებით ჰაიმორიტს, ანგინას და სხვა დაავადებებს

### ყოჩივარდა — ჰაიმორიტის წინააღმდეგ

ჰაიმორიტის სამკურნალო ეფექტური საშუალება შეგიძლიათ ქოთნის ყოჩივარდისგან მოამზადოთ. აიღეთ 2-3 წლის ბოლქვი, გარეცხეთ, წვრილ სახეხზე გახეხეთ და გაწურეთ. ეს წვენი მაცივარში 1 წლის განმავლობაში ინახება. ცხვირში ჩასაწვეთებლად აიღეთ მომზადებული წვენის 2 წვეთი, დაუმატეთ 10-10 წვეთი წყალი და მცენარეული ზეთი (უმჯობესია ზეითუნის), მომინანქრებულ ჭურჭელში კარგად აურიეთ და ორივე ნესტოში ჩაიწვეთეთ 2-2 წვეთი, დილა-საღამოს, 1-2 თვის განმავლობაში. შემდეგ ერთი თვე დაისვენეთ და მკურნალობის კურსი გაიმეორეთ. 4-5 თვეში ჰაიმორიტი აღარ შეგაწუხებთ.

### გამღვალი შაქარი — ხველის წინააღმდეგ

გამღვალი შაქარი ეფექტიანია ბრონქული ხასიათის ხველის დროს.

მომზადების წესი: 1 ლ ტევადობის მშრალ ქვაბში (სასურველია — სახელურიანი) 2-3 სუფრის კოვზი შაქარი ჩაყარეთ და გასადნობად ცეცხლზე დადგით. როდესაც შაქრისგან ღია ყავისფერ მასას მიიღებთ, ბუშტუკების გაჩენამდე და ქაფის მთლიანად გაქრობამდე კოვზით ურიეთ. ამის შემდეგ ქვაბის 2/3 მდუღარე წყლით შეავსეთ, მაგრამ სიფრთხილე გამოიჩინეთ და თვალები და ხელები ამ დროს წარმოქმნილ შხეფებს მოარიდეთ. ეს ნარევი ერთგვაროვანი მასის მიღებამდე ადუღეთ. შემდეგ ცეცხლიდან ჩამოდგით, გააცივეთ, ბოთლში გადაასხით და თავზე დაახურეთ. მიღებული შაქარწყალი ოთახის ტემპერატურაზე 1-2 კვირა ინახება.

მიიღება შემდეგნაირად: ერთ ჭიქა ჩაის ან თბილ წყალს დაუმატეთ 2-3 ჩაის კოვზი გადამდნარი შაქარი და მიიღეთ 2-3-ჯერ დღეში. 2-4 დღეში ხველა შესუსტდება და მალე სრულ გაქრება.





### ხახვი — ანგინის წინააღმდეგ

ხახვი სახეხზე გახეხეთ, წვენი გამოწურეთ, 1 ჩაის კოვზ თაფლში გადაურიეთ და მიირთვით. ასე გააკეთეთ დღეში 3-ჯერ. ეს ბუნებრივი ანტიბიოტიკია — კლავს მიკრობებს. გამოიყენება ანგინის, ფრონტიტისა და ლარინგიტის სამკურნალოდ.

### ხახვი — გრიპისა და ხველის წინააღმდეგ

ხახვი გამოიყენება გრიპის, სურდოსა და ხველის სამკურნალოდ. ერთი ბოლქვი გახეხეთ წვრილ სახეხზე და მისი არომატი შეისუნთქეთ. შეგიძლიათ გახეხილი ხახვი მარლაში გაახვიოთ და ტამპონის სახით ნესტოებში გაიკეთოთ. თავის ტკივილის დროს შუბლი ხახვის წვენით დაიზილეთ. ყელის ტკივილის დროს ახალი ხახვი დაღეჭეთ. ხველის დროს ხახვის სიროფი მიიღეთ: 100-150 გ ხახვი 5-10 წუთის განმავლობაში 250 გ წყალში ხარშეთ, 1 ჩ/კ შაქარი დაუმატეთ და ნელ ცეცხლზე კიდევ ცოტა ხანს ხარშეთ, შემდეგ გადმოდგით და გაფილტრეთ. მიიღეთ დღეში 2-3 ჩ/კ ხახვის სიროფი.

### ხახვი — გულის იშემიური დაავადების წინააღმდეგ

ხახვი გულის კუნთს ამაგრებს, მასში სისხლის მიმოქცევას აუმჯობესებს და იშემიური დაავადებისაგან გვიცავს. მაღალი არტერიული წნევის დროს, თანაბარი რაოდენობის ხახვის წვენი და თაფლი შეურიეთ. მიიღეთ 2 ჩაის კოვზი, დღეში ერთხელ, 1 თვის განმავლობაში.

### პიელონეფრიტი და ხახვი

3 კგ ხახვი გარეცხეთ და კუბებად დაჭერით. ქვაბში (ქვაბი არ უნდა იყოს ლითონის) მჭიდროდ ჩააწყვეთ, თავსახური დაახურეთ და ცომით დააწებეთ, რომ ჰაერი არ შევიდეს. შემდეგ შედგით აირღუმელში (ნელ ცეცხლზე) და 3 საათის განმავლობაში მოშუშეთ. როცა გაცივდება, ქვაბში მონაცრისფრო-მოყავისფრო მასას მიიღებთ. წვენი გამოწურეთ და თავდაპირველად მიიღეთ 1 ჩ/კ დღეში 2-3-ჯერ, შემდეგ კი ნელ-ნელა 1 სუფრის კოვზამდე ადით. მკურნალობის 1 კურსი დასრულებულად ჩაითვლება, როდესაც 3 ლ წვენს მიიღებთ.

### ნივრის წყალი — ზემო სასუნთქი გზების ანთების წინააღმდეგ

50 გრამი გასუფთავებული ნიორი დასრისეთ, ცოტაოდენ გადადუღებულ, ცივ წყალში გახსენით და 500 მლ-მდე შეავსეთ, ასევე გადადუღებული წყლით. 2-4 საათის განმავლობაში ოთახის ტემპერატურაზე გააჩერეთ, შემდეგ გაფილტრეთ. შეგიძლიათ მაცივარში 2-3 კვირის განმავლობაში შეინახოთ. მიიღეთ თითო ჩაის კოვზი, ყოველ 2-3 საათში ერთხელ (უკეთესი იქნება, თუ 1/4 ჭიქა წყალში გახსნით).

### კომბოსტო

კომბოსტოს გამორჩეულ გემოსთან ერთად, არაჩვეულებრივი სამკურნალო თვისებებიც აქვს. იგი ვიტამინების მთელ ასორტიმენტს და 16-მდე ამინომჟავას შეიცავს. მათ შორის — ორგანიზმისათვის მეტად მნიშვნელოვან ტრიპტოფანს, ლიზინს, მეთიონს, თიროზინს და ჰისტიდინს. არც ისე დიდი ხნის წინ, კომბოსტოს წვენში წყლულის საწინააღმდეგო ფაქტორი — ვიტამინი „უ" აღმოაჩინეს. კომბოსტო შეიცავს მჟავას, რომელიც აფერხებს ორგანიზმში ნახშირწყლების ცხიმებად გარდაქმნას. დაბოლოს, კომბოსტო მდიდარია ბოჭკოებით, რომელიც კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მუშაობაზე დადებითად მოქმედებს და ხელს უწყობს ორგანიზმიდან ქოლესტერინის გამოდევნას.

სამკურნალო მიზნით კომბოსტოს ფურცლების ახალგამოწურული წვენი, კობოსტოს მწნილი და მარილწყალი გამოიყენება. დამჟავებისას ვიტამინების ნაწილი (C, $B^2$; PP) და სხვა ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები მარილწყალში გადადის და ამ უკანასკნელის სამკურნალო თვისებები სწორედ აქედან მომდინარეობს. ბევრი სპეციალისტი ამტ-

კიცებს, რომ მჟავე კომბოსტოზე უფრო მარგებელი მისი მარილწყალია. მაგალითად, რეგულარულად, 2-3 დღის განმავლობაში 0,5 კომბოსტოს მწნილის თბილი მარილწყლის მიღება ნაღვლის წვენის გამოყოფას აძლიერებს და პანკრეასის მუშაობას ასტიმულირებს. კომბოსტოს ფოთლების ჭარბად მიღებას თან მეტეორიზმი (ნაწლავებში გაზების დაგროვება) ახლავს. ამიტომ უკეთესია წვენის გამოყენება. კომბოსტოს ფურცლები შეიძლება წვენსაწურში გაიწუროს ან გატარდეს ხორცის საკეპ მანქანაში და შემდეგ მარლაში გაიწუროს. წვენი მხოლოდ 2 დღეა ვარგისი და აუცილებლად 2 გრადუსზე დაბალ ტემპერატურაზე უნდა ინახებოდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში სამკურნალო თვისებებს დაკარგავს.

ზემო სასუნთქი გზების კატარის დროს, ხველის დასაამებლად და ნახველის ამოღების მიზნით რეკომენდებულია კომბოსტოს ნაყენი ან წვენი — თაფლით. თბილ წყალში გაზავებული წვენი სასარგებლოა პირის ღრუში გამოსავლებლად, ყელის ტკივილის დროს. ზემო სასუნთქი გზების მწვავე კატარისა და ხველის სამკურნალოდ, 5-6 დღის მანძილზე 1 ჩ/კ შაქრით შეზავებული, 0,5 ჭიქა კომბოსტოს თბილი წვენი უნდა მიიღოთ.

თავის ტკივილი დაგიამდებათ, თუ კომბოსტოს ფურცელს მტკივნეულ ადგილზე დაიფენთ. დალიეთ 0,5 ჭიქა კომბოსტოს წვენი, დაწექით ზურგზე და მტკივნეულ ადგილზე კომბოსტოს ფურცელი დაიდეთ.

მაღალი ტემპერატურის დროს, უწინ ავადმყოფს შუბლსა და საფეთქლებზე კომბოსტოს ფურცლებს აფენდნენ. ამ მიზნით კომბოსტოს მწნილის გამოყენებაც შეიძლება: იგი კარგად გაწურეთ, გაახვიეთ მარლაში და შუბლზე დაიდეთ.

ღრძილებიდან სისხლდენის სამკურნალოდ დიდი ხნით და ნელა მჟავე კომბოსტოს ღეჭვა ან მარილწყლის პირის ღრუში გამოვლებაა რეკომენდებული. ძალიან ეფექტურია შემდეგი პროცედურა: დილას და საღამოს, ძილის წინ, კომბოსტოს წვენში დასველებული მარლით ან ბამბით კბილებისა და ღრძილების გაწმენდა და შემდეგ წვენის პირში გამოვლება. ეს მკურნალობა 1 თვეს გრძელდება.

ათეროსკლეროზის პროფილაქტიკის მიზნით კომბოსტოს ფურცლები, მწნილი ან წვენი გამოიყენება. წვენის იღებენ 0,5-1 ჭიქას 3-ჯერ დღეში, ჭამამდე 20 წუთით ადრე.

კომბოსტოს წვენი კუჭ-ნაწლავის ტრაქტის სამკურნალოდ ეფექტური საშუალებაა. ის ხელს უწყობს კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის შეხორცებას. მკურნალობა ქვემოთ მოყვანილი ერთ-ერთი სქემის მიხედვით უნდა წარიმართოს:

3 დღე მიყოლებით, ყოველ დილა-საღამოს, ჭამამდე 2 საათით ადრე მიიღეთ 0.5 ჭიქა თბილ წყალში გაზავებული 30-40 გ თაფლი. შემდეგ დაიწყეთ ძირითადი მკურნალობა: ორი დღე სვით 0,5 ჭიქა კომბოსტოს წვენი, შემდეგი 12 დღის განმავლობაში მიიღეთ 1 ჭიქა წვენი, ჭამამდე 1/2 საათით ადრე. თუ ამის შემდეგ წყლული ჯერ კიდევ არ შეხორცდა, 10-დღიანი შესვენების შემდეგ კურსი გაიმეორეთ.

ჭამამდე 45 წუთით ადრე, 1-1,5 ჭიქა კომბოსტოს წვენის დღეში 4-ჯერ მიღება სასარგებლოა კუჭის წყლულოვანი დაავადების დროს. მკურნალობის კურსი 40 დღეა.

კომბოსტოს წვენი დაბალი მჟავიანობით მიმდინარე გასტრიტების, ქრონიკული, წყლულოვანი კოლიტების, ქოლეცისტიტის, ქრონიკული ქოლანგიტის და ჰეპატიტის სამკურნალოდ გამოიყენება. ამისათვის ყოველდღე, ჭამამდე 20 წუთით ადრე მიიღეთ 1/2 ჭიქა კომბოსტოს წვენი.

პოდაგრის დროს, 5 დღე მიყოლებით, შესივებულ ადგილზე კომბოსტოს ფურცელი დაიდეთ, კომპრესის სახით შეიხვიეთ და მთელი ღამით გაიჩერეთ.

თუ ბუასილი გაწუხებთ, რომელიც შეკრულობითა და სისხლდენით მიმდინარეობს, დღეში 1-2-ჯერ, ჭამამდე 30 წუთით ადრე, 1 ჭიქა კომბოსტოს მწნილის მარილწყალი მიიღეთ და დოზა თანდათანობით დღეში 5-6 ჭიქამდე გაზარდეთ.

ჩირქოვანი დაავადებების, დამწვრობებისა და წყლულების სამკურნალოდ, კომბოსტოს ფურცლები ხორცის საკეპ მანქანაში გაატარეთ, უმი კვერცხის ცილა შეურიეთ და დაზიანებულ კანზე დაიდეთ.

■





# მოდელის არშემდგარი კარიერა და „ბერლინის კედლის“ ავტორის გატაცება

## „ისეთი ბინძური ბიზნესი იყო, იქ ვერ დავრჩებოდი...“

**ყოველთვის მოუსვენარი ბუნებით გამოირჩეოდა. არასდროს აკმაყოფილებდა მოცემული პირობა და არსებული რეალობის შეცვლას ცდილობდა. პროფესიით კინომცოდნეა — თეატრალური ინსტიტუტის კინომცოდნეობის ფაკულტეტი აქვს დამთავრებული. ამავე ინსტიტუტში გაიცნო მომავალი მეუღლე, მსახიობი დათო დარჩია. სწავლის დასრულების შემდეგ, როგორც ერთხელ თავად მითხრა, — უსაქმურობისგან ტორტების ცხობა დაიწყო... სინამდვილეში, ვიკა ბუხნიკაშვილის შემოქმედებითი ნიჭი სწორედ ამ, ერთი შეხედვით უბრალო, საკონდიტრო სფეროში გამოვლინდა...**



საკმაოდ თამამი ფოტოსესიები მქონდა

*ქეთი დარჩია*

**— ვიკა, მოგვიყევი შენ შესახებ. ვიცი, რომ პროფესიით კინომცოდნე ხარ.**

— თეატრალური ინსტიტუტის კინომცოდნეობის ფაკულტეტზე ვსწავლობდი. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ პრაქტიკულად, დიასახლისად ვიქეცი. ეს ის პერიოდი გახლდათ, როცა საქართველოში კინოს ვერ იღებდნენ და აბა, კინომცოდნე ვის დავჭირდებოდი? დამოუკიდებელი პიროვნება ვარ და ყოველთვის მინდოდა, საკუთარი საქმე მქონოდა, მაგრამ რადგანაც სამსახური ვერ ვიშოვე, ოჯახს ვუვლიდი; მგონი, ამაზე უკეთეს საქმეს ვერც გამოვძებნიდი.

**— საზოგადოება გიცნობს, როგორც ცნობილი მსახიობის, დათო დარჩიას მეუღლეს...**

— მე და დათომ ერთმანეთი ინსტიტუტში გავიცანით და მას შემდეგ ერთად ვართ. საკმაოდ მყარი ოჯახი შევქმენით, ჩვენს ურთიერთობას ბზარი არ გასჩენია; ერთმანეთს არაფერში ვზღუდავთ, საკმაოდ თავისუფალი ურთიერობა გვაქვს და ალბათ, სწორედ ეს გახლავთ ჩვენი ოჯახის სიმტკიცის მთავარი მიზეზი. ბევრი სირთულე გადავიტანეთ, მაგრამ — ღირსეულად. როცა დავქორწინდით, სტუდენტები ვიყავით და ცალკე ცხოვრება ვარჩიეთ. იმ პერიოდში ქვეყანაში მძიმე ეკონომიკური სიტუაცია იყო და დედაჩემი ნერვიულობდა, — თავი როგორ უნდა გაიტანოთო?.. დათოს მეგობრები, მათ შორის, დათო იაშვილი (იაშკა) და ნიკუშა გომელაური ხშირად მოდიოდნენ ჩვენთან და ხან მაკარონი მოჰქონდათ, ხან — კარტოფილი. მოსაღამოვდებოდა თუ არა, ქუჩაში ტრანსპორტი აღარ დადიოდა და ამიტომაც, ხშირად ყველანი ჩვენთან რჩებოდნენ... იმ ლამაზ დროს დღესაც დიდი სითბოთი ვიხსენებთ.

**— როგორც ვიცი, ერთხელ შენს დასახვედრად დათო აეროპორტში ფეხით მივიდა...**

— ეს აღარც მახსოვდა... მაშინ მგონი, გაბუტულები ვიყავით. მე მოდელის სერიოზული კარიერა მქონდა: მოსკოვში, „პენტჰაუსში“ სამუშაოდ მიმიწვიეს და 3 თვე იქ გავატარე, მაგრამ ისეთი ბინძური ბიზნესი იყო, იმ გარემოში ნამდვილად ვერ დავრჩებოდი; არა იმიტომ, რომ თამამ ფოტოს ვერ გადავიღებდი, პირიქით — საკმაოდ თამამი ფოტოსესიები მქონდა, მაგრამ... აქ სხვა სიბინძურეზეა ლაპარაკი... როცა თბილისში დავბრუნდი, დათო აეროპორტში დამხვდა და ამ ამბის შემდეგ მალევე დავქორწინდით. არ ვნანობ, რომ ეს გადაწყვეტილება მივიღე. მყავს ორი შვილი: 11 წლის ელენე და 10 წლის გუგა. ჩემთვის მთავარი —





ყოველ ტორტს ინდივიდუალურად ვუდგები და თითქმის არ ვიმეორებ



დათო დარჩია შვილებთან ერთად

ოჯახია. ამაზე უკეთესი რა უნდა შემექმნა? მეწერა კინოზე და — რა?.. საერთოდ, პრინციპების მიმდევარი ადამიანი გახლავართ, დაწყებული საქმე აუცილებლად, ბოლომდე მიმყავს. თუნდაც ის რად ღირს, რომ სტუდენტებმა შევქმენით ოჯახი და რადგანაც ეს პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე ავიღე, უკან აღარ დავიხიე. თავს არასდროს მივცემდი უფლებას, დედაჩემთან წუწუნით მივსულიყავი: იცი, დედა, სიმართლე იყო, რასაც ამბობდი-მეთქი...

**— ოჯახი შექმენი და... დაიწყო შენი „რემონტომანია"...**

— კარგად მახსოვს, როგორ დამცინოდნენ, — ჯერ საკუთარი სახლი გაარემონტე, მერე დათოს ბინა და ახლა, ჩვენს სახლებზეც გადმოხვალო. პატარა გოგო ვიყავი — ასე, 18 წლის და მარტო დავდიოდი ბაზრობაზე, მუშებთანაც ვაგვარებდი პრობლემებს. ეს იმიტომ, რომ ერთ ადგილზე გაჩერება არ შემეძლო.

**— რემონტი დასრულდა და ახალი გატაცება დაიწყო, არა?**

— დაახლოებით... აბა, რამდენჯერ უნდა გამერემონტებინა ბინა?! საერთოდ, ჩემს ცხოვრებას ხელოვნება სდევს თან. ყოველდღიურ ცხოვრებაშიც, ნებისმიერ საქმიანობას შემოქმედებითად ვუდგები. ტორტები სწორედ ჩემი ცხოვრებისეული ხედვის გამოხატულებაა. მიმაჩნია, რომ ქალმა ყოველდღე ზეიმი უნდა მოაწყოს, სილამაზე შექმნას. სტანდარტული და



ჩემს ტორტზე ყვავილიც არასტანდარტულია

გარკვეულ ჩარჩოში მოქცეული არაფერი მიყვარს. რა არის ტორტი? ეს გახლავთ ნუგბარი, რომელიც უნდა მიირთვა. ამ თემასაც შემოქმედებითად მივუდექი და შევქმენი არა მარტო ტორტი მოხმარებისთვის, არამედ ტორტი-არტი. კულინარიული შესაძლებლობები ჩემთვის — ხელოვნებაა. ახლა გაგეცინება და ამ საქმეში ჩემი „რემონტომანია" ძალიან დამეხმარა — იქაც ხომ რაღაცას ვლესავდი და ვალამაზებდი...

**— საინტერესოა, როდის აღმოაჩინე შენში კულინარიული ნიჭი?**

— კულინარიული იმპროვიზაციები ოჯახიდან მომყვება, დედაჩემიც ძალიან გემრიელ კერძებს ამზადებს... პირველი ტორტებიც შემოქმედებითი იყო. მახსოვს, მეგობარს წვეულებაზე ქუდის ფორმის ტორტი მივართვი; ტორტებს მეგობრების შვილების დაბადების დღეებისთვისაც ვაცხობდი და თითოეული არაორდინარული, საინტერესო დიზაინის გახლდათ. ერთხელაც, ერთ ასეთ წვეულებაზე მეგობარმა, შალვა ქელბაქიანმა საცხობის გახსნა შემომთავაზა. მას ღუმლების შეძენის საშუალება ჰქონდა და ასე „გავაფართოვე" ჩემი გატაცება. სიმართლე გითხრა, ეს საცხობი სახლთან ახლოს რომ არ ყოფილიყო, შორს ვერც წავიდოდი. თუმცა, უსაქმოდაც ვერ გავჩერდებოდი. სანამ კერძო შეკვეთებზე დავიწყებდი მუშაობას, ამ ღუმლებსაც მეგობრებისთვის ვამუშავებდი, ვაცხობდი და ვაცხობდი.

**— სპეციალურ ლიტერატურას თუ იყენებ?**

— დიახ. როცა ამ საქმიანობის საფუძვლიანი შესწავლა გადავწყვიტე, ძალიან ბევრი ლიტერატურა შევიძინე. ძირითადად, ფრანგულ რეცეპტებს ვიყენებ. სხვათა შორის, საფრანგეთში უგემრიელეს ნამცხვრებს ამზადებენ და კიდევ, ის, რაც ჩვენი გვგონია, მაგალითად, შუ — ფრანგული პრაფიტროლია; ფენოვანი ცომიც ფრანგულ სამზარეულოს ეკუთვნის. სპეციალური რეცეპტების გარდა, შე-



ვისწავლე ფრანგული სამზარეულოს ისტორიაც. ვიჯექი და დაახლოებით ისე ვსწავლობდი, როგორც სტუდენტობის დროს — ხელოვნების ისტორიას.

მინდა გითხრა, რომ საკონდიტრო წარმოებაში მთელი მიმდინარეობებია: მინიმალიზმი, როკოკო, გოთური სტილი, სტრუქტურალიზმი, იმპრესიონიზმი. ახლა მთელ მსოფლიოში პოპ-არტი და მინიმალიზმია მოდაში... სხვადასხვა ქვეყნის მიღწევებს გავეცანი და მიღებული ცოდნა პრაქტიკულ საქმიანობაში ძალიან დამეხმარა. ნამცხვარი ან ტორტი გემრილი რომ გამოვიდეს, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტი უნდა გამოიყენო. მაგალითად, საფრანგეთში ვერც კი წარმოუდგენიათ კრემის, გნებავთ, ცომის მარგარინით მომზადება.

— **რამდენადაც ვიცი, სპეციალურ ინგრედიენტებს საფრანგეთიდან გიგზავნიან.**

— აქ არის ფირმები, რომლებსაც ეს ინგრედიენტები საფრანგეთიდან ჩამოაქვს. მაგალითად, საქართველოში უმარილო „ფისტაშკები" არ იშოვება და მას საფრანგეთიდან ვიწერ. სხვათა შორის, საკმაოდ ძვირი — 1 კგ 100 ლარი ღირს; ვიწერ ასევე კარგი ხარისხის ვანილს ან ფრანგულ შოკოლადს. მოკლედ, აბსოლუტურად ნატურალურ ნედლეულს ვიყენებთ.

— **ტორტის დიზაინზე როგორ მუშაობ?**

— ყოველ ტორტს ინდივიდუალურად ვუდგები და თითქმის არ ვიმეორებ. ზოგჯერ დამკვეთს ინტერნეტიდან აღებული ფოტო მოაქვს და მითითებებს მაძლევს, რაც სიმართლე გითხრათ, არ მომწონს. მირჩევნია, მან მხოლოდ ფერი მიკარნახოს, დიზაინზე კი დამოუკიდებლად ვიმუშაო. როცა ბოლომდე მენდობიან, თავს ისე ვგრძნობ, როგორც თევზი წყალში. ტორტს დამკვეთის ხასიათის, მიდრეკილებების, თვისებების გათვალისწინებით ვქმნი; ჯერ ჩანახატს ვაკეთებ და შემდეგ ყველაფერს დამკვეთთან ვათანხმებ. ვიღაცისთვის შეიძლება, საბურავის ფორმის ტორტი მიუღებელი იყოს და თქვას, — ასეთ ტორტს რა მაჭმევსო?! — მაგრამ ვიღაცას ძალიან მოსწონს. ასეთი ტორტები ძირითადად, კორპორატიული წვეულებებისთვის კეთდება.

— **ძალიან საინტერესო დიზაინს წავაწყდი — ტორტი სამშენებლო ბლოკს ჰგავდა.**


ვამზადებ სტაფილოს უგემრიელეს ტორტს, რომელსაც ყველას ვთავაზობ


„ბერლინის კედელი"

— ეს ტორტი ერთმა გოგონამ ქორწილისთვის შემიკვეთა. რატომღაც, „ბერლინის კედელი" უნდოდა, რომელსაც ქორწილში დაანგრევდნენ. ძალიან უცნაური გამოვიდა. სიმართლე გითხრათ, ასეთი შეკვეთისთვის არც კი ვიყავით მზად. უნდა გაგვეთვალისწინებინა ის ფაქტი, რომ საქორწინოდ მზადდებოდა და დიდ სივრცეში თეთრ სუფრაზე უნდა მოთავსებულიყო.

— **მიუხედავად იმისა, რომ მრგვალი და ყვავილებიანი ტორტის ცხობა არ გიყვარს, მაინც აცხობ, თან — ძალიან ლამაზს...**

— ასეთ ფორმასაც შემოქმედებითად ვუდგები. ჩემს ტორტზე ყვავილიც არასტანდარტულია. ყვავილებს შაქრისგან ვაკეთებ: ჯერ ვამზადებ ე.წ. „შაქრის პასტას" და შემდეგ ხელით ვძერწავ. ინსტიტუტამდე თოიძის სახელობის სასწავლებელში ძერწვას ვეუფლებოდი და ეს გამოცდილება დამეხმარა. ამ სფეროშიც არსებობს გარკვეული კანონები, რომელიც აუცილებლად უნდა დაიცვა. მაგალითად: არ შეიძლება ტორტზე ცოცხალი ყვავილის ან მეტალის ნივთის მოთავსება; მასზე მაგრდება ყველაფერი ის, რისი დაგემოვნებაც შეიძლება; არ იჭმება მხოლოდ და მხოლოდ ის დეკორაცია, რომელზეც ტორტია მოთავსებული...

— **დიზაინზე მუშაობისას შთაგონების წყარო რა არის?**

— ეს შეიძლება, იყოს ფილმი, მუსიკა ან სკულპტურაც, რომელიც ჩემში შემოქმედებით იმპულსს აღძრავს და ეს ემოცია ტორტებზე გადმომაქვს. გაგეცინება, მაგრამ გამუდმებით ტორტებზე ვფიქრობ. პარალელურად, სულ ძიებასა და ექსპერიმენტში ვარ. მაგალითად, ვამზადებ სტაფილოს უგემრიელეს ტორტს, რომელსაც ყველას ვთავაზობ, თუმცა — უშედეგოდ. ცოცხალ, გახეხილ სტაფილოს ცომში ვურევთ... ყველაზე გემრიელი ტორტია მათ შორის, რაც კი ოდესმე დამიგემოვნებია. იცი, მას რა შემთხვევაში ვამზადებ?.. როცა დამკვეთმა არ იცის, რა უნდა და ბოლომდე მენდობა.

— **საყვარელი დიზაინი როგორია?**

— პოპ-არტი მომწონს. ერთ მეგობარს პოპ-არტი მერილინ მონროს გამოსახულებით გავუკეთე. თუ კარგად დააკვირდები, ამ არტში სიუჟეტს ამოიკითხავ, ერთგვარი კიტჩია: ტორტის ადრესატი გახლავთ მომხიბლავი ქალი, თავისი სასიყვარულო თავგადასავლებით.

— **ორიგინალური დიზაინის ნამცხვრებსაც ამზადებ. ეს იდეაც ტორტთან ერთად დაიბადა?**

— ეს ნამცხვრები ფურშეტისთვის მზადდება, სარკეებით მიგვაქვს და სუფრაზე ლამაზად ვაწყობთ.

— **ახლაც მარტო მუშაობ?**

— იმდენი შეკვეთაა, რომ ყველაფერს დამოუკიდებლად ვერ გავუმკლავდებოდი, ამიტომ დამხმარე გოგონები ავიყვანე. სულ ოთხნი გახლავართ და შეიძლება ითქვას, რომ ერთი გუნდი ვართ, ერთ ენაზე ვმეტყველებთ.

— **დათო როგორ შეხვდა შენს ამ გატაცებას?**

— ტორტების ცხობა ჩემთვის მხოლოდ ბიზნესი არ არის, ეს ნამდვილი შემოქმედებაა. ეს საქმე ისე მიყვარს, რომ ხშირად დავზარალებულვარ, — საჭიროზე მეტი მასალა გამომიყენებია, მაგრამ არ მინანია. ეს საქმიანობა ჩემი შემოქმედებაა და შემოქმედებას ვერასდროს გავცვლი, უხეშად რომ ვთქვა, ერთი კილოთი მეტ კარტოფილზე ან ერთი ლიტრით მეტ ზეთზე. დათოსაც ძალიან მოსწონს ჩემი შემოქმედება და ერთადერთი ადამიანია, ვის აზრსაც ვითვალისწინებ. ■


ეს ნამცხვრები ფურშეტისთვის მზადდება


საბურავის ფორმის ტორტი


გამუდმებით ტორტებზე ვფიქრობ. პარალელურად, სულ ძიებასა და ექსპერიმენტში ვარ

# ვის დახვია თავბრუ თათული ბართაიამ

## ქართველი გოგონას ავსტრალიური საგანმანათლებლო მარათონი



**თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის სამსახიობო ფაკულტეტის დასრულების შემდეგ, ერთხანს „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ პირველ არხზე მუშაობდა — ჯერ სპორტული პროგრამა „გოლის“, შემდეგ კი დილის პროგრამის ერთ-ერთ წამყვანად და ხალხს საოცრად მომხიბვლელი, ღიმილიანი სახით დაამახსოვრა თავი. „თავისუფალი თეატრის“ სცენაზეც მოსინჯა თავი და არცთუ — ურიგოდ. დღესდღეობით ავსტრალიის ქალაქ სიდნეიშია, მამასთან — გია ბართაიასთან. დაახლოებით, ორი წლის წინ ჩვენს ჟურნალში გიაზეც ვწერდით — თბილისელ მსახიობზე, რომელიც წლების წინ წავიდა საქართველოდან, ავსტრალიაში დასახლდა და იშვიათად გვსტუმრობს. კურიოზი არ არის? — თათული დედასთან ერთად სიდნეის ეწვია, გია კი „იშვიათი ვიზიტით“ — თბილისს. ასე რომ, 24 წლის გოგონას მამის მეგზურობის გარეშე უწევს ავსტრალიური დაბრკოლებების გადალახვა. თუმცა არა მგონია, რაიმემ დააფრთხოს: საკმაოდ ყოჩაღია და ამას მასთან სატელეფონო საუბრითაც იგრძნობთ. ეგ კი არა და, ისეთი შემართება აქვს, მგონი, ავსტრალიის კინოფოტოინდუსტრიის „დაპყრობასაც“ აპირებს.**

*ირმა ხარშილაძე*

— ძალიან დაკავებული ვარ. მალე მეწყება სწავლა „ნაიდაში“ — მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო თეატრისა და კინოს უნივერსიტეტში. აქ წლების წინ დრამის კურსები გავიარე და ახლა კინოსამსახიობო ფაკულტეტი ავირჩიე, პარალელურად, ტელეჟურნალისტიკის კურსებსაც გავივლი. აქ არათუ სწავლა, მოხვედრაც კი ურთულესია. იცით, „ნაიდაში“ მასტერკლასებს თითქმის ყოველ წელს, ნიკოლ კიდმანი ატარებს. იქნებ მეც გამიმართლოს და ახლაც ჩაატაროს. დავიწყე თანამშრომლობა ცნობილ სამოდელო სააგენტო „ტალანტ-ბანკთან“. ძალიან საინტერესო და წარმატებული ფოტოსესია მქონდა.

— **როგორც ვიცი, ასევე ძალიან საინტერესოდ მოხვდი „ნაიდაში“...**

— კინოსამსახიობოსა და ტელეჟურნალისტიკის კურსის გავლა ერთდროულად მინდოდა, ამისთვის კი აუცილებლად უნდა დავლაპარაკებოდი ამ სასწავლებლის წარმომადგენელს და უამრავ შეკითხვაზე მიმეღო პასუხი. არადა, იქ მხოლოდ საბუთებს ტოვებ, მერე ეცნობიან და პასუხს წერილობით გატყობინებენ. მე ისედაც არ მიყვარს მიმოწერით საქმიანი საუბარი, ამიტომ მისაღებიდან პასუხისმგებელ პირს დავურეკე და შეხვედრა ვთხოვე, ლაპარაკით თავბრუ დავახვიე და იძულებული გახდა, მისაღებში ჩამოსულიყო (*იცინის*). მერე თავის ხელმძღვანელთანაც შემყვა, სადაც ყველაფერი დეტალურად ამიხსნეს. ავსტრალიაში ძალიან ყურადღებიანი და კეთილგანწყობილი ადამიანები ცხოვრობენ. მათთან უცხოდ არასდროს იგრძნობ თავს... არც სამოდელო სააგენტოში მოხვედრა იყო იოლი. იქ გამესაუბრნენ, საბუთებს გაეცნენ და როგორც ჩანს, ჩემი მონაცემებითა და ინგლისური ენის ცოდნით დაკმაყოფილდნენ, შემდეგ ძალიან ბევრი ფოტო გადამიღეს. ფოტოსურათების გადაღება თავადაც მიყვარს და სიდნეიში, კამბერაში — ყველგან ფოტოაპარატით დავდივარ, საინტერესო კადრებს ვიღებ. მალე მელბურნშიც წავალ, სადაც სულ ფესტივალებია — ხან კინოს, ხან მუსიკის, ხან თეატრალური... დარწმუნებული



**თბილისში, თავისუფალ თეატრში ანდრო ენუქიძის მიერ დადგმული სპექტაკლის ვიდეოჩანაწერი ჩავუტანე**



**მყავს არაჩვეულებრივი ძაღლი, ამერიკული სტაფი, სახელად ჯიბა**



**სამგზის ოლიმპიურ ჩემპიონს, ვიქტორ სანეევს 65 წელი შეუსრულდა, იუბილე გადავუხადეთ...**

ვარ, იქაც ძალიან ბევრ ფოტოს გადავიღებ. მოუთმენლად ველოდები „ნაიდაში“ სწავლის დაწყებას. მინდა, აქაური ტელეჟურნალისტიკის სპეციფიკა კარგად შევისწავლო... ახლა ავსტრალიაში გაზაფხულია, სასიამოვნო ამინდია. ერთი სული მაქვს, ახალი წელი მოვიდეს. ამ დროს აქ მსოფლიოდან უამრავი ტურისტი ჩამოდის, რათა ახალ წელს ცნობილ „ჰარვარდ-ბრიჯთან“ შეხვდნენ... როცა სიდნეიში ჩამოვედი, სასიამოვნო წვეულებაზე აღმოვჩნდი: აქ მცხოვრებ სამგზის ოლიმპიურ ჩემპიონს, ვიქტორ სანეევს 65 წელი შეუსრულდა, იუბილე გადავუხადეთ, დაბადების დღის მისალოცი სიმღერაც ვუმღერეთ.

**— ვიცი, ბატონ ვიქტორთან და მის ოჯახთან მეგობრობ. სხვათა შორის, ახლახან ჟურნალ „გზაში“ მასზე ვრცელი სტატია დაიბეჭდა.**

— ვიქტორ სანეევის ოჯახის წევრები ჩვენი უახლოესი ადამიანები არიან და მათთან სტუმრობა ძალიან მიყვარს. ჩვენ სიდნეის ცენტრში ვცხოვრობთ, ისინი ცოტა მოშორებით, მაგრამ ულამაზესი სახლი აქვთ, ეზოთი. ნეტავ, განახათ, როგორ უვლის თავის ბაღს ვიქტორი: ლიმონის ხეებს, ყვავილებს ყოველდღიურად ჩამოუვლის ხოლმე და ლამის ესაუბრება, ეფერება. მას არაჩვეულებრივი მეუღლე ჰყავს — იანა, რომელიც ექიმია და მუშაობს კიდეც. მათი ვაჟი — სანდრო ჩემი მეგობარია. თავად ვიქტორი მწვრთნელად მუშაობს. მეუბნება, — რადგან თბილისში სპორტული გადაცემის წამყვანი იყავი, ჭოკით ხტომაში უნდა გავარჯიშო; მინდა, ამ საქმეს სერიოზულად მოჰკიდო ხელი, მე კი შენი წარმატებით ვიამაყო (*იცინის*). ამაზე ძალიან მეცინება. ვკითხე: არ გირჩევნიათ, ჩემი მსახიობობით ან ტელეწამყვანობით იამაყოთ-მეთქი? მიპასუხა: სამი წლის განმავლობაში, ყოველ დილით ვამაყობდი შენი ტელეწამყვანობით; როგორც მსახიობი, ძალიან მომეწონე სპექტაკლში (თბილისში, თავისუფალ თეატრში ანდრო ენუქიძის მიერ დადგმული სპექტაკლის ვიდეოჩანაწერი ჩავუტანე და ვუჩვენე), ახლა კი დროა, შენი სპორტსმენობითაც ვიამაყოო... უი, სულ დამავიწყდა: მყავს არაჩვეულებრივი ძაღლი, ამერიკული სტაფი, სახელად ჯიბა, რომელსაც „შინაურულად“ ბონდოს ვეძახით. ის ფეხბურთზე გიჟდება. ამას წინათ სტადიონზე გაიჭრა, ფეხბურთელს ბურთი წაართვა და თათით გაისროლა. რა თქმა უნდა, ჯიბას გავეკიდე, მაგრამ ბურთს არაფრით თმობდა და ასე დავრბოდით მოედანზე მე, ჯიბა და ფეხბურთელები.



**თათული მამასთან ერთად**

**— რით ერთობი ხოლმე? როგორც შევიტყვე, ამას წინათ კინაღამ პარკში მოგიხდათ ღამის გათევა...**

— მე, დედა, ჯიბა და ჩვენი ოჯახის ახლობელი კობა პარკში ვსეირნობდით. თურმე, ამ პარკს საღამოს 7 საათზე კეტავენ. დრო ისე გაგვეპარა, ვერც მივხვდით, როგორ დაცარიელდა იქაურობა. გასასვლელისკენ წამოვედით და... რას გავიდოდით — კარი ჩარაზული დაგვხვდა, ირგვლივაც არავინ ჩანდა, რაიმე რომ გვეკითხა. მივხვდით, ღამის გათენება მოგვიწევდა — პარკს დილის 7 საათზე აღებდნენ. სასწრაფოდ, მამას დავურეკე თბილისში, — როგორ მოვიქცეთ-მეთქი? მამა, აღელვების ნაცვლად, სიცილით მოკვდა, — აქედან რა გიშველოთ? მშვენიერი ბუნება გაქვთ, სითბოა და მანდვე მოისვენეთო. ეს კი ნამდვილად არ გვაწყობდა და უკანასკნელი შანსი გამოვიყენეთ: დავიწყეთ გალავანზე ბრახუნი, ყვირილი და იცით, როგორ გაგვიმართლა? — დარაჯი უკვე მანქანაში ჯდებოდა თურმე, როცა ჩვენი განწირული ყვირილი გაიგონა. — ბედი გქონიათ, რომ შევფერხდი, თორემ ღამის აქ გათევა მოგიწევდათო, — გვითხრა...

**— ავსტრალიაში ბევრი ქართველია?**

— არც ისე. ჩვენ მხოლოდ ვიქტორ სანეევის ოჯახთან და კობა გელაშვილთან ვმეგობრობთ. ეს ის კობაა, პარკში რომ გვახლდა.

**— რასელ ქროუ არსად შეგხვედრია?**

— ჯერ — არა, მაგრამ მამა მპირდება, — ვეცდები, შეგახვედროო. თურმე, ხშირად სეირნობს შვილთან ერთად. ვნახოთ, ერთი წლის განმავლობაში იმედია, სადმე შევხვდები. ძალიან ბედნიერი ვარ, რომ აქ მოვხვდი. კარგი შანსი მომეცა და ამას მაქსიმალურად გამოვიყენებ. ვინ იცის, იქნებ ავსტრალიურ კინოინდუსტრიაშიც ვცადო ბედი.

*P.S. წარმატებებს ვუსურვებთ თათულის. ვნახოთ, რა სიურპრიზს მოუწყობს ცხოვრება: ეგებ ჰოლივუდის ავსტრალიელი კინოვარსკვლავების მსგავსად, მანაც ჰოლივუდში ამოყოს თავი და ძალიან, ძალიან დიდი ხნის შემდეგ მისი არტისტული ცხოვრების „ფილმიც“, ჰოლივუდური ფილმების არ იყოს, „ჰეპი ენდით“ დასრულდეს.* ■



# „ჯეოსტარის“ კასტინგზე დაწუნებული მომღერლის წარმატება

## „ბულგარეთში ბევრი თაყვანისმცემელი გავიჩინე...“

**მართალია, ბევრ დამწყებ მომღერალს საქართველოში არ უმართლებს, მაგრამ საზღვარგარეთ გამართულ ფესტივალებზე აღწევენ წარმატებას. სამწუხაროდ, ამ წარმატებების შესახებ ინფორმაცია ჩვენამდე ან ძალიან გვიან, ან საერთოდ არ აღწევს. „საქართველოში ძირითადად, პოპულარული ხდება ის ადამიანი, ვინც ადგილობრივ კონკურსში მონაწილეობს“, — მითხრა დამწყებმა მომღერალმა სალომე კვარაცხელიამ, რომელმაც სულ ცოტა ხნის წინ, ბულგარეთში გამართულ ერთ-ერთ საერთაშორისო ფესტივალზე გვასახელა.**


„საავტოროში“ ლაურეატი გავხდი, ხოლო მეორე კონკურსში სპეცპრიზი გადმომცეს

ლიკა ქაჯაია

— ბულგარეთში, კერძოდ — ქალაქ პეტრიჯში გამართულ ფესტივალზე წარმადგინა „პოპ-არტპრომოუშენმა“, ზვიად შელიას პროდიუსერობით. ეს გახლდათ საერთაშორისო კონკურსი „ზალატოი კაშტან“, რომელიც საერთაშორისო მასშტაბით წელს პირველად ჩატარდა და მასში 10 ქვეყანა მონაწილეობდა. საინტერესო ისაა, რომ ფესტივალი სამ ნაწილად იყო დაყოფილი: პირველ დღეს „ფოლკის“ კონკურსი გახლდათ და მასში ნებისმიერი ასაკის ადამიანს შეეძლო მონაწილეობა, მეორე დღეს 16-დან 25 წლამდე ახალგაზრდებს შორის გაიმართა კონკურსი, სადაც ჯერ ნაციონალური სიმღერა უნდა შეგესრულებინა, შემდეგ — მსოფლიო „შლაგერი“; მესამე დღეს ჩატარდა საავტორო სიმღერების კონკურსი, სადაც ასევე, ნებისმიერი ასაკის ადამიანს შეეძლო მონაწილეობა. მე მეორე და მესამე კონკურსში ვმონაწილეობდი: „საავტოროში“ ლაურეატი გავხდი, ხოლო მეორე კონკურსში სპეცპრიზი გადმომცეს.

— **რომელი სიმღერები შეასრულე?**

— ქართული პოპური და ანეტა ფრანკლინის სიმღერა. როცა პოპურს ვასრულებდი, ვგრძნობდი, რომ მსმენელი საოცრად კმაყოფილი იყო ჩემი გამოსვლით.

**ზვიად შელია:**

— პოპური ძველი კინოფილმებიდან ამოკრებილი სიმღერებით იყო გაკეთებული. მასში იგრძნობოდა ქართული სული, სიმღერა კარგად იყო შეკრული.

**სალომე:**

— და დიდი მოწონება ამიტომაც დაიმსახურა. მოკლედ, „ყველაზე ანტრაქტულ“ მონაწილედ დამასახელეს და სპეცპრიზი თავად ქალაქის მერმა გადმომცა. ეს დაუვიწყარი წუთები იყო. კონკურსის შემდეგ მივიღე უამრავი მიწვევა სხვადასხვა ქვეყნიდან. სხვათა შორის, ივნისში ისევ მომიწევს ბულგარეთში ჩასვლა — ქალაქ სოფიაში მასტერკლასს ჩამიტარებენ.

— **ვინ ჩაატარებს ამ მასტერკლასს?**

— მსოფლიოს ცნობილი ჯაზმენები, პროფესიონალი პედაგოგები.

— **როცა საქართველოდან მიდიოდი, გამარჯვების, რაიმე წარმატების მიღწევის იმედი თუ გქონდა?**

— რა თქმა უნდა, ამის იმედი მქონდა, მაგრამ როცა უზარმაზარი სცენა დავინახე, შემეშინდა, ისტერიკა დამემართა და ზვიადს შევჩივლე: მიშველე, მეშინია-მეთქი (*იცინის*). თუმცა, ბოლოს გავბედე და გავედი... როცა გამოაცხადეს, პირველი ადგილი ბულგარეთს ეკუთვნისო, ზვიადს იმედი გაუჩნდა, — მგონი, გრან-პრი ჩვენიაო, მაგრამ ისიც ბულგარეთმა აიღო და... ხელი ჩავიქნიეთ, გასასვლელისკენ წავედით.

— **ალბათ, იმ წუთებში ჟიურის წევრებზე გაბრაზდი კიდეც...**

— ფესტივალში მონაწილეობით იმდენად კმაყოფილი ვიყავი, რომ არ გავბრაზებულვარ, თუმცა, გამოგიტყდებით და, გული კი დამწყდა... როცა გასასვლელისკენ წავედით, სწორედ ამ დროს ავიდა ქალაქის მერე სცენაზე და გამოაცხადეს: სპეცპრიზი „გრუზიას“, სალომეს ეკუთვნისო. აი, მაშინ კი შოკში ჩავვარდი, ამხელა სიხარული მართლა არასდროს მიგრძნია. ზვიადის სახეც არ მავიწყდება, გაოგნებული იყო. როცა სცენიდან პრიზით ხელში ჩამოვედი, ჩაკეცილი დამხვდა... სხვათა შორის, ძალიან ძლიერი კონკურსანტები იყვნენ და ბევრი მეგობარიც შევიძინე.

**ზვიადი:**

— ერთადერთი, მოლდაველი მოიკოჭლებდა...

— **ზვიად, ამ კონკურსზე ვინ მიგიწვია და მაინცდამაინც სალომე რატომ შეარჩიე?**

— ჩემი ბულგარელი პარტნიორი, მარტინ კარნოლსკი ანუ მისტერ ფესტივალად ცნობილი ადამიანი რამდენიმე ფესტივალის პროდიუსერი გახლავთ. მას პოსტსაბჭოთა ქვეყნებშიც ხშირად იწვევენ, საკმაოდ წარმატებული ადამიანია და სწორედ მან შემომთავაზა, საქართველოდან ბულგარეთში კონკურსანტი ჩამეყვანა... რაც შეეხება სალომეს, ის ქალბატონი ლალი ბერაძის ერთ-ერთ საავტორო სალამოზე გავიცანი (სალომე მისი მოსწავლეა). როცა ბულგარეთიდან მიწვევა მივიღე, გადავწყვიტე, სწორედ სალომე წამეყვანა, რადგან ის საკმაოდ ნიჭიერი, პერსპექტიული ახალგაზრდაა. უბრალოდ, როგორც ვოკალისტი, უნდა გაიზარდოს, ამას კი ბევრი მუშაობა სჭირდება. იმედია, სალომე ყველა ბარიერს დაძლევს.

— **სალომე, რაიმე მუსიკალური**


რაღაც პროექტის განხორციელება მაქვს გეგმაში და თუ ამას შევძლებ, მათ აუცილებლად ჩამოვიყვან

**განათლება თუ გაქვს?**

— კონსერვატორიასთან არსებულ ნიჭიერთა ათწლედში ვსწავლობდი, ფორტეპიანოს განხრით. 4 წლიდან ვმღერი. ჩემთვის ამ ფესტივალზე წასვლა ორმაგი პასუხისმგებლობა იყო, ჯერ ერთი იმიტომ, რომ საქართველოს სახელით გავედი და მეორეც — მინდოდა, ქალბატონი ლალი ბერძის ამაგი დამეფასებინა და ყველასთვის დამემტკიცებინა, რომ ის არაჩვეულებრივი პედაგოგია. მინდა, ვისარგებლო შემთხვევით და ზვიადს მადლობა გადავუხადო იმისთვის, რომ ამის შანსი მომცა.

**— ამის დამტკიცება რაში გჭირდებოდა? და კიდევ, საქართველოში გამართულ რომელიმე კონკურსში თუ მონაწილეობდი?**

— ბევრ კონკურსში ვმონაწილეობდი. მაგალითად, ერთ წელიწადს „ოქროს მართვეში" პირველ ადგილზე გავედი. წელს მინდოდა, „ჯეოსტარში" მეცადა ბედი, სამეგრელოს სახელით უნდა გავსულიყავი, მაგრამ კასტინგზე დამიწუნეს... მას მერე ხელი ჩავიქნიე და ვიფიქრე, — ეტყობა, სიმღერა მართლა არ შემიძლია და აღარ ვიმღერებ-მეთქი... ზვიადმა რომ დამირეკა და ბულგარეთში წასვლა შემომთავაზა, თან გამიხარდა და თან — შემეშინდა: არაფერი რომ არ გამომივიდეს-მეთქი? მაგრამ ზვიადმა და ქალბატონმა ლალიმ დამარწმუნეს, რომ ბედი უნდა მეცადა. მერწმუნეთ, ამ ფესტივალმა სიმღერის სურვილი დამიბრუნა. როცა ბულგარეთში მითხრეს, — კარგი გოგო ხარ, მშვენივრად მღერიო, სიხარულისგან ლამის ავფრინდი.

**— „ჯეოსტარის" კასტინგის შემდეგ სიმღერის სურვილი რატომ გაგიქრა? საინტერესოა, იქ ასეთი რა გითხრეს?**

— მითხრეს, — ყალბი ხარო. არადა, როცა ინგლისურენოვანი სიმღერა შევასრულე, გაოგნდნენ, ოღონდ

— მართლა!

**— მაშინ რატომ დაგიწუნეს?**

— რა ვიცი, ასე მოხდა... ამაზე ლაპარაკი არ მინდა.

**— გარდა იმისა, რომ მღერი, რას საქმიანობ?**

— ვსწავლობ ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტში, ისტორიულზე. მესამე კურსზე გახლავართ. დაახლოებით 8 წელი ვცეკვავდი, ვიყავი ანსამბლ „მზიურის" სოლისტი, პარალელურად კი ვუკრავდი და ვმღეროდი. ახლა სურვილი მაქვს, კონსერვატორიაში, ჯაზვოკალზე ჩავაბარო.



ცეკვაც და ფორტეპიანოც სწავლის გამო მივატოვე

**— ცეკვა რატომ მიატოვე?**

— ცეკვაც და ფორტეპიანოც სწავლის გამო მივატოვე.

**— საინტერესოა, ბულგარეთი თუ მოგეწონა?**

— ძალიან საინტერესო ქვეყანაა. სხვათა შორის, სწორედ ბულგარეთში ცხოვრობდა ცნობილი წინასწარმეტყველი ვანგა. ჰოდა, მოგვეცა საშუალება, მისი საცხოვრებელიც გვენახა. ქალაქ პეტრიჩიდან 10 წუთის სავალზე არის მონასტერი, რომლის გვერდითაც ვანგას სახლია. თურმე, წინასწარმეტყველი თავის შემოსავალს სწორედ ამ ტაძარს სწირავდა. იქვე, მიწიდან ამოდის ცხელი წყალი, რომელსაც სამკურნალო თვისებები ჰქონია. მოკლედ, ძალიან საინტერესო ადგილია.

**ზვიადი:**

— სხვათა შორის, პეტრიჩი პატარა ქალაქია და არქიტექტურით ძალიან ჰგავს სიღნაღს. ამ ქალაქში არის მთა, სადაც მხოლოდ წაბლი ხარობს და სწორედ ამიტომ დაარქვეს ფესტივალს „ოქროს წაბლი".

**სალომე:**

— ბულგარელები თბილი ადამიანები არიან.



როცა საქართველოში ვბრუნდებოდით, პეტრიჩიდან სოფიამდე ფესტივალის დირექტორმა საკუთარი ავტომობილით ჩაგვიყვანა

**ზვიადი:**

— როცა საქართველოში ვბრუნდებოდით, პეტრიჩიდან სოფიამდე უშუალოდ ფესტივალის დირექტორმა (რომელსაც ცოლიც თან ახლდა), საკუთარი ავტომობილით ჩაგვიყვანა. ის ძალიან ჰგავდა ქართველს არა მარტო გარეგნულად, არამედ სტუმარმასპინძლობითაც. გზად რესტორანში დაგვპატიჟა, დაგვათვალიერებინა ღირსშესანიშნაობები და გამოგვაცილა.

**სალომე:**

— სხვათა შორის, ამ ცოლ-ქმარს საქართველოში ჩამოსვლის დიდი სურვილი აქვს.

**ზვიადი:**

— რაღაც პროექტის განხორციელება მაქვს გეგმაში და თუ ამას შევძლებ, მათ აუცილებლად ჩამოვიყვან.

**სალომე:**

— ასე რომ, მარტო ქართველები არ გამოვირჩევით სტუმართმოყვარეობით. თან, ყველაზე მაგარი იცი, რა იყო? — ცოლ-ქმრის ურთიერთობა. ისინი ერთურთს თვალებში შესციცინებდნენ, მათ ყოველ მიხრა-მოხრაში იგრძნობოდა ერთმანეთის მიმართ პატივისცემა.

**— ბულგარეთში თაყვანისმცემლები თუ შეიძინე?**

— თურმე ძალიან ბევრი თაყვანისმცემელი გავიჩინე, მაგრამ ამას იქ ყოფნისას ვერ ვგრძნობდი. მას შემდეგ, რაც საქართველოში დავბრუნდი, ბულგარელი ბიჭები მთხოვენ, — „ფეისბუკზე", მეგობრებში დაგვიმატეო, თან იმის გარკვევას ცდილობენ, ვინ არის ზვიადი ჩემთვის.

**ზვიადი:**

— ეტყობა, იქ ყოფნისას მე გიფრთხობდი თაყვანისმცემლებს, ახლა კი „გაინავარდეს", არა?

**სალომე:**

— ჰო, ასეა და მეტიც: როგორც აღმოჩნდა, ზვიადს მეც ვუფრთხობდი ქალებს.

**— ზვიად, კიდევ თუ გაქვს რაიმე საინტერესო მიწვევა საზღვარგარეთიდან?**

— დეკემბერში მივდივარ კიევში, საერთაშორისო ფესტივალზე, სადაც ჟიურის წევრად ვარ მიწვეული და არაა გამორიცხული, რომ ერთის ნაცვლად, იქ რამდენიმე კონკურსანტი წავიყვანო; მათ შორის ერთ-ერთი სალომე იქნება, დანარჩენებს კი შევარჩევ... მოკლედ, დავდივარ სხვადასხვა ქვეყანაში, ფესტივალებზე და გარ-

კვეულ გამოცდილებას ვიძენ.

— **და როგორც პროდიუსერი, საქართველოში რას საქმიანობ? მახსოვს, წლების წინ ხშირად მართავდი საღამოს, კონცერტს...**

— ახლა ძირითადად, კორპორატიულ ღონისძიებებზე ვმუშაობ... სამწუხაროდ, ბოლო დროს ქართულ შოუბიზნესს რაღაც დაემართა, ისეთი სენი შეეყარა, რომელსაც მგონი, ვერც ერთი ექიმი ვერ უშველის. ყველა დინებას მიჰყვება, სიახლე კი თითქოს, აშინებთ. თუმცა ვერ ვიტყვი, რომ შოუბიზნესში საერთოდ არაფერი ხდება, რაღაც სასიკეთო ძვრები უკვე დაიწყო... ის, რაც საქართველოში კეთდება, კარგია, მაგრამ ჩემი აზრით, დამწყები მომღერლისთვის საერთაშორისო ფესტივალში მონაწილეობა მეტად მნიშვნელოვანია.

**სალომე:**

— მინდა აღვნიშნო, რომ მომღერლისთვის ასეთ საერთაშორისო ფესტივალებში მონაწილეობა მნიშვნელოვანია საიმისოდ, რომ პროფესიონალად ჩამოყალიბდეს, გაიზარდოს. სხვა თუ არაფერი, დიდ სცენაზე დგომის, ჟიურისთან ურთიერთობის გამოცდილებას იღებ. პირადად მე, ბულგარეთში ვისწავლე მსმენელთან კონტაქტი და ზუსტად ვიცი, როცა მეორედ, მესამედ მომიწევს ასეთ ფესტივალებში მონაწილეობა, უფრო თამამი ვიქნები, საკუთარ თავს მეტად წარმოვაჩენ... ადრე თუ მეგონა, საქართველოში გამართულ რომელიმე კონკურსში მონაწილეობა წარმატების გარანტი იყო, ახლა სხვანაირად ვფიქრობ.

— **ანუ აქ გამართული კონკურსები ვერ „ქაჩავს“?**

— განსხვავება იცი, რაშია? აქ გამართულ კონკურსში მონაწილეობა გაძლევს მხოლოდ პოპულარობას, საერთაშორისო ფესტივალი კი ბევრ რამეს გასწავლის. პირადად ჩემთვის, როგორც დამწყები მომღერლისთვის, ეს უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე პოპულარობა.

— **თუ არის ისეთი საერთაშორისო დონის კონკურსი, რომელში მონაწილეობაზეც ოცნებობ?**

— მინდა, ჯერ გამოცდილება დავაგროვო და მერე „იურმალაზე“ გავემგზავრო.

— **შენს ადგილას, ბევრი „ევროვიზიას“ იტყოდა. რატომ მაინცდამაინც „იურმალა“?**

— რატომღაც, ეს კონკურსი უფრო მომწონს და მგონია, რომ იქ ვოკალს მეტი ყურადღება ექცევა, „ევროვიზია“ კი შოუს დონის კონკურსია.

— **წარმატებებს გისურვებ!**

— გმადლობ.

■

# თინეიჯერები გვწერენ

**ნინი, 18 წლის:**

„გზა“ ძალიან მიყვარს. დიდი ხანია, ამ ჟურნალის მკითხველი გახლავართ და მგონია, რომ თქვენი ოჯახის წევრიც ვარ. მინდა, ერთი შენიშვნა მოგცეთ: არ ვიცი, რა მიზეზით, მაგრამ აღარაფერს წერთ იმ მოზარდებზე, რომლებსაც ჩვეულებრივი ადამიანებისგან განსხვავებული ორიენტაცია აქვთ. ეს საკითხი ჩემთვის ძალიან მტკივნეულია, ვინაიდან ძმა მყავს გეი და არ ვიცი, მასთან როგორ უნდა მოვიქცე. ძალიან გთხოვთ, იქნებ, ასეთ ადამიანებზე დაბეჭდოთ რამე და ფსიქოლოგის რჩევაც მოაყოლოთ, რომელიც არა მარტო ჩემს ძმას მოიყვანს გონს, არამედ ჩვენ, ასეთი ორიენტაციააბნეული ადამიანების ოჯახის წევრებს, მეგობრებს დაგვეხმარება მათთან ურთიერთობის აწყობაში. წინასწარ გიხდით მადლობას“.

**ნანა, 28 წლის:**

„მოგესალმებით საბერძნეთიდან. მართალია, მოზარდი არ ვარ, მაგრამ მერწმუნეთ, „თინეიჯერული პონტები“ მე და ჩემს მეგობრებს ბევრი პრობლემის მოგვარებაში დაგვეხმარა და დიდი მადლობა ამისთვის... პირველ რიგში, მოვიკითხავ თქვენს რედაქტორს, მერე კი მთელ იმ ჯგუფს, რომელიც ჟურნალის შექმნაზე მუშაობს და ბევრ „პაჩის“ გიგზავნით. ყველანი ძალიან მიყვარხართ. „გზა“ მსოფლიოს მასშტაბით, უმაგრესი ჟურნალია!“

**ნინია:**

„რა საოცარია სამყარო, არა? ქვეყნად უამრავი ჟურნალ-გაზეთი არსებობს, მაგრამ მე „გზას“ ვანიჭებ უპირატესობას. სხვათა შორის, თქვენი ჟურნალი შეყვარებულსაც შევაყვარე და ახლა ერთად ვართ მიჭიჭინებული მის ყვითელ, მაგრამ ძალიან საყვარელ ფურცლებს. „გზა“ ძალიან საინტერესო და მრავალფეროვანია. გული მწყდება, რომ პრიალა ფურცლები არ გაქვთ, მაგრამ ეგ არაფერი, მთავარია, საინტერესო მასალები შემოგვთავაზოთ. უბრალოდ, ცუდი ისაა, რომ ჟურნალის წაკითხვის შემდეგ არა მარტო ხელები, არამედ სახეც კი გვიშავდება. თუმცა, ამასაც აქვს თავისებური ხიბლი — მე და შეყვარებული ერთმანეთის გამურულ სახეებზე ვკაიფობთ“.

**უცნობი:**

„ძმაკაცს გოგოს მოსატაცებლად გავყევი. მითხრა, — გოგო თანახმაა, უბრალოდ, მშობლების ეშინია და გათხოვება ამიტომაც არ უნდაო. რა თქმა უნდა, უარი ვერ ვუთხარი. გოგოს უნივერსიტეტთან დავუდარაჯდით და როცა გამოვიდა, ხელი ვტაცე. მას არც უკივლია და ვიფიქრე, ალბათ ჩემი ძმაკაცი მართლა უყვარს-მეთქი, მაგრამ როგორც კი შეგვათვალიერა, იკითხა, — კი, მაგრამ ჩემი საქმრო რომელიაო? თურმე, მას არც კი იცნობდა. როცა საქმრო ვუჩვენეთ (ის რატომღაც, წინ იჯდა), ხელჩანთა თავში უთავაზა და მანქანის გაჩერება მოსთხოვა. რადგან სასიძო ხმას არ იღებდა და არც გოგონას დაწყნარებას ცდილობდა, ეს მისია მე ვიკისრე. ჰოდა, მეგობარი გამიბრაზდა, — რას ეფერები, ხომ არ მოგეწონაო? ძმაკაცი მანქანიდან გადმოვათრიე და იმდენი ვურტყი, ცხვირ-პირი გავუერთიანე, მაიმუნს დავამსგავსე, მერე კი გოგონა სახლამდე მივაცილე და ბოდიში მოვუხადე... ახლა ის გოგო თავად შემიყვარდა, მასაც ვუყვარვარ და მალე დაქორწინებას ვაპირებთ, მაგრამ არ ვიცი, ამ ამბავს ჩემი საძმაკაცო როგორ შეხვდება. იმედია, გამიგებენ და ჩემს ქორწილშიც გულიანად მოილხენენ — ეს ყველაფერი რამდენიმე ხნის წინ მოგწერეთ, ახლა კი გატყობინებთ, რომ ჩვენ ვიქორწინეთ, ხოშიანი ქორწილიც გადავიხადეთ და უბედნიერესი წყვილი ვართ. შვილიც გაგვიჩნდა, რომელსაც ჩემი მეგობრის სახელი დავარქვით. ხალხნო, მაგარი რაღაცები სცოდნია სიყვარულსა. ჰოდა, აბა, თქვენ იცით, სასწრაფოდ დაქორწინდით საყვარელ ადამიანზე. გკოცნით ყველას, „გზის“ შეზარხოშებული მკითხველი“.

**მერიკო:**

„გზა“ უკვე დააგეთ, შუქნიშანიც დააყენეთ, მაგრამ ვერა და ვერ მოაბით თავი ერთ კარგ საქმეს. რას ვგულისხმობ? როდემდე უნდა იყოთ ჭუჭყიანები? — თქვენი ჟურნალის კითხვისას, ხელში ხელსახოცი მიჭირავს და გიჟივით, ხშირ-ხშირად ვიწმენდ გაშავებულ თითებს. როდის გვაღირსებთ, ხალხნო, ახალ ტრასას? როდის შევძლებ ხელსახოცების გადაგდებას? ხომ იცით, უკვე ქალაქის დაბინძურებაზე ჯარიმაა, ჰოდა, მოუხმეთ ჭკუას... ისე კი, ძალიან მაგრები ხართ. გკოცნით“.

■

# ბიბლუსი

ბიბლუსი — იგივეა, რაც პაპირუსი, გრაგნილი, წიგნი

# წვეთი პოეზია

## შენ ხარ ვენახი



დემეტრე I-ის მეფედ კურთხევის სცენა. მაცხვარიშის ფრესკა



შენ ხარ ვენახი,
ახლად აღყვავებული.
მორჩი კეთილი,
ედემს შინა ნერგული;
ალვა სუნნელი,
სამოთხეს აღმოსრული;
ღმერთმან შეგამკო,
ვერავინ გჯობს ქებული
და თავით თვისით მზე
ხარ განბრწყინვებული.

*დემეტრე I*

## ქართულ სიტყვათა კონა

შედგენილია
არნოლდ ჩიქობავას რედაქტორობით
1982 წელს გამოცემული
ქართული ენის
განმარტებითი ლექსიკონის
ერთტომეულის მიხედვით

შემდგენელი თემურ ივანიძე

## თ

დასაწყისი იხ. „გზა“, №2-43

**თარი** სპ. — აღმოსავლური სიმებიანი საკრავი.

**თარაქამა** (ძვ. საუბ.) — თათარი.

**თარფი** (ძვ.) — 1. მოწნული თაბახი; 2. სხვადასხვა ხილით სავსე თაბახი (ქორწილში, დღეობაზე მისართმევად).

**თარჩია** — ძველებური ქართული ცხენოსნური სპორტის სახეობა.

**თახანი** არაბ. (ისტ.) — გათავისუფლებული ყმა; 2. თავისუფალი რაიმე ვალდებულებისგან, გადასახადისაგან.

**თარჯი** — ნაჭდევი ხეზე რისამე საზღვრის, მიჯნის ნიშნად (იციან იმერეთსა და გურიაში); 2. სარბენ ბილიკზე დადგმული ღობე (დაბრკოლება), რომელსაც მორბენლები უნდა გადაახტნენ.

**თარჯრბენი** — რბენა თარჯების, დაბრკოლებების გადალახვით.

**თაფი** — სათამაშო კოჭის ერთ-ერთი მხარე, ბრტყელი (ჭუკის საპირისპირო).

**თაფა** (ძვ.) — მიწის ყრილი: ბორცვი, გორაკი ველზე.

**თაფლუჭი** — თაფლისგან მომზადებული მათრობელა სასმელი.

**თაფხუნი** — 1. პატარა კეხი (ცხენისა, სახედრისა); 2. ცხენის მუცელზე შემოსაკრავი თასმა.

**თაფხური** — თასმა, რომლითაც ურმის ხელნებია მიმაგრებული ცხენის, სახედრის ზურგზე დადგმულ თაფხუნზე.

**თაღარი** — დიდი ზომის პირფართო თიხის ჭურჭელი სხვადასხვა დანიშნულებისა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში



# ალექსანდრე (ჩოფიკაშვილი) ყაზბეგი

ქართველი მწერალი აღიზარდა სტეფანწმინდაში, ხევის მმართველის მიხეილ ჩოფიკაშვილისა და ელისაბედ თარხნიშვილის ოჯახში. მშობლებმა ის თბილისში ჯერ ჰაკეს, შემდეგ კანონიჩის პანსიონში მიაბარეს. სწავლობდა — კლასიკურ გიმნაზიაში, მოსკოვის სამეურნეო აკადემიაში. სამშობლოში დაბრუნებულმა ხელი მიჰყო მწყემსობას, რამაც მისი ახლობლების დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. 1879 წლამდე მეცხვარედ იყო და ზედმიწევნით გაეცნო მოხევეთა ყოფას, გლეხი ხალხის სატკივარს, მეფის ხელისუფალთა და ხალხის ურთიერთობას (ეს პერიოდი ასახა მოთხრობაში „ნამწყემსარის მოგონებანი“). 1879 წლიდან კი თბილისში ცხოვრობდა.

თბილისში დაბრუნებულმა ყაზბეგმა თეატრში დაიწყო მუშაობა. იგი განახლებული ქართული თეატრის მსახიობი და დრამატურგი გახლდათ... პირველი მოთხრობა — „ციცკა“ 1880 წელს გამოაქვეყნა. თანამშრომლობდა გაზეთ „დროებასა“ და ილია ჭავჭავაძის „ივერიაში“. 1881 წლიდან „დროებაში“ დაიბეჭდა „ელგუჯა“, რომელმაც იმთავითვე დიდი მწერლის სახელი მოუპოვა. ამას მოჰყვა მოთხრობები და რომანები — „ელისო“, „მამის მკვლელი“, „ციკო“ „განკიცხული“, „ხევისბერი გოჩა“, „მოძღვარი“ და სხვა.

> **„მოძმეთ სისხლი ცაში ღმერთს შესჩუხჩუხებს და სამართალს ითხოვს, გადასწყვიტე, თემო!.. მოძმეთ მოღალატე სიცოცხლის ღირსი არ არის!“**
>
> ***„ხევისბერი გოჩა“***

1886-1887 წლებში მძიმედ დაავადდა, 1890 წლიდან ფსიქიატრიულ საავადმყოფოში იწვა და იქვე გარდაიცვალა...

ყაზბეგი ქართული კრიტიკული რეალიზმის მიმდევარი და ქართველი „სამოციანელების“ ტრადიციათა გამგრძელებელი იყო. მწერალი კარგად იცნობდა საქართველოს მთიანეთის ისტორიასა და ეთნოგრაფიას, მოხევეთა სულისკვეთებას, რაც წარმოჩნდა მის როგორც მხატვრულ, ისე ეთნოგრაფიულ-პუბლიცისტურ ნაწარმოებებში. მან დიდი მხატვრული ძალით წარმოგვიდგინა ქართველი ადამიანის ცხოვრება, მთის ხალხის ტრადიციები, ადათ-წესები, პიროვნებისა და თემის საუკუნეებით გამყარებული უფლება-მოვალეობანი; სამშობლოსთვის თავგანწირვა, მეგობრული თანადგომა, პიროვნების პატივისცემა, ძალმომრეობის წინააღმდეგ ამხედრება, ქალის მანდილის სიწმინდის დაცვა გახლდათ მისი ნამუშევრების მთავარი თემატიკა. მწერალი ილაშქრებდა ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ და ააშკარავებდა მეფის რუსეთის ძალადობას. სწორედ ამის გამო დაწვა ჟანდარმერიამ „ელგუჯას“ პირველი გამოცემის მთელი ტირაჟი. მწერალმა ქართულ კრიტიკულ რეალიზმს მასშტაბურობა შესძინა და XIX საუკუნის ქართული მწერლობა ახალი წახნაგებით გაამდიდრა. ■



ალექსანდრე ყაზბეგი მოწაფეობისას

> **„თუ ერთად ვიქნებით, რუსები კიდევ ვერას გვიზამენ, მაგრამ, თუ შუა გავიყავით, მაშინ ჩვენი საქმე წასულია!“**
>
> ***„ელგუჯა“***



ვაჟა-ფშაველასთან ერთად

**ბიბლუსი**

**„რამეთუ ვითარცა ღამისა შინა, ბნელსა აღმობრწყინდების მთიები და შემდგომად მისსა სხუანი ვარსკვლავნი შეუდგიან და მის თანა გამობრწყინდიან, ეგრეთვე ესე ექმნა წინამძღუარ მოწამეთა“.***

**პროზა**

# რაჟდენ პირველმოწამე

## ლევან სანიკიძე „წიგნი მოწამეთა“

მეფე ვახტანგ გორგასალს პირველ ცოლად ჰყავდა სპარსეთის მეფის, ჰორმიზდ III-ის ასული, სახელად ბალენდუხტ.

საქართველოში სადედოფლოდ წამოსულ ბალენდუხტს თან წამოჰყვა მისი მამამძუძე-გამზრდელი, რომელმაც უკან დაბრუნება აღარ ინება და, საქართველოსა და მის მკვიდრთაგან მოხიბლული, სამუდამო საცხოვრისად საქართველოშივე დარჩა.

მალე მან ცეცხლთაყვანისმცემლობა უარჰყო და ქრისტიანობა მიიღო.

ახალ, ნათლობის სახელად დაერქვა რაჟდენ.

ვახტანგ მეფემ, — „ვითარ ჰშუენოდა მთავრობასა მისსა“ — თავიდანვე დიდი არზანიგი (პატივი) მიუგო გაქრისტიანებულ და გაქართველებულ უცხოელს: „დიდნი სოფელნი და აგარაკნი მიანიჭნა და საკუთარ თანამზრახველ თვისსა იყო იგი“.

რაჟდენი ძალიან შეიყვარა ისედაც უცხოელთა მოყვარე ქართველობამ. თვითონაც თავის თავს ჭეშმარიტ ქართველად და ქრისტიანად თვლიდა და გარდასულ სპარსულ წარმომავლობას ხსენებითაც აღარ იხსენებდა.

და საქმემაც მალე გამოაჩინა რაჟდენის წრფელი ქრისტიანობა და მამულიშვილობა.

დრო იდგა სპარსელთა მორიგი შემოსევისა საქართველოში. და სწორედ ახლა, როცა „მოვიდეს სპარსნი და აღავსეს ქართლის პირთა სიმრავლითა“, რაჟდენი ქართველთა მოსისხლე მტრის წინააღმდეგ მეწინავე მეომართა რიგებში ჩადგა. იგი ვახტანგ გორგასალის ერთი სარდალთაგანი იყო, „ახოვან წყობათა (ბრძოლათა) შინა და გამოცდილი, რჩეული მებრძოლი“. მრავალჯერ ისახელა თავი რაჟდენმა თავისი ჯარით.

აღტაცებული იყვნენ ქართველები თანამოძმედ და თანამორწმუნედ ქცეული გმირით.

ცოფს ჰყრიდნენ სპარსელნი, გაბოროტებულნი თვისტომყოფილის მტრობით.

გარისხებული სპარსი ხელმწიფე, პეროზ შაჰი, დაჟინებით ბრძანებდა, როგორმე ცოცხლად ჩაეგდოთ ხელში რაჟდენი.

და ერთ ავბედით დღეს, რომელიღაც ვიწრო ხევში მცირერიცხოვანი რაზმით მიმავალ რაჟდენს თავს დაეცა საგულდაგულოდ ჩასაფრებული სპარსელთა ჯარი.

ბრძოლა უშედეგო გამოდგა. რაჟდენი შეიპყრეს და პეროზ მეფეს მიჰგვარეს.

შაჰინშაჰმა ქრისტეს მხედარი აათვალ-ჩაათვალიერა და გესლიანი ღიმილით უთხრა:

„გიხაროდენ, მხნეო რაჟდენ, მშვიდობაი შენდა! სად ბრძანდებოდი ესოდენ ჟამთა? რაისთვის უარგიყვია მამაპაპეული სჯული და შესდგომიხარ სჯულსა უცხოსა? განა, მზისა, ცეცხლისა და ციურ მნათობთა ბრწყინვალებას ჰურიათაგან ჯვარცმული კაცის თაყვანება სჯობიან?!“

რაჟდენმა მშვიდად „ბრწყინვალითა ხმითა“ და „მოკლითა სიტყვითა“ უპასუხა, რომ წმინდა სიწრფოებით უარჰყო სპარსული „ულმრთოება“ და ურყევად ეზიარა ახალ, ჭეშმარიტ სარწმუნოებას.

ჯერ წყნარადვე განაგრძობდა პეროზიც:

„ისმინე, რაჟდენ, და თავი დაანებე მაგ უხმარ სიტყვებს. დაემორჩილე ჩვენს ბრძანებას, სამაგიეროდ მოგანიჭებთ უფრო დიდ პატივს და დიდებას, ვიდრე გაქრისტიანებამდე გქონდა სპარსეთში. ჩვენი დიდების თანაზიარს გაგხდით, ჩვენს უახლოეს და უსაყვარლეს მეგობრად გარდაიქცევი. ხოლო, უკეთუ არ შეისმენ, შენ მოგაკვდინებთ სიკვდილითა უმწარესითა, სატანჯველითა მრავალფერითა“.

რაჟდენმა გაიღიმა და ეს უპასუხა:

„რანი არიან ნიჭნი და პატივნი შენნი, მეფეო, თუ არ წუთიერნი, სიზმარებრ განქარვებადნი და აჩრდილებრ წარმარვალნი? რამეთუ ვითარცა კვამლი განქარდების და ვითარცა მტვერი განიბნევის, რამეთუ მიწანი ვართ და მიწადცა მივიქცევით. ხოლო სული უკვდავ არს და უკვდავადცა ჰგიეს. შენთა თქმულთა რომ დავერწმუნო, განა მეც ისე არ მოვკვდები, ვითარცა ზოგად ყოველნი კაცნი? ხოლო, უკეთუ მოვკვდე წმიდა სჯულისათვის, სული ჩემი განვადიდო და უკვდავ ვყო. ესე არს განზრახვა ჩემი უცვალებელი, ხოლო შენ მოიქეც, ვითარცა გსუროდეს, ჩემგან არა სახითა ვერჩდე ბრძანებასა შენსა“.

ავზნიანი დესპოტისთვის სავსებით კმაროდა და, პეროზ მეფის ბრძანებით, კაცთა წამებაში დაოსტატებულმა ჯალათებმა რაჟდენი ძირს დასცეს და დიდხანს სცემეს. სცემდნენ ყველგან და სცემდნენ ყველაფრით — ხელით, ფეხით, არგანით. მშვენიერი სახე მთლიანად დაულეწეს, ყველა კბილი ჩაულეწეს.

არცერთი გმინვა, კვნესა, კრინტი არ წასცდენია წამებულს. იწვა და ყოველ დარტყმას ღებულობდა მდუმარედ, უდრტვინველად. თითქოს სხეული მისი არ იყო მისი. თითქოს არც ცხვირპირიდან წახეთქილი სისხლი არ ყოფილიყო მისი. დაიქანცნენ ჯალათნი. შეისვენეს და კვლავ მიესივნენ. დედიშობილად გააშიშვლეს. წვერმახვილ ქვათა ფენილზე ათრიეს და ისევ სცემეს — თუ ხელით, თუ ფეხით, თუ ტოკვეცით (ხელკეტით). ბოლოს მისი ნაგვემი სხეული მარწუხებით შეკრეს და რკინით შეჭედილ ბნელ დილეგში ჩააგდეს.

ეგონათ მოკვდებოდა. მაგრამ ყოველი წყლული მოინელა მისმა ჩაკირულმა სხეულმა.

რაჟდენის საშინელი წამების ამბავი ელვის სისწრაფით მოედო მტრისა და მოყვრის ბანაკებს.

ქართველები შეძრწუნებული იყვნენ სპარსელთა ურჯუკობით.

წუხილით შეძრულმა ვახტანგ მეფემ ორი ერისთავი გაგზავნა პეროზთან და შეუთვალა, ომსაც ახლავს კაცთმოყვარული ზნეობანიო, ხოლო შაჰინშაჰს ახლა შემთხვევა აქვს ხელმწიფური, დიდსულოვნური გულმოწყალების გამოჩენისა: დაე, მცირე ხნით მაინც განუტევოს მან რაჟდენ წამებული ცოლშვილისა, ნათესავთა და მეგობართა მოსახილველად და გამოსათხოვებლად.

პეროზს მართლაც დასჯდომია ჭკუაში „ხელმწიფური გულმოწყალების“ ჩვენება; რაჟდენს უკანვე დაბრუნების ფიცი ჩამოართვა და ბორკილაყრილი ტყვე ქართველთა ბანაკისკენ გამოუშვა.

ჯერ მეფეს ეწვია რაჟდენი. ვახტანგმა დიდი სიყვარულით, მადლიერებითა და თანაგრძნობით მიიღო იგი. მკერდში ჩაიკრა, ნაწამები ღაწვები ამბორჰყო, მისი მძიმე თავგადასავალი გამოიკითხა და კვლავ მადლი და თანალმობა მიუგო საქართველოსთვის და ქრისტიანობისთვის გარდახდილი სიმძიმილისთვის.

შემდეგ ახლობლები და მეგობრები მოიკითხა რაჟდენმა. ბოლოს საკუთარ ოჯახში მივიდა. ცოლი და შვილები ტირილით შემოეგებნენ, გვემული სხეული, დალეწილი სახე და ხელ-ფეხი დაუკოცნეს.

დიდხანს აღარ დარჩენილა რაჟდენი თავისიანებთან. არ შეისმინა მათი წუხილი, ხვეწნა-მუდარა. არ უღალატა ნაფიცარ სიტყვას. ადგა და წავიდა ისევ ტყვეობად სპარსთა ბანაკში.

პეროზ შაჰი კვლავ დიდი პატივდიდების აღთქმით შეეცადა რაჟდენის ისევ სპარსად და მაზდეიანად გადმორჯულებას, მაგრამ ვერაფერს გახდა. რაჟდენი ურყევად იმეორებდა:

„ვერა რამან გამაშოროს ქრისტეს და საქართველოს სიყვარულსა, ჭირმან ანუ იწროებამან, დევნამან ანუ პყრობილებამან, სიკვდილმან ანუ ცხოვრებამან, სიმდიდრემან ანუ სიგლახაკემან, ვერარამან განმიტევოს ჩემი სიყვარული რწმენისაგან, რამეთუ მზა ვარ დათმენად ყოველისა“.

*** იხ. ანონიმი XII საუკუნისა.***

კვლავ მიესივნენ ჯალათნი. ჰგვემეს უწყალოდ, ათრიეს, სხეული დაუფლითეს, ძვალნი დაულეწეს, სისხლი დაუთხიეს. ჯალათნი დაიქანცნენ. ხოლო იგი იწვა გაუნძრევლად, მდუმარედ, უდრტვინველად.

თითქოს სხეული მისი — არ იყო მისი.

თითქოს არც სისხლი მისი — არ იყო მისი.

ისევ მოინელა მისმა ჯანღონიანმა სხეულმა წყლული ყოველი.

ბოლოს პეროზმა დაბორკილი რაჟდენი სოფელ წრომში გაგზავნა, იქ ბანაკად მდგარ რომელიღაც მარზპანთან. იქნებ რაიმე ძალითა და ღონით შენ მოახერხო მისი მორჯულებაო, ხოლო უკეთუ შენც ვერაფერს გახდე, მაშინ ისე სტანჯეთ და აწამეთ, სიკვდილად მივარდნილი დასამარხავადაც აღარ ვარგოდესო, — უბრძანებდა შაჰინშაჰი თავის ქვეშევრდომს.

წრომში დაბანაკებული სპარსელი მთავრისათვის თავიდანვე ცნობილი იყო რაჟდენის საოცარი გმირობის ამბავი. იგი დიდის პატივითა და სიტკბოებით შეხვდა წამებულს, მაგრამ მაინც ვერაფერს გახდა, ვერც დამარწმუნებელი სიტყვით, ვერც ხვეწნით, ვერც მუდარით, ვერც მუქარით.

მერე მარზპანმაც მიუსია რაჟდენს ჯალათები. ამათაც წააქციეს, ათრიეს, სცემეს, დაასახიჩრეს, სისხლი აქცევინეს.

მერე ისევ ჩიჩინი „მოსჯულებისათვის“.

ისევ უწყალო გვემა ურჩობისათვის.

სხეული მისი — აღარ იყო მისი.

სისხლი მისი — აღარ იყო მისი.

და სიცოცხლე მისი — აღარ იყო მისი.

ბოლოს, როცა ყველას გასაოცრად ისევ ფეხზე დადგა, ბნელი დილეგიდან ამოიყვანეს.

წყვდიადიდან თავდაღწეულმა რაჟდენმა სინათლის სხივით ჩაჭრილი თვალები მოავლო შემოგარენს და იხილა: წრომის მაღლობზე ჯვარი აღემართათ!

წამიერმა ღიმილმა დაამშვენა მისი ერთ დროს მშვენიერი სახე.

მშვენიერება გაიხსენა მისმა გვემულმა სახემ.

წამების გვირგვინი ელოდა — ჯვარცმა!

მიეახლნენ ჯვარცმის ოსტატი ჯალათები.

ბორკილები დახსნეს, ჯვართან მიიყვანეს, ზედ ჯვარსახოვნად განმართეს და სამი დიდი, ჯიბუკი სამსჭვალით მიაჭედეს — თითო თითო ხელისგულზე, ერთიც ურთიერთგარდათხმულ ფეხებზე.

შეძრწუნებულნი უცქერდნენ სპარსელნი, როგორ მდუმარედ, უდრტვინველად ეკიდა სამსჭვალებით ჯვარზე ჯვარად განრთხმული კაცი.

გამოერკვა მარზპანი და ნიშანი მისცა მწყობრად ჩარიგებულ, მშვილდისარ გამართულ მეომრებს.

და ისართა მერეხი სტვენითა და წივილით გაფრინდა ჯვრისკენ.

და იმავ წამს ისართა ჯაგარი ათრთოლდა წამებულის ტანზე.

მიცვივდნენ მეომრები, ხელდახელ ამოაგლიჯეს სხეულიდან ისრები. უკუიქცნენ და ხელახლა დაუშინეს იგივე ისრები.

კვლავ ათრთოლდა წამებულის ტანზე ისართა ჯაგარი.

კვლავ მიცვივდნენ და ამოაგლიჯეს, ისევ უკუიქცნენ და ისევ დაუშინეს სისხლით გათხვრილი ისარნი.

ისევ და ისევ.

წიოდნენ, სტვენდნენ სისხლიანი ისრები.

სისხლის ცვარი და ზრიმლი დიოდა ნასისხლარ ისართაგან.

ხოლო, მისი ერთადერთი და უკანასკნელი სიტყვა ეს იყო:

„ხელთა შენთა, უფალო, შევვედრებ სულსა ჩემსა!“

...

ასე აღესრულა რაჟდენი, რომელმაც თავისი გმირობით ჭეშმარიტად „განაკვირნა ანგელოზნი და სირცხვილეულ ჰყო ეშმაკნი“.

...

ომის შემდგომად, მეფე ვახტანგ გორგასალმა რაჟდენის ნეშთი წრომიდან სოფელ ნიქოზში გადაასვენა და იქვე მის სახსოვრად ახალი ეკლესია აღაშენა. ■






# ინტერვიუ მიცვალებულთან

დასაწყისი იხ. „გზა“ №24-43

რუსუდან ბერიძე

ლაშამ, როგორც იქნა, მოახერხა თავის მეგობართან და კოლეგა ალეკო ქართველიშვილთან დაკავშირება. ალეკო სამხედრო მიმომხილველი იყო. ალეკომ და ლაშამ ომის დროს, გორში გაიცნეს ერთმანეთი.

— ლაფაურო, შენა?!. — გაისმა ყურმილში გახარებული ალეკოს ხმა. — არ მითხრა ახლა, ქუთაისში ვარო.

— აქა ვარ, აქა! — ხმაში მაშინვე კმაყოფილება დაეტყო ლაშასაც.

— აუ, როგორ გამახარე! დღესვე ჩემთან სტუმრად გელოდები და იცოდე, შენებურად არ დაიწყო, არ მცალია, გადარბენაზე ვარო.

— მართლა არ მცალია, ჩემო ალეკო, რა ვქნა?

— ასეთი რა დაკავებული ხარ, ბიჭო? — შეწუხდა ალეკო.

— სასწრაფოდ გავდივარ ქუთაისიდან.

— თუ საიდუმლო არ არის, მაინც საით გაგიწევია?

— გეტყვი და საიდუმლოა თუ არა, დასკვნა თავად გამოიტანე.

— აბა, გისმენ!

ლაფაურმა მეგობარს გრიგორი კუზმინის ნაკარნახევი კოორდინატები დაუსახელა:

— ამ ადგილზე თუ გსმენია რამე?

— მსმენია რომელია. ერთხელ ისე დამაინტრიგეს, რომ მთელ გადამღებ ჯგუფთან ერთადაც კი ავედი იქ, მაგრამ უზარმაზარი ლოდების მეტი არაფერი დამხვდა.

— ეგ როდის იყო?

— ხუთი თუ ექვსი წლის წინ. მაგრამ არ მესმის, შენ რაღა დაგრჩენია იქ? ჩემსავით ბნელი საბჭოთა წარსულის ქექვაზე ხომ არ გადახვედი?

— დაახლოებით... აქეთა გზაზე შემოგივლი და მერე ყველაფერს აგიხსნი. ახლა კი იმ ადგილზე, რაც შეიძლება, სწრაფად მოხვედრაში უნდა დამეხმარო.

— ისე, მართლა უნდა იჩქარო, თორემ მაღალ მთაში ხომ შემოდგომა თითქმის არ იცის და შეიძლება, პირდაპირ ზამთარშიც კი ამოყო თავი.

— გასაგებია. შენ ის მითხარი, იქამდე უფრო ადვილად როგორ უნდა მივაღწიო?

— სიადვილისა რა გითხრა, მაგრამ თუ გაგიმართლა, შეიძლება, ქუთაისიდან ვერტმფრენს გაჰყვე, თუ არა და ფეხით ხეტიალი არ აგცდება.

— ვერტმფრენი სადამდე მიდის?

— უახლოეს სოფლამდე.

— სოფელს რა ჰქია?

— წყალწმინდა.

— წყალწმინდა ურეკთან არაა, ბიჭო?

— ეს სხვა წყალწმინდაა.

— კარგი მაშინ, გავიქეცი!

— მოიცა! — ალეკომ ლაფაური შეაჩერა. — გამახსენდა. მე და ჩემი გადამღები ჯგუფი მაგ სოფელში რომ ვიყავით, მის მაშინდელ გამგებელს ისე დავუმეგობრდით, რომ პირადადაც კი გაგვიწია მეგზურობა. არა მგონია, ახლაც თანამდებობაზე იყოს, მაგრამ სოფელში რომ ახვალ, გიგია გიგოძე მაინც იკითხე. გულიანი კაცია და რაღაცით აუცილებლად დაგეხმარება...

— რაო, რა გითხრა? — როგორც კი ლაშამ მეგობართან საუბარი დაამთავრა, მაშინვე ჰკითხა ნათიამ.

— რაო და დიდი არჩევანი ნამდვილად არა გვქვთო, — მაგიდაზე გაშლილ რუკას ყურადღებით დააკვირდა ლაშა. — ასე რომ, თუ ვერტმფრენი არ იქნა, შეიძლება, ფეხითაც კი მოგვიხდეს იქამდე ასვლა.

— ბუნკერამდე?

— ბუნკერამდე თავისთავად, მაგრამ ჯერ უახლოეს სოფლამდე უნდა ავაღწიოთ...

მეორე დილით ლაშამ და ნათიამ პირდაპირ ქუთაისის აეროპორტისკენ აიღეს გეზი.

— მაპატიეთ, შემთხვევით ლაშა ლაფაური ხომ არ ხართ? — აეროპორტში შესვლისთანავე დაბარებულივით გამოეცხადა ლაშას ვიღაც ტანდაბალი მსუქანი მამაკაცი, რომელსაც უფორმო დაჭმუჭნილი პიჯაკი ეცვა და მეტისმეტად სქელლინზებიანი სათვალის გამო არაბუნებრივად გადიდებულ ბეც თვალებს უცნაურად აცეცებდა.

— ლაფაური ვარ. — შუბლი უკმაყოფილოდ შეიკრა ლაშამ, რომელსაც განსაკუთრებით ახლა არ აძლევდა ხელს საკუთარი გვარის აფიშირება. — ოღონდ თუ შეიძლება, ცოტა ხმადაბლა.

— გასაგებია, — მაშინვე ხმას დაუწია სიხარულით გაბადრულმა მამაკაცმა, — მე კი ქუთაისის გაზეთ „ახალი დროს“ კორესპონდენტი — ილიკო ქველაძე გახლავართ.

— კოლეგები ვყოფილვართ, — მამაკაცს ხელი მაინც უხალისოდ გაუწოდა ლაშამ, — ეს კი ჩემი თანაშემწე ნათიაა.

— ძალიან სასიამოვნოა, — გოგონას თავი განსაკუთრებული მოწიწებით დაუკრა მამაკაცმა და ისევ ლაშას მიუბრუნდა: — გარკვეულწილად, რა თქმა უნდა, კოლეგები ვართ, მაგრამ ჩემისთანა პროვინციელი ჟურნალისტი თქვენამდე სად მოვა?

— თავის დროზე, მეც ნულიდან დავიწყე...

— ეჰ, — ხელი ჩაიქნია ილიკომ, — მე კი აგერ უკვე რამდენი წელია, სულ ერთ ადგილს ვტკეპნი.

— რაზე წერს თქვენი გაზეთი? — ილიკოს წუწუნის მოსმენას თავი დროულად აარიდა ლაშამ.

— როგორც ყველა, ათას რამეზე: პოლიტიკაზე, ეკონომიკაზე, უცხოეთის ახალ ამბებზე. პირადად მე კი მხოლოდ ბუნებაზე ვწერ.

— ბუნებაზე? — გაუკვირდა ნათიას.

— დიახ, — ხმაში სევდა გამოურია ქველაძემ, — მე იმ დამანგრეველ შედეგებზე ვწერ, ბუნებას ადამიანის უგონო ქმედებების შედეგად რომ ელის.

— ფიქრობთ, რომ ეს დღეს ვინმეს აინტერესებს?

— მე ჩემი წერილებით ყოველი მოაზროვნე ადამიანის გულამდე მისვლას ვცდილობ. ასეთებს კი მერწმუნეთ, ნამდვილად ყველაფერი და მათ შორის ჩვენი გაუბედურებული ბუნების ბედიც ძალიან აინტერესებთ. სულ რაღაც ოციოდე წლის წინ, ჩვენი ტყეები ჯერ კიდევ ათასნაირი ნადირით იყო სავსე, მდინარეები კი თევზს ვერ იტევდა. დღეს როგორღაა საქმე? როგორ და ადგილობრივ მონადირეებს ერთი გარეული კურდღელიც ველარ მოუნადირებიათ, მდინარეებში კი ქიმიური წარმოების ნარჩენების გარდა, აღარაფერი დარჩა. განა ეს კრახი არ არის? ყველა სამყაროს დასასრულზე ლაპარაკობს და

ვერ მიმხვდარან, რომ თვითონვე აახლოებენ ამ დასასრულს. ხომ მართალი ვარ? — ანთებული თვალები შეანათა ქველაძემ გოგონას.

— რა თქმა უნდა, მართალი ხართ. — დაეთანხმა ნათია. — მაგრამ მაინც არა მგონია, რომ ამაზე ვინმე სერიოზულად ფიქრობდეს. ადამიანებს ხომ თუნდაც წამიერი სიამოვნების მიღება-არმიღება უფრო ადარდებთ, ვიდრე მდინარეებში თევზის რაოდენობის მკვეთრი შემცირება.

— და ესაა სწორედ ტრაგედიაც! — გაცხარდა ქველაძე. — ხვალინდელ დღეზე საერთოდ აღარ ვზრუნავთ. აღარ გვაინტერესებს, რას დავუტოვებთ ჩვენს შვილებსა და შვილიშვილებს.

— კარგი იდეა მომაწოდეთ, — საუბარში ისევ დროულად ჩაერთო ლაშა, — თბილისში დავბრუნდები თუ არა, ბუნების დაცვაზე გადაცემების მთელი ციკლი უნდა წამოვიწყო.

— მიხარია თუ თქვენნაირი ადამიანის დაფიქრებაც კი მოვახერხე, — ისევ გაიბადრა ქველაძე, — აბა, მართლა ტყუილად ხომ არ დავხეტიალებ მთელ საქართველოში.

— და ამჯერად საით გაქვთ გეზი აღებული? — დაინტერესდა ლაშა.

— ამჯერად აქვე, მთებში.

— უფრო კონკრეტულად?

— არის იქ ერთი თითქოს არაფრით გამორჩეული სოფელი — წყალწმინდა.

ლაშამ და ნათიამ ერთმანეთს შეთქმულებივით გადახედეს.

— იმ სოფლის თავზე, მთებში კი ერთი პატარა მდინარე იღებს სათავეს, — განაგრძო ქველაძემ, — ჰოდა, ცოტა ხნის წინ, იმ მდინარეს ბარში ძალიან დიდი რაოდენობის მკვდარი თევზი ჩამოჰყვა.

— გამოდის, რომ ისევ მდინარეებში თევზის გადარჩენის პრობლემას მივადექით...

— ასე გამოდის, — ისე ამოიოხრა ქველაძემ, თითქოს გულიც თან ამოაყოლაო, — ჰოდა, მინდა, იმ მდინარის სათავესთან ავიდე და საკუთარი თვალით ვნახო, რა ხდება, თორემ ზოგი რას ჩმახავს და ზოგი — რას.

— ძალიან საინტერესო დამთხვევაა.

— რას გულისხმობთ?

— იმას, რომ ჩვენც ზუსტად იქით მივემართებით.

— მაშინ გამმართლებია და ეს არის. — პატარა ბიჭივით აცმუკდა ქველაძე...

— ჩქარა წამომყევით! — თავზე წამოადგა ლაშა გაცხოველებულ საუბარში გართულ ნათიასა და ილიკოს. — მგონი, ნამდვილად გაგვიმართლა და ვერტმფრენით ავალთ წყალწმინდამდე. აეროპორტის უფროსმა მითხრა, ადგილობრივი გეოლოგები აპირებენ მთაში გაფრენასო. მართალია, ცოტა სხვა მიმართულებით მიდიან, მაგრამ მოველაპარაკე და წყალწმინდასთან მაქსიმალურად ახლოს ჩამოგვსვამენ.

— აი, ხომ ხედავთ! — ფეხზე წამოხტა ქველაძე. — ჯერ კიდევ არ გამოლეულან კეთილი ადამიანები, — ოღონდ საჭირო დროსა და საჭირო ადგილზე მათი პოვნა უნდა შეგეძლოს.

ამის შემდეგ სამივე ვერტმფრენის ასაფრენი მოედნისკენ გაემართა. თუმცა რამდენიმე ნაბიჯიც კი არ ჰქონდათ გადადგმული, რომ ქველაძის ჯიბეში მობილური ტელეფონი აწკრიალდა.

— გისმენთ, — ტელეფონი ყურზე მიიბჯინა ილიკომ, — დიახ, ბატონო დავით, როგორც შევთანხმდით... სასწრაფოდ უკან დავბრუნდე?.. მერე თევზები?.. მესმის, ბატონო დავით, მაგრამ ესეც ხომ არანაკლებ მნიშვნელოვანია... თან, რომ იცოდეთ, როგორ გამიმართლა... მთლად სახელგანთქმულ ლაშა ლაფაურთან ერთად მივდივარ წყალწმინდაში. ის კი არა და უკვე იმასაც შემპირდა, ბუნების დაცვაზე გადაცემების მთელ ციკლს წამოვიწყებო. თქვენ კი ახლა გინდათ, საქმეს მომწყვიტოთ... კარგი, ბატონო დავით, რა გაეწყობა... — დიახ, როგორც მეტყვით, ისე მოვიქცევი...

ამ საუბრის შემდეგ ქველაძემ ისეთი ტრაგიკული სახე მიიღო, რომ მის შემხედვარე ლაფაურს კინაღამ სიცილი წასკდა:



— შეფი გიბარებთ?

— ჰო! — ამოიოხრა ილიკომ და ტელეფონი ისევ ჯიბეში შეინახა. — რა იქნებოდა, აფრენა მოგვესწრო! ჰაერიდან ხომ ველარ ჩამომხსნიდა.

— რას იზამთ, ყველაფერი ისე როდი ხდება, როგორც ჩვენ გვინდა, — მხარზე ხელი თანაგრძნობით მოუთათუნა ლაშამ, — თანაც ხომ იცით, რომ შეფი ყოველთვის მართალია.

— შეფი მაგას და ჯანდაბა! — კიდევ ერთხელ ამოიოხრა ქველაძემ და ახალგაზრდებს სევდიანად გამოემშვიდობა.

— აბა, კარგად, — ხელი ენერგიულად ჩამოართვა მას ლაშამ და თვითონაც კი გაუკვირდა, უცბად ისეთი შვება იგრძნო.

— იმედია, კიდევ შევხვდებით, — ილიკო ნათიას ხელზე მოწიწებით ეამბორა.

— იმედია, — მოწყალედ გაუღიმა მამაკაცს ნათიამ...

ნახევარი საათის შემდეგ ვერტმფრენი უკვე სოფელ წყალწმინდის სიახლოვეს დაჯდა. ლაშამ მფრინავებს მადლობა გადაუხადა და მან და ნათიამ სოფლისკენ უკვე ფეხით გასწიეს.

— რა კარგი ვინმე იყო ეს ქველაძე, არა? — ფიქრებიდან გამოარკვია ლაშა გოგონამ.

— იყო, რა...

— გვარსაც როგორ ამართლებს, — თავისას განაგრძობდა ნათია, — ასეთი ადამიანები რომ ცოტა მეტნი იყვნენ, ცხოვრება ალბათ, ასე აღარ გაჭირდებოდა.

— შეიძლება... — ისევ გულს გარეთ უპასუხა გოგონას ლაშამ.

— მგონი, შენ მაინც რაღაც არ მოგეწონა, ხომ?

— ჰო, — დაეთანხმა ლაშა, — თუმცა მეც არ ვიცი — რა და რატომ. შეიძლება, უბრალოდ ძალიან ეჭვიანი გავხდი და ყველა მოგზავნილი მგონია.

— ისე, არც ეგაა გასაკვირი... — უხალისოდ დაასკვნა ნათიამაც და სოფლამდე ხმა აღარ ამოუღია.

პირველი სურვილი, რაც ლაშას ვერტმფრენიდან გადმოსვლისთანავე დაებადა, ბუნკერამდე დროული მიღწევა იყო. მაგრამ სიცივით მობუზულ და ფეხით სიარულისგან ქანცგაცლილ ნათიას რომ გადახედა, მიხვდა, რომ აუცილებლად უნდა დაესვენათ.

— აუ, რა ლამაზია აქაურობა! — წყალწმინდისკენ მიმავალი გზის ორივე მხარეს ჯარისკაცებივით ჩამწკრივებულ მრავალწლიან ნაძვებს თვალს ველარ სწყვეტდა ნათია. — აქ ალბათ, საცხოვრებლადაც კი დავრჩებოდი.

— ეს მხოლოდ პირველი შთაბეჭდილებაა. სინამდვილეში კი აქ საცხოვრებლად უმძიმესი პირობებია. წარმოიდგინე, რომ წელიწადში ექვსი თვე მაინც გარე სამყაროს მთლიანად მოწყვეტილი ხარ.

— მაინც ძალიან მომწონს ეს ყვე-

ლაფერი და რა ვქნა? — თავისას არ იშლიდა ნათია და თან სიცივით ცახცახებდა. — ოღონდ მთავარია, ახლა როგორმე გავთბე...

წვიმა ცრიდა და ეტყობა, ამ ნესტიან ამინდში წყალწმინდელები შინ თბილად ჯდომას ამჯობინებდნენ — ლაშამ და ნათიამ ნახევარი სოფელი ისე გაიარეს, წამლად ერთი ადამიანიც კი არ შეხვედრიათ. თუმცა ბოლოს მაინც გაუმართლათ და გზაზე საწვიმარმოსხმული ხანში შესული მამაკაცი გამოჩნდა.

— გამარჯობა, — სასწრაფოდ მიესალმა მას ლაშა, — ხომ ვერ მეტყვით, აქ ღამის გათევა სად შეიძლება?

— ღამის გათევა? — ჩაეკითხა მამაკაცი.

— დიახ. იქნებ რაღაც ოჯახური სასტუმროს მსგავსიც კი არის სადმე? — ჩაერთო საუბარში ნათიაც.

მამაკაცმა ნათიას ისე გაკვირვებით შეხედა, თითქოს მის წინ სიცივით აცახცახებული გოგონა კი არა, უცხოპლანეტელი მდგარიყო და მხოლოდ ამის შემდეგღა უპასუხა:

— რის სასტუმრო, რა სასტუმრო? ვერ ხედავთ, სად ვცხოვრობთ? მაგრამ თუ ღამის გათევა გინდათ, მაშინ შორენას უნდა მიაკითხოთ.

— სად ცხოვრობს ქალბატონი შორენა? — ნათიას პირის გაღება აღარ აცალა ლაშამ.

— აგერ იქ, — ამაღლებულზე მდგარი კოხტა სახლისკენ გაიშვირა ხელი მამაკაცმა, — ამ ზაფხულს უცხოელი ტურისტები შემოეხეტნენ ჩვენს სოფელში და ისინიც კი დააბინავა და არა მგონია, თქვენი გამასპინძლება გაუჭირდეს.

ლაშამ მამაკაცს მადლობა გადაუხადა და მათ მაშინვე მითითებული სახლისკენ გასწიეს.

— მასპინძელო! — დაიძახა ჭიშკართან მისულმა ლაფაურმა.

სახლის კარი მაშინვე დაბარებულივით გაიღო და ზღურბლზე საკმაოდ სანდომიანი შუახნის ქალი გამოჩნდა.

— მოგესალმებით, ქალბატონო! სტუმრებს მიიღებთ?

— სტუმარი ღვთისაა, მობრძანდით.

— ღამის გასათევი არ გვაქვს და ერთმა ღვთისნიერმა კაცმა თქვენთან მოგვასწავლა...

— საიდან ჩამოხვედით? — დაინტერესდა შორენა.

— თბილისიდან. ჟურნალისტები ვართ.

— ჟურნალისტები? — გაეღიმა ქალს. — არ გამიკვირდა, ეს ბიჭი საიდან მეცნობა-მეთქი?

„ბიჭის" ხსენებაზე ნათიამ ლაშას ისე გადახედა, თითქოს პირველად ხედავსო.

— რა გაგიკვირდა? — ნათიას მზერა არ გამოჰპარვია შორენას. — მე მასზე ცოტა უმცროსი ბიჭი მყავს, ასე, შენი კბილა და უკვე სარძლოსაც ვეძებ.

— მგონი, ბედიც გეხსნება. — ხმადაბლა გადაულაპარაკა ლაშამ ნათიას, მაგრამ გოგონამ ისეთი საყვედურით სავსე თვალები შეანათა, რომ ლაფაურმა მას მაშინვე მხარზე ხელი მზრუნველად მოხვია: — ეს ნათიაა, ჩემი საცოლე...

— ასეც ვიფიქრე, — თვალები ეშმაკურად მოჭუტა შორენამ, — აბა, ასეთ კარგ გოგოს ამ ტყეში მთლად უპატრონოდ ვინ გამოუშვებდა?

— მაშ როგორ შევთანხმდეთ, ქალბატონო შორენა, გაგვათევინებთ ღამეს? — ისევ საქმეს დაუბრუნა ლაშამ გალექსილი დიასახლისი.

— აბა, რას ვიზამ. ოღონდ მხოლოდ ერთი ოთახის დათმობა შემიძლია. დანარჩენი დასალაგებელი მაქვს... თუ გეუხერხულებათ, მაშინ თქვენს საცოლეს შეუძლია, ჩემთან დაიძინოს. — სიტყვა „საცოლეს" ხაზი საგანგებოდ გაუსვა შორენამ.

— არა, ასე ნამდვილად ვერ შეგაწუხებთ, — თავი მაშინვე შორს დაიჭირა ნათიამ, — ჩვენ ერთ ოთახშიც მშვენივრად მოვთავსდებით.

ლაშა ნათიას ინიციატივამ ცოტა გააკვირვა, მაგრამ ეს მაინც დაღლასა და სიცივეს მიაწერა და მის ნებას უსიტყვოდ დაჰყვა. ცოტა ხანში ახალგაზრდები უკვე მოგიზგიზე ბუხართან ისხდნენ, ცხელ-ცხელ ხაჭაპურს შეექცეოდნენ და ზედ მთის ბალახების სურნელოვან ჩაისაც აყოლებდნენ.

უცბად სახლის კარი ხმაურით გაიღო და ზღურბლზე საკმაოდ სიმპათიური ახალგაზრდა გამოჩნდა.

— მოხვედი, შოთიკო, დედა გენაცვალოს?! — მიეგება მას შორენა. — სტუმრები გვყავს თბილისიდან.

— სასიამოვნოა. — თავი შორიდან დაუკრა შოთიკომ სტუმრებს.

— უბრალო ხალხი არ გეგონოს, ჟურნალისტები არიან, — არ ისვენებდა შორენა.

— ლაშა ლაფაური, ხომ? — ახლა უკვე ხელიც ჩამოართვა ლაშას შოთიკომ.

— დიახ, მე ვარ.

— ძალიან მიხარია ცნობილი ჟურნალისტის პირადად გაცნობა.

— ეს კი ნათიაა, ჩემი საცოლე და მარჯვენა ხელი.

— ძალიან სასიამოვნოა, — ახლა ნათიას ჩამოართვა ხელი შოთიკომ. ლაშას კი მოეჩვენა, რომ მან გოგონას ხელი ხელში უფრო დიდხანს შეაჩერა. — თქვენც ჟურნალისტი ხართ?

— ჩემი თანაშემწეა, — გოგონას პასუხი დაასწრო ლაშამ.

— კარგი, შვილო, ნუ შეაწუხე ეს ხალხი შეკითხვებით, — დაუძახა ღუმელთან მოფუსფუსე შორენამ შვილს. — დაღლილები არიან... ნეტავ, ეს მამაშენი სადღა დაიკარგა?

— მოვა, ნუ გეშინია, — დაამშვიდა დედა შოთიკომ, — კაცებმა გააჩერეს.

— კაცები მაგათ და არგადარჩენა! — გაღიზიანდა შორენა. — მესამე დღეა, გადაბმულად სვამენ. გამილოთეს ქმარი და ესაა.

— შენიც ვეღარაფერი გამიგია. გარეთ არ გადიოდა, ეჩხუბებოდი, ხალხში გაერიეო; გავიდა და ამდენ ხანს სად არისო...

— გარეთ გასვლას არავინ უშლის, მაგრამ ხომ შეუძლია, ცოტა სმას მაინც მოერიდოს.

— მთელი უბანი რომ სვამს, მარტო მამაჩემი ხომ არ დადგება გულხელდაკრეფილი?

— გაამართლე, ჰო, გაამართლე. რაც ის ოხერი ბუნკერი ნახა, აღარ დაადგა საშველი მაგის გამოფხიზლებას, — თავისას არ იშლიდა შორენა.

— კარგი რა, დედა, ვის აინტერესებს მამაჩემის და მისი ბუნკერის ამბავი, — შეუტია დედას შოთიკომ, — მართლა, — მიუბრუნდა ის შემდეგ ლაშას, — თუ საიდუმლო არ არის, ამ მიყრუებულ სოფელში თქვენნაირი ცნობილი ჟურნალისტი რა ქარმა გადმოაგდო?

— რას გეტყვით, იცით? — ლაშას პასუხი აღარ აცალა შორენამ. — მე ამ გოგოს წავიყვან და მოვასვენებ, თორემ უკვე ზეზეულად სძინავს და თქვენ თუნდაც დილამდე ილაპარაკეთ, — წამოდი, შვილო, — მხარზე ხელი შინაურულად მოხვია ქალმა ნათიას და ოთახიდან გაიყვანა.

შორენა უკან მალევე შემობრუნდა.

— თქვენი ლოგინიც გაშლილია, — უთხრა მან ლაშას. — როცა გინდათ, მაშინ მოისვენეთ.

— არა, — იუარა ლაშამ, — მე ოჯახის უფროსს დაველოდები.

— ისე, მაგარი „დაგრუზული" კი მოვა, — ხმადაბლა გადაულაპარაკა შოთიკომ ლაშას, — ჰო, მართლა, ჩვენთან რა უნდა გადაიღოთ?

— ფილმი.

— ფილმი? მაინც რაზე?

— აქაურ ადამიანებზე, მთის წესჩვეულებებზე...

— დოკუმენტური ფილმი იქნება?

— ალბათ.

— ფანტასტიკურ დეტექტივს რომ იღებდეთ, ჩემი ქმარი მთავარ როლში გამოგადგებოდათ.

— რას გულისხმობთ? — ვერ მიუხვდა ლაშა შორენას.

— რას და უკვე ყველგან მფრინავი თეფშები თუ რაღაც ამის მსგავსი ელანდება.

— დედა! — შეაჩერა შორენა შოთიკომ. — კაცს ერთხელ შიშით რაღაც მოეჩვენა და აღარ უნდა შეარჩინო? გადაღებებს მალე დაიწყებთ? — შემდეგ ისევ ლაშას მიუბრუნდა.

— არა, ჯერ მასალებს ვაგროვებთ, — უხალისოდ უპასუხა ლაშამ, რომელსაც ამ თემაზე საუბრის გაგრძელება აღარ სურდა. — მართლა, აქ მაღაზია თუ გაქვთ?

— მაღაზია კი გვაქვს, მაგრამ რად გინდა? უკვე ყველაფერი გამოვცალეთ.

და სანამ ქუთაისიდან ვერტმფრენით ახალ საქონელს არ ამოიტანენ, იქ ცარიელი დახლებისა და სიცივით მობუზული გამყიდველის გარდა, ვეღარაფერს ნახავთ.

— აბა, რა უნდა ვქნათ?

— რას გულისხმობთ?

— ჭამა ხომ გვინდა?

— მერე მე აქ რას ვაკეთებ? — გაუკვირდა შორენას. — ზაფხულში ექვსი უცხო კაცის სამყოფ სადილ-ვახშამს ვამზადებდი და ორ ადამიანს ვეღარ გავწვდები? თქვენ მხოლოდ შემიკვეთეთ, რა გინდათ. არც ძვირს გამოგართმევთ.

— საერთოდაც არ გამოგართმევდით მაგრამ... — სათქმელი ვეღარ დაასრულა დარცხვენილმა შოთიკომ.

— არა, რას ამბობთ?! — თავი შორს დაიჭირა ლაშამ. — ისედაც ძალიან დამავალებთ თუ ასე დაგვეხმარებით. სხვათა შორის, კარგა ხანია, ასეთი გემრიელი ხაჭაპური არ მიჭამია და ჩაიც კი განსაკუთრებული იყო.

— რა ვიცი, ჩემი ქმარ-შვილის გული კი ვერაფრით მოვიგე და... — აწუწუნდა შორენა. — შოთიკო კიდევ ჰო, მაგრამ რამდენი ხანია, ჩემი ქმრისგან ერთი საქებარი სიტყვაც კი არ მომისმენია.

— ამ საღამოს უეჭველად მოისმენ. — დაიმედა დედა შოთიკომ და, თან, ლაშას თვალი ჩაუკრა.

ამ დროს გარედან ჯერ ვიღაცის ფეხის ხმა მოისმა, შემდეგ კი რაღაც ხმაურითაც დავარდა.

— მგონი, მოიტეხა კისერი და მეშველა! — ჩაილაპარაკა შორენამ.

ამასობაში კარიც გაიღო და ოთახში მაღალი, პირხმელი მამაკაცი შემოვიდა.

— აი, ოჯახის უფროსიც მოვიდა, — მაშინვე დაიწყო შოთიკომ და შემდეგ მამაკაცს მიუბრუნდა: — მამა, თბილისიდან ჟურნალისტები გვესტუმრნენ.

— ჟურნალისტები? — თვალები უცნაურად გაუფართოვდა მამაკაცს. — მადლობა ღმერთს!.. ზოგი ახლა იქირქილონ ჩემზე ვიღაც-ვიღაცებმა, გაგიჟდაო.

— ოღონდ ხელახლა არ დაიწყო, თორემ მართლა გავგიჟდები, იცოდე! — შეუტია შორენამ ქმარს.

— მაინც რას არ გიჯერებენ, ჩემო ბატონო? — მამაკაცის გამოწვდილ ხელს მაშინვე თავისი შეაგება ლაშამ.

— არ მოუსმინოთ. ყველგან ქაჯები და ეშმაკები ელანდება.

— მოკეტე, დედაკაცო! — ხმას აუწია მამაკაცმა. — მე არაფერი მელანდება. მელანდება კი არა, ჩემი თვალით ვნახე ყველაფერი.

შოთიკომ მშობლების კამათში ჩარევა აღარ ისურვა, ამიტომ რაღაც მოიმიზეზა და სასწრაფოდ გარეთ გავიდა.

— მაინც რა ნახეთ? — სიტუაციის განსამუხტავად ჩაეძია ლაშა მამაკაცს.

— რა და უცნაური მფრინავი ობიექტი.

— აკი გითხარით, არ მოუსმინოთ-მეთქი! — ხელები გაშალა შორენამ.

„მდაა, — გაიფიქრა ლაშამ. — გიჟებში მართლა მაგრად მიმართლებს“.

— ხელს ნუ მიშლი-მეთქი, — ისევ შეუღრინა ცოლს მამაკაცმა. კაცი აგერ, მთლად თბილისიდან ჩამოვიდა ჩემს მოსასმენად. ჰო, მართლა, შენი სახელი? — ისევ ლაშას მიუბრუნდა.

— მე ლაშა ლაფაური ვარ.

— მე კიდევ — გიგია გიგოძე.

— გიგია გიგოძე? — ყურები ცქვიტა ლაშამ. — ამ სოფლის გამგებელი?

— ეჰ, — ხელი ჩაიქნია გიგიამ, — ეგ როდის იყო, აღარც კი მახსოვს.

— სამაგიეროდ ქაჯები და ეშმაკები ხომ არასდროს გავიწყდება!.. — წაუსისინა შორენამ, მაგრამ გიგიამ ცოლს ყური საერთოდ აღარ ათხოვა, ლაშას ახლოს მიუჯდა და უკვე ჩურჩულზე გადავიდა:

— ამათ ჰგონიათ, რომ გავგიჟდი, მაგრამ მფრინავი ობიექტი მართლა საკუთარი თვალით ვნახე, პირდაპირ ჩემკენ გამოფრინდა.

— რა, მფრინავი თეფში? — გაეღიმა ლაშას, რომელსაც ეს ამბავი უკვე ცოტა კიდეც ართობდა.

— თეფში კი არა, ბენზინით სავსე უზარმაზარი კასრი.

— გასაგებია, — გაეღიმა ლაფაურს. — და ეს როგორ მოხდა, ფრთები გამოესხა?

— არა, ფრთები არ ჰქონია, უბრალოდ ჰაერში აიწია და...

— ღმერთო, რა დაგიშავე ამის ფასი! ფხიზელს სიტყვას ვერ დააცდენინებ, დათვრება და სისულელეს სისულელეზე აფრქვევს, — შორენამ სუფრის ხმაურით ალაგება დაიწყო.

— მოიცა, რას აკეთებ? — შეაჩერა გიგიამ ცოლი. — ახლავე რამე შემოუმატე სუფრას და არაყიც გამოიტანე, ამ კაცთან სერიოზული სალაპარაკო მაქვს.

— აბა-აბა, იმ ჭკუაზე ვარ სწორედ, რომ სასმელი დაგამატებინო და მთლად გაგაგიჟო.

— იქ ძალიან ბევრი კასრი იყო, მაგრამ მხოლოდ ერთილა იყო ბენზინით სავსე, — თვალები მართლა გიჟური ცეცხლით აენთო მასპინძელს, — ვიფიქრე, ბენზინს გავყიდი და ცოლის გაუთავებელი ბუზღუნისგან ცოტა ხნით მაინც დავისვენებ-მეთქი, მაგრამ კასრებს მცველები აღმოჩნდათ.

— მცველები? — გაეღიმა ლაშას. — მაინც ვინ?

— ეგ რომ ვიცოდე, რაღა მიჭირს. ალბათ, ისინი, — გიგიამ საჩვენებელი თითი ჭერისკენ აიშვირა.

— გასაგებია, — დაამთქნარა ლაშა.

— შემდეგ რაღა იყო?

— შემდეგ იყო თუ იყო: ის კასრი ჯერ ჰაერში ავიდა, შემდეგ ჩემკენ გამოქანდა და კედელზე მიჭყლეტა მომინდომა. ერთი ფეხით გამოვასწარი.

— გილოცავთ! გადარჩენილხართ.

— რას ამბობ?.. ჯერ რომელ გადარჩენაზე მელაპარაკები?.. მადლობა ღმერთს, რომ შენ მაინც ჩამოხვედი დროზე.

— მე რისი გაკეთება შემიძლია?



— კამერით უნდა გადაიღო ყველაფერი! იქნებ, მაშინ მაინც დაფრთხნენ და გაფრინდნენ.

— რა პრობლემაა? — ჩანთიდან სასწრაფოდ ამოღებული კამერა მოიმარჯვა ლაშამ. — აბა, სად არიან? უცბად გადავუღებ და აქედან მოკურცხლავენ.

— შენც გიჟი გგონივარ, ხომ? — საყვედურით სავსე თვალებით შეხედა გიგიამ ლაშას.

— არა, რას ბრძანებთ, ეგ არც მიფიქრია.

— აბა, რა უნდა გადაიღო? ისინი აქ კი არ არიან.

— მაშ, სად არიან?

— „ეშმაკის კლდეში“.

— სად?

— კლდეში გაკეთებულ ერთ-ერთ გამოქვაბულში, რომელსაც აქაურები „ეშმაკის კლდეს“ ვეძახით. მეორე მსოფლიო ომის დროს, საბჭოთა სამხედროებს იქ საიდუმლო ბუნკერი ჰქონდათ მოწყობილი. ომის დამთავრების შემდეგ კი შესასვლელი ააფეთქეს და ამოქოლეს.

— რაო? — ახლა კი მართლა გაოგნდა ლაშა.

— მაინც არ გჯერა, ხომ? — გული დასწყდა გიგიას.

— მჯერა რომელია, — ჩანთიდან სასწრაფოდ ამოიღებული რუკა მაგიდაზე გაშალა ლაფაურმა, — რუკაზე თუ შეგიძლიათ იმ ადგილის ჩვენება?

— რუკაზეც გაჩვენებ და მეგზურადაც თვითონ დაგიძღვები, — გახალისდა გიგია და ზუსტად კუზმინის ნაკარნახევ ადგილს დაადო თითი, — აი, აქ არიან ის დასაწვავები...

*გაგრძელება შემდეგ ნომერში*

# რომანტიკა თუ დანაშაული?!



სვეტა კვარაცხელია

ნაწარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით

gza.fantazia@gmail.com

დასაწყისი იხ. „გზა“ №31-43

სანამ მობილურს კვლავ ჩანთაში ჩავაბრუნებდი, გამოვრთე და მხოლოდ ამის შემდეგ შევინახე. ნიკა არ განძრეულა, არც გამომცდელი მზერა მოუშორებია ჩემთვის. ის ელოდა... ელოდა, როდის ვეტყოდი, ვის ველაპარაკე... მე კი ხმას არ ვიღებდი... ვითომც არაფერი, შემოსასვლელში გავედი და ფეხსაცმლის გახდას მშვიდად შევუდექი... უკან გამომყვა, ჩემთან ახლოს, კედელს მიეყრდნო და ჯიბეებში ხელებჩაწყობილი უცნაურად მომაშტერდა.

— რა იყო, რატომ მიყურებ ასე? — შიშველი ფეხები ფლოსტებში გავყავი და ავხედე.

— ველოდები...

— რას ელოდები?

— როდის მეტყვი.

— რას?

— იცი შენ, რასაც, — მბრძანებლურად „გამოუვიდა“.

ტუჩები ვერ დავიმორჩილე, გამეღიმა.

— რა უფროსივით მელაპარაკები, — სიტუაციის განმუხტვა ვცადე, თან მსიამოვნებდა მისი ეჭვიანობა.

— ეგრეც არის, — დაურბილდა ხმა.

— ნუთუ?! კიდევ კარგი, მითხარი, — წელში გავიმართე და თვალი თვალში გავუყარე.

— მაშ ასე, დაიწყე.

— ხომ გითხარი, ჩემი ბიძაშვილი იყო-მეთქი, — ყასიდად ამოვიოხრე და დავიწყე, — სამსახურში გამომიარა და საერთო მეგობართან ავედით. სულ ეს იყო.

— ეგ გავიგე... ახლა რომ ელაპარაკე, ის ვინ იყო?!

— ახლა? ა! ის... ის თედო იყო... რა გინდოდა ჩემგან წუხელ, რაში გამოგიყენე, მითხარიო.

— კიდევ?

— მეტი არაფერი.

— ვერ დამარწმუნე...

— ჩვენი შეხვედრა სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი იყოო? ეგ მკითხა ბოლოს.

— შენ რა უპასუხე? — ახლოს მოიწია, მისი სუნთქვის ხმაც კი მესმოდა.

ავილეწე... უკან დასახევიც არ მქონდა, სულ რაღაც, ოც სანტიმეტრში კედელს ვაწყდებოდი...

— მშვენივრად გესმოდა, რაც ვუპასუხე... მაპატიე, უნდა გამოვიცვალო, — ჩავილუღლუღე და საძინებელში ფეხარეული გავედი.

იქაც შემომყვა.

— საინტერესოა, რატომ გაუჩნდა ასეთი ეჭვი... მართლა გამოიყენე?

— არა! — ტყუილში დაჭერილი ბავშვივით ვიყვირე.

— აბა, რა გინდოდა კაზინოში მასთან ერთად?

— ვთხოვე, წავეყვანე, — ისე გავწითლდი, სიმხურვალისგან ღაწვები ამეწვა.

— რატომ, მოგწონს თედო? — არ მომეშვა.

— შენ თვითონ რა გინდოდა იქ, მე მითვალთვალებდი? — იქით შევუტიე.

— გითვალთვალებდი? გგონია, მეტი საქმე არაფერი მაქვს? — იუკადრისა.

— აბა, მაინცდამაინც მაშინ რატომ გაჩნდი იმ დარბაზში, ვინ გითხრა, რომ იქ ვიქნებოდი?

— სხვათა შორის, მე ხშირად დავდივარ იქ. თამაში, როცა დაღლილი ხარ, განტვირთვის საუკეთესო საშუალებაა. ეს უბრალო დამთხვევა იყო, მხოლოდ შემთხვევითობა და მეტი არაფერი.

— განტვირთვა რაღაც ვერ შეგატყვე... უფრო გაცოფება გეწერა სახეზე, ვიდრე სიმშვიდე, არეული ჩანდი, — ტუჩი ნიშნის მოგებით ავიბზუე.

— ისეთ გარემოცვაში დაგინახე, სახეს რა დამიწყნარებდა?

— მინდა გითხრა, რომ მშვენიერ გარემოცვაში ვიყავი, — ჯიბრიანად ვუპასუხე.

— შენ რა, შეყვარებული ხარ? — ზღურბლთან შედგა და ხელები მკერდზე, ხოლო ფეხები ერთმანეთზე გადაიჯვარედინა, ირიბად დამიწყო ცქერა.

— რატომ არ უნდა ვიყო, აკრძალულია? — უკანმოუხედავად შევუბრუნე კითხვა და გარდერობი გამოვაღე.

— ვისზე? — არ მომასვენა.

— იქნებ გახვიდე? უნდა გავიხადო, — ვუბრძანესავით.

— მიპასუხე და გავალ.

— არავისზე... ისე ვთქვი, მის თავიდან მოსაცილებლად. ახლა კი გადი!

გამიკვირდა, ისე მორჩილად დამთანხმდა. გავიდა და კარიც გაიხურა. სასწრაფოდ გამოვიცვალე ტანსაცმელი, შემეშინდა, არ წავიდეს-მეთქი. სამზარეულოში რომ შევედი, თვალები გამიფართოვდა, ისეთი სურათი დამხვდა — ყველს ჭრიდა...

— მშია, — ჩემს უთქმელ შეკითხვას ხმამაღლა უპასუხა, — ორი დღეა, წესიერად არ მისადილია.

— გშიააა? — „შევიცხადე“, — ბანკეტიდან მოდიხარ და გშია?

— მერედა, ვინ გითხრა, რომ ბანკეტზე ვიყავი?

— ახლა არ მითხრა, არ ვყოფილვარო.

— ჰო... ნახევარი საათით მივირბინე და წამოვედი.

— რატომ?

— იმიტომ, რომ იქ შენ არ დამხვდი.

— და რა იცოდი, აქ თუ დაგხვდებოდი? — გულგრილად ვკითხე და ჯამიდან სამი ცალი პომიდორი ავიღე, ონკანს შევუშვირე და გავრეცხე.

— ამაში მთლად დარწმუნებული არ ვიყავი, მაგრამ ერთი რამ ზუსტად ვიცოდი — შენ მელოდებოდი.

— ვინ მოგატყუა? — მეორე დანა ავიღე და სალათის დაჭრას შევუდექი.

— არავინ... გამართლდა რასაც ვფიქრობდი. შენ აქ ხარ.

— მაგრამ მე გვიან მოვედი და შენი მოლოდინი არაფერში მეტყობოდა.

— გეტყობოდა.

— რაში? შინ რომ არ დაგხვდი იმაში? მოლოდინი რომ მქონოდა, სახლიდან ფეხს არ გავადგამდი, მე კი დავიგვიანე.

— მერე რა? ხომ მოხვედი?

არ ვუპასუხე. უსიტყვოდ შევუდექი სუფრის გაშლას...

— იცი? ყოველთვის ადვილად ვახერხებდი ქალის გულის მოგებას, თუმცა დიდი ხანია, სასიყვარულო თავგადასავლებს გავურბივარ, მაგრამ ოდესღაც ხომ არ გავურბოდი? შენთან კი ყველაზე მეტად მიძნელდება ეს... რა-

ტომ ხარ ასეთი ბუტია?

— მე ვარ ბუტია? ტყუილია, ბუტია სულაც არ ვარ, — არ მივილე საყვედური.

— არ ხარ კი არა, ნამდვილი „მის გაბუტვა ხარ“... თუ არ გჯერა, სარკეში ჩაიხედე, — თქვა და ისე ლამაზად გაიცინა, მეც ვერ შევიკავე თავი.

— ძნელია შენი გულის მოგება...

— მართლა? სხვა ქალების ადვილია?

— შენ წარმოიდგინე...

— როგორ ახერხებ, იქნებ მითხრა და ჩემზეც იმოქმედოს? — ეშმაკურად ჩავილიმე, — რა უნდა გააკეთო, რომ ქალის გული მოიგო? — მაინტერესებდა, რას მიპასუხებდა.

— რა და... უნდა დაუდარაჯდე სახლთან და დაელოდო, როდის გამოვა სახლიდან.

— მაგრამ ეს ხომ თვალთვალია? — არ მომეწონა და ისე დავიჯღანე, თითქოს იაფფასიან ნივთს ძვირად მიფასებდა.

— მაცალე!.. მერე ჩაავლო ხელი და წაიყვანო ისეთ ადგილას, სადაც ვერავინ მოგაგნებთ.

— მაგრამ ეს ხომ მოტაცებაა, ორივე ერთად კი დანაშაული.

— სულელო! დანაშაული კი არა, რომანტიკაა, — ისევ ისე გაიცინა.

— რომანტიკული დანაშაული, — დავასკვენი და პომიდვრის წვენით გასვრილი თითები გავილოკე.

— რომანტიკული დანაშაული იცი, რა იქნება? — მომიახლოვდა, — შენი ნებართვის გარეშე მეც რომ გაგილოკავ ამ თითებს და მერე იმ ტუჩებს, რომელმაც ეს თითები გალოკა, — ჩურჩულით მითხრა, ზურგიდან წელზე შემომხვია მკლავები და ყელზე დამეკონა.

— აკი მშიაო? — შევახსენე ათრთოლებულმა.

— შენ „მშივხარ“, — ვნებიანად შემატა ახალი სიტყვა ქართული ენის ლექსიკონს და ისე მიმიკრა მკერდზე, სუნთქვა შემიგუბდა, მაგრამ არ ავყევი, არ მინდოდა ასე უცებ შევრიგებოდი.

— ბებერი ქათმები მოგბეზრდა? ვარიები მოგენატრა? კარგია, მშვენივრად ერთობი, — ვუკბინე.

მეგონა, ჩემი ნათქვამი გააღიზიანებდა, წყობილებიდან გამოიყვანდა, მაგრამ შევცდი.

— რაც შეეხება გართობას, შენ მართალი ხარ, — ჩუმად თქვა, თან ჩემს ყელში ნებივრობას განაგრძობდა, — თუმცა ბოლომდე ვერ ჩასწვდი ჩემი სურვილის არსს. მინდოდა, ეს ყველაფერი ცოტა გვიან მომხდარიყო, როცა ჩვენი ურთიერთობა გარკვეულ ეტაპამდე მივიდოდა, მაგრამ მოცდა აღარ შემიძლია, ეს ჩემს ძალებს აღემატება, — აღგზნებულმა თავისკენ შემატრიალა...

მისი ცხელი სუნთქვა ტუჩებს მიწვავდა.

— გეყოფა... — შეშინებულმა თვალები ავატრიალე, — ძალიან გთხოვ... გაჩერდი... ინანებ, იცოდე...

— შენ შეიძლება, ინანო, მაგრამ მე — არასდროს, — ვნებამორეულმა თქვა, ხელში ამიტატა და საძინებლისკენ გამაქანა.

გავიბრძოლე, მაგრამ ამაოდ... ჩემს მოწინააღმდეგეს წონით კატეგორიაში აშკარა უპირატესობა ჰქონდა. მისი ძლიერი, ნავარჯიშები სხეული ნებისმიერ ფიზიკურ დატვირთვას გაუძლებდა, ორმოცდათექვსმეტკილოგრამიანი ტვირთით ოციოდე მეტრის გავლა მისთვის რა დიდი ბედენა იყო? მაინც გავიბრძოლე, განსაკუთრებით მას შემდეგ, საწოლზე რომ წამომაქცია...

არაფერი გამომივიდა... ვიგრძენი, როგორ გამომეცალა არაქათი და ნელნელა დავნებდი... ხარბად მკოცნიდა, მოწყურებულად... თანდათან გაუცივდა მხურვალე ტუჩები... მივხვდი... როცა განსაკუთრებით ძლიერად ვუნდებოდი, ტუჩები უცივდებოდა...

მთლიანად გამაშიშვლა, თავადაც გაიხადა. მისი შიშველი და გახურებული სხეულის შეხებამ საბოლოოდ გამთიშა. თითქოს ალისასავით ბოცვრების ორმოში ჩავვარდი, რომელსაც ფსკერი არ ჰქონდა. უეცრად ჩამობნელდა და... მივფრინავდი ამ სიბნელეში, სულ უფრო ღრმად და ღრმად. არ ვიცოდი, როდის დამთავრდებოდა ეს ფრენა... ან როგორი იქნებოდა ამ ფრენის დასასრული.

უკანასკნელად შეძიგძიგდა ნიკა და... თითქოს გაქვავდა... ჩემს თმაში ხელჩავლებული... დაღლილი... ძალაგამოცლილი... დაცარიელებული... კმაყოფილი... მისი სხეულის სიმძიმე სასიამოვნო იყო და ქალმა, ჩემ შიგნით ქალმა, უკვე მტკიცედ იცოდა, რომ მხოლოდ ეს, მასზე დამხობილი ერთადერთი მამაკაცი უყვარდა... მამაკაცი, რომელიც მძიმედ სუნთქავდა სიბნელეში...

ჩვენი გულები თითქოს ერთ რიტმში სცემდა... კიდევ ცოტაც და მისი სხეული საბოლოოდ მოეშვა, მოითენთა და მოსწყდა ჩემს სხეულს. მინდოდა, ეს წამები გაგრძელებულიყო, უსასრულოდ, დიდხანს, თუმცა „ვნების დაბნელება“ დამთავრდა და სასიამოვნო სიბნელეც მალევე გაიფანტა...

...მივხვდი, როგორც დამთავრდა ეს ფრენა... მივხვდი და დამცირებულად ვიგრძენი თავი... წყენის ცრემლები დამედინა ლაწვებზე... თან ვტიროდი, თან მომთენთავ კმაყოფილებას ვგრძნობდი... აი, თურმე როგორი ყოფილა სექსი! სასიამოვნო... უ-უ-უსასიამოვნო-ესი... საინტერესოა, რამდენ ხანს გაგრძელდა ეს ყველაფერი? ალბათ, ამას ჰქვია „მცოდნე“ საყვარელი, პროფესიონალი... მან ხომ პირველსავე ცდაზე (ჩემთვის პირველ ცდაზე) მომანიჭა სიამოვნება, თან ისე, რომ ტკივილი არ მიგრძნია, წამითაც კი... ის კი არა, ნეტარების ისეთ წერტილამდე ამიყვანა, რომ ზეაღმატებულად ვნებიანი შეგრძნებისგან თავი ვერ შევიკავე და დავიყვირე. ამას ჰქვია ექსტაზის განცდა... და ჩვენ ორივემ თითქმის ერთდროულად განვიცადეთ ეს...

— შუქი საიდან ავანთო? — დაცლილი ხმით მკითხა.

— შენგან მარცხნივ, კამოდის თავზე...

ნიკამ ხელი გადაყო და კედელზე კარგა ხნის ფათურის შემდეგ ჩამრთველს გაჰკრა. მჭახე შუქმა თვალი მომჭრა და საბანი წავიფარე... იქნებ სირცხვილისგან? იქნებ დამცირებისგან?.. არ ვიცი... მაგრამ ნათელი იყო, არ შემეძლო, მისთვის თვალებში შემეხედა.

— როგორ ხარ? — ხმადაბლა მკითხა და იდაყვზე დაყრდნობილმა ზემოდან დამხედა, თან თითები ნაზად ჩამოუსვა ჩემს მკერდს.

— არ ვიცი... — ამოოხვრით ვუპასუხე და გვერდზე გადავბრუნდი, ზურგი ვაქციე.

— ისევ მებუტები? — მხარზე შემეხო და გადმომატრიალა, ზურგის შექცევის ნება არ მომცა.

— არა, — კვლავ დავხუჭე თვალები.

— კარგია, რომ არა, თორემ შენ რა შეგირიგებდა, — ჩაიცინა.

გულზე მომხვდა ეს ჩაცინება. წამოვჯექი და გამომცდელად შევაჩერდი. ტრიუმფული გამარჯვება იკითხებოდა მის მზერაში. ერთიანად დავმძიმდი...



კვლავ გულაღმა გავიშოტე და თვალები ხელისგულებით დავიფარე. ნუთუ მხოლოდ ინსტრუმენტი ვიყავი მის ხელში, რომელზეც რამდენიმე წუთის წინ შესანიშნავად დაუკრა? მიიღო რაც უნდოდა და ამით დამთავრდა?

ნიკა ჩემკენ გადმოტრიალდა და მარჯვენა ფეხი თეძოზე შემომაჭდო, ხოლო ხელი თმაში შემიცურა... აი, ისიც! მესაკუთრის ჟესტი! ისე მექცევა, როგორც ნივთს... ნეტავ, წავიდოდეს და აღარასდროს დაბრუნდებოდეს! უნდა ვუთხრა... უნდა დავასწრო, სანამ თავად გაუკეთებია ეს...

— ახლა კი წადი! — ვთქვი და ნათქვამს გული ამოვაყოლე.

— არა. გგონია, ასე ადვილად დაგთმობ?

ხელისგულები მოვიშორე თვალებიდან და შევხედე. მანაც შემომხედა. თვალები მიმქრალი ნაღვერდალივით ღია ნაცრისფერი გახდომოდა...

— დაგარწმუნე? — თითქოს მის ტონში ნიშნის მოგება შეინიშნებოდა.

— რაში? — აღვშფოთდი, — ვერაფერშიც ვერ დამარწმუნე. შენ, უბრალოდ, დამიმტკიცე, რომ ჩემზე ღონიერი ხარ და გადამთელე იმ იარაღით, რომელიც მე არ მაქვს. ამაშია საქმე!

— და შენ ვერაფერი იგრძენი? მხოლოდ გადაგთელე?

მინდოდა, მომეტყუებინა, მაგრამ გადავიფიქრე.

— არა... და ეს შენც კარგად იცი.

— აბა, რა გინდა? პატიება გთხოვო? ბოდიში მოგიხადო? მე რა ვიცოდი, თუ ქალიშვილი იყავი...

გული დამიმძიმდა... არადა, ეს სულაც არ იყო ახლა მნიშვნელოვანი... მთავარი ის იყო, რა გაგრძელება ექნებოდა ამ ღამეს... მას კი არ ესმოდა, მე რა მაწუხებდა...

— ლო, ისეთი არაფერი მომხდარა, ტყუილად განიცდი... თუ ვინმე დაზარალდა, მხოლოდ შენი სიამაყე, გასაგებია?

— ჩემი სიამაყე? რა შუაშია აქ სიამაყე? — განვრისხდი.

— მინდოდა, რადაც უნდა დამჯდომოდა, დამემტკიცებინა შენთვის, სინამდვილეში ვისთან მსურს ყველაზე ძლიერად ყოფნა... ეს ძალადობა არ არის... ბოლოს და ბოლოს, შენც ხომ გესიამოვნა...

„იმიტომ, რომ ადრე არასდროს განმიცდია მსგავსი რამ“, გავიფიქრე, ხმამაღლა კი ვუთხარი.

— მე კი მომეჩვენა, რომ ამით ჩემს დასჯას ცდილობდი... რაღაცის გამო... ვიღაცის გამო... არარსებული ბრალდების გამო... და არ დამიწყო იმის მტკიცება, რომ შენი ოცნების ქალი ვარ.

— არ დაგიმალავ და სიგიჟემდე მინდოდი, — გაცხარებით ცდილობდა იგი ჩემს დარწმუნებას, — ჩვენი შეხვედრის პირველივე მომენტიდან, თუკი აუცილებლად გჭირდება დეტალების მოსმენა, — გაღიზიანებულმა მომაყარა, — და მსურს, მოგესურვილო ახლაც, ამწუთას, სასწრაფოდ! ოღონდ ამჯერად არ ვიჩქარებ! გაცდუნებ ნაბიჯ-ნაბიჯ, ნება-ნება... სანამ დანდობას არ მთხოვ, — ჟინიანი ჩურჩულით დაასრულა, მკლავებში მომიქცია და ტუჩები კოცნით დამიფარა.

ჩემი შელახული თავმოყვარეობის დასაცავად სუსტი წინააღმდეგობის გაწევა ვცადე, მაგრამ უიმედოდ. ის უკვე მკოცნიდა... ნელ-ნელა გადადიოდა ტუჩებიდან ნიკაპზე, ნიკაპიდან ყელზე, ყელიდან მკერდზე... ქვევით და ქვევით... მისი შეხება უფრო და უფრო მსუბუქი ხდებოდა, მაგრამ პროფესიონალურად გათვლილი და აღმგზნები. ის ეალერსებოდა ჩემი სხეულის ყველა უჯრედს მოშიებული საყვარლის სიხარბით, რითაც წინააღმდეგობის უკანასკნელ ძალას მაცლიდა. ვგრძნობდი, როგორ თანდათან ძლიერდებოდა სურვილი, ზღვის ტალღებივით, კიდევ და კიდევ, დიდდებოდა და ზვირთდებოდა მოსალოდნელი შტორმის წინ...

როცა ვნებათაღელვამ კულმინაციას მიაღწია, ჩუმი კვნესა აღმომხდა... ვგრძნობდი, სად იწყებოდა ჩემში ქალი და სად მთავრდებოდა მასში მამაკაცი. თითქოს ვმაღლდებოდი... თითქოს რაღაც იდუმალი ძალით მივიწევდი ზევით და ზევით, კმაყოფილების მწვერვალთან შესახვედრად...

მერე... მერე ძალაგამოცლილები ვეყარეთ საწოლზე...

როგორც ჩანს, ბოლო დღეების დაძაბულობამ თავისი გაიტანა, ამიტომაც მკვდარივით ჩაგვეძინა...

რაღაცამ გამომაღვიძა... თავდაპირველად ვერ მივხვდი, რამ. მივაყურადე... სააბაზანოდან წყლის ჩხრიალი ისმოდა. შეშინებული წამოვხტი, უცებ ვერ გავიაზრე, სად ვიყავი და რა ხდებოდა. მალევე მოვეგე გონს... ღმერთო, ეს რა ჩავიდინე! სასოწარკვეთილმა შიშველ მკერდზე ვიტაცე ხელი. ახლაღა ვიგრძენი, როგორ მტკიოდა კერტები. მორჩა! ყველაფერი დამთავრდა! რა სულელი ვარ, კრეტინი, შტერი, გამოთაყვანებული! ეს როგორ გავაკეთე? ო! ღმერთო! ნეტავ, შეიძლებოდეს ამ ღამის უკან დატრიალება! რატომ არ გავუწიე წინააღმდეგობა? რატომ ვერ ვძლიე ცდუნებას? როცა არაფერი ხდებოდა, მაშინ არ იკლავდა ჩემთან შეხვედრით თავს და ახლა? როცა ყველაფერი მიიღო, რაღაში დავჭირდები? ღმერთო! მაპატიე... დამნაშავე ვარ...

— თუმცა, რატომ ვარ დამნაშავე? რაშია ჩემი დანაშაული, საყვარელ მამაკაცთან რომ დავწექი? იქნებ ეს რომანტიკა უფროა, ვიდრე დანაშაული? სულელო ჩემო თავო, რა მიამიტი ხარ!.. — მოულოდნელად შევნიშნე, რომ ჩემთვის ვლაპარაკობდი, ხმადაბლა... მთლად გავაფრინე, მგონი.

— ვის ელაპარაკები, კონკია? — ნიკა სააბაზანოდან გამოვიდა, პირსახოცით თმას იმშრალებდა.

მის დანახვაზე ელდა მეცა და სხვა რომ ვერაფერი მოვიფიქრე, თვალები დავხუჭე. პირველად ვხედავდი შიშველ მამაკაცს ცხოვრებაში, თან ასე ახლოს... ჩემს ბინაში, პირისპირ...

— ლო, რა დაგემართა? — იგი საწოლზე ჩამომიჯდა და ნამიანი თითები მკერდზე ჩამომისვა.

გამაჟრჟოლა. მსწრაფლ გავახილე თვალები.

— ცუდად ხარ?

— არა! — ყვირილს უფრო ჰგავდა ჩემი პასუხი.

ალბათ მიხვდა, რაც მჭირდა. ეშმაკურად ჩაიღიმა, წამოდგა, პირსახოცი წელზე შემოიხვია და სააბაზანოში შებრუნდა. კვლავ აჩხრიალდა ონკანში წყალი. მალევე შემობრუნდა, მომიახლოვდა, სველი თითები ჩემკენ გამოიქნია და წყლის წვეთები პირდაპირ თვალებში შემომაშხეფა.

მსუბუქად შევკივლე.

— კარგია... ხომ გამოცოცხლდი? იცი, რომელი საათია? ცხრა ხდება, ადგომის დროა.

— მართლა?! ღმერთო, რა დრო გასულა!

— დღეს კვირაა, არ მუშაობ, — დამამშვიდა.

ო! კიდევ კარგი. თუმცა რა, ვინ რას მეტყოდა, როცა მთავარი „მთქმელი“ სახლში მყავდა.

— ადე, რა, ვჭამოთ, თორემ გამიხმა კუჭი. სუფრა გაშლილია, ყბების გაქნევის მეტი არაფერი დაგვრჩენია, — თქვა, საბანი გადამხადა და უცებ უკანალზე ურცხვად დამიტყაპუნა ხელი.

ავილეწე... საშინლად შეურაცხყოფილად ვიგრძენი თავი. საბანს ხელი ვტაცე და კვლავ გადავიფარე. ჩემი რეაქცია შეუმჩნეველი არ დარჩენია, არც ჩემი სახის გამომეტყველება.

— მეორედ ასეთი რამ არ გაბედო! — ცივად ვთქვი.

— რა „ასეთი რამ“, რაზე მეუბნები? — თავი გაისულელა.

— მე შენი კახპა არა ვარ! — განვუმარტე.

— აჰაა... აი, თურმე რაში ყოფილა საქმე. მაპატიეთ, პრინცესა, ბოდიში მომიხდია. ეს აღარ განმეორდება, — სიცილით მითხრა და ზედ გადმომემხო, — მე ახლა უარესს გავაკეთებ!

— არ მომეკარო! არ მომეკარო! — შეშლილივით მოვრთე ყვირილი.

— დაწყნარდი, გთხოვ... შენი წყენინება არ მინდოდა. აჰა, ვდგები... წყნარად, მშვიდად, კარგი? — ხელებაწეული ადგა, საწოლს მეორე მხრიდან მოუარა და ჩაცმას შეუდგა.

ისე გემრიელად ილუკმებოდა, თითქოს ქუჩის მაწანწალასავით დამშეული ყოფილიყო...

— რატომ არაფერს ჭამ? — ლუკმით პირგამოტენილმა ძლივს დაილაპარაკა.

— არ შემიძლია, — ჩუმად ვთქვი, — როცა ვნერვიულობ, ვერაფერს ვჭამ.

— ნერვიულობ? — უცებ გააჩერა ყბები, — რატომ? მოხდა რამე?

ისე გულუბრყვილოდ მეკითხებოდა, შემრცხვა, ამეხსნა მისთვის, რასაც განვიცდიდი. არც ის მინდოდა, სოფლე-

ლივით გამომსვლოდა, ვერც ამას გამიგებდა, ამიტომ მხოლოდ მხრები ავიჩეჩე.

— აუჰ! — უეცრად თავზე შემოირტყა ხელი, — პრეზერვატივი არ გამომიყენებია.

— ვიცი... — მშვიდად მივუგე, — შევამჩნიე.

— და ასე მშვიდად ხარ? მეგონა, ეს განერვიულებდა, — დამეჯღანა.

— არც შენ ჩანხარ მაინცდამაინც შეშინებული... რაც მთავარია, შენი ხომ მიიღე.

— რას ნიშნავს, ჩემი მივიღე? — კოპები შეკრა და ჭამა შეწყვიტა.

— ყოველთვის აღწევ ხოლმე შენსას? ყოველთვის იღებ იმას, რაც გინდა? — მისი კოპები არად ჩავაგდე და გავაგრძელე.

— არა, — გაჭიანურებული ღიმილით ამოთქვა, — არის ისეთი რაღაცებიც, რისი ყიდვაც არ შეიძლება.

— სიყვარულს გულისხმობ? — სხეული დამეჭიმა.

— არა. სიყვარულის ყიდვა შემიძლია, ლოლა.

— არა, არ შეგიძლია! — მაგიდას დავეყრდენი და წამოვიწიე, — შენ შეგიძლია სექსი იყიდო, მაგრამ არა სიყვარული.

— მართალი ხარ... მაგრამ მე სიყვარულს არ ვეძებ და არც სექსში ვიხდი ფულს... ისიც უფასოდ შემიძლია მივიღო.

„სიყვარულს არ ვეძებო?! როგორც ჩანს, გამართლდა ჩემი ვარაუდი! თავისი მიიღო და მორჩა!“

— ო! ამაში დარწმუნებული ვარ! — გესლიანად ჩავიცინე.

— ლო, არ მეტყვი, რატომ ხარ ასეთი აგრესიული? შეგიძლია, ამიხსნა?

„იმიტომ, რომ მინდა, შენც ისე გიყვარდე, როგორც მე მიყვარხარ!“

— არ ვიცი, — სევდით „გაიტენა“ ჩემი ხმა.

— გეშინია, რომ ამით ყველაფერი დამთავრდება? რომ შენთან აღარ მოვალ? ასეა?

— ჰო, — ცოტაოდენი ყოყმანის შემდეგ ვუპასუხე და თვალები ცრემლმა დამიბინდა.

— მე შენ არასდროს მიგატოვებ... გპირდები... და, სხვათა შორის, ამისთვის სულაც არ მოვსულვარ წუხელ შენთან, ყველაფერი სპონტანურად მოხდა. მე სულ სხვა საქმე მქონდა.

— რა საქმე? — ანერვიულებულმა გაურეცხავ პომიდორს დავტაცე ხელი და ჩავკბიჩე. ვერ მოვზომე მისი სირბილე, ზედმეტად მომივიდა კბილების დაჭერა. მოულოდნელად იგი ხელში ჩამეჭყლიტა და ცხვირსა და ტანსაცმელზე შემომეწუწა...

— თხუპნია! — შესძახა ნიკამ და ჩაბჟირდა. მე კი სულაც არ მეცინებოდა.

უეცრად დაიგრგვინა. ფანჯარაში გავიხედე. ისე მოქუფრულიყო, თითქოს გვიანი საღამო ყოფილიყო. მერე იელვა, იჭექა, იქუხა.

— მალე დაუშვებს, — შენიშნა ნიკამ.

— რისთვის მოვედიო, რას მეუბნებოდი? — რატომღაც, ოფიციალურად გამომივიდა.

— გეტყვი... ვიტალი რომ გავუშვი, ალბათ იცი, — ხელსახოცით პირი მოიწმინდა და შემომხედა.



— კი, ვიცი.

— შემცვლელს რომ ვეძებ, ისიც ხომ იცი?

— ეგეც ვიცი.

— ჰოდა, შენ მინდა მის ადგილას დაგნიშნო... რას იტყვი?

იმდენად მოულოდნელი აღმოჩნდა შემოთავაზება, რომ პირის მაგივრად, თვალები „დავაღე“.

— რა იყო, რა „თვალები ცქვიტე“, არ ელოდი? ორი დღეა, ამაზე ვფიქრობ და, მგონი, არ ვცდები, — კმაყოფილი იერით ჩამიკრა თვალი.

— მე... მე... — ავლუღლუღდი.

— ვიცი, რაც უნდა მითხრა... რომ გამოცდილება არ გაქვს; რომ არ იცი, შეძლებ თუ არა; რომ შენთვის მოულოდნელი იყო ჩემი წინადადება და ასე შემდეგ. ყველაფერი კარგად იქნება, დამიჯერე. მთავარია, მომენდო, ყველაფერს აგიხსნი, გასწავლი, გვერდით დაგიდგები. გასაგებია?

გაოგნებული ხმას ვერ ვიღებდი, მხოლოდ თვალებს ვაფახულებდი. რა დამსახურებისთვის? ნიკუშამ ხომ არ სთხოვა? თუ მართლა ვუყვარვარ და იმიტომ გადაწყვიტა ასე? სხვებმა თუ იციან? თანამშრომლები როგორ შეხვდებიან მის გადაწყვეტილებას? მარიკა? მარიკას რა ვუთხრა? განა, მას არ ვუბიძგებდი ამ თანამდებობისკენ? ათასმა კითხვამ შემომიტია.

— აბა? რას იტყვი?

— არ ვიცი, ნიკა... ძალიან დამაბნიე.

— მე შენნაირი მენეჯერი მჭირდება, გესმის? ჭკვიანი, განათლებული, ლამაზი, სქმიანი, უცხო ენების მცოდნე... უკეთესს ვის ვიპოვი? რაღა სხვაგან ვეძებო? თან გენდობი. ეს კი ძალიან ბევრს ნიშნავს, იმიტომ, რომ იშვიათად ვენდობი ადამიანებს, განსაკუთრებით ქალებს.

— მაგას ვხვდები.

— ჰოდა, ხვალამდე კარგად მოიფიქრე. უარს არ მივიღებ, იცოდე, ამიტომ, კი არ მოიფიქრო, შეეგუე ამ აზრს. ახლა წავალ და მარტო დაგტოვებ საკუთარ ფიქრებთან, რომ ბოლომდე გააანალიზო, რაც გითხარი. თუმცა ამაღამ დავბრუნდები და დაწყებული გავაგრძელოთ. იქნებ საბოლოოდ დარწმუნდე იმაში, რომ შენს მიტოვებას არ ვაპირებ.

მოვიდა და მაკოცა, მსუბუქად, ვნებიანად...

— ჰო, კიდევ ერთი რამ. ეს ჩემი ტელეფონის ნომრებია. შეგიძლია, ნებისმიერ დროს დამირეკო. ოღონდ როცა სამსახურში ვიქნებით, არავინ უნდა შეგვატყოს, ჩვენ შორის რაც ხდება. გესმის ალბათ, რისი თქმაც მინდა, ხომ? არ მინდა, ვინმე ზედმეტად ვალაპარაკო, — ორ თითს შუა გარჭობილი სავიზიტო ბარათი მაგიდაზე დააგდო.

მესმოდა, თანაც ძალიან კარგად...

როცა ნიკა წავიდა, კვლავ ლოგინში შევწექი, საბანში გავეხვიე და ჩემს სხეულს მივუგდე ყური. იგი ბედნიერი იყო, სრულიად ბედნიერი... და უნდოდა, ასეთი ბედნიერი ყოფილიყო ხვალაც, ზეგაც... ყოველდღე...

მერე დიდხანს ვიძინე. წვიმის წვეთების წკაპუნმა გამომაღვიძა. კოკისპირულად უშენდა, აღარაფერი ჩანდა გარეთ, არემარე მხოლოდ წვიმის ფარდაში იყო გახვეული. ღიღინით გავედი სამზარეულოში და სადილის მომზადებას შევუდექი. თან ვსაქმიანობდი, თან ვფანტაზიორობდი, როგორ მოვიდოდა გაწუწული, მე კი მოსიყვარულე ცოლივით როგორ მოვეფერებოდი და ვაბანავებდი გათოშილს, მერე კი ცხელ სადილს ვაჭმევდი. თან ხმამაღლა ვლაპარაკობდი, თითქოს ნიკა იქვე იყო, ახლოს და...

ერთი სიტყვით, მსახიობივით რეპეტიციას გავდიოდი, როლს ვიზეპირებდი ჩემსას...

როცა საქმეს მოვრჩი, კომპიუტერთან დავჯექი და მოლოდინად ვიქეცი... ბოლოს ესეც მომბეზრდა და წამოვწექი... ძალიან რომ დააგვიანა, რეკვა ავტეხე. ხან ერთ ნომერზე ვრეკავდი, ხან — მეორეზე. მობილურს არ იღებდა, სახლის ნომერზე ქალმა მიპასუხა, შინ არ არისო, სამსახურის ნომერზე ავტომოპასუხე იყო ჩართული... გახდა თორმეტი საათი... ორის ნახევარი... ორი... სამის ნახევარი... სამი... ოთხის ნახევარი... არ მოვიდა... იმ ღამეს ნიკა აღარ მოვიდა...

*გაგრძელება შემდეგ ნომერში*

# ბედნიერების იმიტაცია

მარი ჯაფარიძე

დილის გრილმა ჰაერმა ოთახი ერთბაშად გაავსო. ღია ფანჯარაში ისე შემოიჭრა, რომ ელენე საგონებელშიც კი ჩააგდო. „აი, ზუსტად ასეთი მამაკაცი მჭირდება, — გაიფიქრა ქალმა, — ძლიერი, თავდაჯერებული, სუფთა და მოულოდნელობებით სავსე“. იმედი, რომ ოდესმე თავისი ოცნების მამაკაცს შეხვდებოდა, დიდი ხნის წინათ დაკარგა. ისეთიც კი არავინ გამოჩენილა მის ცხოვრებაში, გონებაში წარმოდგენილ იდეალთან ოდნავ მიახლოებულიც რომ ყოფილიყო. არადა, უკვე 34 წლისაა და უკან ჩამოიტოვა იმ მამაკაცთან ცხოვრების 5 წელი, რომელმაც იმედი გაუცრუა, ცხოვრება დაუნგრია და ისეთ დეპრესიაში ჩააგდო, რომ მდგომარეობიდან გამოსვლას მთელი 2 წელი მოანდომა. ამას ხანმოკლე, მსუბუქი რომანები მოჰყვა, რომლებიც სულ 2-3 კვირა გრძელდებოდა. მის ცხოვრებაში მამაკაცი მხოლოდ ბუტაფორიის როლს ასრულებდა, მაგრამ რადგან მარტოობის ეშინოდა, მაინც ცდილობდა, სასურველი კანდიდატი მოეძებნა და მის გვერდით ყოფილიყო.

ხანდახან თავს ეტყოდა ხოლმე, რომ მარტოობა არც ისე საშიში იყო, რადგან ცხოვრებას მალე ააწყობდა, კარგ სამსახურს იშოვიდა, დიდი ხელფასი ექნებოდა და გარკვეულწილად, უმამაკაცობის კომპენსირებას მოახდენდა, მაგრამ ისიც იცოდა, რომ ეს კომპენსაცია მხოლოდ მატერიალურ მხარეს მოიცავდა. ამჟამად საბერძნეთში წასული დედის იმედად იყო. თვითონაც, ხანდახან საქმე გამოუჩნდებოდა, რაიმე პროექტს დაუკვეთდნენ და სიამოვნებით ეფლობოდა ხოლმე საქმეში, მაგრამ ეს ძალზე იშვიათად ხდებოდა. სულიერად მუდმივად შფოთავდა და სულ ძიებაში იყო. ელენემ ყოველთვის იცოდა, რა სურდა, მიზანი, რომლისთვისაც უნდა მიეღწია, ყოველთვის მკვეთრად ჰქონდა განსაზღვრული და ჯიუტად მიიწევდა წინ, მაგრამ მცირედი დაბრკოლებისთანავე ფარ-ხმალს ყრიდა. გამუდმებით ფულის უკმარისობას განიცდიდა, მაგრამ ამის გამო არ წუხდა... იცოდა, ყოველთვის შეეძლო, მეგობრებისგან ესესხა საჭირო თანხა და არც დაბრუნება გაუჭირდებოდა. სულ სხვა იყო მამაკაცის ყურადღებისა და მზრუნველობის დეფიციტი. ამას მწვავედ განიცდიდა და მისი საფიქრალიც ეს იყო. იქნებ სწორედ ამიტომ დათანხმდა ურთიერთობაზე იმ მამაკაცს, რომელიც მის ცხოვრებაში გამოჩნდა და მეგობრებს, ნაცნობებსა და ოჯახის წევრებსაც კი გულდაგულ უმალავდა. მას ხომ ცოლი და 2 ზრდასრული გოგონა ჰყავს? მაგრამ მასთან თავს ძალიან კარგად გრძნობდა და სულერთი იყო, ვინ იდგა მისი საყვარელი მამაკაცის ზურგს უკან. ის უსიტყვოდაც უგებდა, თავდაჯერებულობასა და ცხოვრების ხალისს მატებდა და გრძნობდა, რომ გაგიჟებით უყვარდა კიდეც.

— ალო, ნი, სამსახურში ხარ? — მთქნარებით ჩასძახა ტელეფონის ყურმილში. — შეგიძლია, გათავისუფლდე?

— მხოლოდ შუადღის შემდეგ, რადგან ძალიან ბევრი საქმე მაქვს, — საქმიანი ტონით უპასუხა ნინომ.

— ასეც ვიცოდი, შენ ჩემთვის ვერასოდეს იცლი, — ნაწყენი ხმა ჰქონდა ქალს.

— კარგი, რა, ხომ იცი, როგორ მიყვარხარ, მაგრამ სამსახურს რა ვუყო?

— გასაგებია, — უკვე მშვიდი და აუღელვებელი ხმით უთხრა მეგობარს, — მაშინ შესვენების დროს მაინც გამოდი, 1 საათით.

— შესვენების დროს შეიძლება, — შვებით ამოისუნთქა ნინომ, რადგან არ უნდოდა მეგობრის წყენინება.

— პირველ საათზე ჩვენს კაფესთან გელოდები.

— კარგი, დროებით.

ყავის, გემრიელი საჭმელებისა და ტკბილეულის სუნმა ელენეს ცხვირში სასიამოვნოდ შეუღიტინა. ნინო ჯერ არ ჩანდა. როგორც ყოველთვის, აგვიანებდა, თუმცა თვითონ ლოდინს ვერ იტანდა. ახალგაზრდა მიმტანმა გოგონამ მენიუ მიაწოდა.

— ჯერჯერობით ყავა მომიტანე, „ესპრესო“, დანარჩენს მერე შეგიკვეთთ, — მაგიდაზე დადებული მენიუ ხელით განზე გასწია.

— ნამცხვარსაც ინებებთ? — დაინტერესდა მიმტანი.

— არა, არა, — რაღაცნაირი, კატეგორიული ტონით უპასუხა ელენემ, — მხოლოდ ყავა!

ტკბილეულს არ ეტანებოდა. ცოტა ხნის წინ კი დიეტაზე დაჯდა და თითოეულ კალორიას ითვლიდა. 2 კვირაში 3 კილო დაიკლო და ამით ძალიან ამაყობდა. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც „მან“ უთხრა, რომ ელენეს მოხდენილობითა და „ახალი“ აღნაგობით მოიხიბლა. ახლა კი წონის დაკლება ლამის მანიად გადაექცა.

— გამარჯობა, მაპატიე, ცოტა დამაგვიანდა, — ნინომ ლოყაზე აკოცა, — შეფმა შემაფერხა, — ქურთუკს გზადაგზა იხდიდა და თან ყავის შეკვეთა მისცა.

— არა უშავს, მივეჩვიე უკვე, — ირონია გაურია ნათქვამში.

— კარგი, რა, — ტუჩები დაბერა ნინომ.

მოულოდნელად, ჩანთას დასწვდა და იქიდან ახალი მობილური ამოაძვრინა.

— ნახე, სამსახურში მომცეს, — წაიტრაბახა ცოტა, — მთლად „სუპერი“ არაა, მაგრამ მაგარია და თანაც, ყოველთვე 200 ლარის სალაპარაკო ლიმიტს მაძლევენ. მეყოფა.

— ლამაზია, — ელენემ ტელეფონი გამოართვა და შეათვალიერა. თან კლავიატურაზე თითები ააწკაპუნა.

— კარგი შეფი გყოლიათ, თანამშრომლებზე თუ ზრუნავს.

— კი, მაგარი შეფი მყავს. ნახევარი წელია, ვეხვეწებოდი, ლიმიტი მოეცა. სამსახურის საქმეზე საკუთარ ფულს ვხარჯავდი! — აღფრთოვანებულმა თქვა.

— მერე რა, საკუთარი შემოსავალი ხომ სტაბილურად გაქვს და არც ისე ცოტა.

ელენემ ეს სიტყვები ისე თქვა, თითქოს ცხოვრებაზე განაწყენებული იყო.

— ელენე, შენ სტაბილური შემოსავალი კი არა, ცხოვრებაც კი არ გაქვს, — რაღაცნაირად, დაუნდობლად მიახალა მეგობარს, — გარდა იმისა, რომ ღვთის წინაშე სცოდავ, საკუთარ თავსაც ზიანს აყენებ. არ მოგბეზრდა საყვარლის როლში ყოფნა?

ნინომ ძველებურად საყვედურებით დაიწყო... ის კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა ელენესა და ზაზას ურთიერთობას, რადგან მიაჩნდა, რომ სხვისი ოჯახის დანგრევა დიდი ცოდვა იყო. თუმცა, ზაზა ოჯახის მიტოვებას არც აპირებდა — ელენეს სიყვარულს ეფიცებოდა, ვნებიანად კოცნიდა, ჰპირდებოდა, რომ არასოდეს მიატოვებდა და ცხოვრების ბოლომდე მის გვერდით იქნებოდა. შემდეგ კი ორმაგ ცხოვრებას განაგრძობდა.

— მართალი არ ვარ? — განაგრძობდა ნინო. — ხომ შემპირდი, რომ დაშორდებოდი? ბოლოს და ბოლოს, გაიგე, რომ ყოველი შეხვედრის დროს, როცა, გეხება, გკოცნის და გეალერსება, შენზე მორალურ ძალადობას ეწევა. რაღაც სისულელეებს გპირდება და ისევ ცოლთან ბრუნდება.

— კარგი, გეყოფა! — გაბრაზდა ელენე. — მე გვერდით ნორმალური მამაკაცი მჭირდება, ძლიერი და ყურადღებიანი. მე მასთან თავს ბედნიერად ვგრძნობ და შენი დარიგებების მოსმენას არ ვაპირებ! მე სიყვარული და ალერსი მჭირდება!

— რომელსაც იპარავ, — ნინომ ნათქვამში სარკაზმი გაურია, შემდეგ ტონი შეარბილა და დაამატა: — ვიდრე შენ თვითონ არ მიხვალ გარკვეულ ზღვრამდე, მანამდე ჩემი ლაპარაკი წყლის ნაყვაა და მეტი არაფერი. 2 დღის წინ მშვენიერი სამსახური შემოგთავაზე, შენ კი უარი მითხარი იმის გამო, რომ თავისუფალი დრო არ დაგრჩებოდა, იმ შენს ცოლიან საყვარელთან შესახვედრად.

ელენეს გუნება გაუფუჭდა... ნინოს დაემშვიდობა და საქმიან შეხვედრაზე გაემართა. საღამოს შინ დაღლილი დაბრუნდა, ფეხსაცმელი დერეფანშივე მიყარა და დივანზე დაეხეთქა. განძრევის არც სურვილი ჰქონდა, არც — ძალა. მაგრამ ტელეფონის ზარმა უცებ

გამოაფხიზლა და დაღლილობაც დაავიწყა.

— სახლში გავაფრთხილე, რომ 2 დღით ქალაქიდან საქმეზე გავდივარ... მოემზადე, წინ სიყვარულის 2 დღე და ღამე გველის... — აუწყა მამაკაცმა.

ორმა დღემ უცებ გაირბინა და განშორების დროც მოვიდა.

— სიხარულო, უნდა გავიქცე, — ჩასჩურჩულა მამაკაცმა, — არ ადგე, ჯერ ძალიან ადრეა, გაცილება არ მინდა. საღამოს დაგირეკავ, მიყვარხარ...

ელენეს გონებაში ნინოს სიტყვები ამოუტივტივდა: „ხომ შემპირდი, რომ დაშორდებოდი? ბოლოს და ბოლოს, გაიგე, რომ ყოველი შეხვედრის დროს, როცა, გეხება, გკოცნის და გეალერსება, შენზე მორალურ ძალადობას ეწევა. რაღაც სისულელეებს გპირდება და ისევ ცოლთან ბრუნდება"...

ამის გახსენებაზე ელენეს ზიზღისგან ტუჩის კუთხე აეწია, რაც ზაზას შეუმჩნეველი არ დარჩენია, მაგრამ ქალმა დასმულ კითხვებს თავი აარიდა და საწოლიდან წამოდგა, რომ მამაკაცი გაეცილებინა.

რაღაც ძალა აიძულებდა, ცხოვრების შეცვლაზე ეფიქრა. უეცრად, ნინოს მიერ შეთავაზებული სამსახური გაახსენდა. საჭირო ნომერი მოძებნა და ტელეფონს დასწვდა.

ქალის სასიამოვნო ხმამ აუწყა, რომ შეფი მის მიღებას პირველი საათისთვის შეძლებდა.

ყურმილი დაკიდა თუ არა, მაშინვე მზადებას შეუდგა. დრო ნელა გადიოდა, მაგრამ ხელი ვერაფერს მოჰკიდა — სარკის წინ ტრიალებდა, კაბებსა და აქსესუარებს იცვლიდა, თითქმის ყველაფერი მოისინჯა, რაც კი გარდერობში ჰქონდა. ბოლოს წითელ, გულამოჭრილ, სწორ კაბაზე შეაჩერა არჩევანი. ამასობაში 12 საათიც დადგა, ელენემ ჩანთას ხელი წამოავლო და კარი გაიხურა.

მისაღებში ახალგაზრდა გოგონამ შესცინა.

— ცოტა ხანს მოიცადეთ, მოვახსენებ, რომ მოხვედით, — წამოდგა და კაბინეტში შეფთან შევიდა.

რამდენიმე წუთის შემდეგ ელენე იქიდან იხმეს.

მაგიდის თავში მჯდომი მამაკაცი წამოდგა და ხელი გაუწოდა.

— ელენე, — მარჯვენა შეაგება ქალმა.

— სასიამოვნოა, ელენე, — მამაკაცმა თითები ოდნავ იმაზე მეტად მოუჭირა, ვიდრე საჭიროა ხელის ჩამორთმევისას.

ელენეს შეფი დანახვისთანავე მოეწონა და თავიდან ფეხამდე შეათვალიერა.

„იქნებ ზაზას დასჯა მინდა და ეს მამაკაცი იმიტომ მომეწონა?" — გაიფიქრა უნებურად.

ნინო გაოცებული დარჩა, როდესაც კაფეში ელენეზე ადრე მივიდა და კარგა ხანს მოუწია ლოდინმა — მას ხომ დაგვიანება არ სჩვეოდა და შეხვედრაზე ყოველთვის დროზე მიდიოდა. როგორც იქნა, გამოჩნდა ბედნიერებისგან სახეგაბრწყინებული. კიდევ უფრო მეტად გაოცდა, როდესაც მეგობარმა თავისი წარმატებების შესახებ უამბო და აღნიშნა, რომ სამსახური ძალიან მოსწონდა. ელენე ხომ ერთ ადგილზე დიდხანს ვერ ჩერდებოდა. ახლა კი უკვე 6 თვე იყო გასული, მას კი ჯერ მორიგი სამსახურის ძებნაზე არც უფიქრია. ისიც გაუმხილა, რომ 2 თვის წინ, ნინოს მეგობარმა სოსომ, რომელიც მისი შეფი გახლდათ, სიყვარული აუხსნა და მალე ისინი დაქორწინებასაც აპირებდნენ.

— შენმა „ყოფილმა" როგორ გადაიტანა ეს ამბავი? — ინტერესით ჰკითხა მეგობარს.

— დარწმუნდა, რომ ბედნიერი ვარ და მითხრა, რომ ჩემი შურს.

ელენემ მეგობარს დაუმალა, რომ ზაზა ევედრებოდა, არ დაშორებოდა, ჰპირდებოდა, რომ ცოლს გაშორდებოდა და მასზე იქორწინებდა, მაგრამ ქალმა ცივი უარით გაისტუმრა.

— ბედნიერი ხარ?

— მეგონა, ზაზას გვერდით ბედნიერი ვიყავი, მაგრამ ეს მხოლოდ ბედნიერების იმიტაცია აღმოჩნდა. ახლა მივხვდი, რას ნიშნავს ნამდვილი სიყვარული და ბედნიერება, — ელენემ მეოცნებე ქალის თვალებით გახედა ქუჩას და ხმამაღლა გადაიკისკისა.

■



# გზავნილები

*მარი ჯაფარიძე*

ყველას მოგესალმებით. არ ვიცი, შეიძლება თუ არა, „გზავნილებს“ მოვლენა ვუწოდო, მაგრამ ფაქტია, რომ მან მთელი ჩემი ცხოვრება მართლაც შეცვალა. ხანდახან მართლა სასიამოვნოა (საამაყოც), რომ ამდენ ადამიანს უყვარხარ და შორიდან გეფერება, მათ მიერ ნათქვამი, სითბოთი სავსე სიტყვები ხშირად სწორედ ისეთ დროს „მოგისწრებს“, როცა ყველაზე მეტად გჭირდება, მაგრამ... ხანდახან საკუთარ პრობლემებში გართულს ისე გულისგამაწყალებლად გეჩვენება უდროოდ აწკრიალებული ტელეფონის ზარი, რომ თავბედსაც კი იწყევლი (მიხვდებიან, ვისაც ვგულისხმობ). მოკლედ, ასეა თუ ისე, თქვენ გარეშე ცხოვრება მაინც წარმოუდგენლად მიმაჩნია და მახალისებთ კიდეც... აბა, მისტერის გაბრაზებული ტექსტი თუ არ მივიღე, ქაჯების დედოფლის მხიარული, წყევლას აღშფოთებული, ულიბკას შინაარსიანი, ქალბატონი ნანის სითბოთი სავსე, SWEET-ის ირონიულ-თვითკრიტიკული მესიჯები თუ არ წავიკითხე, ის კვირა რა კვირაა? ჰოდა, მომწერეთ, მეც წავიკითხავ და „სოფელიც“ აშენდება. თანაც, თუ გვერდით მდგომი გიყვარს, ხომ იცით, უფრო ლამაზ სოფელს ააშენებ. ჰოდა, ახლა „სოფლის მშენებლების“ მესიჯებს გავეცნოთ. მე მგონი, ამ კვირაში არც ისე ცუდად გაისარჯეთ.



## მფარველი ანგელოზი

„მინდა მოგიყვეთ, რაც ჩავიდინე და მინდა, რომ ხალხმა წაიკითხოს. თავს ცუდად და საშინელ ქალად ვგრძნობ. მე ვარ ირიშკა, 29 წლის, მყავს მეუღლე და 2 შვილი. მეთორმეტე წელია, გათხოვილი ვარ. ბედნიერი ოჯახი მქონდა და ჯერჯერობით მაქვს. ქმარი ძალიან მიყვარს. წლევანდელი წელი ჩემთვის დაწყევლილი აღმოჩნდა. იანვრიდან დაინგრა ჩემი ცხოვრება. ჩვენთან ოჯახში მეუღლის მეგობარი დადიოდა. დიდი ხანია, ერთმანეთს ვიცნობთ. არასოდეს შეგვიხედავს ერთმანეთისთვის „სხვანაირად“. ასე გადიოდა წლები. წელს მოუხშირა ჩვენთან სიარულს. მოხდა ისე, რომ მთლად ჩემს მხსნელად იქცა: მაშინ მატერიალურად გვიჭირდა და მეუღლესთანაც დაძაბული ურთიერთობა მქონდა, ის კი მფარველი ანგელოზივით მედგა გვერდით. მეგობრებად ვიქეცით და ასე გადიოდა თვეები. ვგრძნობდი, რაღაც არ იყო ისე, მაგრამ იმის წარმოდგენაც მიჭირდა, რომ მას ჩემ მიმართ „სხვა გრძნობა“ გაუჩნდებოდა. წელს, იანვრის თვეში დაიწყო რაღაც ბიზნესზე საუბარი. ცდილობდა, რაც შეიძლება მალე დაგვეწყო საქმე. ჩვენთან ერთად მეუღლის კიდევ ერთი ძმაკაცი იყო. მე და ბუშტი (მას მოფერებით ბუშტი შევარქვი) ძალიან დავუახლოვდით ერთმანეთს. თუმცა, არაფერს ბედავდა. ერთმანეთს მესიჯებს ვწერდით. მეუბნებოდა, მიყვარხარო. ისეთ სიგიჟეებს სჩადიოდა, რომ დავუჯერე და მეც შემიყვარდა. არც ქმარი მახსოვდა, არც შვილები. თავს მეცხრე ცაზე ვგრძნობდი. ჩვენ შორის სექსი არ იყო, ისე გვიყვარდა ერთმანეთი, მაგრამ ვაი, ამ სიყვარულს. მართალია, ურთიერთობას შიში ახლდა, მაგრამ თავს ყველაზე ბედნიერ ადამიანად ვგრძნობდი. ჩვენ შორის მხოლოდ შიში და გიჟური სიყვარული იყო. თვეები გადიოდა, ჩემში სითამამე და მასთან სიახლოვის სურვილი იმატებდა. ერთ დღეს კი ჩემს ბუშტთან მარტო დავრჩი და სექსიც გვქონდა. ყველაზე ბედნიერი ადამიანი ვიყავი მაშინ? თუ ყველაზე უბედური? ეს ახლა ვიცი. ერთმანეთს ვხვდებოდით და მაშინ თავს ბედნიერად ვგრძნობდი. რაც დრო გადიოდა, ის სიგიჟე და ვნება ცხრებოდა, რამაც ჭკუა დამაკარგვინა. ისე ლამაზად და ნელ-ნელა მშორდებოდა, რომ ვერც კი ვხვდებოდი.

# მოვლენა, რომელმაც მთელი ჩემი ცხოვრება შეცვალა

მერე მწარედ დამამცირა — საყვარელი გაიჩინა. მე გამაგიჟა, თავგზა ამირია და ბოლოს გამიმხილა, მე ისეთი ვარ, თუ რამე მინდა, მიზანს ყველა ხერხით ვაღწევო. ახლა ყველაზე უბედური ადამიანი ვარ და აღარ ვიცი, რა გზას დავადგე. ეს არის მოვლენა, რომელმაც ჩემი ცხოვრება ძირფესვიანად შეცვალა. ირიშკა“.

## ღმერთისგან გადარჩენილი და კაცისგან განწირული

„2008 წლის აგვისტოს დასაწყისი... მხიარული დღეები, ხალისითა და სიყვარულით სავსე. ყოველ საღამოს ძვირფასი ადამიანის ხმა ტელეფონში — „ნეტავ, როდის ჩამოვალ, რომ გნახო?“ ეს მისი ყველაზე დიდი სურვილი იყო, რომელიც სურვილად დარჩა. 8 აგვისტო გათენდა, ომი დაიწყო და ის სამშობლოს დასაცავად წავიდა. როგორც ყველა ღირსეული ვაჟკაცი, ისიც თავდადებით იბრძოდა. არა, გაცილებით მეტად, ალბათ. მას ხომ არა მხოლოდ საკუთარ, არამედ ბრძოლის ველზე ათობით დაჭრილი თანამშრომლის სიცოცხლეზე უნდა ეზრუნა. საკუთარი ხელით გამოჰყავდა ტყიდან დაჭრილები. ის ბრძოლის ველზე იყო, მე კი მხოლოდ ლოცვით შემეძლო დახმარება. სასოწარკვეთილების გრძნობას არ შევუპყრივარ, მწამდა, რომ ის აუცილებლად გადარჩებოდა, ყველაფერს გაუძლებდა და გაუძლო კიდეც. როგორი ბედნიერი ვიყავი იმ დროს... ახლაც ჩამესმის მისი სიტყვები — „თქვენ იყავით კარგად, მე რა მომერევა?!“ ომი დამთავრდა, სასწაული მოხდა და ტყვიების წვიმას გადაურჩა, მრავალი თანამებრძოლის სიცოცხლეც იხსნა. მტერს გადაურჩა, უფალმა დაინდო, მაგრამ ჩვეულებრივმა მოკვდავმა წაართვა სიცოცხლე, ჩვენ კი — მისი თავი. არადა, რამდენი განუხორციელებელი ოცნება დარჩა, რამდენი — „ნეტავ“... ბევრი ცრემლი დაიღვარა, კიდევ ბევრი დაიღვრება, მაგრამ მის გარეშე... ვიცი, რომ ის აღარასდროს შემოაღებს კარს და აღარასდროს გაგვიღიმებს. ვეღარც მის ხალისიან ხმას გავიგონებთ: „მენატრებით“ და ცხოვრებაც აღარასდროს იქნება ისეთი ფერადი, როგორიც მის სიცოცხლეში იყო“.

## ღვთის სასწაული

„მინდა, ერთი ქალბატონის უბედნიერეს დღეზე გიამბოთ: თიანეთის რაიონში, სოფელ ბოჭორმაში მთის წვერზე მოჩანს ციხესიმაგრე, რომელსაც ბოჭორმის ციხეს ეძახიან. ეს არის რამდენიმე საუკუნის წინ აგებული კომპლექსი. გალავნის შიგნით საკმაოდ დიდი ტერიტორიაა, სადაც ხატობაზე საკლავს კლავენ. აქვეა ღვთისმშობლის პატარა ტაძარი. იმდენად მადლიანია ეს ადგილი, რომ სხვა სჯულის ადამიანს იქ შესვლა უძნელდება. უშვილო ოჯახები ხშირად აკვნებს სწირავენ, რომ შვილი გაუჩნდეთ. მოკლედ, სურვილს თუ ჩაუთქვამ და 3 წრეს მუხლისჩოქვით შემოუვლი, სურვილი აგისრულდება. ამდენი რამ იმიტომ გიამბეთ ამ ტაძრის შესახებ, რომ მიმხვდარიყავით ჩემ მიერ მოყოლილი ამბის შინაარსს. ერთი გაჭირვებული ოჯახის შვილი, ერთადერთი მარჩენალი ვაჟი დაიჭირეს. სასამართლომ 15 წელი მიუსაჯა უდანაშაულო ახალგაზრდას. სასოწარკვეთილმა დედამისმა ცრემლითა და მუხლისჩოქვით მიაღწია ბოჭორმის ციხეს. ლოცვის შემდეგ სახლში დაბრუნდა. მეტად რთული გამოსავლელი აღმოჩნდა უკანა გზა, ერთიანად გადატყავებულ-დაჟეჟილი მუხლებიდან სისხლი სდიოდა და ძალას ართმევდა, მაგრამ სახლში მისულს ისეთი სიურპრიზი ელოდა, ამას აღარ ინაღვლებდა. კარში ერთადერთი ვაჟი შეეგება: როგორ, რატომ ან რისთვის გამომიშვეს, არ ვიციო, ამბობდა ვაჟი. მხოლოდ დედამ იცოდა, რატომ იყო თავისუფალი მისი შვილი. ალბათ ეს ამბავი „სასწაულებში“ უნდა მომეყოლა, მაგრამ აქ დავწერე. SCARLET“.

## დასაჭერი

„გასული საუკუნის ერთ კვირა დილას დათამ დამირეკა, პასუხისმგებელი მორიგე ვარო და მასთან სამსახურში მისვლა მთხოვა. ორთაჭალაში მუშაობდა, პოლიციის საპატრულო ლეგიონში. მისი კაბინეტიდან ზონზროხა სერჟანტი გამოდიოდა და თან ნაჩქარევად ეუბნებოდა: „ეგრეა, რა, „პრავა“ არ აქვს, არც მანქანის საბუთი და არც ფული, ე.ი. ჩემი კლიენტი არაა და „შტრაფნოიზე“ თქვენ გადაიყვანეთ მანქანა“. კაბინეტში შესულს ტელეფონმომარჯვებული დათა და თოთხმეტიოდე წლის ბიჭი დამხვდა.

— შამო, შამო — მომაძახა — გაიცანი, შოთაა, მანქანას მართავს უსაბუთოდ და ახლა მამამისს ვურეკავ, რომ მოვიდეს... — და უკვე ტელეფონში განაგრძო საუბარი — დიახ, პოლიციიდან გაწუხებთ, თქვენი მანქანა... — ამ სიტყვებზე დათამ მოულოდნელად ყურმილი განზე გასწია და ოთახში მყოფებმა გარკვევით გავიგონეთ უკიდურესად აღგზნებული ყვირილი: ვაიმე, ჩემი მანქანა... ახლა გავხედე და არ დგას... გაიტაცეს... უკვე იპოვეთ, არა? ცხელ კვალზე, არა? თქვენ გენაცვალეთ... მისამართი მითხარით, სად მოვიდე... დათამ მისამართი უკარნახა, მაგრამ მეტი ვერაფრის თქმა ვერ მოასწრო, აბონენტმა ტელეფონი გათიშა. დათამ ხელები გაასავსავა და შოთას მიუბრუნდა:

— რას ერჩით ეს თინეიჯერები თქვენს მშობლებს, ვერ გამიგია... დაგიშავეს რამე?.. გადი, გადი ეგერ მეორე ოთახში და რამეთი გაერთე, ჟურნალებია, „დათა თუთაშხია“ დევს და ხაზგასმული ადგილები წაიკითხე. დაგიძახებ მე თვითონ.

დათამ შემომხედა და ჩაიცინა:

— ტყუილად არც მთხოვო, არაფერი გამოგივა, ეს პოლიციაა და არა შენი სამასხარაო არენა, — ამ სიტყვებით ჩაი დამისხა, ლამბაქზე შოკოლადები დამილაგა და კიდევ ერთხელ გამაფრთხილა, შენი ხმა არ გავიგოო.

ამასობაში, კაბინეტში დაუკითხავად შემოიჭრა ასე, ორმოცდაათს მიტანებული, სათვალიანი მამაკაცი, წესიერად მისალმებაც არ გვაცალა, პირდაპირ საქმეზე გადავიდა:

— მე ვარ, არტემ გიორგაძე, ჩემი მანქანის გატაცებას არაერთხელ ეცადნენ და რადგან გამტაცებელი ამჯერად დააკავეთ, მე ყველა ღონეს ვიხმარ, რომ ის იქ აღმოჩნდეს, „სადაც ჯერ არს“. თქვენთან დიდი ბოდიში, მაგრამ ფულის გაკეთებისა და მისი გაშვების საშუალებას არ მოგცემთ.

დათამ ჯერ მე გადმომხედა, მერე თვალები ჭერში პათეტიკურად აღაპყრო და სტუმარს მიმართა: — რა გაეწყობა, ბატონო არტიომ, აგერ, პროკურატურიდანაც ამ საქმით დაინტერესდნენ და მივცემთ პროცესუალურ მსვლელობას. დავიწყოთ თქვენი განცხადებით. ამას გარდა, ჩვენ ყველა საჭირო დოკუმენტაციას შევადგენთ, სადაც თქვენი, როგორც დაზარალებულის, ავტობიოგრაფია დაგვჭირდება, ხელმოწერიანად.

პროკურატურის წარმომადგენლობა შევიფერე და „დაზარალებულს“ მივმართე:

— მოგეხსენებათ, ეჭვმიტანილი არასრულწლოვანია და ხომ არ მიგვეცა შანსი ყმაწვილისთვის? ციხე ხშირ შემთხვევაში არათუ გამასწორებელი, არამედ ცხოვრების გამმრუდებელია.

ბატონი არტიომი ცივად მომიბრუნდა:

— თქვენ პროკურატურიდან ხართ, ბრალმდებელი ხართ თუ საადვოკატო ბიუროდან მოგავლინეს აქ, სახაზინო წესით? — ბოლო სიტყვებში ხაზგასმული ირონია იგრძნობოდა. მხრები ავიჩეჩე და დათას დაკავებულის საკანში გადაყვანა ვუბრძანე. იმანაც სელექტორის ღილაკს თითი დააჭირა. სამორიგეოდან უფროსმა მორიგემ, ძალიან საყვარელმა კაცმა უპასუხა, რომელსაც ბიჭებმა გულითადობისა და ავლაბრელობის გამო გულოიანი შეარქვეს. დათამ ჩემი განკარგულება გადასცა:

— ახლა დაკავებული ჩაიყვანეთ და 121-საც ჩამოგიტანთ. ამ დროს ბატონი არტიომი გულმოდგინედ აშანშალებდა განცხადებას და თან დათას კითხვებზეც პასუხობდა, რომელიც ახსნა-განმარტების ფორმას ავსებდა.

დერეფანში გამოვედი, ცოტა ხანში დათაც გამომყვა და სიცილით მითხრა:

— „პასტა“ და ფურცელი ვერ გავაგდებინე ხელიდან.

პატარა შოთა დავამშვიდეთ და დავარწმუნეთ, რომ მამამისისგან ნამდვილად არ გაილანძღებოდა, თუ დაგვიჯერებდა. შემდგომ მოვლენები სწრაფად განვითარდა, საბუთები აჭრელდა რეზოლუციებით და არტიომმაც ყველა საბუთზე პატიოსნად მოაწერა ხელი, მეტიც — ქსეროასლები მოითხოვა და გულდამშვიდებული გაემართა გასასვლელისკენ. ბუნებრივია, სამორიგეოც უნდა გაევლო და აქ დათამ სასხვათაშორისოდ ჰკითხა, ხომ არ ინებებდით დაკავებულის ნახვასო? დიდი სიამოვნებითო, გვიპასუხა და სამივენი სამორიგეოსკენ გავემართეთ, სადაც ჩვენც სიურპრიზი გველოდა. გულოიანი პირადად შემოგვეგება:

— „ოპოზნანიაზე“ მოდიხართ, არა? — უარის ნიშნად თავი გავაქნიეთ, თან თვალებით შოთას ვეძებდით, მაგრამ ნურას უკაცრავად, შოთა სამორიგეოში არ იყო.

— აბა, „ჟერტვას“ უნდა, „ნალიოტჩიკპრესტუპნიკი“ ნახოს? — ჩაიდუდღუნა გულოიანმა და მაგიდიდან გასაღებების მძიმე აცმა აიღო. ჯერ გისოსებიანი კარი გააღო აუჩქარებლად, ამ ღვთისპირიდანგავარნილმა, შემდეგ რკინის მასიური კარის სარკმელი გადმოსწია და შიგ შესძახა:

— „არესტანტ“ აშოტ, ხელები გამოყავი, „ბრასლეტები“ უნდა გაგიკეთო.

სიმართლე გითხრათ, ამ პროცედურამ, საკნის რკინის კარის ხმამ, ჩემზე დამთრგუნველად იმოქმედა, მაგრამ ხელებზე ბორკილებდადებული შოთას გამოჩენამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

— დამღუპეთ, თქვე ჩათლახებო? —

# „ანამ ცხოვრება საკუთარი ხელით დაიმახინჯა“

## „მშობლებს სიმართლე უნდა უთხრა“

**„გზის“ №42-ში დაიბეჭდა 17 წლის მარის მესიჯი, რომელიც გვწერდა, რომ განებივრებულ დაიკოს მამის ძმაკაცთან, ირაკლისთან მაშინ შეუსწრო, როცა ისინი ერთმანეთის ალერსით იყვნენ დაკავებულნი. „ერთ დღეს მშობლები ქორწილში მიდიოდნენ და ირაკლის სთხოვეს, ჩვენთან დარჩენილიყო. ჩემთან დაქალი მოვიდა და ბაღში გავედით სასეირნოდ, ირაკლი და ანა კი შინ დარჩნენ. როცა ჩემი დაქალი წავიდა, მე სახლში შევედი. ვინაიდან პირველ სართულზე არავინ დამხვდა, მეორეზე ავედი, სადაც ირაკლისა და ანას სწორედ იმ დროს შევუსწარი, როცა სექსი ჰქონდათ გაჩაღებული. ვერ წარმოიდგენთ, რა დამემართა... ანამ ისტერიკები მომიწყო, ბოლოს კი მკაცრად გამაფრთხილა: იცოდე, მამას არაფერი უთხრა, თორემ ირაკლის მოკლავსო. თქვენი აზრით, მშობლებს სიმართლე არ უნდა ვუთხრა?“**

*ლიკა ქაჯაია*



**ფაშისტა:**

„გეტყობა, ჭკვიანი და საღად მოაზროვნე გოგო ხარ, მაგრამ მშობლებს უნდა დაელაპარაკო. დამიჯერე, ირაკლი მამაშენს ოდნავ მაინც რომ სცემდეს პატივს, მის შვილთან სექსი არ ექნებოდა. თუ არ გინდა, შენი და იაფფასიანი მეძავი გამოვიდეს (აქამდე თითქმის არაფერი უკლია, რადგან ასეთ პატარა ასაკში მამისტოლა კაცებს „კერავს“), მშობლებს სიმართლე უთხარი და ისინი მოიყვანენ გონზე. მერწმუნე, შენი სიჩუმით „აქტიური“ ცხოვრების გაგრძელებაში უწყობ ხელს. ასე რომ, ოჯახის ღირსება შენს ხელშია და ის უნდა დაიცვა, გენაცვალე“.

**გრუზინკა:**

„სიმართლე გამოაშკარავდება, შენი და კი ისეთი დაუნდობელი ჩანს, რომ აუცილებლად გაგხვევს რაიმე შარში. მაგალითად, დაგაბრალებს, — მარი ხელს გვაფარებდაო. ამიტომ ჯობია, მამამ შენგან გაიგოს სიმართლე, ვიდრე სხვისგან“.

**აუტანელი:**

„შენმა „ესემესმა“ გამალიზიანა. რას ჰქვია, ირაკლის მოკლავს? შენს დას სასწრაფოდ დაელაპრაკე და თავად დაემუქრე: თუ წესიერად არ მოიქცევი, მშობლებს ყველაფერს ვეტყვი-თქო!“

**აურა:**

„დარწმუნებული ვარ, ის შენს დას ცოლად არ მოიყვანს, მასთან მხოლოდ ერთობა. მამას დაელაპარაკე, ანას ჭკუა დაარიგოს, ზედმეტად ნუ გაათამამებს. მერწმუნე, ამ „ესემესის“ გამოგზავნისთვის მშობლები მადლობას გეტყვიან. მიყვარხართ, საჭირო რჩევის ავტორებო“.

**ლოვჩიკა:**

„არ მესმის, რატომ ყოყმანობ? შენი და უსირცხვილოა და პასუხი უნდა აგოს იმის გამო, რაც ჩაიდინა. ბანალური ფრაზებით აღარ ვილაპარაკებ და პირდაპირ გეტყვი, მისი საქციელი ამაზრზენია! ანამ ცხოვრება საკუთარი ხელით დაიმახინჯა და ამას ვერც ხვდება. დარწმუნებული ვარ, ეგ ბიჭი ნახმარი ნივთივით მიაგდებს და ამის ღირსიც იქნება, მაგრამ თუ მშობლებს სიმართლეს ეტყვი, შენი სულელი დის მიმართ ცოტაოდენ პასუხისმგებლობას მაინც იგრძნობს“.

**სვანსკი:**

„მართლაც, რთულ სიტუაციაში ხარ. ჩემი აზრით, ჯერ შენს დას და ირაკლის უნდა დაელაპარაკო, ისინი უნდა აიძულო, მშობლებს სიმართლე უთხრან, წინააღმდეგ შემთხვევაში დაიმუქრე, — ყველაფერს თავად ვიტყვი-თქო. ვალდებული ხარ, მშობლებს სიმართლე შეატყობინო, რათა შემდეგში საკუთარ თავთანაც, დასთანაც და დედმამის წინაშეც მართალი იყო. წარმატებებს გისურვებ!“

**გადარეული:**

„შენს დას სექსისკენ მიდრეკილება ჰქონია და ეგ დედას მაინც უთხარი. ისე, წარმომიდგენია, რა იქნებოდა, როცა მათ შეუსწარი. კარი მაინც ვერ ჩაკეტეს? ძალადობა გამორიცხულია — ალბათ, შენს დას უფრო უნდოდა სექსი, ვიდრე იმ ბიჭს. ეჰ, რა ახალგაზრდობა მოდის, რა“.

**ქისუნია:**

„ჰო, ეგ ძალიან ცუდია და ვწუხვარ, რომ შენი და ასე შეცდა, მაგრამ იმხელა კაცს ტვინი სად ჰქონდა? სულ გაგიჟდა ეს ხალხი, რა! გირჩევ, მათ უთხრა, რომ ამ ამბის დამალვას აზრი არა აქვს! წარმატებები!“

**უცნობი:**

„შენს დას აუცილებლად დაელაპარაკე და უთხარი, რომ მშობლებს ყველაფერს ამცნობ. მსგავს სიტუაციაში ნამდვილი მამაკაცი შენს დას კაცურად ამოუდგებოდა მხარში, მშობლებს მის ხელს სთხოვდა... თუ კაცურად არ მოიქცევა, ღირსიც იქნება, რომ მამათქვენმა დასაჯოს. მერწმუნე, ასეთი ადამიანი არც მეგობრად ვარგა და არც შენს დას გამოადგება. თუ ანასთვის სიკეთე გინდა, ჩემი რჩევა გაითვალისწინე. დარწმუნებული ვარ, ურთიერთობას დიდხანს ვერ დამალავენ“.

**კუსა:**

„არ მესმის, რა დახმარებას ითხოვ, როცა თავად ანა არაფერზე ფიქრობს?! შენი და მაგარი საცემია, ის ბიჭი კი თქვენს ოჯახს პატივს არ სცემს. არ ვიცი, რა გირჩიო, ასეთ ამბებში ვერ ვერკვევი. რა თქმა უნდა, ჯობია, მამას სიმართლე უთხრა და მიხვდება, როგორი ძმაკაციც ჰყავს. აუ, ეს ხალხი გადამრევს, რა“.

**ბუსა:**

„ჩემო კარგო, მამას ყველაფერი უნდა უთხრა. არ იფიქრო იმაზე, რომ ამით დაიკოს გაანაწყენებ. მერწმუნე, რაღაც პერიოდის შემდეგ ამისთვის მადლობასაც კი გეტყვის. წარმატებები!“

**უცნობი:**

„ჩემი აზრით, მშობლებმა ყველაფერი მანამ უნდა გაიგონ, ვიდრე გვიანი არ არის, სანამ რაღაცის გამოსწორება კიდევ შეიძლება. ჯერ დაიკოს დაელაპარაკე და გაარკვიე, რა ურთიერთობა აქვს მამაშენის მეგობართან, მერე ირაკლისაც ჰკითხე, რას აპირებს და მათი პასუხებიდან გამომდინარე იმოქმედე. წარმატებებს გისურვებ!“

**ცქნაფა:**

„ამ სიტუაციაში არ ვიცი, რა გირჩიო. გოგო, რომელსაც 18 წლის ასაკში მამისტოლა კაცთან აქვს ურთიერთობა, უკვე გზასაა აცდენილი. მგონი, ჯობია, განზე გადგე, შენს დას გონზე მოსვლა აცადო. შეეცადე, მშობლებს თავად აუხსნა ყველაფერი და იქნებ გაუგონ კიდეც. არ მესმის, ასე როგორ უნდა დაეცე. მე 14 წლის ვარ და მგონი, ანაზე მეტი შეგნება მაქვს. ალბათ, შენ ადგილას გული გამისკდებოდა. მართლა ძლიერი ადამიანი ხარ, ასე გააგრძელე. „მიკალქალთ“, მგზავნელებო“.

**ლუნა:**

„საშინელი ამბავია. გული მწყდება, რომ ქართველი ხალხი სულმდაბლობას ხშირად სჩადის. არც კი ვიცი, რა ვთქვა, შენი დის საქციელით გაოგნებული ვარ. შეიძლება, ვილაცის მიმართ (თუნდაც ეს მამის მეგობარი იყოს) სიმპათია გაგიჩნდეს, მაგრამ ისე არ უნდა

დაეცე, რომ მასთან ფიზიკური კავშირი დაამყარო. ჰო, ვნება ოხერი რამაა, ისეთ რამეს გაგაკეთებინებს, რომ მერე საკუთარი თავის შეგრცხვება, მაგრამ ამ ვნებას უნდა მოერიო, ამან არ უნდა დაგაბრმაოს... მამას თუ არა, დედას მაინც უთხარი სიმართლე, თორემ ეგ ბიჭი ყველაფერზე წამსვლელია; მან მამაშენი არაკაცად ჩათვალა, შენს დას კი ცხოვრება დაუნგრია (ნუ, არ ვიცი, თავად ასე ფიქრობს თუ არა). შენს მშობელს უფლება აქვს, სიმართლე იცოდეს. ღმერთი გფარავდეს, გკოცნი“.

**ნატალი 37:**

„ირაკლი არაკაცია და მაგრად უნდა მიიჟეჟოს. რაც შეეხება ანას, ის ისეთი თავხედი ჩანს, ცხოვრებაში არ დაიკარგება. მგონი, არ ღირს, მშობლებმა მისი საქციელის შესახებ გაიგონ. ნუ დარდობ. გკოცნი“.

**მისტერ:**

„ანა გზას კი არა, უკვე ბორდიურსაც ასცდა. თუ არ გინდა, შენს დაბანილ (ან დაუბანელ) კისერზე ახალგაზრდა ბიჭის ცოდვა „დაიკიდო“, მამიკოს არაფერი უთხრა და ენა ჯერ კუჭში, შემდეგ მუცელში ჩაიგდე. P.S. მხოლოდ ეჭვიმტანილებს კი არა, შენც გაქვს დუმილის უფლება“.

**გოგონა გარეუბნიდან:**

„იცი, რჩევა როდის უნდა გეკითხა? ვიდრე საქმე სექსამდე მივიდოდა. ახლა უკვე გვიანია და ვერაფერს შეცვლი. ჰო, კიდევ, ისეთი რამ არ გააკეთო, რასაც მერე ინანებ და რაც შენს დას დააზარალებს. აბა, მის ადგილას წარმოიდგინე თავი. ზურგს ნუ შეაქცევ, მას შენი თანადგომა სჭირდება. იცოდე, უმიზეზოდ არაფერი იწყება და უშედეგოდაც არაფერი მთავრდება. ფაქტი სახეზეა“.

**თამუნა:**

„მამაშენის მეგობარს ანასთან სექსი არ უნდა ეკადრებინა. რთული ამბავია. იქნებ, ცოლად შეირთოს... ასეა, განებივრებული მამიკოს შვილები მშობლებს ათას საწუხარს უჩენენ! მამაშენს ეს ამბავი რომც უთხრა, არ დაიჯერებს, ამიტომაც ჯობია, ყველაფერი თავად მოაგვარონ“.

**რუისპირი** (YELLOW):

„შენი და ჩემ მიერ ჩამოყალიბებულ ორგანიზაცია „იდსქოს“ ოფიციალური წარმომადგენელია. 18 წლის გოგო, რომელსაც მამაკაცის მოფერება სწყურია და ამას მამის ძმაკაცთან, თანაც — საკუთარ სახლშივე გააკეთებს, მთლად ნორმალური არ უნდა იყოს. შენს ადგილას საკუთარ თავზე უფრო ვიდარდებდი, რადგან შენდაუნებურად, იმ ცოდვის თანამონაწილე გახდი, რომელსაც შენი და სჩადის. სიმართლე მაშინ უნდა გეთქვა, როცა ყველაფერი დაინახე. ისე, თუ ირაკლიმ ანა ცოლად შეირთო, უფლისთვის მადლობის მეტი არაფერი გეთქმის. აი, შენი მესიჯის ბოლოს დაწერილმა სიტყვებმა: — „ჩემი და რომ გზას ასცდეს, მერე“ — ირონიით გაჟღენთილი ღიმილი ამაწება სახეზე. ისე გეშინია, შენმა დამ გზიდან არ გადაუხვიოს, თითქოს მთელი ცხოვრება მხოლოდ სწორი გზით ევლოს. P.S. რაც შეეხება „იდსქოს“, ეს ახალი ორგანიზაციაა, რომლის სახელწოდებაც ასე იშიფრება: „იდიოტ და სულელ ქალთა ორგანიზაცია“.

**სვანის ასული:**

„შეიძლება, მშობლებს სიმართლე პირდაპირ არ უთხრა და გული არ გაუხეთქო, მაგრამ როგორმე აუცილებლად მიანიშნე, რომ შვილს ბრმად არ უნდა ენდონ, რომ მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ და გააკონტროლონ. ქართული რეალობისთვის მამის ძმაკაცის შეყვარებაც კი, ცოტა არ იყოს, წარმოუდგენელია, მაგრამ ცოლად რომ შეერთო, კიდევ ჯანდაბას... რადგანაც ფიზიკური ურთიერთობა უკვე ჰქონდათ, გამოდის, რომ ანას უაქტიურია. ვწუხვარ, მაგრამ წინ იმედგაცრუება გელის“.

**წყევლა:**

„ჰმ, გამეცინა. შენი და გზას აცდენილი კი არა, ყოველგვარ ზნეობრივ პრინციპებს აცდენილი ადამიანია. ახლა რა გინდა, ანა ახალგაზრდა, ცანცარა, სიმპათიურ და კეთილსინდისიერ კაცს მიათხოვო? იმსახურებს, რო? აიძულე, ყველაფერი აღიაროს. მამაშენმა უნდა იცოდეს, რომ მეგობრის არჩევაში შეცდა და მისი ნებიერა მატრაკვეცა კი არა... კარგად ვიცი, მასეთ ქალებს რასაც ეძახიან, მაგრამ ახლა თავს შევიკავებ“.

**იკუშკები:**

„მესმის, რომ ზნეობრივად მიუღებელ საქციელს შეესწარი, მაგრამ ერთ რამეს გეტყვი: თავი დაანებე, მათ საქმეში ნუ ჩაერევი. მართალია, საქმე შენს დას ეხება, მაგრამ ის სრულწლოვანია და საკუთარ თავზე პასუხისმგებელიც თავადაა. ყველაზე მთავარი ის არის, რომ მშობლებს უნდა გაუფრთხილდე. მამაშენმა ირაკლი მართლა რომ მოკლას, მერე რას იზამ? თავს ხომ ვერასდროს აპატიებ, მას სიმართლე რომ გაუმხილე... ან სულაც, შეიძლება თავი მოიკლას, ოჯახში ასეთი კაცი რომ შემოიყვანა, ჰოდა, ამიტომაც ჯობს გაჩუმება. ჩემო კარგო, რომ არა ირაკლი, შენი დის ცხოვრებაში სხვა ვინმე იქნებოდა. შეეცადე, თავი შეიკავო, თორემ რაიმე უბედურება რომ დატრიალდეს, ამას საკუთარ თავს ვერასდროს აპატიებ და მთელი ცხოვრება სინანულის განცდა დაგტანჯავს“.

**მაიკო:**

„კარგი გოგო ყოფილხარ, დის ამბავს ასე რომ განიცდი. ვფიქრობ, მშობლებს სიმართლე აუცილებლად უნდა უთხრა, რადგან შენ და ანას შესაძლოა, სხვა დროსაც მოგიხდეთ შინ მარტო დარჩენა, ჰოდა, თქვენთან ისევ ირაკლი რომ დატოვონ და იგივე განმეორდეს, მერე რას იზამ? სიმართლის თქმა იმისთვისაც აუცილებელია, რომ მამა ირაკლის აღარ ენდოს“.

**შავი მარგალიტი:**

„მართლაც, რთული სიტუაციაა. ადრე თუ გვიან, მშობლები ამას მაინც შეიტყობენ და აჯობებს, ყველაფერი შენგან გაიგონ. შეიძლება ანა გაგიბრაზდეს, მაგრამ მერწმუნე, მისთვისაც ასე აჯობებს. წარმატებები!“

GRAZY GIRL:

„საყვარელო, მაპატიე, მაგრამ შენი და უკვე ასცდა გზას. აი, შენ კი გეტყობა, ღირსეულად ცხოვრობ და ასე გააგრძელე! ამ თემაზე მოძღვარს დაელაპარაკე, ის უკეთ გირჩევს, როგორ მოიქცე. აბა, შენ იცი, ღვთის წყალობას გისურვებ!“

**მარია:**

„მდააა... გადასარევი ამბავია, რა. ძალიან ვწუხვარ, ჩემო კარგო, ასეთი რამ რომ შეგემთხვა. რა თქმა უნდა, მამას ყველაფერი უნდა უამბო. აბა, შენი დის ალვირახსნილობას უნდა უყურო? კარგად მისაბეგვები არიან და ეგ საქმე მამაშენს მიანდე. იცოდე, აუცილებლად უთხარი, თორემ უარესი მოხდება“. ■

## „რომ დავკარგო, თავს მოვიკლავ...“

**ბაჭია:**

„ძალიან გთხოვთ, დამეხმარეთ. შეყვარებული მყავს, რომელიც ადრე ქალების „მუსუსი“ იყო. მან სიყვარული იმით დამამტკიცებინა, რომ ლოგინში ჩამიწვინა, შემდეგ კი მობილური ტელეფონის „კარტა“ მომცა, — ჩემი ქალები თვითონ მოიშორე თავიდანო. ახლა ერთ-ერთმა მისმა ძველმა „ლოვემ“ ჩვენ შორის ჩადგომა სცადა — მწერს, ჩემთან გლალატობსო და ექსშეყვარებულის „ესემესებს“ მიგზავნის; ჩემი „ლოვე“ კი უარყოფს, — არ მიმიწერიაო. არ ვიცი, რომელს დავუჯერო. შეყვარებული ძალიან მიყვარს და რომ დავკარგო, თავს მოვიკლავ. მირჩიეთ, როგორ გავარკვიო სიმართლე? ნერვიულობამ დამასუსტა. გთხოვთ, დამიბეჭდეთ და მირჩიეთ რამე“.

*P.S.* ***მაშ ასე, თუ ბაჭიას წერილის წაკითხვის შემდეგ, მასთან დაკონტაქტების სურვილი გაგიჩნდებათ, დაგვიმესიჯეთ ტელეფონის ნომერზე: 8.58. 25.60.81. მას თქვენი დახმარების იმედი აქვს.*** ■

# „ანამ ცხოვრება საკუთარი ხელით დაიმახინჯა“

## „მშობლებს სიმართლე უნდა უთხრა“

**„გზის“ №42-ში დაიბეჭდა 17 წლის მარის მესიჯი, რომელიც გვწერდა, რომ განებივრებულ დაიკოს მამის ძმაკაცთან, ირაკლისთან მაშინ შეუსწრო, როცა ისინი ერთმანეთის ალერსით იყვნენ დაკავებულნი. „ერთ დღეს მშობლები ქორწილში მიდიოდნენ და ირაკლის სთხოვეს, ჩვენთან დარჩენილიყო. ჩემთან დაქალი მოვიდა და ბაღში გავედით სასეირნოდ, ირაკლი და ანა კი შინ დარჩნენ. როცა ჩემი დაქალი წავიდა, მე სახლში შევედი. ვინაიდან პირველ სართულზე არავინ დამხვდა, მეორეზე ავედი, სადაც ირაკლისა და ანას სწორედ იმ დროს შევუსწარი, როცა სექსი ჰქონდათ გაჩაღებული. ვერ წარმოიდგენთ, რა დამემართა... ანამ ისტერიკები მომიწყო, ბოლოს კი მკაცრად გამაფრთხილა: იცოდე, მამას არაფერი უთხრა, თორემ ირაკლის მოკლავსო. თქვენი აზრით, მშობლებს სიმართლე არ უნდა ვუთხრა?“**

*ლიკა ქაჯაია*

**ფაშისტა:**

„გეტყობა, ჭკვიანი და საღად მოაზროვნე გოგო ხარ, მაგრამ მშობლებს უნდა დაელაპარაკო. დამიჯერე, ირაკლი მამაშენს ოდნავ მაინც რომ სცემდეს პატივს, მის შვილთან სექსი არ ექნებოდა. თუ არ გინდა, შენი და იაფფასიანი მეძავი გამოვიდეს (აქამდე თითქმის არაფერი უკლია, რადგან ასეთ პატარა ასაკში მამისტოლა კაცებს „კერავს“), მშობლებს სიმართლე უთხარი და ისინი მოიყვანენ გონზე. მერწმუნე, შენი სიჩუმით „აქტიური“ ცხოვრების გაგრძელებაში უწყობ ხელს. ასე რომ, ოჯახის ღირსება შენს ხელშია და ის უნდა დაიცვა, გენაცვალე“.

**გრუზინკა:**

„სიმართლე გამოაშკარავდება, შენი და კი ისეთი დაუნდობელი ჩანს, რომ აუცილებლად გაგხვევს რაიმე შარში. მაგალითად, დაგაბრალებს, — მარი ხელს გვაფარებდაო. ამიტომ ჯობია, მამამ შენგან გაიგოს სიმართლე, ვიდრე სხვისგან“.

**აუტანელი:**

„შენმა „ესემესმა“ გამალიზიანა. რას ჰქვია, ირაკლის მოკლავს? შენს დას სასწრაფოდ დაელაპრაკე და თავად დაემუქრე: თუ წესიერად არ მოიქცევი, მშობლებს ყველაფერს ვეტყვი-თქო!“

**აურა:**

„დარწმუნებული ვარ, ის შენს დას ცოლად არ მოიყვანს, მასთან მხოლოდ ერთობა. მამას დაელაპარაკე, ანას ჭკუა დაარიგოს, ზედმეტად ნუ გაათამამებს. მერწმუნე, ამ „ესემესის“ გამოგზავნისთვის მშობლები მადლობას გეტყვიან. მიყვარხართ, საჭირო რჩევის ავტორებო“.

**ლოვჩიკა:**

„არ მესმის, რატომ ყოყმანობ? შენი და უსირცხვილოა და პასუხი უნდა აგოს იმის გამო, რაც ჩაიდინა. ბანალური ფრაზებით აღარ ვილაპარაკებ და პირდაპირ გეტყვი, მისი საქციელი ამაზრზენია! ანამ ცხოვრება საკუთარი ხელით დაიმახინჯა და ამას ვერც ხვდება. დარწმუნებული ვარ,



ეგ ბიჭი ნახმარი ნივთივით მიაგდებს და ამის ღირსიც იქნება, მაგრამ თუ მშობლებს სიმართლეს ეტყვი, შენი სულელი დის მიმართ ცოტაოდენ პასუხისმგებლობას მაინც იგრძნობს“.

**სვანსკი:**

„მართლაც, რთულ სიტუაციაში ხარ. ჩემი აზრით, ჯერ შენს დას და ირაკლის უნდა დაელაპარაკო, ისინი უნდა აიძულო, მშობლებს სიმართლე უთხრან, წინააღმდეგ შემთხვევაში დაიმუქრე, — ყველაფერს თავად ვიტყვი-თქო. ვალდებული ხარ, მშობლებს სიმართლე შეატყობინო, რათა შემდეგში საკუთარ თავთანაც, დასთანაც და დედმამის წინაშეც მართალი იყო. წარმატებებს გისურვებ!“

**გადარეული:**

„შენს დას სექსისკენ მიდრეკილება ჰქონია და ეგ დედას მაინც უთხარი. ისე, წარმომიდგენია, რა იქნებოდა, როცა მათ შეუსწარი. კარი მაინც ვერ ჩაკეტეს? ძალადობა გამორიცხულია — ალბათ, შენს დას უფრო უნდოდა სექსი, ვიდრე იმ ბიჭს. ეჰ, რა ახალგაზრდობა მოდის, რა“.

**ქისუნია:**

„ჰო, ეგ ძალიან ცუდია და ვწუხვარ, რომ შენი და ასე შეცდა, მაგრამ იმხელა კაცს ტვინი სად ჰქონდა? სულ გაგიჟდა ეს ხალხი, რა! გირჩევ, მათ უთხრა, რომ ამ ამბის დამალვას აზრი არა აქვს! წარმატებები!“

**უცნობი:**

„შენს დას აუცილებლად დაელაპარაკე და უთხარი, რომ მშობლებს ყველაფერს ამცნობ. მსგავს სიტუაციაში ნამდვილი მამაკაცი შენს დას კაცურად ამოუდგებოდა მხარში, მშობლებს მის ხელს სთხოვდა... თუ კაცურად არ მოიქცევა, ღირსიც იქნება, რომ მამათქვენმა დასაჯოს. მერწმუნე, ასეთი ადამიანი არც მეგობრად ვარგა და არც შენს დას გამოადგება. თუ ანასათვის სიკეთე გინდა, ჩემი რჩევა გაითვალისწინე. დარწმუნებული ვარ, ურთიერთობას დიდხანს ვერ დამალავენ“.

**კუსა:**

„არ მესმის, რა დახმარებას ითხოვ, როცა თავად ანა არაფერზე ფიქრობს?! შენი და მაგარი საცემია, ის ბიჭი კი თქვენს ოჯახს პატივს არ სცემს. არ ვიცი, რა გირჩიო, ასეთ ამბებში ვერ ვერკვევი. რა თქმა უნდა, ჯობია, მამას სიმართლე უთხრა და მიხვდება, როგორი ძმაკაციც ჰყავს. აუ, ეს ხალხი გადამრევს, რა“.

**ბუსა:**

„ჩემო კარგო, მამას ყველაფერი უნდა უთხრა. არ იფიქრო იმაზე, რომ ამით დაიკოს გაანაწყენებ. მერწმუნე, რაღაც პერიოდის შემდეგ ამისთვის მადლობასაც კი გეტყვის. წარმატებები!“

**უცნობი:**

„ჩემი აზრით, მშობლებმა ყველაფერი მანამ უნდა გაიგონ, ვიდრე გვიანი არ არის, სანამ რაღაცის გამოსწორება კიდევ შეიძლება. ჯერ დაიკოს დაელაპარაკე და გაარკვიე, რა ურთიერთობა აქვს მამაშენის მეგობართან, მერე ირაკლისაც ჰკითხე, რას აპირებს და მათი პასუხებიდან გამომდინარე იმოქმედე. წარმატებებს გისურვებ!“

**ცქნაფა:**

„ამ სიტუაციაში არ ვიცი, რა გირჩიო. გოგო, რომელსაც 18 წლის ასაკში მამისტოლა კაცთან აქვს ურთიერთობა, უკვე გზასაა აცდენილი. მგონი, ჯობია, განზე გადგე, შენს დას გონზე მოსვლა აცადო. შეეცადე, მშობლებს თავად აუხსნა ყველაფერი და იქნებ გაუგონ კიდეც. არ მესმის, ასე როგორ უნდა დაეცე. მე 14 წლის ვარ და მგონი, ანაზე მეტი შეგნება მაქვს. ალბათ, შენ ადგილას გული გამისკდებოდა. მართლა ძლიერი ადამიანი ხარ, ასე გააგრძელე. „მიკალქალთ“, მგზავნელებო“.

**ლუნა:**

„საშინელი ამბავია. გული მწყდება, რომ ქართველი ხალხი სულმდაბლობას ხშირად სჩადის. არც კი ვიცი, რა ვთქვა, შენი დის საქციელით გაოგნებული ვარ. შეიძლება, ვილაცის მიმართ (თუნდაც ეს მამის მეგობარი იყოს) სიმპათია გაგიჩნდეს, მაგრამ ისე არ უნდა

დაეცე, რომ მასთან ფიზიკური კავშირი დაამყარო. ჰო, ვნება ოხერი რამაა, ისეთ რამეს გაგაკეთებინებს, რომ მერე საკუთარი თავის შეგრცხვება, მაგრამ ამ ვნებას უნდა მოერიო, ამან არ უნდა დაგაბრმაოს... მამას თუ არა, დედას მაინც უთხარი სიმართლე, თორემ ეგ ბიჭი ყველაფერზე წამსვლელია; მან მამაშენი არაკაცად ჩათვალა, შენს დას კი ცხოვრება დაუნგრია (ნუ, არ ვიცი, თავად ასე ფიქრობს თუ არა). შენს მშობელს უფლება აქვს, სიმართლე იცოდეს. ღმერთი გფარავდეს, გკოცნი".

**ნატალი 37:**

„ირაკლი არაკაცია და მაგრად უნდა მიიჟეჟოს. რაც შეეხება ანას, ის ისეთი თავხედი ჩანს, ცხოვრებაში არ დაიკარგება. მგონი, არ ღირს, მშობლებმა მისი საქციელის შესახებ გაიგონ. ნუ დარდობ. გკოცნი".

**მისტერ:**

„ანა გზას კი არა, უკვე ბორდიურსაც ასცდა. თუ არ გინდა, შენს დაბანილ (ან დაუბანელ) კისერზე ახალგაზრდა ბიჭის ცოდვა „დაიკიდო", მამიკოს არაფერი უთხრა და ენა ჯერ კუჭში, შემდეგ მუცელში ჩაიგდე. P.S. მხოლოდ ეჭვიმტანილებს კი არა, შენც გაქვს დუმილის უფლება".

**გოგონა გარეუბნიდან:**

„იცი, რჩევა როდის უნდა გეკითხა? ვიდრე საქმე სექსამდე მივიდოდა. ახლა უკვე გვიანია და ვერაფერს შეცვლი. ჰო, კიდევ, ისეთი რამ არ გააკეთო, რასაც მერე ინანებ და რაც შენს დას დააზარალებს. აბა, მის ადგილას წარმოიდგინე თავი. ზურგს ნუ შეაქცევ, მას შენი თანადგომა სჭირდება. იცოდე, უმიზეზოდ არაფერი იწყება და უშედეგოდაც არაფერი მთავრდება. ფაქტი სახეზეა".

**თამუნა:**

„მამაშენის მეგობარს ანასთან სექსი არ უნდა ეკადრებინა. რთული ამბავია. იქნებ, ცოლად შეირთოს... ასეა, განებივრებული მამიკოს შვილები მშობლებს ათას საწუხარს უჩენენ! მამაშენს ეს ამბავი რომც უთხრა, არ დაიჯერებს, ამიტომაც ჯობია, ყველაფერი თავად მოაგვარონ".

**რუისპირი** (YELLOW):

„შენი და ჩემ მიერ ჩამოყალიბებულ ორგანიზაცია „იდსქოს" ოფიციალური წარმომადგენელია. 18 წლის გოგო, რომელსაც მამაკაცის მოფერება სწყურია და ამას მამის ძმაკაცთან, თანაც — საკუთარ სახლშივე გააკეთებს, მთლად ნორმალური არ უნდა იყოს. შენს ადგილას საკუთარ თავზე უფრო ვიდარდებდი, რადგან შენდაუნებურად, იმ ცოდვის თანამონაწილე გახდი, რომელსაც შენი და სჩადის. სიმართლე მაშინ უნდა გეთქვა, როცა ყველაფერი დაიწყო. ისე, თუ ირაკლიმ ანა ცოლად შეირთო, უფლისთვის მადლობის მეტი არაფერი გეთქმის. აი, შენი მესიჯის ბოლოს დაწერილმა სიტყვებმა: — „ჩემი და რომ გზას ასცდეს, მერე" — ირონიით გაჟღენთილი ღიმილი ამაწება სახეზე. ისე გეშინია, შენმა დამ გზიდან არ გადაუხვიოს, თითქოს მთელი ცხოვრება მხოლოდ სწორი გზით ევლოს. P.S. რაც შეეხება „იდსქოს", ეს ახალი ორგანიზაციაა, რომლის სახელწოდებაც ასე იშიფრება: „იდიოტ და სულელ ქალთა ორგანიზაცია".

**სვანის ასული:**

„შეიძლება, მშობლებს სიმართლე პირდაპირ არ უთხრა და გული არ გაუხეთქო, მაგრამ როგორმე აუცილებლად მიანიშნე, რომ შვილს ბრმად არ უნდა ენდონ, რომ მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ და გააკონტროლონ. ქართული რეალობისთვის მამის ძმაკაცის შეყვარებაც კი, ცოტა არ იყოს, წარმოუდგენელია, მაგრამ ცოლად რომ შეერთო, კიდევ ჯანდაბას... რადგანაც ფიზიკური ურთიერთობა უკვე ჰქონდათ, გამოდის, რომ ანას უაქტიურია. ვწუხვარ, მაგრამ წინ იმედგაცრუება გელის".

**წყევლა:**

„ჰმ, გამეცინა. შენი და გზას აცდენილი კი არა, ყოველგვარ ზნეობრივ პრინციპებს აცდენილი ადამიანია. ახლა რა გინდა, ანა ახალგაზრდა, ცანცარა, სიმპათიურ და კეთილსინდისიერ კაცს მიათხოვო? იმსახურებს, რო? აიძულე, ყველაფერი აღიაროს. მამაშენმა უნდა იცოდეს, რომ მეგობრის არჩევაში შეცდა და მისი ნებიერა მატრაკვეცა კი არა... კარგად ვიცი, მასეთ ქალებს რასაც ეძახიან, მაგრამ ახლა თავს შევიკავებ".

**იკუშკები:**

„მესმის, რომ ზნეობრივად მიუღებელ საქციელს შეესწარი, მაგრამ ერთ რამეს გეტყვი: თავი დაანებე, მათ საქმეში ნუ ჩაერევი. მართალია, საქმე შენს დას ეხება, მაგრამ ის სრულწლოვანია და საკუთარ თავზე პასუხისმგებელიც თავადაა. ყველაზე მთავარი ის არის, რომ მშობლებს უნდა გაუფრთხილდე. მამაშენმა ირაკლი მართლა რომ მოკლას, მერე რას იზამ? თავს ხომ ვერასდროს აპატიებ, მას სიმართლე რომ გაუმხილე... ან სულაც, შეიძლება თავი მოიკლას, ოჯახში ასეთი კაცი რომ შემოიყვანა, ჰოდა, ამიტომაც ჯობს გაჩუმება. ჩემო კარგო, რომ არა ირაკლი, შენი დის ცხოვრებაში სხვა ვინმე იქნებოდა. შეეცადე, თავი შეიკავო, თორემ რაიმე უბედურება რომ დატრიალდეს, ამას საკუთარ თავს ვერასდროს აპატიებ და მთელი ცხოვრება სინანულის განცდა დაგტანჯავს".

**მაიკო:**

„კარგი გოგო ყოფილხარ, დის ამბავს ასე რომ განიცდი. ვფიქრობ, მშობლებს სიმართლე აუცილებლად უნდა უთხრა, რადგან შენ და ანას შესაძლოა, სხვა დროსაც მოგიხდეთ შინ მარტო დარჩენა, ჰოდა, თქვენთან ისევ ირაკლი რომ დატოვონ და იგივე განმეორდეს, მერე რას იზამ? სიმართლის თქმა იმისთვისაც აუცილებელია, რომ მამა ირაკლის აღარ ენდოს".

**შავი მარგალიტი:**

„მართლაც, რთული სიტუაციაა. ადრე თუ გვიან, მშობლები ამას მაინც შეიტყობენ და აჯობებს, ყველაფერი შენგან გაიგონ. შეიძლება ანა გაგიბრაზდეს, მაგრამ მერწმუნე, მისთვისაც ასე აჯობებს. წარმატებები!"

GRAZY GIRL:

„საყვარელო, მაპატიე, მაგრამ შენი და უკვე ასცდა გზას. აი, შენ კი გეტყობა, ღირსეულად ცხოვრობ და ასე გააგრძელე! ამ თემაზე მოძღვარს დაელაპარაკე, ის უკეთ გირჩევს, როგორ მოიქცე. აბა, შენ იცი, ღვთის წყალობას გისურვებ!"

**მარია:**

„მდააა... გადასარევი ამბავია, რა. ძალიან ვწუხვარ, ჩემო კარგო, ასეთი რამ რომ შეგემთხვა. რა თქმა უნდა, მამას ყველაფერი უნდა უამბო. აბა, შენი დის აღვირახსნილობას უნდა უყურო? კარგად მისაბეგვები არიან და ეგ საქმე მამაშენს მიანდე. იცოდე, აუცილებლად უთხარი, თორემ უარესი მოხდება".

## „რომ დავკარგო, თავს მოვიკლავ..."

**ბაჭია:**

„ძალიან გთხოვთ, დამეხმარეთ. შეყვარებული მყავს, რომელიც ადრე ქალების „მუსუსი" იყო. მან სიყვარული იმით დამამტკიცებინა, რომ ლოგინში ჩამიწვინა, შემდეგ კი მობილური ტელეფონის „კარტა" მომცა, — ჩემი ქალები თვითონ მოიშორე თავიდანო. ახლა ერთ-ერთმა მისმა ძველმა „ლოვემ" ჩვენ შორის ჩადგომა სცადა — მწერს, ჩემთან გლალატობსო და ექსშეყვარებულის „ესემესებს" მიგზავნის; ჩემი „ლოვე" კი უარყოფს, — არ მიმიწერიაო. არ ვიცი, რომელს დავუჯერო. შეყვარებული ძალიან მიყვარს და რომ დავკარგო, თავს მოვიკლავ. მირჩიეთ, როგორ გავარკვიო სიმართლე? ნერვიულობამ დამასუსტა. გთხოვთ, დამიბეჭდეთ და მირჩიეთ რამე".

*P.S. მაშ ასე, თუ ბაჭიას წერილის წაკითხვის შემდეგ, მასთან დაკონტაქტების სურვილი გაგიჩნდებათ, დაგვიმესიჯეთ ტელეფონის ნომერზე: 8.58. 25.60.81. მას თქვენი დახმარების იმედი აქვს.*



# მობილი-ზაცია

***იმისათვის, რომ თქვენი მესიჯი „მობილი-ზაციაში“ მოხვდეს, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა GZA გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი და აკრიბოთ სასურველი ტექსტი. შემდეგ მესიჯი გამოგზავნოთ ნომერზე: 8884. ჩემს მობილურზე მოსული მესიჯები ამ რუბრიკაში არ გამოქვეყნდება (გამონაკლისი მხოლოდ უცხოეთიდან გამოგზავნილი მესიჯებია) და კიდევ: ერთი მესიჯი მხოლოდ 160 სიმბოლოს იტევს. თუ ვრცელი მესიჯის გამოგზავნა გსურთ, ის რამდენიმე მესიჯად უნდა გადმოგზავნოთ.***



## ქალები

1. გავიცნობ ოჯახის შექმნის მიზნით 47 წლამდე მამაკაცს. ვარ 40 წლის, ქორწინებაში არმყოფი, წესიერი, მორწმუნე, დასავლეთიდან. დანარჩენი — პირადად.

2. სერიოზული ურთიერთობისთვის გავიცნობ 45-50 წლის მამაკაცს. ვცხოვრობ ქუთაისში.

3. გთხოვთ, მომცეთ „გზა“ №42, რიგით მე-7 მესიჯის ავტორის ნომერი.

4. გამომეხმაუროს 42-ე ნომერში, მე-7 მესიჯის ავტორი. ნია.

5. ვარ 23 წლის, მყავს პატარა შვილი, მინდა მშვიდი და სიყვარულით სავსე ცხოვრება. მხოლოდ სერიოზული ადამიანი შემეხმიანოს, აუცილებლად — თბილისელი. გულნატკენი გოგო.

6. მხოლოდ ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ თბილისში მცხოვრებ, მაღალ, სიმპათიურ, დასაქმებულ მამაკაცს, 35 წლამდე. ვარ 29 წლის, დასაქმებული, განქორწინებული, მიმზიდველი.

7. ცხოვრებაში პირველად შემეშინდა მარტოობის, ალბათ დავისაჯე, ბევრს ვატკინე გული ისეთი ადამიანის გამო, რომელიც დღესაც მარტოა, ამპარტავნობის გამო. მინდა სიყვარული, მიყვარდეს და ვუყვარდე. ვიცი, ესეც ფუჭი ოცნებაა, სიყვარული განა არსებობს? ვარ 30 წლის, სიმპათიური და ჭკვიანი.

8. ვარ 50/168/70, სიმპათიური ქვრივი. გამომეხმაუროს შესაფერისი ასაკის, მხოლოდ სერიოზული, დამოუკიდებელი, რელიგიური მამაკაცი (სასურველია ქვრივი). გავუგოთ ერთმანეთს.

9. მინდა გავიცნო ოჯახის მოსიყვარულე მამაკაცი. მქვია ირმა, ვარ 25 წლის. დამირეკეთ მხოლოდ სერიოზულმა. გელით. ვინც იცის ქალისა და ოჯახის ფასი.

10. ვარ 49 წლის, სუფთა წარსულის, სასიამოვნო შესახედაობის. ვეძებ ნორმალურ, სიმპათიურ მამაკაცს, ვინც მოიგებს ჩემს გულს. ბაჭია.

11. ვარ 30-ს გადაცილებული, განათლებული, ეკლესიური, სასიამოვნო გარეგნობის გოგო. ოჯახის შექმნის მიზნით გამომეხმაუროს 42 წლამდე ასაკის, სერიოზული, საქმიანი მამაკაცი. მატერიალურად ძლიერი, თუ ეს აქ შესაძლებელია. გამრთობებმა თავი შეიკავეთ.

12. ვარ ექიმი, ბინით, აგარაკით, 35 წლის, მხიარული, ალერსიანი. ოჯახის შექმნის მიზნით დამირეკოს თბილისში, მცხეთაში მცხოვრებმა, მატერიალურად უზრუნველყოფილმა, დასაქმებულმა, თბილი ბუნების მამაკაცმა (მესიჯი — არა). თიკა.

13. გავიცნობ მორწმუნე, ჩემსავით ალალმართალ ბიჭს, 28 წლამდე, ოჯახის შექმნის მიზნით. ვარ ქუთაისელი, მქვია ანი.



## კაცები

14. გთხოვთ დამაკავშიროთ მე-9 ნომერს. „გზა“ №42.

**ყურადღება! გთავაზობთ სიმბოლოებს, რომლის მიხედვითაც „მობილი-ზაციისთვის“ გამოსაგზავნი მესიჯის ტექსტი უნდა აკრიბოთ. ეს განსაკუთრებულად ეხება საბერძნეთში მცხოვრებ მგზავნელებს, რადგან მათი მესიჯების გაშიფვრა ძალიან მიჭირს. მესიჯი, რომელიც ამ წესის მიხედვით არ იქნება აკრებილი, არ გამოქვეყნდება!**

| | | |
|---|---|---|
| ა — a | მ — m | ღ — gh |
| ბ — b | ნ — n | ყ — y |
| გ — g | ო — o | შ — sh |
| დ — d | პ — p | ჩ — ch |
| ე — e | ჟ — zh | ც — c |
| ვ — v | რ — r | ძ — dz |
| ზ — z | ს — s | წ — w |
| თ — t | ტ — t | ჭ — wh |
| ი — i | უ — u | ხ — x |
| კ — k | ფ — f | ჯ — j |
| ლ — l | ქ — q | ჰ — h |

15. გავიცნობ გოგონას, წლოვანებას არ აქვს მნიშვნელობა. თუ დაინტერესდებით ჩემით, შემომეხმიანეთ. RUGBY.

16. ვარ 165/70/40, თბილისელი, ბინითა და სამსახურით. ვცხოვრობ მარტო. ყოფილი პროფესიონალი მოცეკვავე, მხიარული. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 30-40 წლამდე ასაკის მანდილოსანს.

17. გავიცნობ 17-დან 18 წლამდე გოგოს, ოჯახის შექმნის მიზნით. ვარ სამსახურით უზრუნველყოფილი. დიტო.

18. ვარ 17 წლის, 193 სმ სიმაღლის, ათლეტური აღნაგობის, შავგრემანი ბიჭი. ვეძებ ჩემი პაკალენიის გოგოს.

19. გთხოვთ, მომწეროთ „გზა“ №43, მე-4 მესიჯის ავტორის პირადი ნომერი. დიდი მადლობა.

20. გამარჯობა მარი, როგორ ხარ? გთხოვ, დამეხმარე, დავრჩი დასაოჯახებელი. ალალი და სამართლიანი ვარ, გამოაქვეყნე ჩემი ნომერი. გმადლობ.

21. გთხოვთ მომცეთ „გზა“ №43, მე-4 მესიჯის ავტორის ნომერი — ვნებიანი კრისის. უკვე ბევრჯერ შეგაწუხეთ. გელოდებით.

22. ვარ 29/180/77, სიმპათიური ბიჭი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ ბინითა და სამსახურით უზრუნველყოფილ გოგონას, 25-დან 32 წლამდე. გია11.

23. 185/83/22, თბილისელი, სპორტული აღნაგობის, მხიარული. მიყვარს ყველაფერი, რაც ადრენალინს შეიცავს. გავიცნობ 20-25 წლის გოგონას. ზიგი.

24. ვარ 40 წლის, პატიოსანი, უცოლო კაცი. ჩავესიძები მდიდარ, ბინიან, 35 წლამდე ასაკის ქალბატონს, თუნდაც — შვილიანს.



## სხვადასხვა

• დათ, ძაან მენატრები. შენს გარეშე ცხოვრების ნახევარი მაკლია. აქამდეც ბევრჯერ მოგწერე, მაგრამ ჩემნაირების დიდი რიგია, ეტყობა. მიყვარხარ.

• მე ვერ გავიქცევი ამ მოწყენი დედამიწიდან და აი, ასე ცოცხლად ვმარხივარ ამ ეგოიზმის სამყაროში, რომელსაც თქვენ ცხოვრებას ეძახით. ატარექსია.

• არის წუთები, როცა ფიქრობ, ყველამ დაგტოვა, არის წუთები, როცა ფიქრობ, ვერ შეელევი... ჩემი სიმპათიები რუისპირს. EWLIPSE.

• რაღაც ძალიან მომინდა მომეწერა თქვენთვის და პირველი, რაც თავში მომივიდა, მარკესის ეს ფრაზა იყო, რომელიც მთელი კვირაა, ამეკვიატა: „ყოველთვის მოიძებნება ადამიანი, რომელიც ტკივილს მოგაყენებს, მაგრამ ნუ დაკარგავ ადამიანების რწმენას, უბრალოდ, გაფრთხილდი! რუისპირ, ჩემი აზრით, ყველაზე ღირსეული მგზავნელი ხარ. EWLIPSE.

• აუ, ისე მაგარი მოწყენილობაა აქ, ზურა, ჩემო ქმარუკ, შენზე ჭკუა მეკეტება, მაგრად მიყვარხარ, აქედან მივდივარ, გკოცნით ყველას და პაკა. მიყვარხართ. დიკი ანგელი.

• დათო73, მენატრები, უზომოდ. ნეტავ იცოდე, როგორ მჭირდები და მიჭირს უშენოდ. ველარ ვუძლებ ამდენ ტკივილს. როდის გნახავ ნეტავ? როდის ჩაგეხუტები... მიყვარხარ. თეო.

• წიგნში ნაპოვნი ძველი წერილი გამახსენდა ახლა. მე არ ვარ ის, ვისაც ყოველდღე ხედავ, მაგრამ ვიცი, გინდა ის ვიყო მე... მე შემეძლო გამეგო შენი ფიქრები. ანამარია.

• რას ინტრიგნობთ აქ, ჰა? რა „სასტავები“ და „კუტოკები“ შემიქმენით? :) ზოგი ზღაპრებს იგონებს, ზოგი კითხულობს. გამარჯობა ყველას, ქართველებო! :) მანუ.

• მამა, შენი ჯემპრები მაცვია. :) მენატრები და ძალიან მაკლიხარ! შენ ხათრით საგზაო ნიშნებს ვსწავლობ. :) მიყვარხარ. თაკო.

• გოჭი, მიყვარხარ, ძალიან მენატრები. შენი ბარტყი ძალიან მოწყენილია უშენოდ, შენი ამბავი იქნებ ვინმესგან გამაგებინო, როგორ ხარ, რას აკეთებ? გეხუტები, გკოცნი.

• პაპა, გუშინ ვერ გნახე, ცუდად გავხდი... ჩვენზე ნუ ნერვიულობ, კარგადაა ყველაფერი, შენ კარგად იყავი, შენს თავს მიხედე... გვენატრები მაგრად... ბუთუზ სტარში.

• მახო, კარგად გამოიყურებოდი. სხვანაირად არც ველოდი. აბა, შენ იცი. პროსპექტი გელოდება. ზაზა.

• მახოს გაუმარჯოს, ხომ ხარ ჯანმრთელად? გვენატრები ძალიან, ყველას, ეზოს ბიჭებს... სიყვარულით, პალიკო.

• ილო, ახლა მოვიფიქრე, იქნებ შენც კითხულობ „გზას“? პროსპექტზე შეგხვდები მალე! ზაზა.

• გოჭი, მიყვარხარ... რაც უფრო შორს ხარ, ახლა უფრო ვხვდები შენს ფასს. ჩემი ცხოვრების ნაწილი ხარ, რომლის გარეშეც ვერ ვცხოვრობ. მჭირდები, ბარტყი. გეხუტები...

• დათო73, ჩემო სიხარულო, დამირეკე აუცილებლად, უფლება თუ გაქვს, რა თქმა უნდა. სასამართლო რომ იყო, მე არ ვიცოდი და მაგიტომ არ ვიყავი. არ გეწყინოს. გკოცნი. თეო.

• გურიჩ, ყველას ძალიან გვენატრები და საშინლად გვაკლიხარ. ყივჩალი ყოველდღე შენს საწოლში წვება და ისე უყურებს ტელევიზორს. ამბობს, მამას გეფიცებიო. :) თაკოს ისევ შენთან ლაპარაკი აკლია და ძალიან ენატრები, გუკა ყველაზე მაგრადაა და მართლა მეცადინეობს. :) ერთი სული მაქვს, როდის გნახავ, ჩაგეხუტები და ყველაფერი კარგად იქნება! იცოდე, ყველა თქვენ გვერდით ვართ!

• 030 ბაჩი, სურათები როგორ მოგეწონა? კიდევ შემოვაგზავნი სიხარულო და რომელიც არ გინდა, გამომიგზავნე უკან. გაკოცე უამრავი. არ ინერვიულო, ყველაფერი კარგად იქნება. გნახავ დღეს და უკეთესად ვიქნები. როგორ მინდა გითხრა რასაც ვგრძნობ, მაგრამ არ მაძლევ ამის საშუალებას. ვიცი, მერე რომ ნერვიულობ და მე ეს მართლა არ მინდა. როგორ სიამოვნებით დავხუჭავდი თვალებს და აღარ გავახელდი, დავიღალე, აღარ მინდა აღარაფერი ბაჩი, ამას ჰქვია ჯოჯოხეთი. უფალი გვცდის ალბათ, რამდენს გავუძლებთ. გვიანია, ისევ 3 სრულდება. გძინავს ალბათ. როგორ ვერ ვიტანდი უძილობას, ახლა შევეჩვიე, ველარ ვიძინებ. ბეჭები არ მაწუხებს, სიცხეც არ მაქვს, არ იჯავრო, კარგად ვარ. ამბებს მოგიყვები: ლიაკო და ბესო სულ ერთად არიან. სამსახურში შემცირებები დაიწყო, ძლივს გადარჩა ლიაკო. ია რეკავს, გკითხულობს. შალვამ გორის გზაზე ქალი გაიტანა. ჯერ გარეთ არის, მელაპარაკა, განადგურებულია, ტირის. შემეცოდა ძალიან. კუწოსთან ისევ ძველებურად არიან, ზურამ დაიწყო ისევ ლალისთან მუშაობა, ლოთობს. სხვა ახალი არაფერია, სახლი ვაკურთხე, რაც მთავარია, სიგარეტის სუნი აღარ არის. თემქაზე ვიყავი, არ აძლევენ აშენების უფლებას. ელდარი დარბის გამწარებული, გოჩამ მომცა ფული. უთო ბაჭიასთან იყო. კიდევ ერთხელ შევეწირე. არა უშავს, გადავყლაპე. დროებით არ მაქვს არავის ნერვები. სამაგიეროდ, შენზე ვიყრი ჯავრს, რომ დაგიხსნი მერე. მარინა იყო ჩამოსული. ისეთი ჭორები ჩამოიტანა, სასაცილოდ არ მეყო. რა ცუდი გოგო გყოლივარ ცოლად, შე საცოდავო... არა, ლამაზი ქალი კი ვყოფილვარ, მაგრამ რად გინდა? დიდი ცუდი ვინმე ვყოფილვარ თურმე. რას ვიზამ ძმაო, ყველაფერი ხდება, საყვარელი მყოლია, თანამდებობის პირი და გაგიჩალიჩე. აი, ასეთი ცუდი გოგო ვარ მე და კიდევ ათასი სისულელე. რაო, გამხიარულდი? არ შეაგინო სიხარულო, გამრავლდებიან და არ ღირს, ისედაც ბევრნი არიან. ოპერაციაც გამიკეთებია, ასე რომ გავმხდარიყავი, მაგრამ სახეზე რას ვიკეთებ, ვერ დაადგინეს. სანერვიულო არაფერი მაქვს, სახლი, შვილები, მანქანა, ფულიანი საყვარელიც... შენ მოგიშორე და რა დამაბერებს? ვუვლი თავს. მიტო არ მეტყობა ასაკი. აი, ასეთი ოხერი და მამაძაღლი ვარ მე და შენ არ იცი. მშვიდად მიგატოვე, არ მაქვს შენი ნერვები, საცოდავი დედაშენი კი მაქებდა თურმე, მაგრამ შორს იყო და ვერ იგებდა ამბებს. ცოცხალი მაინც იყოს, მოგხედავდა. მოკლედ, დამეწვა გული, რა ცოდვა ხარ სიხარულო, ასე ობლად მიგაგდეს. რა სიამოვნებით გაკოცებდი კისერში, შევისუნთქავდი შენ სუნს და ცოტა ხანს მაინც აღარ მეტკინება გული, ერთი ღამე მაინც დავიძინებდი მშვიდად სიხარულო, გავგიჟდები ალბათ უკვე. ისე მომენატრე, რას არ გავიღებდი ამ სიამოვნების მისაღებად. ვინ იცის, შენ ხომ იცი სიხარულო? არა უშავს, რამეს მოვახერხებ, არ ინერვიულო, მთავარია, თავს მიხედო, ბაჩი. კვირა საღამოა, ლალი და ბავშვები ჩემთან არიან. ვიხალისეთ ჭორებზე კარგად, ლალი მოკვდა სიცილით, არ ვიცოდე მაინც, რა დღეში ხარ, რამდენი ბოროტია ქვეყანაზეო. კიდევ ისეთებს ვიგებ, არც ღირს სათქმელად. არა უშავს სიხარულო, ნეტავ შენ არ მყავდე სანერვიულო და სხვა რამეზე მით უმეტეს, არ ვაპირებ ნერვიულობას. გაკოცე ბაჩი. არ ინერვიულო, ყველაფერი კარგად იქნება, გნახავ შენ შვილებთან ერთად დღეს და იქ ვისაუბროთ დანარჩენი. ცხვირსახოცი არ დამანახვო, თუ გიყვარდე. შენ ძლიერი ხარ.

• ეს ქაჯეთის დედოფალი რაღაც, მეფავორიტება და ნეტავი რატომ? ჩემნაირი ტიპაჟია და ალბათ იმიტომ... დიდი სიყვარულით მოვიკითხავ ულიბკას, გაიხარე კარგო ადამიანო. და კიდევ, ჩემს ციყვუნიებს. SORRY, ხშირად რომ ვერ გეხმიანებით ხოლმე. მიყვარხართ გულში. SWEET-GIRL.

• მაცხოვრებელი ჰყავს განა ვითარცა შვილები მგლისნი, არამედ არეული, ვითარცა ინგრენდიენტები აჯაფსანდლისანი, უბანს კი ჰქვია ისანი. კარატეში საპატივსაცემო სიტყვაა დანი, მაგრამ საარაპატივსაცემეთი, საბასიაკეთი და სახანიგეთია გლდანი. კლიზმა გავუკეთე ძაღლს, იერით რომ იყო რუხიანი, იმ ადგილს ერქვა მუხიანი. მაზოლიანი ფეხი დამებიჯა საგზალზე და ავყირავდი ვაგზალზე. მეზობელს რომელიც არის ქერა, დაუწყია უნიჭოდ მღერა, გაჰკარგებია მზერა, როდესაც მის კრედიტორს დატაკებია კამაზი, კაპოტცერა, უბანში — ვერა. ჩემი მიმზიდველი ძროხა, პერიოდში იყო რომელსაც ჰქვია მაკე, საკეისრო კვეთით გააჩინა და დაარქვეს ვაკე! კლასელის ჩანთისთვის მიმისხავს გუაში, ახლა რასაც ვიტყვი, სრულებით არ არის შუაში. ჩემი ბოსი კი არ არის ოსი, მაგრამ არის მხიარული, უყვარს ჩუსტით სიარული, მას არ უყვარს წაგება, ხიბლავს კაფელის დაგება, ბაკები აქვს თეთრი, აზრები კი უცნაურად მკვეთრი. არ ევასება თუთა და ნეტა რამ დაავასა თავისი ძუკნა ცუგა ბუთა? P.S. უაზრო ლექსებისკენ რომ ვილტვი, ამიტომაც დავიჭლექიანე ფილტვი. :) მისტერ.

• შალვა ბაციკაძეს: კარგი ქართველი ყოფილხარ, ენა მახვილად გიჭრისო, ნაშრომ-ნაჯაფსა ვაჟკაცსა, დრო სინანულში მიგდისო, რას იზამ, რით განუგეშო? რითმად დაღვრილო ვაჟკაცო, ესეც კარგია, რომ „გზაში“ შენი ლექსები გაგვაცნო, გაგახალისებს ჩემსავით, მგზავნელთა დიდი არმია, რა ვქნათ, ასაკმა გვიწია, ჩვენთვის ცხოვრება წამია! პატივისცემით, ნანი დუმბაძე.

• ქაჯების დედოფალო, მომეწონა შენი განსჯა. კარგი ხარ, გენაცვალოს ნანი დუმბაძე.

• იდუმალო ქალო, ჩემი სიმპათია ხარ, რა კარგია, რომ დაბადების დღე მიულოცე სევდიან ქალს. მეც გიერთდები და ვუსურვებ მზიან და სიხარულით სავსე დღეებს. ნანი დუმბაძე.

• ყვინჩილა. (ნოდარ დუმბაძე) საქათმის კარს რომ არ გიღებ, მიტომ მემდური ყვინჩილა? რა ვქნა, რა ჩემი ბრალია, მეზობლის მამალმა გიჩივლა. მოვიდა დეზების წკარუნით, — ამ ყმაწვილს არავინ პატრონობს? არადა, ყივილზე ეტყობა, ყივანა ხმა აქვს, ბატონო. გამოვა, შეჯდება ხეზე და გაჰკივის საზიზღარ არიებს, უფროსებს არ ვჩივი, ბატონო, ყივანას გადასდებს ვარიებს. ახლავე მოშორდეს აქედან და თავის ეზოში ირბინოს, არადა, მიყარეთ კაკალი, როდესაც დავაგლეჯ ბიბილოს! — მაშ რაღად მემდური, როდესაც მეზობლის მამალმა გიჩივლა, სულ მალე, სულ მალე მორჩები და ისევ გაგიშვებ, ყვინჩილა! ნანი დუმბაძე.

• ჭიკჭიკა მერცხალო, ჩემო ლიმონა, ტელეფონზე არ პასუხობ. მინდოდა, მოგფერებოდი. ხომ ხედავ, არ ვცდები, შენს ღირსებებს რომ ჩავწვდი. როგორ გამახ-

არე შენი დაბრუნებით, რადგან შენ ჟურნალის ბრწყინვალე ვარსკვლავი ხარ, ძვირფასი სამკაული. გეამბორები. ნანი დუმბაძე.

• მარი, ბედნიერია მგონი ადამიანი, რომელსაც ძალუძს სხვათათავის ბედნიერების მოტანა. ბედნიერია ადამიანი, რომელსაც აფასებენ და უყვართ. ბედნიერია ადამიანი, რომელსაც ისე აფასებენ, რომ არ იცნობენ... და ასეთი ადამიანისგან მიუღებელია სიტყვები, არ ვიცი, როდის ვიყავი ბედნიერიო... ის სულ ბედნიერია... და კიდევ, გულში დასამარხი და ჯიგარია. :) ვინ შემოვარდა და აგვაღელვა ეგრერიგად? მომეწონა. მართლა ძალიან მაგარია... შენ კი უმაგრესი ხარ, მარი, ამისთანებს რომ პოულობ. გაიხარე და გაახარე ულიბკა.

• ძალიან მიყვარხართ „გზის“ მკითხველები. განსაკუთრებით — ბავშვები.

• მოგესალმებით ყველას. ვკითხულობ თქვენს გზავნილებს და ვერ გავიგე, რამ გააბოროტა ასე ზოგიერთი? გიყვარდეთ და გაუფრთხილდით ერთმანეთს. გიჟუა1.

• ბევრი ნაცნობი ნიკი ვნახე, მაგრამ არ ვიცი, მე თუ გამიხსენებს რომელიმე. მენატრებით. გიჟუა1.

• მოგესალმებით. მე გახლავართ „გზის“ ერთგული მკითხველი. ბევრმა მგზავნელმა შემაყვარეთ თავი და გული მწყდება, თქვენი გზავნილები რომ იკლებს. ჯ.ხავი.

• მამაო, მოვიწყინე, კურთხევის შემდეგ მივმართე მამაოს. რატომ მოიწყინე? კეთილი და სათნო ხმით მომმართა მამაომ, შენ ხომ ღვთისა ხარ, უფალმა თავისთან მიგიხმო, შენ ხომ ზეციური მამისკენ მიდიხარ, მის სავანეში, ზეციურ ნეტარებაში დასამკვიდრებლად და ამ დროს მოიწყინე? უნდა გალობდე, „განათლდი, განათლდი, სულო, განახლებულო!“ შენ კი ლამის ტირიხარ, თითქოს და ტყუილად გაისარჯე, არც ერთი შენი საქმე ფუჭად არ ჩაივლის, უფალი ყველაფერს შეიწირავს და ასმაგად მოგიზღავთ. ჯანმრთელობა შემერყა, მამაო, ცხოვრება მიმძიმს, ისევ სასოწარკვეთილმა ამოვილუღლუღე. ჯანმრთელობა რომ შეგერყა, განა ღირს ამაზე დარდი? გაიხსენე, რას გეუბნებოდი, სანაცვლოდ სხვა შენ ადგილზე, ამისთვის ოქროს ზოდებს არ დაიშურებდა, შენ კი მხოლოდ ჯანმრთელობა შეგერყა, მაშ, კეთილი ინებე და ნუ მიეცემი სულმოკლეობას, ცხოვრება გიმძიმს? დიდება, შენ და, უფალო, ეს ვიწრო გზაა, ვიწრო გზა ხომ აუცილებელია, მის გარეშე ვერავინ შევა ცათა სასუფეველში. ზოგიერთი ღვთის განგებით, თვითონ იქმნის ასეთ გზას. შენთვის კი უფალმა თავად იზრუნა, რადგან ხედავდა, რომ შენით ვერ შეძლებდი. და რომ მოგეკიდა კიდეც ხელი, მაინც ვერ მოიწყობდი ამ საქმეს კეთილად. მას სურს, თავისთან მიგიყვანოს და შენი სიყვარულით იმას, რის გარეშეც მასთან შეცვლა შეუძლებელია. მაშინ, სულგრძელი იყავი, ღვთის გულისათვის, მას ხომ შენ უყვარხარ. ბოლო სიტყვები შორიდან, ექოს გამოძახილივით ჩამესმა და თვალი გავახილე. ერთი კიდევ ჩვეულებრივი თუ არაჩვეულებრივი დილა გათენებულიყო. დიდება უფალს. ლაკვასტი.

• გარდა ხილულისა, უხილავი სამყაროც არსებობს, გარდა წუთისოფლისა, მომავალი საუკუნეც გველოდება, ჩვენ რომ აზრითა და გულით იმ მომავალში გადასახლება შეგვეძლოს, სულ სხვაგვარი ფიქრები, სხვაგვარი საუბარი, სხვაგვარი საქმეები გვექნებოდა. ისეთი სხვაგვარი ვიქნებოდით, რომ ამ საუკუნის ადამიანები შლეგებად მოგვეჩვენებოდნენ. რამე თუ ერის გაგებით, ვინც ყველაფერს ჰპატიობს და პასუხს არ აგებნებს შეურაცხყოფისთვის, მას ღირსება არ აქვს. სინამდვილეში კი, სწორედ ღირსეულს თუ შეუძლია მიტევება. ღვთის მცნებით, მიმტევებლი არის ხავა, დიდებული, სამყაროს მოქალაქე. იქიდან იღებს იგი ჩაგონებას და იქაურ წესებს იცავს. მისდამი მიწიდან და მიწიერად მაცქერალნი კი ვერ ახერხებენ მისგან გაგებას. ლაკვასტი.

• გავა ერთი დღე, 2 დღე და კიდევ წლები, აღარ იქნება ეს გრძნობა ასეთი მწველი, მე სულ არაფერს, აღარაფერს, არავის ველი, უკვე მოვიდა განშორების მტანჯველი გველი. მხოლოდ ზეცაში, ანგელოზთა წიაღში გელი, რომ დაგანახო მწვანედ, ტრფობის ლამაზი ველი, ო, როგორ მინდა, მაგრად ვიყვირო, მე ისევ შენთვის, ნუთუ ვერ ხედავ, დრო როგორ გარბის და წარსულს ერთვის. ეს დღეს უკვე აღარავის, არავის ესმის და იმედი მაქვს, კლდეზე ამოსული იმ ხავსის ფესვის, მაინც მივდივარ, მაინც გტოვებ, როგორც ისურვე, მე სიკეთის და სიყვარულის ბუკეტს გისურვებ. შენს თვალებში ჩახედვის სურვილს ვერ ვუმკლავდები, თუმცა ლოცვაა ამ სურვილის დიდი თავდები, ეს ნაწერები ერთ უბრალო გლეხს უწერია და შენზე ლოცვად დაღლილი ხელი ცად უწვდენია, ეს ჩემმა გულმა თავის თავი თვითონ იტკინა, ჩემი ბრალია და არა შენი, ჩემო ქრისტინა... ჯაყისმანელი.

• წყევლა, მოდი მე ახლა მაღაზიაში გავქანდები, საპონს, შამპუნს, ერთჯერად „ბრიტვებს“ გიყიდი, სააბაზანოში შედი, კარგად მიიხეხ-მოიხეხე და მერე დაგარწმუნებ ჩემს კაცობაში. ისე, ერთ რამეს გეტყვი, კბილები კარგად გამოიხეხე, ხელები ანტიბაქტერიული საპნით დაიბანე და მერე შეახე შენი ცოდვილი თითები ტელეფონის კლავიატურას, ჩემთვის მესიჯის დაწერისას. შე ტვინსიბინძურეაბიბინებულო, ავსტრალიური ჯიშის იხვნისკარტავ. რუისპირი (YELLOW).

• გამარჯობა, მარ, აქ ჩემი უბედურება რა მოსატანია, მაგრამ არ შემიძლია, არ ვთქვა. ათჯერ „გზავნილებიდან“ წასული და ყოველთვის დაბრუნებული, ახლაც დავბრუნდი. თან ნიკი შევიცვალე, მაგრამ არ გამახარეს. ამესიჯებს უკვე ერთი დუდა. ჰოდა, მეც მეთერთმეტედ შევიცვალი ნიკს. ისე უნდა დავიმკვიდრო სახელი, რომ ახლის მოფიქრება აღარ დამჭირდეს. ნიკოლი.

• რუსეთო, თავი გვანებეთ, ვეღარას მოგცემთ ქატოში, რაც უნდა ბევრი გვიშალოთ, ჩვენ მაინც შევალთ ნატოში, მინდა, ერედვში დავბრუნდე, სანთელ ავანთო აბროში, რასმუსენ, რაღას უყურებ, დროა, მიგვიღო ნატოში, ვეღარას გვიზამს მტერია, ვინც ჩვენს წინააღმდეგ წამოვა, ზურგზე ვადინოთ მტვერია. შალვა ბაციკაძე.

• მგზავრო, ჯიგარი ხარ, ყველამ თავისი ადგილი უნდა იცოდეს. სოფელში ცხოვრება სოფლელობას არ ნიშნავს და ვისი აზრითაც ნიშნავს, ის მებრალება. ქაჯების დედოფალი.

• ჯაყისმანელო, აღფრთოვანებული ვარ, სიტყვები არ მყოფნის იმის გადმოსაცემად, რაც შენი მესიჯის წაკითხვისას ვიგრძენი. ჩავწვდი შენი სიტყვების არსს და გული მეტკინა. რანი (და არა — ვინ) ვართ ჩვენ? ჩვენ არ ვართ ადამიანობის ღირსი და ამას უნდა ვუმადლოდეთ, მაგრამ არსებობს უამრავი „მაგრამ“. ქაჯების დედოფალი.

• ძვირფასო ჩემო, ადრე უნდა შემხვედროდი, როცა ჯერ კიდევ ნეკნი ვიყავი, როცა ჯერ კიდევ ჩაგეტეოდი გულთან. ახლა რაღა დროსია, ძვალი ვარ, ცხოვრებისთვის სახრავად მიგდებული. არ შემოვეჭამო-მეთქი, ზრდა დავიწყე. რაღას მოძებნი პატარა ნეკნს, სრულყოფილ ჩონჩხში? ძვირფასო ჩემო, საფლავივით ღრმა უნდა იყო, ამდენი ძვალი რომ ჩაიტიო. მთელი ძალით უნდა ჩამიკრა გულში, იქნებ გეცნოს ჩემი სხეულის რაღაც ნაწილი. მომისინჯო ხერხემელი, მუხლისთავები... ეს ყველაფერი ერთმა ნეკნმა გამოიბა. როცა მოხრას, გაქცევას ვსწავლობდი, ძვირფასო ჩემო, რაღა დროსია, ახლა რაღა აზრი აქვს მკითხაობას და სულის ძებნას... ადრე უნდა შეგხვედროდი, როცა ჯერ კიდევ ნეკნი მერქვა, როცა ჯერ კიდევ ჩაგეტეოდი გულთან, ახლა უკვე ის სიცარიელეც შეგიხორცდა. მეც ხერხემალი გამოვიბი, თავის ქალა, მუხლისთავები, ძვირფასო ჩემო, სანამ შენ გეძინა, ძვლებად ვიქეცი. დიდი სიყვარულითა და უდიდესი პატივისცემით, ქ-ნ ნანი დუმბაძეს. რუისპირი.

• თუ საღამოხანს, დაგრძელებულ ხეების ჩრდილებს, ძველებურად, ასკინკილით გარს შემოუვლი, ჩემი და შენი ქალაქები ამად გეტყვიან, რომ ზაფრანას ყვავილივით გავყვითლდი და დავიბენი, როგორც მაშინ, სკოლის მერხებზე გაურკვეველ ინიციალებს რომ ვკაწრავდით. ხომ გახსოვს, ჭორფლების შეგროვება რომ დავიწყე, თმაც გამეფშიკა, მაშინდელივით ახლაც გამუდმებით ვიბან და ვიშლი. და გოგრის გულივით ყვითელი ვარ. ხომ გახსოვს, რა ძნელია, პირველად მოიტყუები და დაგიჯერებენ, როგორც 5 ჩხირით რომბებიანი წინდა მოგექსოვოს. ახლა კი ქარვის კენჭივით ყვითელი ვარ, ვიდრე არ დამიძახებენ, ვეღარ ვხვდები, საით უნდა გავიქცე. შენ ჩემი და ხარ და რომ გეცადა, შენს ქალაქში, საღამოხანს, ჩრდილებდახრილ ხეების ტოტს შემოხვევდი, ჩემი და შენი ბავშვობის საქანელები ამბავს გეტყოდნენ, რომ ფეტვის მარცვალივით ყვითელი ვარ, ჩამოვიფშვენი და დავიბენი... ეს პასუხია კითხვაზე — რატომ YELLOW?

• გამარჯობა მარი, როგორ ხარ ამ თინეიჯერების ხელში? გამძლეობა მიგცეს, ღმერთმა. არა, კი არავის განვიკითხავ ან ჭკუას კი არ ვარიგებ ვინმეს. რომც დავარიგო, ვინ მომისმენს? ყველა თავის სტიქიაშია. უბრალოდ, არ არის ლამაზი და სასიამოვნი წასაკითხი, ერთმანეთს ასეთი სიტყვებით რომ მიმართავენ. მე თუ მკითხავ, არაეთიკურია ეს ყველაფერი და თან მოსაბეზრებელი. არ დაიღალნენ მაინც? კარგი, მარი, აღარ შეგაწუხებ, უბრალოდ, ჩემი აზრი დავაფიქსირე. აბა, ბავშვებო, ჭკვიანად, მარი არ გააბრაზოთ. თინეიჯერი შინაბერა.

• მარი, ჩემო კარგო, მე თქვენ მიმაჩნიხართ ბედნიერ ადამიანად. თქვენ ხომ ამდენ ადამიანს უყვარხართ. როცა უყვარხართ, ე.ი. კარგი ხართ, დიდ, სიკეთით სავსე გულს ატარებთ და ამ სიკეთეს ყველას უნაწილებთ. მარი, გმადლობ, რომ არსებობთ, „გზაში“ რომ ხართ და ასე ძლიერ რომ გვახარებთ. მიყვარხარ, გერასიმე.

• ლაშა, სიხარულო, როგორ ხარ? ძალიან მენატრები. იცი, ძალიან მინდა, ჩაგეხუტო და გაგქოჩრო, მაგრამ... ჩვენ კარგად ვართ, თამო იზრდება და სუ-

რათებში გეფერება, პატარა უკვე ცელქობს და მარტში ამის სურათებიც გექნება. ნეტავ ვიცოდე, რა გჭირდება. ჩვენზე არ იდარდო, გკოცნი.

• ჭკვიანი ქალი სიყვარულით არასოდეს თხოვდება, რადგან ჭკვიანმა ქალმა იცის, რომ სიყვარული არ არსებობს.

• ბოდიში თათ, თუ რამე გაწყენინე, ჯობია, შევრიგდეთ და გუგულების ბუდე შევქმნათ. ჩემი ნიკი იქნება, ტყისმეფე.

• ქალბატონ ნანი დუმბაძეს: მოგესალმებით, კეთილშობილო ქალბატონო, ყველანაირად ვეცდები თქვენი ტელეფონის ნომრის გაგებას და აუცილებლად დაგიკავშირდებით. ლაკვასტი.

• ხვალ დაბადების დღე მაქვს და არ მიხარია. განა იმიტომ, რომ წლები მემატება და იმას განვიცდი. ეგ საერთოდ არ მანაღვლებს. უბრალოდ, გული მტკივა იმის გამო, რომ გვერდით ისეთი ადამიანი არ მყავს, ვინც გამიგებს და ისეთს მიმიღებს, როგორიც ვარ და ჩემს აღზრდა-გაზრდაზე არ იზრუნებს. ჩემს შეყვარებულსაც არ ესმის ჩემი. საერთოდ, კაცებს ქალების გაგება ცოტა უჭირთ. ვერ ვიტან საძაგელ, ფერად არსებებს, კაცი რომ ჰქვიათ და არაკაცები არიან. მორიელი85.

• მოგესალმებით ქუთაისიდან და მოვიკითხავ ყველა მგზავნელს, დიდი სიყვარულით. დიდი ხანია, „გზას“ ვკითხულობ, მაგრამ ვერ გადამეწყვიტა, მგზავნელი გავმხდარიყავი თუ არა. თქვენი რჩევაც დამჭირდა, რამდენჯერმე. გამიხარდება, თუ მიმიღებთ. ლივი.

• მხოლოდ ქალბატონ ნანის: არ შემეძლო, თქვენთვის იმედი გამეცრუებინა და თხოვნა არად ჩამეგდო. მაპატიეთ, თუ თქვენთან უხეშად გამომივიდა რამე. მალე დაბრუნებულიყავით ჩვენთან. წყევლა აწი ნაომის ნიკით იქნება.

• ეჰ, მარ, რატომ არ დამიბეჭდე მესიჯები? უხეში ტექსტი იყო, გასაგებია, მაგრამ სხვებს რომ უბეჭდავ? ქაჯების დედოფალი.

• წყევლა და მარია, იდიოტები ხართ და ეს ჩემზე უკეთ იცით. მეც მაგარი ვარ, რაა, როდის იყო, კუზიანი სამარისგარეშე სწორდებოდა? ეეჰ! ქაჯების დედოფალი.

• რუისპირო, იცი, რა კარგ ხასიათზე ვდგები, როცა შენს მესიჯებს ვკითხულობ? გაიხარე, ჯიგაარ! რაღაც, არ მჯერასავით, რომ სიცილი სიცოცხლეს ახანგრძლივებს, მაგრამ დაველოდოთ, 100 წელს თუ მივაღწევ, შენი და მისტერის წყალობით, მაღარიჩი ჩემზე იყოს. ე, რა ვქნა, ტო, მაგრები ხართ. ქაჯების დედოფალი.

• ფიფქიაა! გამოფხიზლდი, ტო, რა გჭირს? სულ ცუდ ხასიათზე როგორ უნდა იყო, ე? ხალხო, რამე მიშველეთ! მოვა სასწავლებლიდან, გამოცვლილი არ აქვს ტანსაცმელი, რომ უკვე კითხულობს. აუ, აღარ შემიძლია, გამოშტერდება! მირჩიეთ რამე, არსებობს ისეთი წიგნი, რომელსაც ვერ გადაშლი? კნუტოო, ქაანცხ! ქაჯების დედოფალი.

• მგონი ამ ცხოვრებამ მართლა შეცვალა ჩემი ცხოვრება, რადგან აღარავის ვენდობი. მყავდა დაქალი, რომელსაც დავშორდი სამუდამოდ. ბავშვობიდან ერთად ვიყავით, ერთმანეთის გარეშე არაფერს ვაკეთებდით, გარეთაც კი არ გავდიოდით ცალ-ცალკე და ამას თუ გამიკეთებდა, არ მეგონა. ზაფხულში სტუმრები ჩამოუვიდა. მისი სტუმარი გოგო ძალიან ამაყი იყო. თავზე დიდი წარმოდგენა ჰქონდა. მენაგლებოდა და ზემოდან მიყურებდა. ჩემს დაქალს დავავიწყდი. ხანდახან ისე გავიდოდნენ პარკში, რომ გვერდით გამივლიდნენ და ვერც კი მამჩნევდნენ. მალე მეც ჩამომივიდნენ სტუმრად ნათესავები. იმ დღეს ზღვაზე წავედით მათ გარეშე და ეწყინა, შენი ნათესავი ჩამოვიდა და აღარ გახსოვარო. დაიწყო ჩემი დაცინვა და აგდება. ყურადღებას არ ვაქცევდი, მაგრამ მერე იმ ბიჭზე დაიწყო ლაპარაკი, რომ მის სტუმარს სწერდა. ბოლოს ისე შეტოპა, რომ ვეჩხუბე. საშინელი სიტყვები და შეურაცხყოფა მივიღე მისგან, რასაც არ ვიმსახურებდი. დედიკოსთან თავი გაიმართლა და მე მაბრალებს ყველაფერს. ამის მერე რა უნდა ელაპარაკო, ამდენი ხნის დაქალს, როცა სხვის თვალში ცუდი გამოვდივარ... როგორ ვენდო სხვას, როცა დაქალმა არ დამინდო? ამან მართლა შეცვალა ჩემი ცხოვრება და მეც. ჯენიფერა.

• მარი, ბლოკადა გამიკეთე? ეს ბოლოა, ამ თემასთან დაკავშირებით აღარ შეგაწუხებ. მისტერს: ბიჭუნავ, თავი ასე დამცირებულად არასოდეს მიგრძნია. ღმერთო ჩემო, 18 წლის ღლაპს კაცობაზე ველაპარაკებოდი. აღარ განმეორდება. გაიზრდები და თავად მოგივა ჭკუა. მომიტევეთ. მარია.

• მე შენი სითბო სულ არ მჭირდება, როცა მზეა და როცა მაცხუნებს, შენი ნუგეში რაღაში მინდა, როცა მე ღმერთი შველას მარგუნებს. ანდა სიტყვები რა საჭიროა, როცა არ გთხოვ და არც რად მარგია, ასე მარტო და უშენოდ ყოფნა შენ რა გგონია, განა კარგია? გამათბე მაშინ, როცა მცივა და როცა უშენოდ დღეც კი ბნელია. მოდი და დარჩი, როცა გინატრო, ამის გარეშე ძნელია? ლუნა.

• მისტერ, ვინ ალიო ჩემი ჭკუამხიარული პატარალაო, ვინაო? მიყვარს კი არადა, მომწონს, როცა ვიღაცას იძულებულს ვხდი. ჰოო, მართლა, ვიცოდი, სიტყვას გატეხდი (ეს თვისება დორბლიანების სავიზიტო ბარათია). ასე რომ, ვერ გამაოცე. ახლა უსერიოზულესად: რატომღაც სხვებისგან გარიყული ლაწირაკი, სითბოს მოკლებული, ტვინგამხმარი თუ ტვინნახმარი მგონიხარ. ვერავინ ვერაფერს მოგთხოვს, შენი გონება მეტს ვერ აღიქვამს. გეცოდებოდეთ. ნაომი.

• არ შემიძლია, სულ თქვენთან ვიყო, არც უთქვენობა შემიძლია, გითხრათ, მიყვარხართ, ეს სიტყვები ხომ სხვებმაც იციან, მინდა ჩაგიკრათ სულში და გულში, გაკოცოთ, ესეც არ შემიძლია, არ შემიძლია, „გზას“ ვუღალატო, ეს ჩემი სულის წმინდა ფიცია. მე სიყვარული ამაზე მეტი, ამაზე დიდი არ შემიძლია, არ შემიძლია სულ თქვენთან ვიყო, არც უთქვენობა არ შემიძლია. ქალი ცდუნება. ეს ლექსი მგზავნელებო, თქვენ გეძღვნებათ. მარიამულ, თქვენი სიყვარულის გამოხატვა ამაზე მეტად არ შემიძლია. ქალი ცდუნება.

• თუ ოდესმე განგიცდია სიყვარული, ბრძნული, მიხვდები, რომ ტკივილია, განკითხული, რთული, მუდამ ფიქრობ, გელანდება, სიმწრით გეწვის გული, გაგიგია სიყვარული, სიტყვიერად თქმული? როდესაც სიყვარულს ვკარგავთ, შეგრძნება გვაქვს მტრული, მწარე გრძნობა გვეუფლება, ეშმაკს ებრძვის სული, თვალს სიბნელე მოგვაწვება, ბუნდოვანი, სრული, ყველა როდი უძლებს ამას, ეს გრძნობაა რთული, სიყვარული როცა მოდის, ვერ იქნება ძმური, გაგიტაცებს და ჩაგითრევს, როგორც ცისკრის ღრმული, ამ სიწმინდეს მალვა უნდა, თუ სავსე გაქვს გული, შენ ეს გრძნობა გაგიგია? სიტყვიერად თქმული... ქალი ცდუნება.

• პრივეტ, მარ, თქვენს ჟურნალს ხშირად ვკითხულობ. ძალიან კარგია, მაგრამ ამ ბოლო დროს სტერეოს მაგონებს. რა უბედურებაა, ვიღაც თავის პატიმარ ნათესავს თუ ქმარს აბარებს ანგარიშს და ამას თითქმის მთელ გვერდს უთმობთ? მეტი არაფერი გაქვს დასაბეჭდი? ის რომ ღირსი არ ყოფილიყო, არც ჩასვამდნენ. პატივისცემით, POLICE. *(ძვირფასო POLICE, საქმე ის გახლავთ, რომ კომუნიკაციის სხვა საშუალება პატიმრის პატრონს თითქმის არ გააჩნია და თუ ვინმე თავის ნათესავსა თუ ქმარს ასეთი ხერხით მიაწვდენს ხმას, ამაში ცუდი არაფერია. თანაც, ეს ფასიანი (50-თეთრიანი) მესიჯებია და რამდენსაც გამოგზავნის ავტორი, იმდენს დავუბეჭდავთ. დამნაშავეა თუ არა ესა თუ ის ადამიანი, ეს ჩვენი განსასჯელი არაა. ამას გამოძიება და სასამართლო თუ ვერა, ღმერთი დაადგენს. და თუნდაც, დამნაშავე იყოს, მისი ოჯახის წევრებისთვის მაინც საყვარელ ადამიანად რჩება და თუ ის პატიმარია, ეს არ ნიშნავს, რომ ოჯახი მიატოვებს ან მას აღარ აინტერესებს ოჯახის ამბები. ასე რომ, მოდი, ნუ განვსჯით. ყველას თავისი საწუხარი აქვს და თვითონ გადაწყვეტენ, როგორ უნდა მოიქცნენ. პატივისცემით, ავტორი).*

• და კიდევ ერთი: მინდა ვუთხრა მაგ მისტერსა თუ ს......ების ბელადს, რომ ჟურნალს ნუ ანაგვიანებს. ასე დამალულად სხვისი ლანძღვა, მით უმეტეს — მანდილოსნის, ვაჟკაცობად არ ითვლება. ამბობ, ჯარში მივდივარო, ნეტავ ჩემს ხელში მოხვდე და გაჩვენებ, რა მისტერიც ხარ. უნიტაზს კბილის ჯაგრისით გახეხვინებ. POLICE.

• მე მაოცებენ სამცხეს მთები, რუსთაველის სამოთხე, ჯაყისმანის ტაძრები და ნატაძრალის საოხე, მე მაოცებს ის მდინარე, ფოცხოვს რომ ეძახიან, ყველის ციხის ნანგრევები, თითქოს თავს გვიყადრიან. მე მაოცებს ის წარსული, გამძლეობა ამ მთების, მინდა ვიყო თუნდაც ერთხელ, იმ ტაძრებში ერთი სანთლის ამნთები და გავხედო ჩვენს მიწა-წყლებს, შორიდან რომ ტირიან, ტაო-კლარჯეთს, იშხანს, ფოსოვს, ღმერთო, აქ რამდენი გმირია. გრიბოედოვს სიმამაცის იქ ისარი უსვრია, დაცემულა გმირად წამში, აღარ ჩაუსუნთქია. ერთი იმ მთას გადახედეთ, როგორა დგას გულღიად, გველის ყველას, ქართველებო, ჯაყისუბნის ბურჯია. მე მაოცებს სამცხეს მთები, რუსთაველის სამოთხე, ჯაყისმანის ტაძრები და ნატაძრალის საოხე. თამარ მეფის სიმამაცე, ახლა თვალწინ მიდგია, როგორ ებრძვის მტერს გულღიად, ჯაყელს ხმალი უძვრია, იცავს ფოსოვს, საიდანაც, მათ ფესვები უდგიათ, გვიანდერძეს ის მცირედი, რაც კი დაუბრუნიათ, ჩვენ კი ვალად დაგვედება, მათი მოვლა გულთბილად, ერთიორად გამიმძაფრდა სიყვარული ამ მთების, აღარ არის ჩემი გული ამ სიამის დამტევი. ლაკვასტი.

• გიო, უზომოდ მენატრები. მოლოდინში ვარ, როდის დაგინახავ, ჩემო ერთადერთო სიყვარულო. ვიცი, მალე გავა დრო და გამოხვალ, ჩემო ტკივილო. ყოველწუთიერი დარდი და ფიქრი შენა ხარ. მიყვარხარ, ღმერთი შენკენ. შენი სოფო.

• მინდა, თქვენი ჟურნალის ფურცლებიდან ყველას მივმართო, სხვის ლანძღვას თავი დაანებონ და სარკეში ჩაიხე-

დონ, რას ჰგვანან თავად. მისტერ, ჭეშმარიტი მამაკაცი არც იწყევლება და არც უაზრო სიტყვებს ისვრის, შენგან განსხვავებით. აი, კასტილს კი, თუ გნებავს, შენს თავზე გამოგაცდევინებ. ოღონდ, თავში კი არ ჩაგიდებ, უფრო პრაქტიკულ ადგილს მოვუძებნი.

• SWEET-GIRL, ნუ მოკლავ კოლოს, მასში შენი სისხლი ჩქეფს! კამ-კამა.

• ლუნა, მაესტრო, ელისო, ფლამინგო, ოლეგარიო, გრუზინკა, მის რეალ, როკო, ლიმონა (ვინც გამომრჩა, მაპატიოს) აი, იმ დროს მოვედი „გზაში“, როცა ეს ხალხი ათბობდა ჩვენს გულებს. მენატრებით. ახლა? ახლა „გზა“ ის „გზა“ აღარ არის. კამ-კამა.

• რაღაც, ვერ ვიხსენებ, ქაჯების დედოფლისთვის მიმეწეროს, შემეტენე ხარმეთქი. ეგ არაფერი, მაგრამ... ჩემი ნიკით სარგებლობლობას მოეშვი. წყევლა. :)

• მარ, გთხოვ, ჩემი ნომერი მიეცით რეზიკოს. „გზა“ 42-ში დაიბეჭდა სტატია — „სიყვარულია სასწაული“, რუისპირის მოწერილი. ვისზეც არის სტატია, მისი ნომერი გამიგოთ იქნებ. ინგა28.

• მისტერ, შენმა გზავნილმა სასწაულზე გამაოგნა და რასაც ჰქვია, დამბურძგლა. ნეტავ, მართალს ამბობ? მისის-ნ.

• მე შენი სითბო სულ არ მჭირდება, როცა მზეა და როცა მაცხუნებს, შენი ნუგეში რაღაში მინდა, როცა მე ღმერთი შველას მარგუნებს? ანდა სიტყვები რა საჭიროა, როცა არ გთხოვ და არც რად მარგია, ასე მარტო და უშენოდ ყოფნა, შენ რა გგონია, განა კარგია? გამათბე მაშინ, როცა მცივა და როცა უშენოდ დღეც კი ბნელია, მოდი და დარჩი, როცა გინატრო, ამის გაგება ასე ძნელია? ლუნა.

• დღეს რაღაც, აგვიცივდა სამსახურში და უფროსი გვეხუმრება, ამ დროს კარგია ცხელი ჩაი კვერცხითო. :) მოვიდა ზამთარიიი. კლეოპატრა.

• ICE-LADY, გაიხარე ჩემო კარგო. ღმერთმა მრავალს დაგასწროს, უფლის მადლი და წყალობა არ მოგკლებოდეს. JERRY.

• არ უნდა სოფლელების ლანძღვა მისტერს: შენზე მეტი ზრდილობა და ადამიანობა ყველა სოფლელს აქვს. გენაცვალეთ ბავშვებო. გავიცნობდი მარიასა და წყევლას. გურულო.

• არ გვინდა ბავშვებო ჩხუბი. ზრდილობა და ეთიკა მართლა არ უნდა დაგვავიწყდეს, ეთიკაზე ყველაზე მეტს აქ ის ლაპარაკობს, ვისაც მართლა არ გააჩნია. გეყოთ. გურულო.

• მარიკუნა, მართლა ბოთეა ჩემი ბელურა. :) მართლა. მიყვარხარ მარ. გმადლობ ამ დღისთვის. კლეოპატრა.

• ფხიზელი არ ვარ! ან გაამართლებს, ან — არა! მე შემდეგ ქორწილს არ გამოვრიცხავ! რაი-მ.

• ლაკვასტ, დამამუნჯე, შენი ჩანახატებიდან საოცარი განწყობა მოდის და მე ეს მომწონს. ლამაზი წერის მანერა გაქვს. გაიხარე. ქაჯების დედოფალი.

• რაო, რაო, გადარეულმა? რომ დავიძახო გავაგონებო? :) ხო, რა ვი, ვახუნხულ, კი ვერ გნახე მერე და, არა, ისე მაშინ რამდენი ვილაპარაკე?! :) ძამიკელაო, მეც მენატრებიოოო. :) ფლამინგო.

• სხვისი რა მოგახსენო მარ, მაგრამ მე ისეთი ოლიმპიური სიმძლავრით მაქვს სულ გადმოყრილი 32 კბილი, რომ სხვის თვალში ნამდვილად ვტოვებ ბედნიერი ადამიანის შთაბეჭდილებას.

• ნიტა, ჯიგარი ხარ. ამათ, ყველას ერთი ბოლო აქვთ. ეგ ბოლო ვისთვის სასაცილოა, ვისთვის სატირალი. გააჩნია, ვინ რა კუთხიდან შეხედავს. გაკოცე. ქაჯების დედოფალი.

• ქაჯების დედოფალო, დიდი მადლობა, მოგიკითხავ... ლაკვასტი.

• დღემ დაითვალა ბოლო წუთები, სინათლე ჩაქრა, ჩამოწვა ღამე. ახლა მარტო ვარ თან მოწყენილი გამახალისე, მომწერე რამე. კოლოთო.

• უნიკოოოოვ, ბევრი ვიხალისე. როგორი გაბოროტებული ხარო? არც ყველას ვლანძღავ, თუ დამაკვირდები. გულწრფელი მადლობა, თანადგომისთვის. წყევლა.

• დაგელოდები, სანამ ხეებს გასცვივათ ფოთოლი, დაგელოდები, სანამ ისევ ზამთარი მოვა, დაგელოდები, სანამ ყველას დაავიწყდები, დაგელოდები, რომ ვიცოდე, ოდესმე მოხვალ. ICE-LADY.

• ისევ შევხვდებით და თუ მაშინაც ისევ ამაყი დარჩა გულები, თვალები მაინც ატირდებიან, ახლა უთქმელი საყვედურებით. ICE-LADY.

• არსებობს ქვეყნად რაღაცები თუ ვიღაცები, რომელნიც ჩვენთვის შეუცვლელები არიან და ამას იცი როდის ხვდება გული თუ გონება? როცა მათ სამუდამოდ ვკარგავთ... ICE-LADY.

• ნუ შემომხედავ იმ სუფრიდან, სადაც შენ ზიხარ, ნუ გამახსენებ, დიდი ხნის წინ პირველ გაცნობას, ტოლებში ვარ და სავსე ჭიქით ვსვამ სადღეგრძელოს, ჩუმად იყავი, პირველ დათრობას, მაღალ ყანწიდან ალავერდის თქმას ვერ გავბედავ, ჩუმად ვსვამ მე შენს სადღეგრძელოს, არვინ გამიგოს, იცლება ყანწი, ლამის ღმერთმა ცაში წამიღოს.

• მოდი, იმ ადამიანს გაუმარჯოს, ვინც მე გამიგოს! ICE-LADY.

• როს თვალები მოლოდინით არის სავსე, ასეთ გრძნობას მგონი ქვეყნად არარა სჯობს, ახდენილი მე არა მწამს ქვეყანაზე, მოდით ქვეყნად უიღბლობას გაუმარჯოს. P.S. როცა წვიმს მაშინ ჩემი წარსული ტირის. ICE-LADY.

• მარ, ოლემ მითხრა, რომ „გზაში“ ორჯერ გავგზავნე სმს და მოგიკითხე, მაგრამ მარიმ არ დამიბეჭდაო. :( ვინც ჩხუბობს, მხოლოდ იმათ უბეჭდავ. ეგრე არ შეიძლება, რა. კამ-კამა.

• ჩემი ცხოვრება შეიცვალა, რაც აკადემიაში ჩავაბარე. ნუ, ახლა, წესით მაკრატელი კი უნდა მქონოდა ხელში (მოდის ფაკულტეტზე მინდოდა), მაგრამ საჭრელი და ხერხი ვარჩიე და ვანადგურებ ხის მასალას. მივდივარ სასწავლებელში 10 სმ-იანი ქუსლებით, ჩამაკიაჟებული და უკან ვბრუნდები კაი დურგალივით, საგულდაგულოდ გატუშულ წამწამებზე ნახერხმიწებებული. მეტსახელიც მაქვს უკვე, — დურგალი, მაღალ ქუსლებზე. :) მაგრამ არა უშავს, ვივლი ასე ჩანახერხებული, სანამ არ დავამხეცებ ბაროკოს და როკოკოს. :) მია.

• ჩემს უსაყვარლეს და ულამაზეს თოჯინებს, ფლამინგოს, ედელვაისს, ლაკვასტს და ჭრიჭინას უუუთბილესი და უტკბილესი მოკითხვები ჩემგან. თქვენს დაიკოს უყვარხართოო. კლეოპატრა.

• ლიმონა, მიხარია შენი სმს-ების ხილვა... სად იყავი, ტო... მაგარი ადამიანი ხარ, გისურვებ შენივე სურვილების ასრულებას. გაიხარე. ქაჯების დედოფალი.

• ლინდა, კეთილი იყოს შენი ფეხი საგზავნილეთში, გამრავლოთ! გაიხარე, ქაჯების დედოფალი.

• ვა, მარ, გაოცებული ვარ. ჩემი სულ ძველი სმს იყო „გზაში“. :-) არადა, იმედიც არ მქონდა, რომ დაიბეჭდებოდა. ისე მესიამოვნა, ისე, რომ გავგიჟდი. :-) ურჩი გოგო.

• მთავარია, იუმორის გრძნობა არ დაკარგოთ, წყევლა და მარია. ყურადღებას ნუ მიაქცევთ ისეთ კრეტინს, როგორც მისტერია. გენაცვალეთო. გურულო.

• საუკეთესო მგზავნელებია: SWEET-ი, რუისპირი, გადარეული, ლაკვასტი, ლუნა, ნანი დუმბაძე. P.S. გამორჩეულები არიან ასევე მარია და წყევლა. ღმერთი გფარავდეთ. გურულო.

• მარ, ვიცი, დაკავებული ხარ, მაგრამ რაღაც მინდა გთხოვო. მომწერე რა, როგორ დავრეგისტრირდე „მობილი-ზაციაში“? ანი.

• ლაშუნა, ყველაფერი კარგად იქნება. აპელაციას გავუკეთებთო. არ მინდა დაგპირდე და ვერ შევასრულო. ყველაფერს გავაკეთებ შენთვის. მთავარია, არ დაეცე სულიერად. ჯაჯიკო.

• მისტერი გავიცანი მარ და გადასარევი ადამიანია. მაპატიე ჯოი, ამდენი რომ გალოდინე. კალქი ხარ... მენატრებით, ჩემო საყვარელო მგზავნელებო. თათუკა, სად დამეკარგე? SCARLET.

• აღსავსე ვიყავი გრძნობით... ოცნებას ოცნება ერქვა და ფიქრს ფიქრი... იმედსაც ლამაზად ჰქონდა გაშლილი ფრთები... მიხაროდა დილა, რადგან ვიცოდი, შენთან ერთად დაიწყებოდა, ღამეც, შენზე ფიქრში რომ ვიძინებდი... სიზმრებშიც კი შენთან ერთად ვიყავი... მიხაროდა ყველაფერი... ახლა კი... უშენოდ დაწყებული დილა... ღამე უშენოდ... სევდიანი ფიქრები და გამქრალი ოცნებები... იმედმაც დაუშვა ფრთები... ჩემში კი სიცარიელემ დაისადგურა... ვეღარავინ შეძლებს ამიერიდან მის შევსებას... შენ ვერავინ შეგედრება ამქვეყნად და იმიტომ... შენ ერთადერთი ხარ, ასეთი კარგი, ასეთი შეუცვლელი და ჩემი ცხოვრების იდეალი... კლეოპატრა.

• ჩემი ლაშა თქვენს ჟურნალს კითხულობს. ამიტომ მის გულში ჩახუტებამდე თქვენი დახმარებით პატიება მეც უნდა ვთხოვო. მე მაპატიე შვილო, თავისუფლება წაგართვი. შენს აღზრდაში მე დავუშვი შეცდომა! სად? როდის? გკოცნი, ჩემო ცხოვრება შვილო. თამრო.

• SWEET-GIRL, მაგარი ხარ, რაა, კოლოებზე ჩანახატი მომეწონა. ვიხალისე ძალიან. ქაჯების დედოფალი.

• როცა პირველად მგზავნელი გავხდი, მიზნად მქონდა, ძალიან ბევრი მეგობარი შემეძინა, მაგრამ მხოლოდ ერთი აღმოჩნდა მართლა მაგარი ადამიანი. ოლეს ვენაცვალეე. კამ-კამა.

• მარი ჯაფარიძე, გაღმერთებ! აღარც მახსოვდა ეგ მესიჯი როდის მოგწერე... თვალზე ცრემლი მომადგა, თითქოს მივიწყებული ტკივილი ისევ გამიახლდა, თვალწინ გამიარა მასთან გატარებულმა ყოველმა წუთმა... წელიწად-ნახევრის შემდეგ ისევ მყვარებია... ახლა ვზივარ ჩემი პატარა ქალაქის ყველაზე მაღალ ადგილზე, ხელის გულივით მოჩანს ნისლში გახვეული, საოცრად ლამაზია, არაამქვეყნიური... მიყვარს აქ ჯდომა და ფიქრი. წარსულზე ფიქრი, მასზე ფიქრი... აქედან კარგად ჩანს მისი ქუჩა. თვალებით ვეძებ, ყველა გამვლელში მას ვხედავ, ბევ-

რჯერ ვმსხდარვართ მე და ის აქ, მას ჩემს კალთაში ედო თავი და ვოცნებობდით, ვოცნებობდით მომავალზე, სად ვიცხოვრებდით, ბავშვებს რას დავარქმევდით... წვიმამ დაუშვა... მაშინაც ხომ ასე წვიმდა, მაგრამ ჩვენ არ გვაშინებდა წვიმა, ხელჩაკიდებულები მივსეირნობდით, ბაღში ერთ ლამაზ ხეს შევეფარეთ. არაფერია... მან იმავე ხესთან მითხრა, რომ აღარ ვუყვარდი, წვიმდა სევდიანად, თითქოს ცა ჩემს მწუხარებას იზიარებდა, მე მთლად დასველებული ისევ დავეხეტებოდი ქუჩებში უმისამართოდ, ოღონდ უკვე მარტო, მის გარეშე, წვიმის წვეთები მეცემოდა სახეზე და ცრემლებს უერთდებოდა. ახლაც წავალ, ყველა იმ ნაცნობ ადგილს შემოვივლი, სადაც კი ერთად ვყოფილვართ, იქნებ სადმე ისიც კი შემხვდეს... თუ არადა... და წვიმა ნაკვალევს შლის... ICE-LADY.

• წახვედი და თითქოს მეხი გავარდა, გაწვიმდა და შენი კვალიც გაქრა, წახვედი და არა დამრჩა დარდად, ნაჩუქარი სურათების გარდა, მინდოდა, რომ მეკიჟინა შორიდან, მაგრამ ველარ ამოვიდგი ენა, ჩემზე ფიქრი აგედევნა მალულად და ჩემსავით თმაზე მოგეფერა. მე კი ისევ მაწვიმდა და მაწვიმს სიყვარულის ნაღვლიანი წვიმა, მიტოვებულს მარტო ქარმა მომხედა, წამიყვანა, სახლში მიმაცილა.

• მის მხარზე მედო თავი და ვგრძნობდი, რომ ვუყვარდი. არ ვამხელდით, მაგრამ ორივემ ვიცოდით ეს. ღამით, ერთად, ხელგადახვეულებმა ვისეირნეთ. ეს მოვლენა საბედისწერო იყო. ცქნაფა.

• პარიჟანკა, გამიხარდა შენი ნიკი რომ კვლავ დავინახე ჟურნალის ფურცელზე. ძალიან, ძალიან მაგარი ხარ, მი სი მალატ. :) ქაჯების დედოფალი.

• დრო მიდის და ემატება წელი — წელს, ის პირველი სიყვარული გაქრა, ჩემგან ყველა მოგონება გაქრა, იმ პირველი სიყვარულის გარდა...

• მოვლენა, რომელმაც მთელი ჩემი ცხოვრება შეცვალა, 2 წლის წინ მოხდა. ერთ მშვენიერ დღეს, ჩემს მობილურზე ზარი შემოვიდა. რა თქმა უნდა, გადავურეკე და იქიდან გოგოს სასიამოვნო ხმამ მიპასუხა. მეც არ დავახანე, მთელი ჩემი კულტურით, ზრდილობითა და მაღალფარდოვანი სიტყვებით მოვხიბლე. მერე იყო იმედგაცრუებაც, მაგრამ დღეს უკვე ჩემი საცოლეა. მან მთელი ჩემი ცხოვრება შეცვალა. ახლა ცოტა გაბუტულები კი ვართ, მაგრამ არა უშავს. თან აქვე მინდა, ბოდიში მოვუხადო.

• აღდგომის დღე იყო. წვიმიანი და ცივი, მაგრამ ჩემთვის ულამაზესი. ამ ერთი დღის წყალობით დღეს მე ვარ შეყვარებული და ბედნიერი. მე ამ ცივ ღამეში მისი სიახლოვე მათბობდა.

• ცხოვრებაში შეეცადეთ ისე არ მოიქცეთ, რომ შემდეგ მთელი ცხოვრება ინანოთ, გაუფრთხილდით თქვენთვის საყვარელ ადამიანებს. უბედური.

• ახლა რასაც გწერთ, ამ მოვლენამ მთლიანად შეცვალა ჩემი ცხოვრება. 2007 წლის ზაფხულში დასასვენებლად წავედი დედულეთში. ჩემნაირად იქ ბევრი იყო ჩამოსული. ჰოდა, მეც ერთი ბიჭი მომეწონა, მასაც მოვეწონესავით, მაგრამ ერთმანეთს არ ვუმხელდით. როგორც იქნა, დავახლოვდით და ახლა ძალიან გვიყვარს ერთმანეთი. იმ ზაფხულს დედულეთში რომ არ წავსულიყავი, ვერ ვიპოვიდი ჩემს პატარას, რომელმაც მასწავლა ცხოვრება და ბევრი რამ შეიცვალა ჩემ ცხოვრებაში. მიყვარხარ პაწუკა და მენატრები. გურულო.

• მარ, პირველად გწერ. ერთ ჩემს მეგობარს უყვარდა ბიჭი. ის ბიჭი არაფერს იმჩნევდა და ჩემი მეგობარი სულ გაგიჟდა. ერთ დღეს გამომიცხადა, უნდა თავი მოვიკლაო. რა თქმა უნდა, ნოტაცია წავუკითხე, მაგრამ არაფერი გამომივიდა. მაინც გადახტა. ის ბიჭი ახლა მე მაბამს, მაგრამ ამ ამბის მერე ყველაფერი შეიცვალა. დამიბეჭდავ? ამო-ჩუკა.

• როცა გული დარდით იწვის, ცრემლი დნება, როცა სევდა გულის კარებს დარაჯობს და მაინც რომ სიყვარული არ ახდება, მოდით ასეთ მწარე ტრფიალს გაუმარჯოს.

• ქ-ნ. ნანი დუმბაძე, რამდენიმეჯერ ჩემს სმს-ს უდიდესი სითბო და სიყვარული გამოვატანე, მაგრამ „გზის“ ფურცლებამდე ვერ მოაღწია. იმედია, ახლა მაინც შეარხევს თქვენი სულის სიმებს.

• ინტერნეტში გავიცანი ბიჭი, რომელმაც ჩემი ცხოვრება მთლიანად შეცვალა. მასთან ვიწექი თანაც, ყველაზე დიდი ცოდვა ჩავიდინე, რომელსაც მთელი ცხოვრება ვერ ვაპატიებ საკუთარ თავს — ჩემს შვილს მოვუსწრაფე სიცოცხლე და რის გამო? რომ მას მშვიდად ეცხოვრა.



# გილოცავ!

• მარტყოფში, ჩემს საყვარელ, ბრწყინვალე ქართველ დედას, რუიზან ეპიტაშვილ-ბედიანაშვილს ვულოცავ დაბადების დღეს, 7 ნოემბერს. სიკეთით სავსე დედამ 3 შვილი აღზარდა. მისი ვაჟი მთელ სოფელში გამორჩეული და პატივსაცემი პიროვნებაა. კიდეც ამიტომ იმსახურებს დიდ სიყვარულს. გოგონებს კარგი, თბილი ოჯახები აქვთ. რუიზანს ვუსურვებ მზიან და სიხარულით სავსე დღეებს. ნანი დუმბაძე.

• რიტა პლიევა, გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას და სიხარულს. „ტაკჟე დოლგოლეტია“. გკოცნით. მზია და ნათელა ნარიმანიშვილები.

• ჩემს საყვარელ მამიდულას, გულიკო ბაღდავაძეს ვულოცავ დაბადების დღეს, 3 ნოემბერს. მრავალს დაესწარი. ყველაზე მაგარი მამიდა ხარ, მსოფლიოში. მიყვარხარ. საბა ბაღდავაძე.

• შორენა ჩადუნელ-ტყემალაძეს: ყველაზე ლამაზო, გილოცავთ დაბადების დღეს, მრავალს დაესწარი საყვარელ ოჯახთან ერთად. გაიხარე, გამრავლდი. გკოცნით. თამო, მზია.

• შორენა ჩადუნელს: გილოცავთ დაბადების დღეს. მრავალს დაგასწროს უფალმა, ოჯახთან ერთად. გისურვებთ სიხარულს და ბედნიერებას. ნათლულის, ანანო ბიწაძის ოჯახი.

• შორენა ჩადუნელს: გილოცავთ დაბადების დღეს, ჯანმრთელობა და ბედნიერება არ მოგაკლოს უფალმა. დაესწარი მრავალს, ოჯახთან ერთად. გკოცნით. ნიკა სტურუა, ნათელა.

• 1-ელ ნოემბერს დაბადების დღეს ვულოცავ „გზის“ კოლორიტს, ოლეგარიოს. ჩემო კეთილო და კარგო ადამიანო, მრავალს დაგასწროს უფალმა, შენს ოჯახთან, შვილებთან, შვილიშვილთან და შენთვის ყველა ძვირფას ადამიანთან ერთად. არაჩვეულებრივი პიროვნება ხარ და ძალიან გაფასებ. დიდი სიყვარულით, იდუმალი ქალი.

• ათენში დროებით მცხოვრებ მარიკა ფუტურიძეს ვულოცავ დაბადების დღეს, 29 ოქტომბერს. ვუსურვებ ჯანმრთელობას, გახარებას, ლამაზ ოჯახთან ერთად. გფარავდეს უფალი. ლელა ქარჩხაძე.

• ლალიას ვულოცავ იუბილეს, 29 ოქტომბერს. მრავალს დაესწარი, ძალიან მიყვარხარ და გპირდები, რომ შენს იმედებს გავამართლებ. გიგი.

• ათენში დროებით მცხოვრებ მზია გრეკოვს 31 ოქტომბერს ვულოცავ დაბადების დღეს. გისურვებ ჯანმრთელობას და ღვთის წყალობას. ჩანაფიქრი ოცნების ასრულებას და ბევრ ლამაზ წელს, საყვარელ ადამიანებთან ერთად. გფარავდეს ღმერთი, ამ უცხო ქვეყნის მიწაზე. კეთილი სურვილებით, ნესტანი.

• ჩემს ძმისშვილს, თათა კუპრაშვილს ვულოცავ დაბადების დღეს. ღმერთმა ჯანმრთელობა, ულევი სიხარული და სიყვარული არ მოგაკლოს მამი. გეფერებით, ლელა მამიდა და მირიან ბიძია.

• 30 ოქტომბერს დაბადების დღე გვინდა მივულოცოთ თათა კუპრაშვილს. თათა, გვინდა, უბედნიერესი იყო მთელი ცხოვრება. გილოცავენ შენი მამიდაშვილები, ამო და ზანდა სირბილაძეები.

• 10 ოქტომბერს დაბადების დღე გვინდა მივულოცოთ ჩვენს ბიძაშვილს, თათა კუპრაშვილს. თათა, ყველაფერ საუკეთესოს გისურვებენ შენი მამიდაშვილები, თეო და თაკო მეფარიშვილები.

ნაზი დარჩიაშვილს ვულოცავ დაბადების დღეს, 30 ოქტომბერს. ვუსურვებ ჯანმრთელობას, ბედნიერებას და ყოველივე საუკეთესოს, ცხოვრებაში. მისი ოჯახი. გვიყვარხარ და გვენატრები.

გელა ფიცხელაურს 5 ნოემბერს ვულოცავ დაბადების დღეს. ვუსურვებ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, სიხარულს და ყოველივე საუკეთესოს, ცხოვრებაში.

**„მობილიზაციაში“ ნომრის გაგების შესაძლებლობა დღისა და ღამის ნებისმიერ დროს გაქვთ. საამისოდ, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა Guli გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი, შემდეგ აკრიბოთ „გზის“ ნომერი, ტირე, მესიჯის ნომერი და გაგზავნოთ ნომერზე 8884. თქვენს ტელეფონზე ავტომატურად მიიღებთ სასურველ ტელეფონის ნომერს. მაგალითად, თუ გსურთ, „გზა“ №18-დან გაიგოთ მე-10 მესიჯის ავტორის ნომერი, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში აკრიბეთ: Guli 18-10 და გაგზავნეთ 8884-ზე. 1 მესიჯით შეგიძლიათ მხოლოდ 1 ნომრის გაგება. ჟურნალში არც ერთი ტელეფონის ნომერი აღარ გამოქვეყნდება. 1 მესიჯის ფასია: 50 თეთრი.**



# ტაიმ-აუტი




## რთული გზა მილიარდერობამდე

* მილიარდერი — ჯონ ანდერსონი ბავშვობაში მამამისის სადალაქოსთან პოპკორნს ყიდდა. უფრო მეტი კლიენტი რომ მიეზიდა, კინოთეატრთან გადაინაცვლა და პოპკორნს ფასი დაუკლო. ერთი წლის შემდეგ ლოს-ანჯელესში ლუდის Budweiser დისტრიბუცია დაიწყო. დღეს მისი ქონება 1,8 მლრდ დოლარადაა შეფასებული.

* 26 წლის მარკ ცუკერბერგმა გართობის მიზნით, სოციალური ქსელი Facebook შექმნა. დღეს მარკი 4 მლრდ დოლარის მფლობელია.

* ჩარლზ შვაბი ბავშვობაში საკრამენტოს გარეუბანში ნიგოზს ყიდდა. დიპლომის მიღების შემდეგ, რამდენიმე კოლეგასთან ერთად, საბროკერო ცენტრი გახსნა. მისი კომპანია 4,7 მლრდ დოლარის მფლობელია.

* ენდრიუ ბილი გაფუჭებულ ტელევიზორებს ყიდულობდა, არემონტებდა და ღარიბ ოჯახებზე ყიდდა. 19 წლისამ მიწის ნაკვეთების ყიდვა-გაყიდვა დაიწყო. დღეს მისი ქონება 4,5 მლრდ დოლარადაა შეფასებული.

* ბუნ პიკენსი 12 წლის ასაკში გაზეთებს დაატარებდა. ფულის დაგროვების შემდეგ, რამდენიმე მეგობართან ერთად, ნავთობისა და გაზის გადამმუშავებელი კომპანია Mesa Petroleum გახსნა. „მესა" ამერიკის ერთ-ერთი უმსხვილესი კომპანიაა, რომელმაც პიკენსს 1,1 მლრდ დოლარი მოუტანა.

* დევიდ მერდოკმა სკოლა მე-9 კლასის შემდეგ მიატოვა. მუშაობა ავტოგასამართ სადგურზე დაიწყო. შემდეგ ჯარში გაიწვიეს. იქიდან დაბრუნებულმა უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა დაიწყო და მოგვიანებით, ხილ-ბოსტნეულის კორპორაცია Dole გახსნა. მისი ბიზნესი 2,5 მლრდ დოლარადაა შეფასებული.

* ოპრა უინფრი საბაყლო დახლის გამყიდველი იყო. 15 წლისა ნეშვილის რადიოში ახალ ამბებს პირდაპირ ეთერში კითხულობდა. დღეს მისი შოუ მთელ მსოფლიოშია ცნობილი. გარდა ამისა, საკუთარი ჟურნალიდან და რამდენიმე ტელეგადაცემიდან წილი აქვს. მისი ქონება 2,4 მლრდ დოლარს აღწევს.

* ინჟინერი და ფიზიკოსი — რეი დოლბი ბავშვობაში კინოაუდიოკომპანია — „ამპექსში" მუშაობდა. კოლეჯის დამთავრების შემდეგ კონსულტანტად ინდოეთში გაამგზავრეს. ლონდონში დაბრუნების შემდეგ მან „დოლბი ლაბორატორია" გახსნა. 2010 წლის მარტში „ფორბსმა" მისი ქონება 3,5 მლრდ დოლარად შეაფასა.

* უმაღლეს სკოლაში სწავლის დროს სტივ ჯობსი Hewlett-Packard-ში გაგზავნეს. კომპანიაში სტივ ვოზნიაკი გაიცნო. მასთან ერთად Apple გახსნა. 5,5 მლრდ დოლარი მულტიპლიკაციურმა კომპანიამ მოუტანა, რომელიც 7,4 მლრდ დოლარად „დისნეის" მიჰყიდა. ■

## მხიარული ქურდები

* 2007 წელს სიუზი ფრონტეროტას სახლში მძარცველი შეიპარა და დიასახლისს სამკაულები და ათასი დოლარი მოჰპარა. სამი წლის შემდეგ, დაზარალებულს ქურდმა სამკაულები და წერილი ფოსტით გაუგზავნა. მიყენებული განცდებისთვის ბოდიში მოუხადა და დაჰპირდა, რომ ფულსაც მალე დაუბრუნებდა.

* კოლუმბუსის (ოჰაიოს შტატი, აშშ) ერთ-ერთ სახლში სამი მძარცველი შეიჭრა. ძვირფასი ნივთებისა და ფულის გამოძალვის შემდეგ, ქურდები მიიმალნენ. მაგრამ ცოტა ხანში ერთ-ერთი — სტეფონ ბენეტი დაზარალებულების ბინაში მიბრუნდა და დიასახლისს ცოლობა სთხოვა. ქალმა მძარცველი ამოიცნო და პოლიციაში დარეკა. ბენეტი ადგილზე დააკავეს და 100 ათასი დოლარის გადახდა დააკისრეს.

* ერთი მძარცველი 28 წლის პარიკმახერს შეუვარდა სახლში. გოგონა წარსულში კარატისტი ყოფილა და თავდამსხმელი გაკოჭა და რადიატორზე მიაბა. მოგვიანებით კი მასთან სექსუალური კავშირი დაამყარა. 48-საათიანი ტყვეობის შემდეგ, გოგონამ ბიჭი გაათავისუფლა. მამაკაცი პოლიციაში გამოცხადდა და გოგონა სექსუალურ ძალადობაში დაადანაშაულა. მოგვიანებით ორივეს ჯარიმა გადაახდევინეს, მამაკაცს ქურდობის მცდელობისთვის; გოგონას — გაუპატიურებისთვის. ■





რუბრიკა მოამზადა
რუსუდან გელაშვილმა

# ნოემბრის ნომერი




ავტორთა ნაკრები:
აკა მორჩილაძე,
ილია ბაბუნაშვილი,
დათო ტურაშვილი,
ედიშერ ბერაძე,
ლაშა ბაბუნია,
გაგა გოზრონიძე,
დავით კოვზირიძე,
კოტე ჯანდიერი,
ლელა ჯიყაშვილი,
სოსო ცისკარიშვილი,
ნინო რეხვიაშვილი...

# „თუ შენი ქვეყნის ისტორია არ იცი, ვერც სხვის ავსა და კარგს გაიგებ“

**„ქართული პროზის საგანძურის“ 36-ე ტომში მკითხველს ლევან სანიკიძის „წიგნი მოწამეთას“ ვთავაზობთ, რომლის ისტორიულ და ლიტერატურულ ფასეულობებზე ქალბატონ მარიამ ლორთქიფანიძეს გავესაუბრეთ.**

ეთო ყორღანაშვილი



— ჟურნალი „გზა“ ჩემს ოჯახს წიგნთან ერთად აქვს გამოწერილი. „ქართული პროზის საგანძურის“ უკვე გამოსული ყველა ტომი გვაქვს. ამ არაჩვეულებრივ პროექტში მთელი ქართული კლასიკური ნაწარმოებები მშვენივრადაა წარმოდგენილი. რა თქმა უნდა, მე უკვე ყველაფერი წაკითხული მაქვს, მაგრამ შეიძლება, ამ პროექტმა ახალგაზრდების წიგნით დაინტერესებას ხელი შეუწყოს, ქართული კლასიკური ნაწარმოებებისადმი ინტერესი გაუჩინოს.

**— ახალგაზრდების წიგნით დაინტერესება რთულია?**

— ძალიან რთულია. სამწუხაროდ, ამ პრობლემის საფუძვლიანად მოგვარებას სკოლაც ვერ ახერხებს. შეიძლება, „ქართული პროზის საგანძურმა“ მნიშვნელოვან საქმეს ბიძგი მისცეს... ყოველ ხუთშაბათს, ჟურნალი და წიგნი ერთად მოაქვთ. მაგიდაზე რომ დადებ, ახალგაზრდასაც ძალაუნებურად, თვალი გაექცევა და იქნებ, რამე წაიკითხოს (*იცინის*). ყოველ შემთხვევაში,



მე ამის სურვილი მაქვს.

**— ეს მეთოდი ამართლებს?**

— ჩემს ოჯახში — კი. შვილიშვილმა რამდენიმე ნაწარმოები წაიკითხა და ძალიან მოეწონა — კმაყოფილი დარჩა.

**— ამ ნომერში მკითხველმა ლევან სანიკიძის — „წიგნი მოწამეთა“ მიიღო. რა შეგიძლიათ, ბატონ ლევანზე გვითხრათ?**

— ლევანი უნიჭიერესი კაცი იყო! განათლებით ისტორიკოსი გახლდათ — საქართველოს და მსოფლიოს ისტორია ძალიან კარგად იცოდა. ამავე დროს, მწერალიც იყო. მას ჰქონდა ნიჭი — ისტორიული ფაქტი ისე გადმოეცა, რომ წასაკითხად იოლი ყოფილიყო. ვიცი, რომ ეს ადვილი საქმე არაა — თავად ისტორიკოსი გახლავართ, სამეცნიერო ნაშრომები მაქვს. ლევანის მიერ დაწერილი ისტორია მკითხველისათვის ძალიან მიმზიდველია. „წიგნი მოწამეთა“ ეს გახლავთ ინფორმაცია ყველა იმ ადამიანის შესახებ, რომლებმაც ჩვენი ქვეყნის ისტორიაში თავისი წვლილი შეიტანეს. მათ საკუთარ პრინციპებს არ უღალატეს და ქვეყნისათვის ბევრი რამ გააკეთეს.

**— დღესდღეობით, ახალგაზრდები საქართველოს ისტორიას რამდენად კარგად იცნობენ? გამოჩენილი ადამიანების წვლილის შესახებ ინფორმაციას ფლობენ?**

— სტუდენტებთან აქტიურად ვურთიერთობ — ლექციები უნივერსიტეტშიც მაქვს და სასულიერო აკადემიაშიც. „ჭრელი“ სტუდენტობა „მოდის“: ზოგმა (ალბათ, ვისაც სკოლაში კარგი მასწავლებელი ჰყავდა) საქართველოს ისტორია იცის, ვისი მასწავლებელიც თავს არ იწუხებდა (სამწუხაროდ, ასეთებიც არიან) — არა. უნივერსიტეტში ვინც მოდის, საქართველოს ისტორია თითქმის ყველამ იცის (ცოტათი მაინც) და აინტერესებს. უნივერსიტეტში ე.წ. არჩევითი კურსი არსებობს. იქ მხოლოდ ჰუმანიტარული ფაკულტეტის ისტორიული მიმართულების სტუდენტები კი არ ეწერებიან, არამედ — მომავალი იურისტები, ბიოლოგები, უცხო ენების სპეციალისტები... მაგალითად, შარშან 100 მათგანი ჩაეწერა. ჯგუფი ორად გავყავით — 100-კაციან აუდიტორიაში ლექციას ვერ წავიყვანდი. წელს გაირკვა, რომ გაყოფის საშუალება არაა. ამიტომ ვთქვი, — 50 სტუდენტზე მეტი არ ჩაწეროთ-მეთქი... ფაქტია, რომ ახალგაზრდებს ისტორიისადმი დიდი ინტერესი აქვთ! მათი ინტერესის დასაკმაყოფილებლად, ლევან სანიკიძის — „წიგნი მოწამეთა“ ძალიან კარგი საშუალებაა!

**— გვითხარით, — ამ წიგნს რა ისტორიული და ლიტერატურული ღირებულება აქვს?**

— მასში სასულიერო, სახელმწიფო მოღვაწეების, კერძო პირების, ძველი მეფეების შესახებაა მოთხრობილი. განსაკუთრებულად საინტერესოა: წმინდა ნინო, ქეთევან დედოფალი, დავით აღმაშენებელი... რომელი ერთი ჩამოვთვალო, არ ვიცი. წიგნში ყველა მათგანის პორტრეტია მოცემული. მას განსაკუთრებული ღირებულება აქვს. მაგალითად, როცა ახალგაზრდები ჩვენ მიერ დაწერილს კითხულობენ — ის მათ ძნელად იტაცებთ, ლევანს კი განსაკუთრებული ნიჭი ჰქონდა, რომ ისე დაეწერა, მკითხველი აუცილებლად დაინტერესებულიყო.

**— თქვენ და ბატონ ლევანს როგორი ურთიერთობა გქონდათ?**

— ძალიან კარგი. ლევანი კარგი სამეგობრო კაცი იყო — გატანა

იცოდა. არაჩვეულებრივი პიროვნება და პატრიოტი ადამიანი გახლდათ.

— **სტუდენტებთან როგორი ურთიერთობა ჰქონდა?**

ურთიერთობა გვქონდა. ზოგჯერ, მთელ რიგ საკითხებზე განსხვავებული თვალსაზრისი გვქონდა, ვკამათობდით, მაგრამ ეს ჩვენს ურთ-

## ლევანი კარგი სამეგობრო კაცი იყო — გატანა იცოდა. არაჩვეულებრივი პიროვნება და პატრიოტი ადამიანი გახლდათ

— სტუდენტებს ძალიან უყვარდათ. მის ლექციებს სიამოვნებით ესწრებოდნენ, რადგან ძალიან საინტერესოდ კითხულობდა. მე არ მომისმენია, მაგრამ სტუდენტებისაგან ვიცი, რომ ასე იყო. მან თავისი სადოქტორო დისერტაცია უნივერსიტეტში დაიცვა (თავად ვესწრებოდი). უარყოფითი შეფასებებიც ჰქონდა, მაგრამ მაინც ძალიან კარგად, პრინციპულად დაიცვა.

— **...ანუ გარკვეულწილად, თავისი ადგილის დამკვიდრება გაუჭირდა?**

— დიახ, გარკვეული წინააღმდეგობა შეხვდა, მაგრამ ყველაფერს შესანიშნავად გაართვა თავი.

— **კრიტიკას როგორ იღებდა?**

— ჩვენ ერთმანეთთან ახლო ურთიერთობას ხელს არ უშლიდა.

— **ქალბატონო მარიამ, იმ ადამიანებს რას ურჩევთ, ვისაც „წიგნი მოწამეთა“ არ წაუკითხავთ?**

— ადამიანმა თავისი ქვეყნის ისტორია უნდა იცოდეს. წინათ, უპირველეს ყოვლისა, ჩვენთან ეკლესია-მონასტერი საღვთო სამსახურისათვის იყო, მაგრამ ამავე დროს, ყველა მათგანი გარკვეულ სამეცნიერო ცენტრსაც წარმოადგენდა. იქ ხდებოდა წიგნების გადაწერა, თარგმნა, გამრავლება... უცხოეთში არსებულ ქართულ მონასტრებში „ქართული წარმომადგენლობები“ იყო, მაგალითად — ბიზანტიაში. რა წიგნიც იქ გამოვიდოდა, მაშინვე უნდა გადაეწერათ და საქართველოში გამოეგზავნათ. ჩვენ გვაქვს მეათე საუკუნეში შედგენილი „შატბერდის კრებული“ — ეს სასწავლო წიგნი გახლავთ. მასში შეტანილია საღვთისმეტყველო, საბუნებისმეტყველო ლიტერატურა და საქართველოს ისტორია („მოქცევაი ქართლისაი“). ქრისტიანი მწერლისათვის ქვეყნის ისტორია გაქრისტიანებიდან იწყება, მაგრამ ავტორმა შესავლის სახით, წიგნს ქართლის ისტორია წაუმძღვარა — ფარნავაზიდან მოყოლებული, პირველ ქრისტიან მეფემდე. კრებულის არსებობა იმას ნიშნავს, რომ მეათე საუკუნეში, ჩვენში მყარი შეხედულება არსებობდა: ვინც სწავლობს (მაშინ წერა-კითხვა ყველამ არ იცოდა), ყველა იმ ადამიანმა თავისი ქვეყნის ისტორია უნდა იცოდეს! საკუთარი ქვეყნის ისტორიის ცოდნა აუცილებელია. თუ შენს წარსულს, შენი ქვეყნის მოღვაწეებს პატივს არ სცემ, ვერც სხვის ისტორიას გაიგებ და ვერც სხვის ავსა და კარგს განსჯი. თუკი მეათე საუკუნეში სავალდებულო იყო, რომ განათლებულ ადამიანს თავისი ქვეყნის ისტორია სცოდნოდა, დღეს ამის აუცილებლობაზე ლაპარაკი ცოტა უხერხულია. ასე რომ, ყველას ვურჩევ, „წიგნი მოწამეთა“ წაიკითხოს და ქართველ მოღვაწეებს გაეცნოს. ■




# „მდიდარი ბიბლიოთეკის პატრონი ვარ“

**პროფესიით ისტორიკოსია. 11 წლის იყო, როცა პირადი ბიბლიოთეკის შექმნა დაიწყო. პროფესიაც ამ ასაკში აირჩია. ახლა მის ოჯახში 900-ზე მეტი წიგნი ინახება. აქედან 95% — სამეცნიერო ლიტერატურაა. თავისუფალ დროს სიამოვნებით ეცნობა ისტორიულ პროზას. ავტორებიდან უპირატესობას კონსტანტინე გამსახურდიას, ლევან გოთუასა და გრიგოლ აბაშიძეს ანიჭებს. თავად 16 წიგნის ავტორია, აქედან 6 — სახელმძღვანელოა. მაშ ასე, „ერუდიტის“ სტუმარი — თბილისის საკრებულოს წევრი (ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობიდან) ჯაბა სამუშია გახლავთ.**

თამუნა კვინიკაძე



## პრეამბულის მაგიერ

— **თუ გახსოვთ, რა წიგნში გაქვთ გადახდილი ყველაზე დიდი თანხა?**

— ლონდონში 200 გირვანქა სტერლინგად სქელტანიანი მონოგრაფია შევიძინე, რომელიც ისლამურ ცივილიზაციას ეხება. საკმაოდ მდიდარი ბიბლიოთეკის პატრონი ვარ. გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან საქართველოში გამოსული ყველა ისტორიული წიგნი მაქვს. კოლექციონერიც გახლავართ. „საეკლესიო კალენდარს“ (წიგნად გამოცემულს) 1976 წლიდან ვაგროვებ. ჩემთან ბოლო 6 წლის მანძილზე გამოცემული „საეკლესიო უწყების“ ყველა ნომერი ინახება.

— **ამჟამად რას კითხულობთ?**

— ბოლო პერიოდში უმეტესად, პოლიტიკურ ლიტერატურას ვეცნობი. ამჟამად, ფრანგი ისტორიკოსის — ლეკოფის ნაშრომს ვკითხულობ, რომელიც შუა საუკუნეების ევროპის ცივილიზაციაზე აქვს დაწერილი. ვწუხვარ, რომ მხატვრული ლიტერატურის წასაკითხად დრო ნაკლებად მრჩება.

— **მხატვრული ლიტერატურა ახსენეთ და აქვე გკითხავთ — ყველაზე მეტად რომელი ლიტერატურული პერსონაჟი გხიბლავთ, რომელთან იმეგობრებდით?**

— ბევრი დადებითი პერსონაჟის დასახელება შემიძლია. მეგობრობაზე კი რა მოგახსენოთ, უფრო ეპოქას ავირჩევდი და სიამოვნებით, XI საუკუნის საქართველოში ვიცხოვრებდი. ეს ის პერიოდია, რომელსაც ჩემი სამეცნიერო ნაშრომების 60% მივუძღვენი.

— **კარგი მეხსიერება გაქვთ?**

— არ ვუჩივი, მაგრამ მხედველობითი მეხსიერება უფრო კარგი მაქვს.

— **პოეზია გიყვართ?**

— ძალიან, მაგრამ ლექსი საჯაროდ არასდროს წამიკითხავს.

— **ეს მწერალი თბილისში 1934 წელს დაიბადა. სამწერლო ასპარეზზე სულ სამიოდე წელი ილვაწა. მოთხრობათა პირველი კრებული — „სალამურა“ მისი გარდაცვალების შემდეგ გამოიცა. იგი 1960 წლის აგვისტოში, გაგრაში, 26 წლის ასაკში ტრაგიკულად დაიღუპა. დაასახელეთ ეს მწერალი.**

— გურამ რჩეულიშვილი. ეს პიროვნება და მისი ნაწარმოებები ისტორიული თვალსაზრისითაც ძალიან საინტერესოა. მაგალითისათვის გავიხსენოთ — „ალავერდობა“, „უსახელო უფლისციხელი“. ამ ნაწარმოებებში კარგად ჩანს იმ ეპოქის ტრაგიზმი. არსებობენ მწერლები, რომლებიც ისტორიულ თემებზე წერენ, მაგრამ ისტორია არ იციან. გურამ რჩეულიშვილი ამ მხრივაც გამორჩეული იყო.

— **დაასახელეთ პირველი ქართველი, რომელმაც უცხო ენაზე დაიცვა დისერტაცია.**

— (*ფიქრობს*) ნიკო ნიკოლაძე. დისერტაციის თემაც ვიცოდი, მაგრამ ველარ ვიხსენებ.

— **კანზასი, მასაჩუსეტსი, მისური, ოჰაიო, ჯორჯია — რა ჩამოვთვალე?**

— ამერიკის შტატები.

— **რა ჰქვია ხორვატიის დედაქალაქს?**

— (*ფიქრობს*) ვერ ვიხსენებ.

— **ზაგრები. აბუჯა რომელი ქვეყნის დედაქალაქია?**

— სამწუხაროდ, ვერც ამ კითხვაზე გიპასუხებთ.

— **ნიგერიის. რომელი ზღვის სანაპიროზე მდებარეობს ფინიკია?**

— ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე.

— **რა ერქვა ხევისბერი გოჩას შვილს?**

— (*ფიქრობს*)... ამ კითხვაზე მოგვიანებით გიპასუხებთ. ცოტა ხნის წინ ხევს ვსტუმრობდი და ყაზბეგში მომიყვნენ, რომ იქ მართლაც არსებობდა ხევისბერი გოჩას პროტოტიპი.

— **კი, ბატონო, ამ კითხვას მოგვიანებით მივუბრუნდები... რამდენი ქისა ჰქონდა ოთარაანთ ქვრივს?**

— ამ თემას ნაწარმოების 1 თავი ეძღვნება. სამწუხაროდ, ქისების რაოდენობას ვერ დავასახელებ.

— **5. მათი სახელებია: „საჭირნახულო“, „ბარაქალა ქისა“, „საჯანაბო“, „მიეცი და მოგეცესო“, „ფარსიღას ქარვასლა“, რომელსაც ზოგჯერ „შიოს მარანსაც“ ეძახდა.**

— სახელებიც საინტერესოდაა შერჩეული.

— **„ყიზი ყუ“ ყაზახური ცხენოსნური სპორტის სახეობაა. მის შესახებ რამე გსმენიათ?**

— არა.

— **ქართულად ეს ფრაზა „დაეწიე ქალიშვილს“ ნიშნავს. ცხენოსანი ვაჟი მისდევს მხედარ ქალიშვილს; თუ დაეწევა, აკოცებს, თუ ვერ დაეწევა, საჯაროდ შერცხვება — უკან მობრუნებულ ვაჟს ქალიშვილი გამოედევნება და თუ დაეწევა, მათრახს გადაჰკრავს.**

— ეს რა საინტერესო ტრადიცია ჰქონიათ!

— **ამ თემაზე იოსებ ნონეშვილს ლექსი აქვს დაწერილი, რომელიც შემდეგნაირად მთავრდება: „ყიზი**

**ყუუ!“ — მომძახიან ველები,/ შორით ვხედავ შენი კაბის კალთებს./ ნუ იჩქარებ, აგრემც შემოგევლე-ბი,/ ნუ შემარცხვენ სტუმრად მოსულ ქართველს“. ახლა კი დროა, შემდეგ კითხვაზე გადავიდეთ.**

— ეს რა საინტერესო რუბრიკა გქონიათ! სამწუხ-აროდ, არ ვიცოდი. ყურადღებით გისმენთ.

— **ის საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ორჯონიკიძის რაიონის მილიციის უბნის რწმუნებული გოგი თუშურაშვილი გახლდათ. რა მეტსახელით იყო ცნობილი?**

— კუკარაჩა.

— **სადაური იყო ეზოპე?**

— ბერძენი მეიგავე გახლდათ.

— **მან თბილისის რუსული სემინარიის რექტორი — დეკანოზი პავლე ჩუდეცკი მოკლა. ეს ანტი-ქართველი მოხელე სიონის ტაძარში დაკრძალეს, ხოლო მკვლელი 20 წლით კატორღაში გაამწესეს. მან იქიდან გაქცევა მოახერხა, ამერიკაში ჩავიდა, მაგრამ მალევე გარდაიცვალა. ექიმებმა „დიაგნოზიც“ დაუსვეს — ნოსტალგია. დაასახელეთ ეს პიროვნება.**

— იოსებ ლაღიაშვილი.

— **რამდენჯერ შემოესია თემურ-ლენგი საქართვე-ლოს?**

— 8-ჯერ.

— **ისტორიკოსი ხართ, თარიღებიც უნდა იცო-დეთ.**

— პირველი შემოსევა 1386 წელს იყო, ბოლო — 1403 წელს.

— **ამ სამეფოს ქართველები ეგრისს უწოდებდ-ნენ; რას უწოდებდნენ მას ბიზანტიელები?**

— ლაზიკას.

— **მირიან III, ფარნავაზი, ვახტანგ გორგასალი, დემეტრე II — ჩამოთვლილთაგან რომელი მეფე არ იყო ქრისტიანი?**

— ფარნავაზი.

— **იმერეთის მეფე ალექსანდრე V მოულოდნელად დაბრმავდა. მისმა თანამედროვეებმა ეს მოვლენა რას მიაწერეს?**

— ამბობდნენ, რომ მეფემ რამდენიმე დღით ადრე გელათის ტაძარი გაძარცვა.

— **...და ხახულის ღვთისმშობლის ხატს ძვირფასი თვლები „ამოუყარა“.**

— გიორგი V-ს როცა მეუღლე გარდაეცვალა, გე-ლათის ტაძარში ის საფლავი მიიტაცა, სადაც (როგორც ვარაუდობდნენ) თამარ მეფე იყო დაკრძალული. გარ-და ამისა, ეს მეფე ტყვეთა გაყიდვას უჭერდა მხარს. ასე რომ, ცოდვები არ აკლდა.

— **„ვინც სევდიანია — ის გულახდილიცაა“, — ამბობდა ეს მხატვარი. მისი შემოქმედებითი ბიოგრაფია 70 წელზე მეტს ითვლის. ამბობენ, მას სახელოსნო-ში ყოველთვის ჰქონდა ერთი დიდი ტილო, რომელზეც მხოლოდ მხატვრის ხელმოწერა იყო. დაასახელეთ ეს მხატვარი.**

— (*ფიქრობს*) მინიშნებას ვერ მეტყვით?

— **მის ცნობილ ტილოებს დაგისახელებთ: „ქალი პლაჟზე“, „გოგონა ბურთზე“, „მოხუცი მათხოვარი ბიჭთან ერთად“, „ავინიონელი ქალიშვილები“, „მე-თევზე“...**

— პაბლო პიკასო. მის მუზეუმში ნამყოფი ვარ.

— **„მე დავბრუნდები, ტკივილებს წავშლი,/ ოღონდ მოსვლამდის, ოღონდ ბოლომდის,/ როგორც გაზაფხულს ელიან მთაში/ — შენი ლამაზი გული მელოდეს...“/ ვინ არის ამ სტროფის ავტორი?**

— ვერ ვიხსენებ. თუ შეგიძლიათ, ბოლომდე წამი-კითხეთ.

— **„...შევყრი მეგობრებს, მაღალ მაყრიონს,/ ორ-ღობეებში გასროლას დოღის,/ ზეცის ჩამოხსნას, მთების შერყევას/ ჯილდოდ მოვუტან ბრწყინვალე ლოდინს“./ ლექსი შემდეგი სტროფით მთავრდება: „...და ქორწილს ზეცის სუფრაზე გავშლი,/ ოღონდ მოსვლამდის, ოღონდ ბოლომდის,/ როგორც გაზაფხულს ელიან მთაში,/ შენი ლამაზი თრთოლვა მელოდეს“.**

— ძალიან მომეწონა, მაგრამ ავტორს ვერ დაგისახ-ელებთ.

— **მირზა გელოვანი. მიაჩნიათ, რომ პოლიტიკაში ეს ჩვეულება ხრუშჩოვმა შემოიტანა, მაგრამ მის ნამდვილ „კლასიკოსად“ ბრეჟნევი მიიჩნევა. რა არის ეს?**

— ოფიციალური შეხვედრების დროს ლიდერთა გადაკოცნა.

— **რომელმა ცნობილმა ქართველმა საზოგადო მოღვაწემ უთხრა საფრანგეთის მოხუცებულ მეფეს — ლუდოვიკო XVI-ს შემდეგი სიტყვები: „ისეთი მოხდენით ატარებთ ასაკს, რომ ყველა ინატრებდა თქვენს ადგილზე ყოფნას“?**

— სულხან-საბა ორბელიანმა.

— **რა წოდება ჰქონდა ლავრენტი ბერიას?**

— საბჭოთა კავშირის მარშალი იყო.

— **რამდენი ფეხი აქვს რვაფეხას?**

— (*იცინის*) რამდენი აქვს? რვა ხომ არა?..

— **ზუსტად უნდა მითხრათ.**

— დავთვლი. (*პაუზის შემდეგ*) 7.

— **საინტერესოა, როგორ დაითვალეთ?**

— ვიზუალურად წარმოვიდგინე. რა, ასე არ არის?

— **მაშინ შვიდფეხა ერქმეოდა.**

— აბა, 8 ფეხი აქვს? არ ვიცოდი.

## ეს რა საინტერესო რუბრიკა გქონიათ! სამწუხაროდ, არ ვიცოდი. ყურადღებით გისმენთ.

— **ვინ ასრულებდა ხანუმას როლს ფილმში — „ქეთო და კოტე“?**

— თამარ ჭავჭავაძე.

— **ჩარლი ჩაპლინი, სტივენ სპილბერგი, ელდარ რიაზანოვი, ფედერიკო ფელინი — მათგან რომელი იყო საკუთარი ფილმების სცენარისტი და მთავარი როლის შემსრულებელი?**

— ჩარლი ჩაპლინი, როგორც ვიცი, მუსიკის ავ-ტორიც თავად იყო.

— **აზიის რომელ მდინარეს უწოდებენ ციმბირის მზეთუნახავს?**

— ლენას.

— **ბატონო ჯაბა, სანამ ბოლო კითხვას დაგის-ვამდეთ, შეგახსენებთ...**

— დიახ, მახსოვს — ხევისბერი გოჩას შვილის სახელი უნდა მეთქვა; მას ონისე ერქვა.

— **ახლა კი დაასახელეთ ცნობილი ტაჯიკი მეცნიერის, ფილოსოფოსის, ექიმის — აბუ ალ იბნ სინას ფსევდონიმი.**

— ავიცენა.

— **დაბოლოს, დაასრულეთ მისი ცნობილი გამონათქ-ვამი: „სიბრძნეზე ამბობენ — უძვირფასესი რამააო, თუმცა მასში...“**

— „...სიბრიყვე უფრო მეტია“.

— **„...თუმცა მასში გროშსაც არავინ იხდის“.** ■

## გონების სავარჯიშო

### „გზის“ ერთგული მკითხველისათვის

### (კითხვები)

**ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ**

**„პასუხების“ სვეტისკენ არ გაგექცეთ თვალი**

1. „დიდად ვაფასებთ თქვენს მხედართმთავრულ ნიჭსა და ძლიერ გამბედაობას. მაგრამ ქართველი ბრძანდებით და გირჩევთ, დღესვე გადაბრძანდეთ საქართველოში, სადაც ამიერიდან იმეფებთ თქვენ და თქვენი შთამომავლობა. თუ ჩემს კეთილ რჩევას არ მიიღებთ, მოვდივარ ცეცხლითა და მახვილით. სულ 40 კილომეტრი მიკლია მოსკოვამდე“, — ეს წერილი ჰიტლერმა სტალინს 1942 წლის 13 იანვარს მისწერა. რა უპასუხა სტალინმა?

2. ვის ეკუთვნის რომანები — „რეტიმა ანუ მშვენიერი ქართველი ქალი“ და „რუსპია ანუ მშვენიერი ჩერქეზი ქალი“?

3. ვის ეძახდნენ ძველ რომში რუდიარს?

4. რა გვარი იყო ჰიტლერი?

5. რომელ ლიტერატურულ პერსონაჟს ეკუთვნის სიტყვები: „საგნებს შეუძლიათ, გაცილებით მეტი მოგვითხრონ ადამიანების შესახებ, ვიდრე ადამიანებს — საგნების შესახებ“?

6. ვის ერქვა გვიანდელ ფეოდალურ საქართველოში ყულარაღასი?

7. დაასახელეთ პეტერბურგის აკადემიის პირველი უცხოელი წევრი.

8. ინგლისელები ამერიკიდან შემოტანილ პომიდორს თავდაპირველად მხოლოდ დეკორატიული სახით ზრდიდნენ. რატომ?

9. რა არის „ტენცო“?

10. რამდენი წლის ასაკში გარდაიცვალა ბრიუს ლი?

11. რას ეძახიან ყინულისაგან თავისუფალ ადგილებს ანტარქტიდაში?

12. რას ეძახდა სოკრატე სიბრძნის დასაწყისს?

13. რომელ საუკუნეში დაარსდა ოქსფორდის უნივერსიტეტი?

# ანეკდოტები



* * *

— ბოჩოლა, ჩემო ბოჩოლა, — ენას უჩლექს ქმარი.
— ბოჩოლას რატომ მეძახი?
— რა ვიცი, ვიფიქრე, ძროხა არ ეწყინოს-მეთქი.

* * *

— რატომ აცვია შენს მულს ასეთი მოკლე კაბა?
— უხ, არ მაცალეს, თორემ სულ შემოვახევდი!

* * *

ორი ხანდაზმული მამაკაცი პარკში ზის და გოგოებს ათვალიერებს. ერთი ეუბნება მეორეს:
— იცი, ადრე საკმარისი იყო, კარგი გოგო დამენახა, რომ ეგრევე ვეგზნებოდი...
— ახლა?
— ახლა მხედველობა აღარ მივარგა...

* * *

სიძე სიდედრის დასაფლავებიდან ბრუნდება და ჩიტმა თავზე დაასკინტლა. აიხედა მაღლა და შესძახა:
— ვა, უკვე მაღლა ხარ, ოლიფანტოვნა?

* * *

მამაკაცი შედის ყვავილების მაღაზიაში.
— თუ შეიძლება, ასი ცალი ვარდი მომეცით ჩემი ცოლისთვის.
— ასეთი რა დააშავეთ?

* * *

პოლიციის უფროსის კაბინეტში დაკავებული შეიყვანეს:
— უფროსო, აგერ ეს კაცი დავაკავეთ. თქვენ დაჰკითხეთ, ჩვენ კი სამორიგეოდ უნდა დავბრუნდეთ.
— რა დააშავა? — დაინტერესდა უფროსი.
— ზოოპარკში გალიაში იყო შეპარული და ვეფხვს აუპატიურებდა!
— მერე, მაგასთან ერთად კაბინეტში მარტოკას მტოვებთ?!

* * *

— ნეტავ, ჩემი მატარებელი რამდენ ხანში გადის? — კითხულობს სიდედრი.
— ორ საათში, 26 წუთსა და 42 წამში, დედა, — სხაპასხუპით პასუხობს სიძე.

* * *

— სოფი, როგორ არის შენი საქმეები?
— უჰ, არ მკითხო, ისე გავწვალდი ქმრის მემკვიდრეობის გადმოფორმებაზე, ხანდახან ვფიქრობ, ჯობდა, არ მომკვდარიყო-მეთქი.

* * *

ცოლი ქმარს საყვედურობს:
— რა არის, არსად დაგყავარ, არც კინოში, არც თეატრში, არც რესტორანში, არც სასეირნოდ!..
— რატომ, წინა კვირას ხომ წაგიყვანე საავადმყოფოში!

* * *

ოსი მდინარის პირას ზის და თევზაობს. გაუთავდა ჭიაყელები. აიღო ფურცელი, დააწერა „წიაყელა“, გაუკეთა ნემსკავზე, ანკესი წყალში ისროლა და ცოტა ხნის შემდეგ უკან ამოიღო. ხედავს, ზედ სხვა ფურცელია მიმაგრებული წარწერით: „ლოქო, სენი წირიმე“.



* * *

ახალი ამბები: ამ დღეებში პოლიციელებმა მაზოხისტების მიტინგი ხელკეტებით დაშალეს. ასეთი სიამოვნება დიდი ხანია, არც ერთ მხარეს არ მიუღია.

* * *

მთვრალი კაცი ეზოში შევიდა. შორიდან გუგულის ხმა ესმის.

— გუგულო, კიდევ რამდენ ხანს ვიცოცხლებ? — ეკითხება კაცი.

ამ დროს ცოლის ხმა ესმის:

— სულ რაღაც ხუთი წუთი, შე სასიკვდილე, სანამ ცომის გასაბრტყელებელს ვიპოვი!..

* * *

პოლიციის განყოფილებაში ბავშვი შევარდა და მორიგეს ეუბნება:

— ჩქარა, წამოდით, ქუჩაში ვიღაც კაცი მამაჩემს სცემს!

პოლიციელი ქუჩაში გავარდა და ხედავს, ორი კაცი ერთმანეთს თავპირს ამტვრევს.

— რომელია მამაშენი?

— ზუსტად მაგას არკვევენ...

* * *

ძუნწი ქმარი ცოლს ეუბნება:

— პალტო ჩაიცვი, რესტორანში დამპატიჟეს.

— რა კარგია, ერთად ვივახშმებთ!

— კიდევ რა გინდა?!.. მარტო მე დამპატიჟეს!

— აბა, პალტო რად მინდა?

— გათბობა უნდა გამოვრთო, სანამ სახლში არ ვიქნები.

* * *

ქმარი მიდის სახლში მთვრალი. შესასვლელში ცოლი დგას ცომის გასაბრტყელებლით ხელში.

— საყვარელო, შენ სულ აცხობ და აცხობ...

* * *

ორი სომეხი რესტორანში ზის:

— ნახე, იმ მაგიდასთან რა ლამაზი გოგონები სხედან, წამო, იმათთან გადავსხდეთ!

— მოიცა, ჯერ ოფიციანტს ფული გადაუხადონ...

* * *

ერთხელ რაღაცაზე გაბრაზებული ქმარი სახლში მივიდა:

— ოჯახში უფროსი მე ვარ! დღეიდან სადილად ახალ ხორცსა და ახალ ბოსტნეულს მომიმზადებთ ხოლმე! კენტ რიცხვებში ცოლი დაწვება ჩემთან და ლუწ რიცხვებში — სიდედრი.

— ეგ სადაური წესია?! — გადაირია ცოლი.

— სადაური წესია და აქაური წესია! — ცხოვრებაში პირველად სიძეს მიემხრო სიდედრი.

* * *

სამთავიან დრაკონს სძინავს. ამ დროს ერთ თავს გაეღვიძება, მეორეს აღვიძებს და ჩურჩულით ეუბნება:

— გაიგე, მესამე თავი ორალური სექსით ერთობა.

— არაფერი უთხრა, თუ ძმა ხარ, მთავარია, ანალურზე არ გადავიდეს.

* * *

— ქალბატონო, ეს ბავშვები სულ თქვენი შვილები არიან?

— არა! ქარხანა, სადაც ვმუშაობ, პრეზერვატივებს უშვებს, ესენი კი მომხმარებელთა საჩივრებია!

* * *

ორ შინაბერას კბილების საზიარო პროთეზი აქვს. ერთხელ უმცროსი და გვიან საღამოს დაბრუნდა სახლში. უფროსმა სასწრაფოდ გამოართვა პროთეზი, მოირგო და პირი გააწკლაპუნა:

— ააა, შოკოლადი მიგირთმევია... მმმ, ყავაც დაგიყოლებია... ვაა, უშანგი ჩამოვიდა?!.

* * *

განცხადება თელ-ავივის რადიოთი: „ძვირფასო თანამოქალაქეებო! გაცნობებთ, რომ ზოოპარკიდან გაიქცა ენოტი. მნახველებს გთხოვთ, ზოოპარკის სალაროში 10 შეკელი გადაიხადოთ“.

# გონების სავარჯიშო

## „გზის“ ერთგული მკითხველისათვის

### (პასუხები)

1. „მადლობელი ვარ დაფასებისთვის. დიახ, მე ქართველი ვარ, მაგრამ გამზარდა რუსმა ერმა და ჩვენთან არსებული ჩვეულების მიხედვით, არ მაქვს უფლება, მივატოვო გამზრდელი განსაცდელის ჟამს. მელოდეთ მალე ბერლინში“.
2. ფრანგ მწერლს ბარტელემ მარმონ დიუოშანს.
3. გათავისუფლებულ გლადიატორს.
4. შიკლგრუბერი.
5. შერლოკ ჰოლმსს.
6. მეფის მცველ მეთოფეთა უფროსს.
7. ბენჯამინ ფრანკლინი.
8. მათ ეს მცენარე შხამიანი ეგონათ.
9. წყლის პიტნა.
10. 33 წლის ასაკში.
11. ოაზისებს.
12. გაოცებას.
13. XII საუკუნეში (1167 წელს).

## ჩვენი ფოტო გალერეა



# ჰოროსკოპი

## 4-10 ნოემბერი

**ვერძი**

ხშირად დაისვენეთ. კარგი პერიოდია ახალი ნაცნობობისა და რომანტიკული პაემნებისთვის.

**კურო**

ახალ მეგობრებს ინტერნეტით გაიცნობთ. საპირისპირო სქესთა ურთიერთობა რომანტიკულ განწყობილებას შეგიქმნით.

**ტყუპები**

იმიჯი შეიცვალეთ. განაახლეთ ძველი, სასიყვარულო ურთიერთობები. დასვენების დღეები ჰობის დაუთმეთ.

**კირჩხიბი**

უფროს მეგობრებთან ფილოსოფიური საუბრების შემდეგ შესაძლოა, ღირებულებების გადაფასებამ მოგიწიოთ.

**ლომი**

ავანტიურა და თავგადასავლები გაგიტაცებთ. თუ არ გსურთ, საფრთხე შეექმნას თქვენს საქმიანობას, დაუფიქრებლად ნუ იმოქმედებთ.

**ქალწული**

ნუ დაელოდებით სხვათა დახმარებას, საკუთარი გეგმების განსახორციელებლად თავად იმოქმედეთ. ახალგაცნობილთან ფლირტი შესაძლოა, სერიოზულ გრძნობაში გადაიზარდოს.

**სასწორი**

კოლეგები სასიამოვნო სიურპრიზებით გაგანებივრებენ. ნუ გაჯიუტდებით და საკუთარ კაპრიზებს გარშემო მყოფებს ნუ მოახვევთ.

**მორიელი**

კარგი პერიოდია შემოქმედებითი საქმიანობისთვის. შესაძლოა, საკუთარ თავში ახალი ნიჭიც კი აღმოაჩინოთ. საყვარელი ადამიანი სიურპრიზებით გაანებივრეთ.

**მშვილდოსანი**

სასიამოვნო სიახლეებით დატვირთული კვირა გელით. რომანტიკული შეხვედრები განწყობილებას აგიმაღლებთ. დასვენების დღეებში სპორტულ შეჯიბრებებში მიიღებთ მონაწილეობას.

**თხის რქა**

კვირის განმავლობაში აქტიურად ჩაერთვებით ახლობლების პრობლემების მოგვარებაში. კარგი პერიოდია უძრავი ქონების საკითხების მოსაწესრიგებლად.

**მერწყული**

ფინანსურ საკითხებს თქვენს სასარგებლოდ მოაგვარებთ. ფორტუნა თქვენს მხარეზეა, რაც საშუალებას მოგცემთ, განახორციელოთ ახალი იდეები.

**თევზები**

ახლობლებს გონიერებით გააკვირვებთ. შესაძლოა, შემოქმედებითი ნიჭიც გამოავლინოთ. ამ კვირაში პლასტიკური ოპერაციების გაკეთებას არ გირჩევთ.

# როგორ დავიმახსოვროთ ადამიანი?

**მოსაუბრის სახისა და სახელის დამახსოვრება ზოგიერთი ადამიანისთვის საკმაოდ რთულია. თუ რამდენიმე რჩევას გაითვალისწინებთ, ახალგაცნობილიც დაგიმახსოვრებთ და აღარც თქვენ დაგავიწყდებათ.**

1. გაცნობისას დააკვირდით ადამიანს სახეზე. დაიმახსოვრეთ კონკრეტული ნაკვთი. შეგიძლიათ იგი რომელიმე ფილმის ან მულტფილმის პერსონაჟსაც მიამსგავსოთ.

2. თავაზიანად ჰკითხეთ სახელი და საუბრისას რამდენჯერმე სთხოვეთ გაიმეოროს იგი.

3. ჰკითხეთ გვარი და წარმომავლობა. თუ მის მოგვარეს იცნობთ, ესაუბრეთ მასზე.

4. იაპონელები გაცნობისას ერთმანეთს სავიზიტო ბარათებს უტოვებენ. თუ ადამიანმა ნამდვილად დაგაინტერესათ და მისი დავიწყება არ გსურთ, ან ბარათი გამოართვით, ან მისი კოორდინატები ჩაიწერეთ.

5. საუბრის დროს ხშირად მიმართეთ სახელით.

6. ეცადეთ, მოსაუბრისთვის სასიამოვნო თემაზე ისაუბროთ; თავი დაამახსოვრეთ, როგორც განათლებულმა და მხიარულმა პიროვნებამ.

7. ხშირად გაუმეორეთ საკუთარი სახელი და გვარი. თუ რომელიმე ცნობილი ადამიანის სეხნია ან მოგვარე ხართ, გამოიყენეთ ეს შანსი, რათა მოსაუბრემ კარგად დაგიმახსოვროთ.

8. ამბობენ, რომ ინგლისის დედოფალი კარგად იმახსოვრებს ახალგაცნობილის სახელსა და სახის ნაკვთებს. ამისათვის, გაცნობისას არ ჩქარობს, რამდენიმე კითხვას უსვამს და რამდენჯერმე სახელით მიმართავს.

9. დამტკიცებულია, რომ ახალგაცნობილი 30 პიროვნებიდან ადამიანი მხოლოდ 2-3-ის სახესა და სახელს იმახსოვრებს. შეეცადეთ, ყოველ ჯერზე ერთი ადამიანით მეტი დაიმახსოვროთ.

შეეცადეთ, რჩევები გამოიყენოთ და ცოტა ხანში აღმოაჩენთ, რომ პიროვნებების გაცნობა და მათი დამახსოვრება არც ისე რთულია. ■





1. დიდი სანთელი
2. ჭადრაკის ფიგურა
3. თანამგზავრი
4. რეპუტაცია
5. ფინელი ავტომრბოლელი
6. დიპლომატიური წერილი
7. რისამე განხორციელება, ცხოვრებაში გატარება
8. შებოლილი ღორის ხორცი
9. ლატვიის პარლამენტი
10. დიდი სავარძელი
11. ქალის ჯიში
12. ჭიქის დასადები პატარა თეფში
13. ქედმაღლობა, მედიდურობა
14. ნაცვალსახელი
15. ტომი ... ჯონსი
16. ღრიანკალი
17. „ფოლკსვაგენის“ მოდელი
18. ცხენის ჭენება
19. ქვეყანა აზიაში
20. გაერთიანება, კავშირი
21. ბატკნის მოგების დრო
22. ხელოვნური ენა
23. ბანქოს თამაში
24. ქულა მიუდოში
25. მინირესტორანი
26. სისხლძარღვი
27. სურათი ზღვის ზედით
28. ფეხის ერთი გადადგმა
29. სამშობიაროს ექიმი
30. ფასიანი ქაღალდი
31. გამოძახილი
32. იაპონის კუნძული
33. ... ნიკოლსონი
34. პლანეტა იუპიტერის თანამგზავრი
35. კომში
36. დიდი შალაშინი
37. გერმანელი ფილოსოფოსი
38. ნარკოტიკი
39. დენის სიმძლავრის საზომი ერთეული
40. პატარა ქვევრი
41. ბუღა
42. მიმართულების მაჩვენებელი



**წინა ნომრის სკანვორდის პასუხები**

1. ჯინი; 2. სნუკერი; 3. ალიბი; 4. ლევილი; 5. ბატალია; 6. ნეკი; 7. ტუვალუ; 8. ქერი; 9. ალალი; 10. იმბეცილი; 11. ინდონეზია; 12. ბალუ; 13. მანერა; 14. სამარე; 15. ვექილი; 16. ოდა; 17. ბუდე; 18. სპარინგი; 19. ლუვრი; 20. იტალია; 21. რენომე; 22. ნუნა; 23. ათენა; 24. იარა; 25. უმადური; 26. მიტენი; 27. ციმორი; 28. საბა; 29. ამალა; 30. აქ; 31. ტყე; 32. ბეირუთი; 33. ფიცი; 34. იაპონია; 35. რიყე; 36. წნორი; 37. ულიანოვი; 38. ყირგიზეთი; 39. დინარი.
**სურათებზე:** 1. ჯენიფერ ენისტონი; 2. დევიდ შვიმერი.

# საფირმო კროსვორდი



**შევსების წესი: უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის გრაფაში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრედებში ქართულ ანდაზას ამოიკითხავთ.**

**გ**. მიწის სახნავი იარაღი; **ა**. მთა, სადაც წარღვნის შემდეგ გაჩერდა ნოეს კიდობანი; **ე**. ლითონის საყელარუნებელი; **რ**. ბრინჯაოს ძველი ქართული სახელწოდება; **თ**. საქართველოს მაღალმთიანი კუთხე; **ე**. ატმოსფერული მოვლენა; **თ**. თავის ქალის ზედა ნაწილი; **დ**. მსახიობის პირველი გამოსვლა სცენაზე; **ა**. სიკვდილის გამგებელი ტურისსახიანი ძველეგვიპტური ღვთაება; **დ**. ვითარება, როდესაც ორი არასასურველი შესაძლებლობიდან აუცილებელია ერთ-ერთის არჩევა; **ა**. გამოუწვავი აგური; **ი**. სისხლის აღრევა; **ს**. სახელის მოზიარე, თანამოსახელე; **ვ**. რომელ მუსიკალურ ინსტრუმენტზე უკრავდა ალბერტ აინშტაინი? **ე**. საჭრელ და ძირითად კბილებს შორის განლაგებული კბილი; **ნ**. საკუთარ თავზე უზომოდ შეყვარებული ჭაბუკი ბერძნულ მითოლოგიაში, რომელიც უიმედოდ უყვარდა ნიმფა ექოს. დარდისაგან ექო კლდედ იქცა, მისგან მხოლოდ ხმა დარჩა; **ე**. რა ერქვა ქალს, რომლის გულისთვისაც დაიწყო ტროას ომი? **თ**. ივნისის თვის ძველი ქართული სახელწოდება; **გ**. ქალაქი შოტლანდიაში; **ზ**. მთიდან დიდ გროვად წამოსული, ჩამორღვეული თოვლი; **ა**. მთავარი არტერია, რომელიც არტერიული სისხლით კვებავს სხეულის ყველა ორგანოს (ფილტვების გარდა); **ს**. ქალაქი-სახელმწიფო ძველ საბერძნეთში; **თ**. ხმელი ბალახი; **ა**. კრეტის მეფის, მინოსის ასული, რომელმაც თეზევსს ჯადოსნური ძაფის გორგალი მისცა და ლაბირინთიდან თავის დაღწევაში დაეხმარა; **ნ**. გიორგი სააკაძის მშობლიური სოფელი; **ე**. მეგრული კერძი, ღომში მოხარშული და ჩაზელილი სულგუნი; **რ**. განვითარებული მრეწველობით განთქმული მხარე გერმანიაში; **თ**. პატარა მღრღნელი ცხოველი; **ა**. ჰუნების ლეგენდარული მეფე; **დ**. ფულის ერთეული საბერძნეთში (ევროს შემოღებამდე).

**წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:**

**გ**. გუდუნა; **ზ**. ზვავი; **ა**. ამერიკა; **გ**. გედია; **ზ**. ზვარი; **ი**. იუმორი; **ს**. სიძვა; **თ**. თარაზო; **ვ**. ვუალი; **ი**. ისხარი; **ს**. სკოტი; **ა**. არნოლდი; **ო**. ორდენი; **მ**. მზალო; **კ**. კენტი; **ი**. იღუმენი; **თ**. თუშეთი; **ხ**. ხმელი; **ვ**. ვიმპელი; **ე**. ემისია; **ლ**. ლიბრეტო; **ი**. იორდანე; **ს**. სკალპი; **თ**. თელავი; **ვ**. ვოევოდა; **ი**. იუბილე; **ს**. სმეტანა; **ა**. აზნაური; **ო**. ოტო.

**გამუქებულ უჯრედებში იკითხება:**

**დაე, დამძრახონ და ნუ შემიბრალებენო**

# იაპონური სენსაცია
# სუდოკუ

„გზის“ წინა ნომერში გამოქვეყნებული სუდოკუს პასუხები

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | 1 | 9 | 8 | 2 | 5 | 7 | 4 | 3 |
| 5 | 7 | 4 | 6 | 3 | 9 | 1 | 8 | 2 |
| 2 | 3 | 8 | 1 | 4 | 7 | 6 | 9 | 5 |
| 4 | 8 | 5 | 9 | 6 | 1 | 3 | 2 | 7 |
| 3 | 9 | 7 | 4 | 5 | 2 | 8 | 6 | 1 |
| 1 | 6 | 2 | 3 | 7 | 8 | 9 | 5 | 4 |
| 7 | 2 | 3 | 5 | 8 | 6 | 4 | 1 | 9 |
| 9 | 5 | 6 | 7 | 1 | 4 | 2 | 3 | 8 |
| 8 | 4 | 1 | 2 | 9 | 3 | 5 | 7 | 6 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | 3 | 9 | 1 | 4 | 8 | 7 | 6 | 5 |
| 1 | 6 | 5 | 7 | 9 | 3 | 4 | 8 | 2 |
| 4 | 8 | 7 | 2 | 6 | 5 | 3 | 1 | 9 |
| 8 | 9 | 4 | 5 | 3 | 1 | 6 | 2 | 7 |
| 5 | 2 | 1 | 8 | 7 | 6 | 9 | 4 | 3 |
| 6 | 7 | 3 | 4 | 2 | 9 | 1 | 5 | 8 |
| 3 | 5 | 8 | 9 | 1 | 4 | 2 | 7 | 6 |
| 9 | 1 | 2 | 6 | 5 | 7 | 8 | 3 | 4 |
| 7 | 4 | 6 | 3 | 8 | 2 | 5 | 9 | 1 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | 8 | 4 | 2 | 7 | 3 | 1 | 5 | 9 |
| 1 | 2 | 3 | 8 | 9 | 5 | 7 | 6 | 4 |
| 9 | 5 | 7 | 6 | 1 | 4 | 8 | 2 | 3 |
| 4 | 3 | 2 | 1 | 6 | 9 | 5 | 7 | 8 |
| 8 | 6 | 9 | 5 | 4 | 7 | 3 | 1 | 2 |
| 5 | 7 | 1 | 3 | 2 | 8 | 4 | 9 | 6 |
| 2 | 9 | 8 | 4 | 5 | 1 | 6 | 3 | 7 |
| 3 | 1 | 6 | 7 | 8 | 2 | 9 | 4 | 5 |
| 7 | 4 | 5 | 9 | 3 | 6 | 2 | 8 | 1 |

* მარტივი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 6 | | | | 7 | 8 | | |
| 9 | | | 3 | | | 5 | 6 | |
| | 3 | | | | 2 | | 1 | |
| | | 1 | 7 | | | 9 | | |
| | | 4 | 5 | | | 6 | | |
| | | 2 | 1 | 9 | | 4 | | |
| | 5 | | 8 | | | | 9 | |
| | 2 | 6 | | | 9 | | | 7 |
| | | 9 | 2 | | | | 8 | |

** საშუალო

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | | | | | 8 | 5 | | |
| | | 3 | 4 | 6 | | | | 9 |
| | | 7 | | | 1 | | 6 | |
| | | 5 | | | 4 | 3 | | |
| | | | 7 | | | | | |
| | | 8 | | | | 1 | | |
| | 5 | | 6 | | | 9 | | |
| 3 | | | | 4 | 7 | 8 | | |
| | | 6 | 9 | | | | | 2 |

*** რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 9 | | | | 3 | | | 6 |
| | 1 | | 7 | | | | | |
| 6 | | | | | 9 | 5 | | |
| | | 5 | 3 | | 1 | | 9 | |
| | | 8 | | 5 | | 4 | | |
| | 6 | | 4 | | | 2 | | |
| | | 4 | 9 | | | | | 8 |
| | | | | | 5 | | 4 | |
| 3 | | | 6 | | | | 7 | |

# „ბომონდის" ნოემბრის ნომერი
# მამუკა ჩარკვიანის დისკთან ერთად

## შეაგროვე კოლექცია







## ჩვენი ხმების საგანძური

CD №1 ჯგუფი „შინ"
CD №2 ჯგუფი „ქართული ხმები"
CD №3 ჯგუფი „ცისფერი ტრიო"

CD №4 საჩუქრად!

შეგიძლიათ შეიძინოთ „ბიბლუსის" წიგნის მაღაზიათა ქსელში.



სტუდია „სანო" და გოგი ხარაბაძე წარმოგიდგენთ
აკაკი წერეთლის საიუბილეო აუდიოწიგნს
„აკაკი 170"
მხოლოდ „ბიბლუსის"
წიგნის მაღაზიათა ქსელში
სპეციალურ ფასად
29 ლარად!
www.biblusi.ge 307-402




ჩემი საყვარელი ზღაპრები
ყოველ პარასკევს, ჟურნალ „საბავშვო კარუსელთან" ერთად პატარების საყვარელი ზღაპრების თითო წიგნი!
გაახარეთ პატარები საყვარელი ზღაპრებით!
არაბული ზღაპრები
ჩემი საყვარელი ზღაპრები 18
ალადინის ჯადოსნური ლამპა
წიგნის ფასი 4 ლარი
(ჟურნალთან ერთად 5 ლარი)
5 ნოემბრიდან 12 ნოემბრამდე
უკვე გამოსული წიგნები შეგიძლიათ შეიძინოთ წიგნის მაღაზიებში!

# ფოტოკურიოზები















# ტერაფლუ ლარი®

## ავადმყოფობის დრო არ არის!

**ტერაფლუს ეფექტურობა პირის ღრუს და ყელის ინფექციების დროს**

**სიახლე**

**ძლიერი ორმაგი ფორმულა – მაქსიმალური ეფექტი**

- სწრაფად ხსნის ყელის ტკივილს
- აქვს ანტიმიკრობული მოქმედება




NOVARTIS

**ნოვარტისი, შვეიცარია**
გ. ტაბიძის ქ. №18;
ტელ.: 98 27 30; 98 27 50

პრეპარატის გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს

**გამოყენება:**

**ტერაფლუ ლარი საწუწნი ტაბლეტი:**
**4 წლიდან:** 1 ტაბ. 2-3 სთ-ში არა უმეტეს 6 ტაბ. დღეში
**მოზრდილები:** 1 ტაბ. 2-3 სთ-ში არა უმეტეს 10 ტაბ. დღეში

**ტერაფლუ ლარი სპრეი:**
**4 წლიდან:** 2-3 შესხურება 3-6-ჯერ დღეში
**მოზრდილებში:** 4 შესხურება 3-6-ჯერ დღეში

**შემადგენლობა:** ბენზოქსონიუმ ქლორიდი, ლიდოკაინი